ირაკლი მახარაძე ლაშა ხეცურიანი

რუსულ-ქართული ტერორი

(1880-1924 წლები)

ირაკლი მახარაძე ლაშა ხეცურიანი
რუსულ-ქართული ტერორი (1880-1924წლები)
IRAKLI MAKHARADZE LASHA KHETSURIANI
Russian-Georgian Terror (1880-1924)

რედაქტორი
ლალი ქადაგიძე

გარეკანის დიზაინი და დაკაბადონება
ირაკლი მახარაძე, გიორგი ტაბლიაშვილი,
ლაშა ხეცურიანი

გარეკანზე: ვლადიმერ ულიანოვი, ივან კალიაევი, იოსებ ჯუღაშვილი,
სერგო ორჯონიკიძე, სიმონ ტერ-პეტროსიანი, ფილიპე მახარაძე

© ირაკლი მახარაძე, ლაშა ხეცურიანი 2009
© Irakli Makharadze, Lasha Khetsuriani 2009

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978- 9941 -11 -136-5

გამომცემლობა „დიოგენე“
თბილისი, კეკელიძის ქ.6
ტელ.: 95 63 94, ტელ./ფაქსი:96 79 71
www.diogene.ge

სარჩევი

ავტორებისაგან 5
წინათქმა 7
შესავალი 9
ისტორიული ექსკურსი 13
რუსული ტერორის სათავეებთან 19
ქართული ტერორის სათავეებთან 28
ბანალური ტერორი – ილია ნებიერიძის ამბავი 38
შემობრუნების წერტილი – რევოლუციონერი
ტერორისტის ხატის ჩამოყალიბება 45
რუსული სახელმწიფო ტერორი
საქართველოს წინააღმდეგ 57
პირველი ტერორისტული აქტი 71
აგრარული ტერორი: თავად დიასამიძის მკვლელობა 79
გურული ტერორი, „გურიის, ყვირილისა და
სხვა რესპუბლიკები“ 85
დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია 104
გენერალ გრიაზნოვის მკვლელობა 113
ექსპროპრიაცია ერივანსკის მოედანზე –
ჯუღაშვილი და მისი რაზმი 120
ერივანსკის „ექსის“ შემდეგ 139
ეპილოგი – „წაღმა-უკუღმა“ გადახნული საქართველო,
ანუ „წითელი“ ტერორი 147
პირთა საძიებელი 160

ნიგნში ნარმოდგენილი ფოტომასალა დაცულია შსსსს-ში, სცსსა-ში, სახელმწიფო არქივის კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილებაში, ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმსა და გურამ შარაძის კერძო კოლექციაში.

შსსსს – შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო
სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი

ავტორებისაგან

ხასიათობრივად და სამყაროს აღქმის თვალთახედვით ისეთი განსხვავებული ქვეყნები, როგორიც რუსეთი და საქართველოა, ძნელად მოსაძიებელია. მაგრამ ერთად ყოფნის ორასწლიანმა ისტორიამ ქართულ ცნობიერებასა და ხასიათში ისეთი გარდატეხა შეიტანა, რომ ქართველი ადამიანი რუსების მიერ წამოწყებულ ტერორისტულ ბაკქანალიაში თავგამოდებით გადაეშვა და მის ავანგარდშიც კი მოექცა.

ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპზე რუსეთის ხელისუფლება ხან ერთმორწმუნეობის ხატით, ხან მარქსისტული მოძღვრების დროშით, ხან კი ხიშტით საქართველოს მოტყუებასა და დაპყრობას ახერხებდა. ყველაზე გასაოცარი, გასაკვირი და აღმაშფოთებელი ის არის, რომ ქართველთა უდიდესი ნაწილი, ჩრდილოელი მეზობლის მიერ თითქოსდა მოჯადოებული, დღემდე ვერ აცნობიერებს, ვისთან აქვს საქმე, საკუთარ დაშვებულ შეცდომებს არათუ აანალიზებს და გულდასმით შეისწავლის, რათა გარკვეული დასკვნები გამოიტანოს და მომავლისთვის გაითვალისწინოს, არამედ ისევ თავგამოდებით ცდილობს „ერთმორწმუნე" რუსეთის კალთის ქვეშ შეძრომას.

წინამდებარე წიგნი რუსულ ტერორთან გაიგივებულ და მასთან იდენტიფიცირებულ, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აღმოცენებულ ქართულ ტერორიზმსა და ტერორისტების თავგადასავალს ეხება.

გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ეროვნული არქივის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს თანამშრომლებს.

განსაკუთრებული მადლობა თემურ ბერიძეს, ლეილა ნანიტაშვილს, ლია სოხაძეს, ქეთევან სადაგიშვილს.

წინათქმა

1905 წლის 22 ოქტომბერს რუსი ეროვნების შავრაზმელებმა, ე. წ. პატრიოტებმა[1], თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე (დღევანდელი რუსთაველის პროსპექტი), დემონსტრაცია გამართეს. ეს მოხდა ცნობილი 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ, რომელიც ერთგვარ სიგნალს წარმოადგენდა კონტრევოლუციური გამოსვლებისათვის მთელ რუსეთის იმპერიაში და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც. თვითმხილველების გადმოცემით, დემონსტრაცია, რიცხვით ათას ადამიანამდე, შედგებოდა კაცებისა და ქალებისაგან, რომელთაც ხატები, დროშები და მეფის სურათები მიჰქონდათ. გოლოვინის პროსპექტზე მიმავალი დემონსტრანტებისთვის არავის შეურაცხყოფა არ მიუყენებია, არც რაიმე პროვოკაციულ ქმედებას ჰქონია ადგილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სათავადაზნაურო გიმნაზიის ჭიშკართან მდგომ ხალხს რამდენიმე მანიფესტანტი მიუახლოვდა და ჩხუბი აუტეხა. ერთმა პატრიოტმა კი გიმნაზიელებს იარაღი ესროლა. გასროლის ხმის გაგონებისთანავე იქვე მყოფმა ჯარისკაცებმა სრულიად უდანაშაულო ხალხის მისამართით სროლა ატეხეს. პირველი მსხვერპლი პატრიოტებში აღმოჩნდა, რადგან ისინი ჯარის წინ იდგნენ. სროლა თითქმის ორ საათს გაგრძელდა. ისროდნენ გიმნაზიაში, ალექსანდრეს ბაღში, ესროდნენ სახლებს და ქუჩაში მოსეირნე ხალხს, ზუბალაშვილისა და მანთაშევის ქარვასლებს, „ტიფლისკი ლისტოკის“ რედაქციას და არტისტული საზოგადოების შენობას. ჯარისკაცები და პატრიოტები არავის და არაფერს ინდობდნენ: ოფიციალური ცნობებით იმ დღეს მოკლეს 43, დაჭრეს 88 კაცი, დაარბიეს და გაძარცვეს რამდენიმე შენობა. განსაკუთრებული სიმხეცით და სისატიკით გამოირჩეოდნენ პოლტავის პოლკის კაზაკები. ერთმა კაზაკმა, გვარად კლადმა, საკუთარი ხელით მოკლა 14 უდანაშაულო ადამიანი. ამ ამბის მონაწილის, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის მთავარსარდლის „კანვოის“ ოფიცრის ბიგაევის კითხვაზე, თუ რატომ ჩაიდინა ეს, მან უპასუხა, ამ რევოლუციონერებმა (ისინი კი რევოლუციონერები არიან, რადგან წითელ ბაფთებს ატარებენ) მოკლეს ჩემი მეგობარი კაზაკი მიხნევი და სხვებიო[2]. კაზაკები სამაგიეროს უხდიდნენ 1905 წლის 30 აგვისტოსთვისაც, როცა თბილისში განლაგებულ კაზაკთა ყველა რაზმს „საშინელი დამანგრეველი სიძლიერის“ ე. წ. ავჭალური ბომბები ესროლეს (ამ ბომბებს სიმონ ტერ-პეტროსიანი, ცნობილი როგორც კამო, იოსებ სტალინის ჯგუფის სხვა წევრებთან, ილიკო ჭაჭი-

[1] „პატრიოტთა კავშირში“ გაერთიანებული უმთავრესად რუსი ეროვნების ადამიანები მთავრობის ყველა გადადგმულ ნაბიჯს მხარს უჭერდნენ, არ მონაწილეობდნენ გაფიცვებში, საბოტაჟსა და სხვა ანტისამთავრობო გამოსვლებში. რევოლუციონერები კი ყველას, ვინც რევოლუციურ მოძრაობას არ თანაუგრძნობდა, მტრად მიიჩნევდნენ და მათ წინააღმდეგ ტერორის სხვადასხვა მეთოდებს მიმართავდნენ. ბევრი რუსი მუშა, თავი რომ გადაერჩინა, პარტიაში წევრიანდებოდა, ბევრი სამსახურს თავს ანებებდა ან საცხოვრებლად სხვაგან გადადიოდა.

[2] მიხნევი 1905 წლის 24 აგვისტოს სოციალ-დემოკრატმა ტერორისტებმა (ეს მოკლულთა დოკუმენტებით დადასტურდა) მოკლეს, როცა მას სხვა კაზაკთან ერთად შაჰის მიერ ნაჩუქარი ორდენები მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისათვის მიჰქონდა. Н. А. Бигаев, Последние Наместники Кавказа (в свете личных воспоминаний) (1902–1917).

აშვილთან და ვანო კალანდაძესთან ერთად, ავჭალაში მდებარე ლაბორატორიაში ამზადებდა, რომელიც პოლიციამ 1905 წელს აღმოაჩინა და გაანადგურა). კაზაკები განსაკუთრებით უსწორდებოდნენ გრძელთმიანებს (кудлатыії – როგორც მათ ეძახდნენ), რადგან ადამიანი გრძელი თმით, მათი აზრით, აუცილებლად სოციალისტი, ანუ მეფის და ნესრიგის მტერი, იყო, რომელიც უნდა განადგურებულიყო (იმ დროს ახალგაზრდა რევოლუციონერები, როგორც ნესი, გრძელ თმას ატარებდნენ).

დარბევის შემდეგ გამარჯვებული „პატრიოტები" მეფის სურათით, ჰიმნის სიმღერით და „ურას" ძახილით ისევ განაგრძობდნენ სვლას. იმავე დღეს დიდუბეში საქართველოში არსებული ყველა პარტიის მიერ ერთობლივი დიდი მიტინგი იყო გამართული (პარტიების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, პატრიოტების მანიფესტაციასთან შეტაკების თავიდან ასაცილებლად ქალაქის ცენტრში დაგეგმილი მიტინგი ავლაბარსა და ნაძალადევში გადაიტანეს). როცა გოლოვინის პროსპექტზე დატრიალებული ტრაგედიის ამბავი შეიტყო, ხალხი აღელდა და დაშლა დაიწყო. საზოგადოება რომ დაემშვიდებინა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი სილიბისტრო (სილვა) ჯიბლაძე ხატის მაგვარად გაკეთებულ კარლ მარქსის სურათს აქეთ-იქით იქნევდა და დამტვრეული რუსულით ყვიროდა: „იმენემ მარქსა პრიზივაიუ კ პარადკუ!.." („მარქსის სახელით ნესრიგისაკენ მოგიწოდებთ!").

ზემოთ აღნერილი ამბები – პოლიტიკური მრწამსით გამართლებული კაცისკვლის მასშტაბები, განსაკუთრებით „ტუზემეცი"(Туземец – რუს. მკვიდრი, ადგილობრივი მცხოვრები) კავკასიელების განუკითხავი ხოცვა-ჟლეტა[3], რელიგიური რწმენის რეგისტრში აყვანილი მარქსის მოძღვრება, იმპერიის მომხრეებისა და რევოლუციონერებად ნოდებული მოწინააღმდეგეების სისხლიანი დაპირისპირება – XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილის – საქართველოს ყოველდღიურობად იქცა. ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ტერორს უამრავი რევოლუციური პარტიის ბრძოლის მეთოდად აღიარებული ასეთივე ტერორი დაუპირისპირდა.

მარქსისტული მოძღვრება უამრავი ადამიანისთვის მიზნის მიღწევის უებარი საშუალება აღმოჩნდა (თუ მიზნად მეფის თვითმყრობელობის ჩამოგდებას მივიჩნევთ), რაც რუსეთის მიერ დაპყრობილი ერებისთვის მაინც არცთუ ურიგო უნდა ყოფილიყო. თუმცა, მცირე გამონაკლისების გარდა (პოლონეთი, ფინეთი), იმავე ერებმა მეფის დამხობისა და ბოლშევიკური დიქტატურის დამყარების შემდეგ ადამიანური და ეროვნული ღირსების შელახვის იქამდე არნახული მაგალითები მიიღეს. რუსულ მარქსიზმში განვითარებული ნგრევის ყოვლისნამლეკავი იმპულსი ხომ პირველ რიგში პიროვნების შინაგან ნგრევას გულისხმობს... ნგრევას, რომელიც ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ტერორიზმში ვლინდება.

---

[3] ნიშანდობლივია, რომ რუსეთში ხელისუფლებისა და საზოგადოების პოზიცია არარუსების მიმართ ერთსულოვანი იყო და არის – ყველა არარუსი მათ „დერჟავის" პოტენციურ მტრად მიაჩნდათ და ახლაც ასეა.

შესავალი

კაცობრიობა ტერმინის „ტერორისტისა“ და „ტერორიზმის“ შემოღება-დამკვიდრებას საფრანგეთის რევოლუციას უნდა უმადლოდეს. ამ ტერმინის გამოყენება 1793-94 წლებში, ე. წ. „ტერორის ბატონობის“ პერიოდში, იაკობინელების რევოლუციური ხელისუფლების დროს დაიწყეს, რომელმაც მსხვერპლად ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე მოითხოვა. „ტერორი სხვა არაფერია, თუ არა მართლმსაჯულება, დაუყოვნებელი, დაუნდობელი, შეუდრეკელი მართლმსაჯულება“, – აცხადებდა იაკობინელთა დიქტატურის ერთ-ერთი მოთავე და თეორეტიკოსი მაქსიმილიენ რობესპიერი, რომელიც სხვათა შორის დიქტატურის დამხობის შემდეგ გაუსამართლებლად სიკვდილით დასაჯეს.

მრავალი სპეციალისტის აზრით, ტერორიზმის ისტორია უხსოვარი დროიდან იწყება. ზოგიერთი მკვლევარი პირველ ტერორისტულ აქტად და, შესაბამისად, პირველ ტერორისტად ძმის მკვლელ ბიბლიურ კაენს მიიჩნევს, რაც, რა თქმა უნდა, საკამათო თემაა. სიტყვა „ტერორიზმის“ (ლათინური სიტყვიდან terror – შიში, საშინელება, ტერორი, შიშის მომგვრელი საშინელება) განმარტება შემდეგნაირია: ძალადობის გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. შეიარაღებული თავდასხმა, რომლის მიზანია არა მონინააღმდეგისადმი რაიმე სტრატეგიული ზიანის მიყენება, არამედ შიშის დანერგვა.

ტერორისტული აქტი – ეს ძალადობის გამოყენებაა იმ პიროვნებების თუ პიროვნებათა ჯგუფის მიმართ, ვინც ტერორისტებს ხელს უშლის რაიმე კონკრეტული მიზნის მიღწევაში. ხშირად ეს აქტები მიმართულია იმ უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ, რომლებსაც ტერორისტების პოლიტიკურ პოზიციასთან საერთო არაფერი აქვთ. წითელი არმიის სულისჩამდგმელი ლევ ტროცკი წერდა, რომ ძლევამოსილ ომში დამარცხებული მოწინააღმდეგის არმიის მხოლოდ ნაწილი ნადგურდება, რითაც დანარჩენებს აშინებს და გამარჯვების სურვილს ართმევს. ზუსტად იგივე ხდება რევოლუციის დროს – ის თავიდან იცილებს ერთეულებს და შიშს ჰგვრის ათასებს. „ტერორი – ეს უმთავრესად არასაჭირო სისასტიკეა, რომელსაც იჩენს შეშინებული ხალხი საკუთარი თავის დასაწყნარებლად“, – წერდა ფრიდრიხ ენგელსი კარლ მარქსს ერთ წერილში[4].

მიუხედავად ამისა, დღემდე არ არსებობს ტერმინ „ტერორიზმის“ იურიდიულად დახვეწილი, ლოგიკურად გამართული და ყველასათვის ნათელი განმარტება. ჟენევის 1949 წლის კონვენცია განმარტავს, რომ „ხალხის ბრძოლა უცხო დამპყრობლების, კოლონიური ბატონობისა და რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ მათი თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლებების გასატარებლად არის ლეგიტიმური და საერთაშორისო კანონებთან შესაბამისობაში მოსული“. თუ თავს დავანებებთ შეიარაღებული კონფლიქტის „სამართლიანად და უსამართლოდ“ დაყოფას, რაც ამ კონცეფციის წაკითხვიდან გამომდინარეობს (მისი მიღების შემდეგ უამრავი შესწორება იქნა შეტანილი და იქ წამოჭრილი საკითხების უმრავლესობა კვლავ დღის

[4] www.memo.ru/history/terror/postnikov.htm

ნესრიგშია), ძალის გამოყენების როგორი ფორმა შეიძლება ჩაითვალოს „სამართლიანად“? ანუ არსებობს თუ არა ლეგიტიმური ტერორი?

„ჩვენი მტრები ტერორისტებს გვეძახიან... ამ ლათინურ ტერმინს ის ხალხიც ხმარობს, ვინც არც ჩვენი მტერია და არც მეგობარი... მაგრამ ჩვენ არა ვართ ტერორისტები... ადამიანის ღირსებისათვის, ჩაგვრისა და დამონების წინააღმდეგ ბრძოლას რა კავშირი აქვს ტერორთან?“ ამ ციტატის ავტორი არა რომელიმე არაბი ფუნდამენტალისტია, არამედ მენახიმ ბეგინი – ისრაელის სახელმწიფოს დამაარსებელი. ეს გამონათქვამი პალესტინაში მშვიდობისმყოფელური მანდატით მყოფი ბრიტანული არმიის წინააღმდეგ ებრაელების ბრძოლის პერიოდს ეხებოდა[5].

მენახიმ ბეგინის ლოგიკას თუ მივყვებით, რომელიც ასევე ეხმაურება ჟენევის ცნობილ კონვენციას, „სამართლიანი, განმათავისუფლებელი“ ბრძოლის ნებისმიერი მეთოდი ტერორისტულად არ შეიძლება ჩაითვალოს. თუ ეს ასეა, ამჟამინდელი პალესტინელი თვითმკვლელი, როცა ისრაელის არმიის საკონტროლო გამშვებ პუნქტთან თავს იფეთქებს და ჯარისკაცებს კლავს, ან იგივე ერაყელი, როცა ამერიკელ ჯარისკაცს აფეთქებს, ითვლება თუ არა ტერორისტად, ან არის თუ არა ის „კარგი“ ტერორისტი? ორივე შემთხვევაში დაპყრობილი ქვეყნის მოქალაქე ოკუპანტ ჯარს ებრძვის.

ან რამდენად ნათელია, ვინ არის თავისუფლებისთვის მებრძოლი და ვინ ტერორისტი? რომელ განმარტებაში ჯდება IRA (ირლანდიის რესპუბლიკური არმია), ბრიტანეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი, რომელმაც უამრავი მშვიდობიანი მოსახლეობა შეიწირა?

ან შეიძლება გამართლება მოეძებნოს გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანის დასაწყისში გერმანიასა და იტალიაში მოქმედი „წითელი არმიისა“ და „წითელი ბრიგადების“ მიერ ჩატარებულ ტერორისტულ აქტებს, რომლებიც „იმპერიალისტური და კოლონიზატორულ-რასისტული“ დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ იყო მიმართული?

რამდენად სამართლიანი იყო რუსეთის იმპერიაში წარმოებული ტერორისტული აქტები მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრძოლა მიმდინარეობდა ცარიზმის თვითმყრობელური და დესპოტური რეჟიმის წინააღმდეგ?

განიხილება კი ტერორიზმად ე. წ. კოლაბორაციონისტების, უმეტესწილად მშვიდობიანი მოსახლეობის, განადგურება (მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთსა და საფრანგეთში წარმოებული წინააღმდეგობის მოძრაობის დროს), რომლის მიზანსაც შეადგენდა სხვებში შიშის დანერგვით დამპყრობელთან თანამშრომლობის აღკვეთა?

არის კი ტერორის განმარტება დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ ახორციელებს საკუთარი მიზნის მისაღწევად ამ „შიშის გამომწვევ აქტს“?

გაეროს გენერალური ასამბლეის 1994 წლის 9 დეკემბრის რეზოლუციის მიხედვით ცნება „ტერორიზმი“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული: „კრიმინალური აქტები, მიმართული ან გამიზნული, რათა პოლიტიკური მიზნებით შიში გამოიწვიოს ფართო საზოგადოებაში, ადამიანთა ჯგუფსა ან კონკრეტულ პირთა შორის, მიუხედავად იმისა, თუ როგორი პოლიტიკური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან ნებისმიერი სხვა მოწოდებით არ უნდა იყოს ამ ქმედების გამართლების მცდელობა“[6].

ეს განმარტება ზემოთ მოყვანილ ყველა მაგალითს ცალსახად ტერორისტულ ქმედებად წარმოაჩენს. ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, ტერორიზმის

---

[5] S. Zizek. Violence. 2008 წ., გვ. 118.

[6] გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 49/60.

მორალური მხარის გააზრება უამრავ ურთიერთსანინააღმდეგო აზრსა და ემოციას აღძრავს. ტერორის შესახებ თხრობა შეფასებებისა და მსჯავრის გამოტანის გარეშე საკმაოდ ძნელი ამოცანაა. ამიტომ, ალბათ, გაცილებით იოლია ამ ძალმომრეობითი აქტისადმი ზემოთ მოყვანილი განმარტების მისადაგება იურიდიულ და ზნეობრივ წინააღმდეგობებში გახლართვის გარეშე.

პეტრე ლავროვი, გამორჩეული რუსი რევოლუციონერი ფილოსოფოსი, ერთ-ერთი ის „ნაროდნიკი"[7] იყო, რომელიც ტერორს ამართლებდა. 1885 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „სოციალური რევოლუცია და ზნეობის დანიშნულება" ის ავითარებს აზრს, რომ ზნეობრივი სიდიადე სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლაში არათუ არ გამორიცხავს ტერორს, ძალმომრეობას, არამედ ის აუცილებელი ზნეობრივი ნაბიჯია. იმავდროულად „არც ერთი წვეთი ზედმეტი, უსარგებლო სისხლისა არ უნდა დაიღვაროს" (უსარგებლო სისხლად არ ითვლებოდა ტერორისტის სისხლი). „ჩვენ გვჭირდებიან თავგანწირული ახალგაზრდები, რომლებიც ყველაფერს შეაგდებენ სასწორზე, გაწირავენ ყველაფერს, ჩვენ გვჭირდებიან მარტვილნი..." – წერდა ლავროვი. ლავროვისეულ განმარტებაში ჯდება დიდი თავადის სერგეის მკვლელის[8], ივან კალიაევის, საქციელი, რომელმაც „უსარგებლო სისხლის" დაღვრაზე უარი განაცხადა, როცა პირველი თავდასხმის მცდელობის დროს ეტლს ბომბი არ ესროლა, რადგან თავადთან ერთად ეტლში მისი ოჯახი იმყოფებოდა[9]. ასეთივე „ზნეობრივი ტერორისტია" ვერა ზასულიჩი: 1878 წლის 24 იანვარს პეტერბურგის ქალაქისთავის, გენერალ ტრეპოვის დაჭრის შემდეგ ის შემთხვევის ადგილზე შეგნებულად დარჩა და პოლიციას ჩაბარდა. ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ ჩამოხრჩობას მიუსჯიდნენ. მისთვის ეს ტერორისტული აქტი უდიდესი სათნოების გამოხატულება იყო. ჩამოხრჩობას იმან გადაარჩინა, რომ ტრეპოვი გადარჩა.

თუ რა იგულისხმებოდა რევოლუციური ტერორის ზნეობრიობაში, კარგად გადმოსცა რუსმა ტერორისტ-რევოლუციონერმა და მწერალმა სერგეი სტეპნიაკ-კრავჩინსკიმ („კრაზანას" ავტორის, ეთელ ლილიან ვოინიჩის შთამაგონებელმა და მენტორმა), რომელმაც 1878 წლის 4 აგვისტოს, დღისით-მზისით, პეტერბურგის ერთ ქუჩაზე საიდუმლო პოლიციის შეფი მეზენცევი ხანჯლით განგმირა. აი, რას წერს ის თავის წიგნში „Underground Russia": „რევოლუციონერის (ტერორისტის) მიზანი სხვისი ბედნიერებაა, ამისთვის ის მზადაა, განიროს საკუთარი ბედნიერება და სიცოცხლე, მისი იდეალია ტანჯვითა და მონამებრივი სიკვდილით სავსე სიცოცხლე"[10].

როგორც შემდეგ დავინახავთ, რუსულ რევოლუციურ მოძრაობაში ტერორისტულმა აქტმა მალევე დაკარგა განსაკუთრებული ზნეობრივი დატვირთვა. „უსარგებ-

---

[7] Народник (რუს.) – ხალხოსანი.

[8] რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. პლევესა და მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის, დიდი მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის (დიდი მთავარი ისტორიაში შევიდა არა მარტო როგორც ცნობილი ჰომოსექსუალი, არამედ როგორც მძვინვარე ანტისემიტიც. 1891-92 წლებში მისი ბრძანებით ათასობით ებრაელი გაასახლეს მოსკოვიდან. გასახლება ხასიათდებოდა ებრაული მოსახლეობის შეურაცხყოფითა და პოლიციური ბაკქანალიით) მკვლელობის ორგანიზატორი, ესერთა პარტიის ერთ-ერთ ლიდერი ბორის სავინკოვი რევოლუციონერს და საზოგადო მოღვაწეს, ახალგაზრდა რევაზ გაბაშვილს მოსკოვში ტერორისტული აქტის განხორციელებას სთხოვდა, მაგრამ პირდაპირ აფრთხილებდა, რომ „...უნდა იცოდეთ, ასეთი „აქტის" შედეგი 90 პროცენტით სიკვდილია ან ადგილზევე, ან სახრჩობელაზე...", რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, დაბრუნება, ტ. 3, 1992 წ., გვ. 36.

[9] მსგავსი შემთხვევები ქართულ რევოლუციურ-ტერორისტულ სინამდვილეშიც იყო: ტერორისტმა ბურჭულაძემ ქუთაისის ბოქაული კედია იმის გამო დაინდო, რომ მასთან ერთად ეტლში უცნობი მანდილოსანი იჯდა; გენერალ გრიაზნოვზე პირველი თავდასხმაც ამის გამო გადაიდო...

[10] S. Kravchinsky. Underground Russia, 1883 წ.

ლო სისხლის“ ცნებამ ძალზე ფართო მნიშვნელობა მიიღო, „лес рубят – щепки летят“ (სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივაო) პოზიცია (ქართველი ვალიკო ჯუღელი ამ გამოთქმას ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ გამოიყენებს, იმავეს წერდა ნოე ჟორდანია 1907 წლის ზაფხულის მინურულს ჭავჭავაძის სიკვდილთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილში. მსგავსი დამოკიდებულება ამ დიდი პიროვნებისადმი დამახასიათებელი იყო სოციალ-დემოკრატებისათვის) მიზნის მიღწევის ყოველგვარ საშუალებას გაამართლებს და ყოველი ტერორისტული აქტი ზნეობრივ აქტად იქცევა. ტერაქტის ჩასადენად საკუთარ სინდისთან სულ უფრო და უფრო ნაკლები „შინაგანი ბრძოლა იქნება საჭირო“. გერმანული ფაშიზმის მისამართით ჰანნა არდანტის მიერ გამოყენებული ტერმინი „ბოროტების ბანალურობა“ რუსულ-ქართულ ტერორიზმში ასევე „ბანალურ“ ფორმას მიიღებს, რაც საბჭოთა კავშირის შექმნისთანავე სახელმწიფოებრივი ბიუროკრატიის ჩვეულებრივ ყოველდღიურობად გადაიქცევა

ჩვენი წიგნის მიზანი რუსულ ტერორთან გაიგივებული და მასთან იდენტიფიცირებული, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აღმოცენებული ქართული ტერორიზმისა და ტერორისტების თავგადასავლის მოყოლაა. იმ ქართველი ტერორისტებისა, რომლებმაც ერთგვარი ჟინით აიტაცეს სხვისი საკეთებელი საქმე და არათუ ახალ საფეხურზე აიყვანეს ის, არამედ წარმატებულადაც დაასრულეს. ის ფაქტი, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ ოქტომბრის გადატრიალებამდე რუსული სოციალ-დემოკრატიის უმძლავრეს ხელმძღვანელ ბირთვს ქართველები შეადგენდნენ (კარლო ჩხეიძე, კაკი წერეთელი, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი...), ის, რომ რუსული ტერორის ლოგიკური გამგრძელებელი და დამაგვირგვინებელი ქართველი სოსო ჯუღაშვილი იყო, ნათლად მეტყველებს იდენტიფიკაციაზე, „სხვასთან“ (ანუ რუსეთთან) გაიგივების პროცესზე. ქართული ანდაზისა არ იყოს, „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“, ზნეც შეიცვალეთ, ფერიც და აზროვნების სტილიც (რად ღირს თუნდაც ქართველი ბუდუ მდივანის ცნობილი ფრაზა – „ჩვენ, რუსი კომუნისტები...“ სტალინიც ხომ ყოველნაირად ცდილობდა, ეჩვენებინა, რომ ის „ქართველი კი არა, არამედ მოსკოვის მიერ გამოგზავნილი ბოლშევიკი იყო, რომ ქართველები მისთვის უბრალოდ ერთ-ერთ ეროვნებას წარმოადგენდნენ... რომ მისი ჭეშმარიტი სამშობლო პატარა საქართველო კი არა, დიდი რუსეთია“[11]). ფიქრიც და მოქმედებაც რუსულად დავიწყეთ და დღემდე ხშირად, ინერციით, ასევე რუსულად (საბჭოურად) ვაზროვნებთ. რუსეთის (ანუ სხვისი) საქმის კეთებას მივყავით ხელი და „ნარმატებულად“ დავასრულეთ კიდევაც. სხვისი სიზმრით ვიცხოვრეთ და ცხადად ასრულებული ეს სიზმარი კოშმარად გადაგვექცა ჩვენც და სხვასაც.

[11] სტალინი ისტორიასა და ისტორიკოსთა შეფასებებში, 2002 წ., გვ. 5.

ისტორიული ექსკურსი

პოლიტიკური ტერორი იმავე ასაკისაა, რამდენ ხანსაც პოლიტიკა არსებობს. ტერორიზმი პოლიტიკის ყველაზე ეფექტური და აპრობირებული მეთოდია: მოწინააღმდეგის მოშორება ფიზიკური განადგურების გზით უძველესი დროიდან არის ცნობილი. ძველი სამყაროს უამრავი ცნობილი პოლიტიკური ფიგურა ტერორის მსხვერპლი შეიქნა.

რევოლუციური, ნაციონალისტურ-განმათავისუფლებელი და რელიგიური ტერორის საფუძლები ერთმანეთს გადაეჯაჭვა ანტიკური ხანის იუდეაში არსებული ორგანიზაციის მოქმედებებში, რომელიც „ზელოტების" სახელით არის ცნობილი. თანამედროვე ტერორიზმი თითქმის ყველა თავისი გამოვლინებით და კონტექსტით დასაბამს ამ მოძრაობიდან იღებს.

ჩვენი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნის რომაელ-იუდეელი ისტორიკოსი, იოსებ ფლავიუსი, დაწვრილებით აღწერს ზელოტების მოძრაობას. ლათინურად Zealot ფანატიკოსს ნიშნავს (რასაც სიამაყით უწოდებდნენ საკუთარ თავს ამ მიმდინარეობის წევრები). ზელოტების ფილოსოფიურ და რელიგიურ დოქტრინებში ჩაღრმავება შორს წაგვიყვანდა. საკმარისია მხოლოდ ითქვას, რომ ამ დოქტრინებიდან აღმოცენდა ორგანიზებული მკვლელობების მთელი სისტემა, რომელიც მეფე ჰეროდე დიადის მეფობისას და მის შემდგომ პერიოდში ბატონობდა. „ამ ხალხს ჰქონდა თავისუფლებისადმი გაუტეხელი ერთგულება და თვლიდა, რომ მხოლოდ უფალი იყო მათი მმართველი და ბატონი", – წერდა იოსებ ფლავიუსი[12]. აქედან გამომდინარე, ისინი არავის ემორჩილებოდნენ, თვით მეფესაც კი. საკუთარი თუ სხვისი (სისხლით ნათესავების ჩათვლით) სიცოცხლე მათთვის არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენდა.

ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი ფრთა სიკარებად იწოდებოდა. ამ ჯგუფის მიზანი რომაელების განადგურება და იმ ებრაელების (თანამედროვე ტერმინოლოგიით – კოლაბორაციონისტების) სიკვდილით დასჯა იყო, რომლებიც რომაელების წინააღმდეგ ომის წარმოებას ეწინააღმდეგებოდნენ. მკვლელობის იარაღად ისინი მოკლე დაშნას ხმარობდნენ (დაშნის აღმნიშვნელი ლათინური სიტყვა Sicarii მომავალში დაქირავებული მკვლელის მნიშვნელობას მიიღებს). მათი პირველი ტერორისტული აქტი მეფე ჰეროდეს წინააღმდეგ იყო მიმართული – ათმა სიკარიმ მეფეზე თავდასხმა მოაწყო, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა.

აღსანიშნავია, რომ ყველა ზელოტი რწმენის თანაბარი სიმტკიცით არ გამოირჩეოდა, ბევრი მოძრაობას მხოლოდ იმისთვის მიეტმასნა, რომ ძარცვა-გლეჯით და კაცთა კვლის ხარჯზე გამდიდრებულიყო. იოსებ ფლავიუსის გადმოცემით, სიკარების მასობრივი ტერორი იმდენად შემაწუხებელი იყო ებრაელებისთვის, რომ ისინი იერუსალიმიდან გააძევეს. გაძევებული სიკარები დაბა მასადაში დასახლდნენ. ფლავიუსის გადმოცემით, ისინი ხშირად ესხმოდნენ თავს მახლობელ დაბებს, ულეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას და მიზეზად ისევ და ისევ საღვთო კანონების დარღვევას და რომაელებთან თანამშრომლობას ასახელებდნენ...

---

[12] Josephus, Antiquities Book, XVIII, chapter I.

მასადა იყო ბოლო ციხესიმაგრე, რომელიც რომაელების შემოტევას შეეწირა. მასადის ბრძოლის თხრობა და აქედან წარმოშობილი მითოსი თანამედროვე ებრაული ცნობიერებისა და იდენტურობის ერთ-ერთი მძლავრი ჩამომყალიბებელი ფაქტორია. მასადის დაცემის ისტორია ჩვენთვის საგულისხმოა ერთი მომენტის – სუიციდური ტერორიზმის ლოგიკის – „თვითმკვლელობა გამარჯვებისთვის" (ამქვეყნიურის თუ იმქვეყნიურის) – ხაზგასასმელად და საჩვენებლად.

ფლავიუსის აღნერით, მასადის მეციხოვნეთა მეთაური, „ტირანი" ელეიზად ბენიარი, დაარნმუნებს ალყაში მყოფ თანამოაზრეებს, რომ ღვთისთვის საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვა უდიდესი სათნოებაა. შედეგი – მასობრივი სუიციდი: ათმა ნინასწარ ამორჩეულმა მამაკაცმა ყველა გამოასალმა სიცოცხლეს, ბოლოს ერთმა რჩეულმა დანარჩენები დახოცა და თავი მოიკლა. როცა რომაელები ციხესიმაგრეში შევიდნენ, მათ 960 გვამი დაითვალეს, მხოლოდ ორმა კეთილგონიერმა ქალმა (როგორც მათ ფლავიუსი უწოდებს) ცხრა ბავშვთან ერთად მოახერხა გადამალვა და სიცოცხლე შეინარჩუნა[13].

სიკვდილისადმი ასეთი აბუჩად ამგდები დამოკიდებულებით რომაელებიც გაოცებული დარჩნენო, – წერდა ფლავიუსი[14]. თუმცა მასადის ბრძოლაში სიკარებმა სიკვდილს თვითმკვლელობა ამჯობინეს, ისიც აღსანიშნავია, რომ ბრძოლის ველზე ისინი ზეადამიანური თავდადებით გამოირჩეოდნენ. ფლავიუსის მონათხრობით, ზელოტებმა რომაელთა მთელი არმია უკუაქციეს, როცა თორმეტმა ლეგიონმა შაბათ დღეს სალოცავად ნასულ ებრაელებს შეუტია – ზელოტებმა 22 კაცი დაკარგეს, რომაელთა დანაკარგი 500-ს აჭარბებდაო.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იუდაიზმი, როგორც რელიგია, მკვლელობას ან თვითმკვლელობას კეთილგანწყობით არ უყურებს. ეს არ არის რელიგია, რომელიც სიკვდილის კულტს განადიდებს, თუმცა ნებისმიერი რელიგიური მიმდინარეობა „თვითმკვლელი მოწამეების" უამრავ მაგალითს იცნობს.

რუსი ძველმორნმუნეები (სტაროვერები) სუიციდს თვითდაწვით განადიდებდნენ. ამას „ცეცხლით მონათვლას" უწოდებდნენ. ვინმე დ. საპოჟნიკოვმა მთელი წიგნი მიუძღვნა ამ თემას, სადაც აღნერილია მასობრივი თვითდაწვის 53 დოკუმენტირებული შემთხვევა 10 000-ზე მეტი მსხვერპლით[15]. განმარტებისათვის – სტაროვერები იგივე რუსი ქრისტიანები არიან, რომლებიც ქრისტიანულ დოგმებს ეწინააღმდეგებოდნენ და ერთგვარ ანარქისტებს წარმოადგენდნენ. მათ რუსული ეკლესია ანტიქრისტიანულად მონათლეს და მის აგრესიას მასობრივი თვითგვემის რიტუალური პრაქტიკით დაუპირისპირდნენ.

„არაპირდაპირი" სუიციდი ჰქონდათ საკუთარ არსენალში სხვა ქრისტიანულ სექტებსაც. IV საუკუნეში არსებული სექტის „ცირკუმცელიონებისთვის" ჭეშმარიტი ქრისტიანული სათნოების გამოხატულება „მარტვილობა" იყო და ისინი ყველანაირი მეთოდებით ცდილობდნენ „მარტვილად" გახდომას. კომბლებით შეიარაღებული ცირკუმცელიონები თავს ესხმოდნენ წინასწარ შერჩეულ უკეთესად შეიარაღებულ „მსხვერპლს" იმ მიზნით, რომ ის თავის უპირატესობას გამოიყენებდა და თავდამსხმელს „მარტვილად" გადააქცევდა. მსგავსი ტაქტიკით მუშაობდნენ „დონატისტებიც", კართაგენელი ეპისკოპოსის, დონატას მიმდევრები. ისინი გზაზე გამვლელებს აჩერებდნენ და აიძულებდნენ, მათთვის სასიკვდილო ჭრილობა მიეყენებინათ, რისთვისაც გასამრჯელოსაც ჰპირდებოდნენ. თუკი მგზავრი უარს აცხადებდა, მა-

---

[13] Josephus. Wars Book. VII. chapter 7.

[14] იქვე. chapter 9.

[15] D. Rancour-Laferriere. The Slave Soul of Russia. 1995 წ., გვ. 25.

შინ მას სიკვდილით ემუქრებოდნენ[16]. მარტვილი თვითმკვლელი ვერ გახდება – ის სხვისი ხელით უნდა მოკვდეს. ეს იყო ამ ორი სექტის რწმენა...

XI-XII საუკუნეების სპარსეთში ისმაილ შიას სექტა, ასასინებად წოდებული, ფართოდ იყენებდა პოლიტიკური მკვლელობის და დაშინების მეთოდებს. აქედან წარმოდგება ლათინურ ენაში შესული სიტყვა Assassin, რაც მკვლელს ნიშნავს. ასასინების სექტა ფართოდ გავრცელდა მთელ ახლო აღმოსავლეთში, მათთან მრავალი მითი და ლეგენდა არის დაკავშირებული. თავად ტერმინის ეტიმოლოგია ბუნდოვანია. ზოგი ავტორი თვლის, რომ ის წარმოდგება არაბული „ჰაშაშინ"-იდან, რაც ჰაშიშის მომყვანს და მომხმარებელს ნიშნავს. სხვები სახელის წარმომავლობას მათი ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერის, ჰასანიდის სახელს მიაწერენ. მიუხედავად შეხედულებათა განსხვავებისა, მკვლევარები თანხვდებიან იმაში, რომ სექტა უაღრესად დაოსტატებული იყო პოლიტიკური ან რელიგიური მოწინააღმდეგის მკვლელობებში. ნეოისმაილიტური ასასინთა სექტა მიზნად ისახავდა სუნიტ სელჩუკიანთა გამოჩენილ წარმომადგენლებთან ბრძოლას, მაგრამ ძალთა ნაკლებობის გამო ისინი ინდივიდუალურ მკვლელობებზე იყვნენ გადასული, რასაც ფიდაების (მორწმუნე მუსულმანები, რომლებიც საკუთარ სიცოცხლეს სწირავენ თემის მიერ დასახული ამოცანის, განსაკუთრებით ტერორისტული აქტების, შესასრულებლად) საშუალებით ახორციელებდნენ. მკვლელობის იარაღი მხოლოდ ხანჯალი იყო – ასასინები სანამლავის, ყულფის და სხვა მომაკვდინებელი იარაღის წინააღმდეგი იყვნენ; ისინი არ ერიდებოდნენ მკვლელობას მეჩეთშიც. ასასინების სექტამ 1256 წლამდე იარსება, საბოლოოდ ისინი მამელუქებმა გაანადგურეს 1273 წელს.

„სუიციდური ტერორიზმის წყარო არის არა რელიგია, არამედ ნაციონალიზმი", – აცხადებს რობერტ ფეიფი თავის ნაშრომში Dying to Win: The Strategic Logic of Suicidal Terrorism. ავტორის ეს დასკვნა ეფუძნება 1982-86 წლებში ისრაელის მიერ ლიბანის ოკუპაციის დროს თვითმკვლელი ტერორისტების დემოგრაფიულ სტატისტიკას: აღმოჩნდა, რომ „ჰეზბოლას" თვითმკვლელი ბომბისტების 71% კომუნისტ-სოციალისტი იყო, 21% – ისლამისტი, 8% – ქრისტიანი[17]. მიუხედავად მოყვანილი სტატისტიკისა, ავტორის ამდაგვარი განზოგადება და კატეგორიულობა ძნელად მისაღებია. თუმცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, თვითგამორკვევას და ნაციონალურ იდენტურობას განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა წარსულში და გამორჩეულად მნიშვნელოვანია თანამედროვე ტერორის გააზრებისთვის. მაგალითისთვის ირლანდიური Irish Republican Brotherhood ან ესპანური ETA კმარა.

ფეოდალური ეპოქის ევროპაშიც უამრავი ტერაქტი ხორციელდებოდა. ევროპაში ტერორიზმის საფუძვლებისა და ისტორიის მკვლევარები მოიხსენიებენ რელიგიური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მდგომ კათოლიკური ეკლესიის მესვეურებს, რომელთაც დააკანონეს ევროპელი მონარქების მკვლელობა. ასე იყვნენ მოკლულნი მებრძოლი კათოლიციზმის მოწინააღმდეგენი ვილჰელმ ორანელი, ჰენრიხ III და ჰენრიხ IV.

XIX საუკუნეში ტერორიზმმა ევროპის ყველა ქვეყანაში არნახული სიძლიერით იფეთქა. თავდაპირველად ტერორიზმი ინდივიდუალური აქტიურობით გამოირჩეოდა, ნაპოლეონის შემდგომი ეპოქა კი უკვე რევოლუციური აღმავლობით ხასიათდებოდა, როდესაც რადიკალური მიმდინარეობების მომხრეები მიზნის მისაღწევად ძალადობრივ ქმედებებს ირჩევდნენ. იქმნებოდა ტერორისტული დაჯგუფებები მაფია, კომორა

---

[16] Г. Чхартишвили (Борис Акунин). Писатель и самоубийство, 2000 ნ., გვ. 58.

[17] R. Pape. Dying to Win: The Strategic Logic of Suicide Terrorism. 2005 ნ. http://en.wikipedia.org/wiki/Dying-to-Win

და სხვ. ტერორიზმი პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ტერორისტების თავდასხმების მსხვერპლი შეიქმნა მრავალი სახელმწიფო მოღვაწე, მათ შორის საფრანგეთის პრეზიდენტი სადი კარნო, ამერიკის პრეზიდენტები აბრაჰამ ლინკოლნი, ჯონ გარფილდი, უილიამ მაკკინლი. პირველ მსოფლიო ომამდე ტერორიზმი მემარცხენე ნაციონალურ-რევოლუციურ იდეებზე იყო ორიენტირებული. როგორც წესი, ტერორისტული აქტიურობა რევოლუციური ქარტეხილების ფონზე ვითარდებოდა პირველი მსოფლიო ომიც ხომ ტერორისტის გასროლილ ტყვიას მოჰყვა, შედეგად კი კაცობრიობამ მილიონობით მოკლული, დანგრეული და მიწასთან გასწორებული სახელმწიფოები და წარმოჩენილი ნაციონალური საკითხები მიიღო.

თანამედროვე სიონისტური ტერორიზმის ათვლის წერტილად 1944 წლის 6 ნოემბერს კაიროში „Lehi"-ის მიერ ბრიტანეთის მინისტრის – ლორდ მოინის მკვლელობა ითვლება[18]. ამ ტერაქტს მოჰყვა სასტუმრო „King David"-ის აფეთქება იერუსალიმში, რომელმაც ძირითადად სასტუმროს პერსონალი – 91 ადამიანი შეიწირა და 46 დაასახიჩრა. ეს აფეთქება ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო ულმობელი ტერორისტული აქტი და რომლის პირდაპირი თუ არაპირდაპირი განმხორციელებელნი თანამედროვე ისრაელის სახელმწიფოს დამაარსებლები იყვნენ. მენახიმ ბეგინს ეს ტერაქტი ურბანულ პირობებში განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმოების მაგალითად მოჰყავს[19]. იმავე „Lehi"-ს მიეწერება 100-ზე მეტი არაბი სამოქალაქო პირის (ქალების და ბავშვების ჩათვლით) მოკვლა 1948 წლის 9 აპრილს დაბა ეირ ასინში[20].

ზემოთ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე იბადება კითხვა: აღწევს კი ტერორიზმი დასახულ მიზანს? ზელოტების მოძრაობიდან გამომდინარე, რომლებიც რომის პროტექტორატიდან განთავისუფლებას და საღვთო კანონებზე დაფუძნებული ებრაული სახელმწიფოს შექმნისთვის იბრძოდნენ, პასუხი ცალსახად უარყოფითია – მათი წინააღმდეგობა იუდეიდან ებრაელთა 2000-წლიანი განდევნით დასრულდა.

მეორე მხრივ, მეოცე საუკუნის სიონისტური მოძრაობა უხვად სარგებლობდა ტერორის ელემენტებით და საბოლოოდ შეძლო თავისუფალი, დემოკრატიული ისრაელის სახელმწიფოს შექმნა. ამისგან საპირისპიროდ პალესტინის განთავისუფლების მომხრე ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის შედეგი ნაკლებად წარმატებულია. ტერორიზმის ეფექტურობა გამოვლინდა ფრანგების წინააღმდეგ ალჟირის ნაციონალური განმანთავისუფლებელი არმიის ბრძოლაში, რის შედეგადაც ფრანგმა კოლონიზატორებმა ქვეყანა დატოვეს.

თუკი ჩვენი წიგნის მთავარ თემას დავუბრუნდებით, უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ-ქართული ტერორი, განსაკუთრებით რუსული რევოლუციური ტერორი, ბევრ საერთოს პოულობს რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებულ ტერორთან იმავე ფუნდამენტალიზმით, მესიანიზმით, მიზნისთვის თავის განწირვით, მიუხედავად იმისა, თუ რა მოიაზრება „მიზანში" – ღმერთი, საყოველთაო მშვიდობა, „სათნოება კაცთა შორის", კომუნისტური თუ სულიერი სამოთხე.

რუსეთის იმპერიამ რამდენიმე რევოლუცია გადაიტანა, ტერორიზმი ყოველი მათგანის შემადგენელი ნაწილი იყო. ტრადიციულად არსებული წარმოდგენა, რომ რევოლუციური ტერორი რუსეთში მთავრობის რეაქციული პოლიტიკის შემდეგ (განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ) დაიწყო, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ტერორს რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან

---

[18] http://en.wikipedia.org/wiki/Lehi_(group).

[19] http://en.wikipedia.org/wiki/King_David_Hotel_bombing.

[20] Y. Gelber. Palestine, 1948. http://en.wikipedia.org/wiki/Deir–Yassin–massacre.

მიეცა დასაბამი; მხოლოდ ტერორის მასშტაბები იყო სხვა – ამერიკელი მკვლევარის, ანა გეიფმანის გამოკვლევით, 1860-იანებიდან XX საუკუნის დამდეგამდე ტერორისტების მიერ მოკლულ მსხვერპლთა რიცხვი დაახლოებით 100 ადამიანს შეადგენდა. 1866 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ზე თავდასხმა, ცნობილი იურისტის ანატოლი კონის თქმით, რუსეთის შიდა პოლიტიკისთვის შემობრუნების წერტილი იყო. შეშინებული და დანაღლელიანებული მეფის მთავრობა, რომელსაც გარდაქმნათა და რეფორმათა სისწორესა და საჭიროებაში უკვე ეჭვი ჰქონდა შეტანილი, საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზრდულ ნაწილს, ძალზე უნდობლად უყურებდა[21]. ამ ხნიდან რადიკალურად განწყობილ ადამიანთა ნაწილში მეფის შეუზღუდავი ხელისუფლების ერთი დარტყმით დამსხვრევის და განადგურების ცდუნებამ საბოლოოდ მოიკიდა ფეხი. ამ მეთოდით, მათი აზრით, საზოგადოება საერთო სამოთხემდე მივიდოდა. ასეთი მოსაზრების დაბადებას ხელი იმან შეუწყო, რომ რუსეთში პოლიტიკური ურთიერთობის კულტურა უდაბლეს დონეზე იდგა, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ღრმა უფსკრული არსებობდა. ადამიანებს არანაირი ბერკეტები და მექანიზმები არ გააჩნდათ, რათა ხელისუფლებაზე რაიმე სახის ზეწოლა მოეხდინათ, ამიტომაც რადიკალებისთვის ყველაზე ხელმისწვდომი იარაღი ტერორი აღმოჩნდა. ძალადობას კი მთავრობა ძალადობითვე პასუხობდა. სტატისტიკის მიხედვით მარტო 1881 წლიდან 1887 წლის ჩათვლით 22 ტერორისტი იყო სიკვდილით დასჯილი, მათი ხელით 27 ადამიანი დაიღუპა, ხოლო რამდენიმე ათეული დაიჭრა და დასახიჩრდა. XX საუკუნის დასაწყისიდან კი პოლიტიკურმა ტერორმა რუსეთში უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო.

რუსეთში მძლავრად ამუშავებული ტერორისტული მანქანისგან განსხვავებით, საქართველოში XX საუკუნის დასაწყისამდე, ერთეულ ტერორისტული აქტს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ტერორს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

1904 წელს გამოქვეყნებულ წერილში სათაურით „როგორ უცქერით ჩვენ ტერორს“[22] ქართველი რევოლუციონერები ტერორის საჭიროებას ვერ ხედავენ (ეს მხოლოდ ქაღალდზე, როგორც შემდეგ დავინახავთ). ისინი წერენ: „...ცდება ის, ვინც ფიქრობს, ვითომ ტერორს შეეძლოს გამოაფხიზლოს ვითომ და მიძინებული მუშათა კლასიური თვითცნობიერება; ვინც ასე ფიქრობს, მას ავიწყდება ის უბრალო ფსიხოლოგიური ჭეშმარიტება, რომ ერთხელ გაღვიძებულ კლასსიურ ანტაგონიზმს ვეღარაფერი ჩააქრობს. ეს ანტაგონიზმი თანდათან იზრდება, მაშასადამე, ტერორი ამ მხრით ყოვლათ უმნიშვნელო და უადგილოა... რა რეფორმებისათვის აიძულა მთავრობა ევროპიულ ანარხისტების ეპიდემიურმა ტერორმა? რა შესძინა მან ხალხს? არაფერი! რა გააკეთა რუსეთში მესამოცდაათე და მეოთხმოცე წლებში მომხდარმა ტერორმა? არაფერი. განა ცოტა სისხლი დაიღვარა? განა ერთი და ორი საუკეთესო შვილი რუსეთისა იმსხვერპლა ამ შემცდარმა შეხედულებამ, და რაღა შორს მივდივართ, რა გააკეთა თვით პატიოსან ბალმაშევის[23] თავგანწირვამ?..“ მიუხედავად ასეთი მსჯელობისა, XIX საუკუნის 70-80-იან წლებში მომხდარმა ტერორისტულმა შეტევამ შეძლო გამოეღვიძებინა ინერტული ხალხური მასა, რომელიც რუსეთში დაყოფილი იყო პირობითად ორ ნაწილად – „ხალხად“ და „არახალხად“. ხალხში იგულისხმებოდა უსწავლელი, გაუნათლებელი, დაბალი წარმომავლობის ფენა, ხოლო არახალხში

---

[21] А. Кони. Собрание сочинений, ტ. V, 1968 წ., გვ. 278

[22] „რევოლუციის მატიანე“, №1, 1923 წ., გვ. 222-223.

[23] 1902 წლის 2 აპრილს პეტერბურგში ესერმა სტეპან ბალმაშევმა მოკლა შინაგან საქმეთა მინისტრი სიპიაგინი. ბალმაშევი გაასამართლეს და ჩამოახრჩეს.

– ინტელიგენცია[24]. ამ „ხალხის" გამოღვიძებას კი მოგვიანებით ისეთი სიძლიერის აფეთქება მოჰყვა, რამაც „არახალხი" და ყველა დანარჩენი ლამის მთლიანად აღგავა პირისაგან მინისა.

თავად ნერილის პათეტიკური ტონი, გულისამრევი დიდაქტიკა უკვე მიანიშნებს იმ რეალობაზე, რომ წერილის გამოცემის დროისთვის ქართულმა რევოლუციურმა ტერორმა რუსულ სიმძლავრეებს მიაღწია. სიმძლავრეებს არა მარტო რაოდენობრივი (ტერაქტების რიცხვი), არამედ თვისებრივი თვალსაზრისითაც (მკვლელობის გამართლების ემოციური „გადახარშვა" და რაციონალიზაცია), რასაც წიგნის შემდეგი თავი წარმოგიდგენთ. აღნიშნული წერილის ავტორები მხოლოდ მომავალ „სარგებლის მომტან" ტერორს ელოდებიან, ტერორს, რომელსაც „კლასობრივად გამოღვიძებული „ხალხი" მოუწყობს „არახალხს": „...ხალხი დაჰკრავს ბუკსა და ნაღარას, მაშინ შეიძლება მახვილიც დაგვჭირდეს, მხოლოდ მაშინდელი ტერორი სულ სხვა იქნება – დანა ხირურგის ხელში სიცოცხლის მომცემია..."

რუსული ტერორი, თავისუფლების, ტირანიისგან ხალხთა განთავისუფლების მიზნის დამსახველი, სნორედ ამ „ხირურგიული ტერორის" საშუალებით კაცობრიობისთვის მანამდე არნახული ტერორისტული სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის – წარმოშობით დასრულდა. იმ სახელმწიფოსი, რომელმაც მილიონობით საკუთარი მოსახლეობა ამოჟლიტა და იოსებ სტალინის სიკვდილის შემდგომაც წარმატებით გააგრძელა საერთაშორისო ტერორიზმის მისია. ის მიბაძვის და თაყვანისცემის საგანი გახდა სხვადასხვა რჯულისა და მრწამსის მქონე ტერორისტული ორგანიზაციისთვის[25].

ამჟამინდელი პუტინის („საბჭოთა კავშირის დაშლა საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფაა", – ეს სიტყვები ვლადიმერ პუტინს ეკუთვნის) რუსეთიც ღირსეული მემკვიდრეა ტერორისტული სსრკ-სი, რომელიც თავის მხრივ შექმნილი იყო „მუტანტი-ადამიანების" მიერ, „რომლებიც შედეგი იყვნენ 1917 წლის ანთროპოლოგიური, კოსმიური კატასტროფისა, რომელთაც აღარ გააჩნდათ გაგება იმისა, თუ რა არის გაგება..." [26] ჟურნალისტებისა და ოპოზიციონერების დაშინება და მოკვლა, უამრავი ჩეჩენის განადგურება და საკანონმდებლო აქტებით ტერორის აქტების დამკვიდრება – სახელმწიფო უფლებას იტოვებს, გაანადგუროს თავისი მტერი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, რასაც 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსების არმიის შემოჭრა და ტერიტორიების ოკუპაცია მოჰყვა – ამის ნათელი დადასტურებაა.

---

[24] Г. Чхартишвили. Писатель и самоубийство, 2000 ნ., გვ. 195.

[25] ალბათ, ყველაზე უფრო სახიფათო ტერორისტულ იარაღად „სემტექსი" (magic marble) ითვლება. ეს ძლიერმოქმედი, პლასტიკური ასაფეთქებელი მასალაა, რომელიც 1966 წელს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ სემტინში ვინმე სტანისლავ ბერბერამ გამოიგონა. უსუნო, უფერო და ძაღლის ყნოსვისთვის მიუწვდომელი „სემტექსი" საბჭოთა კავშირმა თავისი სატელიტური ქვეყნების საშუალებით მარტო 70-იან წლებში 690 ტონა გაავრცელა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ყველა ტერორისტული ორგანიზაცია, ყველა ტერორისტული სახელმწიფო (განსაკუთრებით ლიბია) სარგებლობდა „სემტექსით" და საბჭოთა კავშირში ტრენირებული ამ დარგის „სპეციალისტებით". C. Townshend Terrorism, a very short introduction, 2002 ნ., გვ. 92.

[26] მ. მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე, 1992 ნ., გვ. 183.

რუსული ტერორის სათავეებთან

„პირველი რომი სიბილწის გამო დაეცა, მეორე (კონსტანტინოპოლი) მუსულმანური ძალმომრეობის გამო, მესამე რომი მოსკოვია, მეოთხე კი არასოდეს იქნება."[27] XVI საუკუნეში მცხოვრები რუსი ბერის ფილოფეის მიერ გაჟღერებულმა ამ პანეგირიკმა რუსულ ცნობიერებაში მესიანიზმის, სამყაროს გადამრჩენი ქვეყნის იდეის დაბადებას მისცა ბიძგი. რუსეთის, როგორც ქრისტიანული ცივილიზაციის უკანასკნელი ფორპოსტის, „მესამე რომის" ამ აპოკალიფსურმა იდეამ რუსული ცნობიერების მნიშვნელოვანი ფორმირება მოახდინა. ასევე მნიშვნელვანი როლი ითამაშა რუსული სახელმწიფო თუ რევოლუციური ტერორის ფორმირებაში. ამიტომ, სანამ უშუალოდ ქართველ და რუს ტერორისტებსა და მათ საქმიანობაზე ვისუბრებთ, უპრიანი იქნება, თვალი გადავავლოთ ყველა იმ ობიექტურ თუ არაობიქტურ წინაპირობას (და ამგვარად გვეჩვენება რუსული მესიანიზმის ზემოთ აღნიშნული იდეა), რამაც დასაბამი მისცა იმ საყოველთაო ძალადობას და ანარქიას, რომელმაც მოიცვა მთელი რუსეთის იმპერია და მასში შემავალი სუბიექტები.

რუსი ფილოსოფოსი ნიკოლაი ბერდიაევი წერდა, რომ თავის დროზე თურქული იმპერიის შექმნა იყო სვლა აღმოსავლეთისა დასავლეთის მიმართულებით. თურქეთის იმპერიის დანგრევა იქნება პირუკუ სვლა დასავლეთისა აღმოსავლეთისაკენ. რომ რუსეთს კიდევ ექნება შანსი, გახდეს მონღოლური აღმოსავლეთის საშიშროების წინააღმდეგ აღმართული ბურჯი. მაგრამ ამისთვის, პირველ რიგში, ის თვითონვე უნდა გათავისუფლდეს ყველაფერი მონღოლურ-აღმოსავლურისაგან. რუსეთის ერთადერთი ბუნებრივი მოთხოვნილება კონსტანტინოპოლი და ზღვებისკენ გასვლაა... რუსული კონსტანტინოპოლი უნდა იქცეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის გაერთიანების ცენტრად[28].

რუსული ინტელიგენციისთვის მეტად მტკივნეული იყო უზარმაზარი კულტურული და ინდუსტრიული ნახტომებით ნინ მიმავალი დასავლეთის შედარება საკუთარ ჩამორჩენილ, ბატონყმური წყობის, პოლიციურ სახელმნიფოსთან. სამაგიეროდ რუსულ ცნობიერებაში ვითარდება იდეა, თითქმის მისტიკური განცდა, რომ თავად რუსეთის ამ ჩამორჩენილობაში არსებობს ის სიწმინდე, რომელსაც დასავლეთის მორალური ხრწნადობა ვერ შეეხება. რომ სწორედ ეს მისტიკური სიწმინდე არის მომავალი სამართლიანი საზოგადოების საფუძველი. რუსული შოვინიზმი გამოხატულებას იძენს „მატერიალისტური დასავლეთის მიმართ სულიერი უპირატესობის პრეტენზიაში"[29].

მესიანური იდეის საპირისპირო აზრმა მხოლოდ ერთხელ გაიჟღერა გადამდგარი სამხედროს, დეკაბრისტების ორგანიზაციის წევრის (თუმცა მას აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია) პეტრე ჩაადაევის ნაშრომში „Философические письма" (1836 წ.). ავტორი უაღრესად კრიტიკულია რუსეთის ისტორიული როლის მიმართ საკაცობრიო კულტურაში. ის ამტკიცებდა, რომ რუსეთი ჩამორჩა დასავლურ ქვეყნებს და მისი

---

27 http://www.hrono.ru/biograf/bio-f/filofey.html

28 Н. Бердяев, Судьба России. http://www.lib.ru/HRISTIAN/BERDQEW/rossia.txt

29 B. Ulam, The Bolsheviks, 1998 წ., გვ. 31.

ნვლილი მსოფლიოს პროგრესში ნულის ტოლია[30], რომ რუსეთმა ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს ევროპული პოლიტიკური და ეკონომიური ინსტიტუტების მექანიკური მიბაძვით[31]. ჩაადაევი რუსეთის ჩამორჩენილობის საფუძველს ორთოდოქსული ქრისტიანობის ნიაღში ხედავდა. რუსეთი განნირული გახდა ჩამორჩენისთვის, როდესაც კათოლიკური სარწმუნოება არ მიიღო, – აცხადებდა ის. სლავოფილური რუსეთისთვის ჩაადაევის „მკრეხელური" აზრები სულით ავადმყოფის ბოდვას უტოლდებოდა. ასეც მოხდა, ჩაადაევი სულიერ ავადმყოფად შერაცხეს და პოლიციურ-სამედიცინო მეთვალყურეობა დაუნიშნეს. მერაბ მამარდაშვილი წერდა: „რუსულ ისტორიას ინერტულობის უშველებელი დაღი ასვია და ეს ინერტულობა დადასტურებულია საუკუნის დასაბამიდანვე ერთ-ერთი თვითმყოფადი ფილოსოფიური ნააზრევით, ჩაადაევის ნაზრევით. მან დაადასტურა რუსეთში განმანათლებლობის მარცხი და ამ კონსტატაციიდან იშვა მისი, როგორც ფილოსოფოსის, თვითმყოფადი და მეტაფიზიკური ნაზრევი"[32].

ხატოვანი გამოთქმა „რუსეთს ჭკუით ვერ გაიგებ, რუსეთი გულით უნდა შეიგრძნო", რომელიც სნორედ უნიკალურად სლავური, რუსული, კაცობრიობის გადამრჩენელი სულიერი სიმდიდრის მიმანიშნებელი მტკიცებულება იყო, უფრო რეალურ თვალსაჩინოებას მოითხოვდა. ეს თვალსაჩინოება თანდათანობით იხვეწება რუსი მოაზროვნეების (განსაკუთრებით ბაკუნინის, გერცენისა და ჩერნიშევსკის) შრომებში. ამ შრომებმა ამასთანავე პირდაპირი თუ არაპირდაპირი ბიძგი მისცეს ინდივიდუალური და სახელმწიფო ტერორის განვითარებას.

მიხეილ ბაკუნინის (ითვლება კოლექტიური ანარქიზმის მამად) რევოლუციური ფილოსოფია ჩაგვრის ყოველნაირი ფორმის წინააღმდეგ იყო მიმართული. მისი მტკიცებით, ჩაგვრის განხორციელების ყველაზე მძლავრი მექანიზმი სახელმწიფო და რელიგიაა. ბაკუნინის თქმით: „თუ ღმერთი არსებობს, მაშინ ადამიანს არა აქვს თავისუფლება, ის – მონაა; მაგრამ თუ ადამიანს შეუძლია და ის უნდა იყოს თავისუფალი, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ღმერთი არ არსებობს". ადამიანმა ბედნიერებას და, შესაბამისად, თავისუფლებას რომ მიაღწიოს, ამისთვის საჭიროა რელიგიისა და სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტისა და ხელისუფლების პრინციპის, ლიკვიდაცია. მარქსის თანამედროვე და თანამოქალაქე, ის დაუპირისპირდა მარქსიზმს, განსაკუთრებით კრიტიკული იყო მარქსის „პროლეტარიატის დიქტატურის" თეორიის მიმართ. მას მარქსიზმი (მსგავსად რელიგიისა) ჩაგვრის განხორციელებისთვის აუცილებელ იდეოლოგიურ საფუძვლად ჰქონდა მიჩნეული, რაც ერთგვარად გამართლდა კიდეც (ყოველ შემთხვევაში, რუსეთის ისტორიაში). ბაკუნინის თეორიულ სწავლებას მსჭვალავდა ასევე ანტისემიტიზმი, პანსლავიზმი და ქსენოფობია. ეს უკანასკნელი გამორჩეულად გერმანული რასის წინააღმდეგ იყო მიმართული. იმპერიულ რუსულ სამეფო ოჯახს ბაკუნინი „გერმანო-თათრულს" უწოდებდა.

რუსულ ცნობიერებაში შემოსული „მესამე რომის" მისტიკური ბუნება ბაკუნინთან თანდათანობით კონკრეტდება რუსი ხალხის სახით (ტერმინი „ხალხი" შემდგომში გლეხობის მნიშვნელობით იხმარებოდა)[33], რომელიც ამ მისტიკური ბუნების მატარებელია და რომელიც ორი „მონსტრის" (ებრაელების და გერმანელების)

---

[30] http: www.philosophy.ru library/chaad/lettr/chaad1.html

[31] F. Copleston. A History of Philosophy. 1994 წ., გვ. 27.

[32] მ. მამარდაშვილი, ჩაბშული ფიქრი, 1992 წ., გვ. 72.

[33] ამ ტერმინის გამოყენებას ქართველებიც ვერ ასცდნენ. XX საუკუნის დასაწყისში მარქსისტი პროპაგანდისტების ზეგავლენით გურიაში სიტყვა „გლეხს" და „გლეხობას" აღარავინ ხმარობდა. გურული შეურაცხყოფილად იგრძნობდა თავს, „გლეხი" რომ დაგეძახა, იმ დროს ხმარებაში შემოვიდა „მოქალაქე" ან „ხალხი".

გამხრწნელ ზეგავლენას უნდა გადაურჩეს. ჯერ კიდევ დეკაბრისტებიდან დაწყებულმა ანტისემიტიზმმა სხვადასხვა რევოლუციური თეორიებით „გამეცნიერებული" მტკიცებულების ელფერი მიიღო. ამან რუსული ფანტაზია კიდევ უფრო გააძლიერა: მტრის ხატი საბოლოოდ „ებრაულ-მასონურ" თემაზე შეჩერდა. ტერმინი „მასონური" ზოგადად ევროპულ ცივილიზაციაზე მინიშნებაა. სწორედ იმ ევროპულზე, რომლის განვითარების „არასწორი" გზა კაცობრიობისთვის დამღუპველია და რუსული – „ჭეშმარიტი" – გზის ხელის შემშლელია. ამ ელემენტის „გამეცნიერებასა" და შესაბამისად, ერის ფანტაზიაში დამკვიდრება-გამყარების საქმეში დიდი როლი სწორედ ბაკუნინმა ითამაშა[34].

სამეულიდან ყველაზე უფრო პროდასავლურ მოაზროვნედ ალექსანდრე გერცენი ითვლება, თუმცა მისი პროდასავლურობა, ალბათ, შედარებითია. მართალია, ის არ იზიარებდა თავისი თანამედროვე დისიდენტი პარტნიორის ბაკუნინის (ისინი ერთად გამოსცემდნენ გაზეთ „Колокол"-ს) პათოლოგიურ ანტისემიტიზმს და გერმანოფობიას, მაგრამ რუსეთის, „მესამე რომის", მესიანური ბედისწერა მის ნაწერებში ნამყვან ადგილს იკავებს. ევროპული დემოკრატიული სტრუქტურების მიმართ ღრმად ჩანერგილი რუსული უნდობლობა, შიში დასავლეთის რყვნადი „მატერიალიზმის" დამღუპველი გავლენისა რუსული ბუნების შინაგან სიწმინდეზე, ალბათ, ყველაზე უფრო გერცენთან გამოვლინდა. ის, ბაკუნინის მსგავსად, არც XVII საუკუნის გლეხთა აჯანყებების მსგავსი რევოლუციის მომხრე იყო და არც რადიკალი რუსი რევოლუციონერების (ჩერნიშევსკის, პირველ რიგში) ნააზრევისა ესმოდა. ეს უკანასკნელნი ზიზღით უყურებდნენ ყოველგვარ რეფორმას და მასებს რუსეთის სოციალური და პოლიტიკური სისტემის საბოლოო განადგურებისკენ მოუწოდებდნენ, რათა ამ ნანგრევებზე თავისუფალი და სოციალისტური სახელმწიფო აშენებულიყო.

„კაცობრიობის განმათავისუფლებელი გზის მაჩვენებელი შუქურა რუსი გლეხობაა", – როგორც ვხედავთ, გერცენი ამ მხრივ ორიგინალურობით ვერ დაიკვეხნის. სამაგიეროდ მან დიდი როლი ითამაშა ამ მითოსის პოლიტიკური სარჩულით შემოსვაში. კაცობრიობის განვითარების „განსაკუთრებით რუსული" გზის პოლიტიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტა გერცენისთვის თეორიულად ჩამოყალიბდა გერმანელი ბარონის, ჰაქსტჰაუზენის ნაშრომის გაცნობის შემდეგ. ეს პოლიტიკური ეკონომისტი მეფე ნიკოლოზ პირველმა დაიქირავა და გააგზავნა რუსეთის იმპერიაში მინის მფლობელობის საკითხის შესასწავლად. ჰაქსტჰაუზენი ძლიერ გაიტაცა რუსული სოფლის თემური ორგანიზაციის – „ობშჩინის" (Община – რუს. თემი) – პრინციპმა. მინა, ბატონყმობამდეც და მისი გადავარდნის შემდეგაც, არსებობდა არა ინდივიდუალური გლეხის ოჯახის საკუთრებად, არამედ კომუნას ეკუთვნოდა. „ობშჩინა" აწარმოებდა

---

[34] http://en.wikipedia.org/wiki/Mikhail_Bakunin#Anti-semitism

* თომას რისი წიგნში The Orientalist: Solving the Mystery of a Strange and Dangerous Life (2006 წ.) აღწერს ნიკოლოზ II-ის ოჯახის ბოლო დღეებს. თურმე მეფე ყოველ საღამოს ოჯახს უკითხავდა ერცელ ნაწყვეტებს რუსი ორთოდოქსი მღვდლის, სერგეი ნილუსის წიგნიდან „Великое в малом", რომელიც მსოფლიოს დაპატრონების ებრაულ შეთქმულებას შეეხება. კარგად ცნობილი ფაქტია, რომ სწორედ ნიკოლოზის საიდუმლო სამსახურმა, „ოხრანკამ", შეთხზა და გაავრცელა ტექსტების კრებული სახელწოდებით „სიონის ბრძენკაცთა პროტოკოლი", რომელსაც ეყრდნობა ნილუსის წიგნი (მოგვიანებით თავად ნილუსი აცხადებდა, რომ მას არ გააჩნდა ამ „პროტოკოლების" ნამდვილობის დამამტკიცებელი არანაირი საბუთი). როგორც ყოველთვის, რუსული ოხრანკა ჩვეული ხერხებით მუშაობდა – უკვე არსებულ ფანტაზიებს „ნივთიერი მტკიცებულებებით" აღრმავებდა, ან ახალ ფანტაზიებს უყრიდა საფუძველს. ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, რომ მეფე ნიკოლოზი იმთავითვე არ იყო ინფორმირებული შეთხზული ფაბულის შესახებ. მაგრამ საინტერესოა ის, რომ მან სწორედ ეს ფიქცია გამოიყენა (რაც ნიშნავს, რომ დაიჯერა შეთხზული), რათა საკუთარი სულიერი სამყაროს ჰარმონიზაცია მოეხდინა, „გაეგო", რა მოხდა, რა განვითარდა უკუღმართად, რამ გამოიწვია დედა-რუსეთის მონარქიის დაცემა.

მინის მოსავლის გადანანილებას მის წევრებს შორის. სადავო საკითხებს გლეხთა საკრებულო – „მირი" (Мир – რუს. თემის ყრილობა) – წყვეტდა. ეს უკანასკნელი მინათმფლობელებისა და სახელმწიფოს მოხელეების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

კომუნალური ორგანიზაციის ამ პრინციპით დატყვევებული პოლიტიკური ეკონომისტის აზრით (ეს მონუსხვა, გერცენის პუბლიკაციებიდან გავრცელებული, იმუამინდელი რუსეთის ყველა პოლიტიკურ სფეროს გადაეცა), რუსული „ობშჩინა" ჩანასახში შეიცავდა „ერთადერთ და ჭეშმარიტ", უძველეს ცივილიზებული საზოგადოების კომუნისტური მონყობის ნესს, რომელიც სხვა დანარჩენ მსოფლიოში ძირფესვიანად ამოიძირკვა. თურმე გარეგნულად ჩამორჩენილი რუსეთი საკაცობრიო საგანძურს ფლობს. საგანძურს, დაუნჯებულს რუს „მუჟიკში", რაც „ობშჩინური" ორგანიზაციის სახით ვლინდება[35].

რუსული „ობშჩინა", როგორც ცივილიზაციის (იგულისხმება ევროპა) გადამრჩენი, ბაკუნინში ირონიულ რეაქციას იწვევს. „კი მაგრამ, – წერდა ის თავის მეგობარ გერცენს, – რატომ მოხდა, რომ ამ „ობშჩინამ", რომლისგანაც ასეთ სასწაულებს ელით მომავალში... ვერ მოახერხა თავისი თავისგან შეექმნა რაიმე, გარდა უსაზიზღრესი მონობისა? პატრიარქალური ჩვევების გულისამრევი სიამაყე, კოლექტივთან მიმართებაში პიროვნების აბსოლუტური უუფლებობა, იმავე კოლექტივის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში არათუ იურიდიული, არამედ სამართლიანობიდან გამომდინარე უფლებების არარსებობა... მზადყოფნა, ვედრო არყად გაიყიდოს ყოველგვარი სიმართლე და სამართლიანობა – აი, რა არის მთლიანობაში ველიკორუსული გლეხური „ობშჩინის" საფუძველი"[36]. მოგვიანებით ამ „ობშჩინასთან" დაკავშირებული ნააზრევის აბსურდულობაში ბევრი რუსი და ქართველი რევოლუციონერი თავად დარნმუნდა. სოციალისტურ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ლასხიშვილი მარქსის, სტრუვეს და პლეხანოვის ნაშრომების შესწავლის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ ეს არის „წმინდა ნყლის რუსული უტოპია, ვითომ თემი და არტელი იხსნიან რუსეთს კაპიტალიზმისაგან და შესაძლებლად გახდიან მისთვის პირდაპირ სოციალიზმის დამყარებას..."[37]

გერცენის პორტრეტი უფრო მკაფიოდ რომ წარმოჩნდეს, საჭიროა ვთქვათ, რომ ის ერთადერთი რუსი მოაზროვნე იყო, რომელმაც პოლონელების მხარე დაიჭირა რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთის 1863-64 წლების ჯანყის დროს, რამაც რუს შოვინისტებთან დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. დღევანდელი რუსი პატრიოტებისთვისაც გერცენი ანტირუსული ტერორის ერთ-ერთ პირველ წამქეზებლად და იდეოლოგად რჩება, რადგან სწორედ მაშინ გააჩაღეს პოლონელებმა ტერორი რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ[38]. ამავე დროს გერცენის ნაშრომები სავსეა ორჭოფობით და

---

35 A. Ulam. The Bolsheviks. 1998 წ., გვ. 48.

36 А. Мережковский. Большая Россия, 1991 წ.

37 გ. ლაასიშვილი, მემუარები, 1992 წ., გვ. 69.

38 პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ აჯანყებაში საზოგადოების ყველა ფენა მონაწილეობდა. მეფის მთავრობამ მის ჩასახშობად უზარმაზარი ძალები გაგზავნა, რომელთაც ნამდვილი სასაკლაო მოაწყვეს. აჯანყების ჩახშობას ხელმძღვანელობდა გენერალ-გუბერნატორი მიხეილ მურავიოვი, რომელმაც უამრავი პოლონელი ჩამოაბრჩო, აქედან წარმოდგება გამოთქმა „მურავიოვის ჰალსტუხი" (1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და შინაგან საქმეთა მინისტრის პეტრე სტოლიპინის განკარგულებით სამხედრო საველე სასამართლოები შეიქმნა და რამდენიმე ათასი რევოლუციონერი ჩამოაბრჩევს. მაშინ სახრჩობელას ხალხმა „სტოლიპინის ჰალსტუხი" უწოდა). გუბერნატორი ხშირად ამბობდა: „მე იმ მურავიოვთაგანი კი არა ვარ, რომლებსაც აბრჩობენ, არამედ იმათგანი, რომელიც აბრჩობს". მას მხედველობაში ჰყავდა სერგეი მურავიოვი, რომელიც სხვა დეკაბრისტებთან ერთად ჩამოაბრჩევეს. სისხლისღვრის შეწყვეტის მოთხოვნით ინგლისმა, საფრანგეთმა და ავსტრიამ საპროტესტო ნოტები გაუზავნეს რუსეთის მთავრობას, მაგრამ ალექსანდრე II-მ ეს ნოტები კატეგორიულად უარყო.

ურთიერთსანინააღმდეგო გამონათქვამებით. „კაცობრიობის გადამრჩენი რუსეთის“ იდეის წარმოჩენის პარალელურად მას შეეძლო შემდეგი აზრი გამოეთქვა: „ჩვენ არსად გვაქვს დასაბრუნებელი, სახელმწიფოებრივი ცხოვრება პეტრეს წინანდელ რუსეთში იყო მახინჯი, ღარიბი, ველური... სხვა ხალხების ისტორია მათი განთავისუფლების ამბის თხრობაა, რუსული ისტორია კი ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის განვითარებაა. პეტრეს გადატრიალებამ ჩვენგან შექმნა ყველაზე უარესი რამ, რაც კი შეიძლებოდა ადამიანებისაგან შექმნილიყო – განათლებული მონები...“[39]

მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა, რუსი რევოლუციონერების უმრავლესობა (მათ შორისაა ლენინიც) საკუთარ „რევოლუციურ გამოღვიძებას“ უკავშირებს ნიკოლაი ჩერნიშევსკის ნაწარმოებების გაცნობას და მათგან განსაკუთრებით გამოყოფს რომანს „Что делать?“ ჩერნიშევსკიმ რომანის ნერა პეტრე-პავლეს ციხეში თავისი ორწლიანი პატიმრობისას დაიწყო (ეს პატიმრობა ციმბირში 10-წლიანი გადასახლებით გაგრძელდა). ციხეში გამომწყვდევამდე მან საჯარო დასჯის დამცირება გადაიტანა – კისერზე ჩამოკიდებული დაფით, რომელზეც ეწერა „სახელმწიფო დამნაშავე“, ჯალათმა ჩერნიშევსკი ეშაფოტზე დააჩოქა და თავზე დაშნა გადაამტვრია, რის შემდეგ ის სამარცხვინო ბოძზე მიაჯაჭვეს. ყოველივე ამან ჩერნიშევსკი ტანჯულის შარავანდედით შეამკო, რაც უდავოდ ხელს უწყობდა მისი წიგნის და იდეების საყოველთაო აღიარებას, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ფართო წრეებში. თუ რა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩერნიშევსკი საქართველოში, ამაზე თუნდაც ერთი ფაქტი მეტყველებს: „ხალხოსანმა“ ივანე ჯაბადარმა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ რუსულად სტატია დაწერა და მის დაბეჭდვას აპირებდა. დაბეჭდვამდე კი გადაწყვიტა, წერილი „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლებისათვის გაეცნო. ჯაბადარი პოემის გმირებს, ნესტან-დარეჯანს და ტარიელს, განუწყვეტელ ჩივილს, ცრემლის ღვრას, პასიურად ყოფნას და გულხელდაკრეფით ჯდომას საყვედურობდა. ავტორი მათ მოუწოდებდა, ჩერნიშევსკის რომანის გმირებივით მოქცეულიყვნენ. წერილმა თურმე წყობიდან გამოიყვანა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ჯაბადარს უთხრა: „...რუსული კრიტიკის ზენაქვერული ნავარდობა აქ არ გამოდგება... ვისაც რუსთაველზე წერა უნდა... უნდა შეითვისოს იგი არა ჭკუით მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯის ცემა. ეს იქნება ქართველი კაცის ნამდვილი სულისთქმა, მისი რწმენა, მისი სამართლიანი განსჯა...“ აღმოჩნდა, რომ ჯაბადარს მხოლოდ პოემის შინაარსის გადმოცემა ეკუთვნოდა, კრიტიკული განხილვა კი მისი რუსი ცოლის იყო. ის თურმე რევოლუციონერი „ნაროდოვოლეცი“ ყოფილა და მეგობრობა აკავშირებდა ტერორისტ კრავჩინსკისთან, რომელმაც ჟანდარმთა შეფი მეზენცევი მოკლა[40].

ჩერნიშევსკი იყო რუპორი ახალი, რადიკალურად განწყობილი, ყოველნაირი კონფორმიზმის, კულტურის და ტრადიციის მონინააღმდეგე თაობისა, რომელიც „ნიჰილისტად“ მოინათლა („ნიჰილისტი“ შემდგომში ტერორისტის სინონიმად გადაიქცევა). ჩერნიშევსკი გატაცებული იყო ფოიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიით. მისი გამონათქვამი – „ადამიანი წარმოადგენს იმას, რასაც ის ჭამს“ – ჩერნიშევსკის მიერ სიტყვასიტყვით იყო გაგებული და გადამუშავებული შემდეგ პოსტულატში: მშრომელმა კლასმა, რომელიც სიდუხჭირის გამო უპირატესად მხოლოდ კარტოფილით და ბოსტნეულით იკვებება, ძროხის ხორცი უნდა ჭამოს, რათა ხორცისმჭამელ არისტოკრატიას გაუმკლავდეს. რევოლუციური საქმე დიდი რაოდენობით ძროხის ხორცის მოხმარებას საჭიროებს! [41]

---

[39] А. Герцен, Былое и думы, ნაწ. 1-5, 1969 წ., გვ. 449.

[40] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, 1985 წ., გვ. 88-89.

[41] A.Ulam, The Bolsheviks, 1998 წ., გვ. 59.

ფოიერბახის ფილოსოფიამ ასახვა პოვა რომანის „რა ვაკეთოთ?“ გმირში, რახმეტოვში, რომელიც რევოლუციური ბრძოლისთვის მზადების პერიოდში მხოლოდ ძროხის ხორცით იკვებება და ლურსმნებზე სძინავს. რომანის კიდევ ერთი გმირი, „ახალი ადამიანი“ ლაპუხოვი განზე გადგება, რათა მეუღლე ვერას და საუკეთესო მეგობარ კირსანოვის ბედნიერებას ხელი არ შეუშალოს. ეს ერთგვარი გამოძახილია ჩერნიშევსკის პირადი ცხოვრებისა – ის არათუ ცდილობდა, დაემალა საკუთარი მეუღლის ცოლქმრული ღალატი, არამედ ყოველნაირად უწყობდა ხელს მის სექსუალურ ესკაპადებს.[42]

ჩერნიშევსკის რევოლუციურ ფილოსოფიაში, მატერიალიზმის გარდა, დიდი ადგილი უჭირავს ინგლისური უტილიტარისტული ფილოსოფიის ერთგვარად გადამუშავებულ ვარიანტს, ე. წ. „გონიერი ეგოიზმის“ სახით. ჩერნიშევსკის „გონიერი ეგოიზმი“ ადვილად შეიძლება გამოდგეს პოლიტიკური ტერორის რაციონალიზაციად. „ახალი ადამიანი“ თავს გაწირავს ხალხის საკეთილდღეოდ მაშინაც კი, როცა ხალხის უმრავლესობა კმაყოფილია თავისი მდგომარეობით და ამ მსხვერპლშეწირვის აუცილებლობას ვერ ხედავს. „გონიერი ეგოიზმის“ თეორია ამტკიცებს, რომ არ არსებობს იმაზე უფრო მეტი სიამოვნება, ვიდრე „სხვისთვის“ თავის განირვაა, თავის გაწირვა პირდაპირი გაგებით; ალტრუიზმის ყველაზე ძლიერი გამოვლინება სუიციდური ეგოიზმია და პირიქით. რევაზ გაბაშვილი ციხეში გატარებულ დღეებს რომ იგონებდა, აღნერდა, რა აღტყინებითა და აღმაფრენით ატყობინებდნენ მსჯავრდადებული რევოლუციონერები საკუთარი სასჯელის შესახებ: „– ამხანაგო, ოცი წლის კატორღა გადამინყვიტეს! – ამხანაგო, სიკვდილით დასჯა გადამინყვიტეს! ...არასოდეს დამავიწყდება უქუდო, ლამაზი მრგვალი სახის, თვრამეტი წლის ყმანვილი ავალიანი, რომელმაც იგივე გამიმეორა ისეთი ამაყი კმაყოფილებით, თითქო სიკვდილი კი არა, ქორწილში წასვლა მიესაჯათ“[43].

ჩერნიშევსკი, გერცენის მსგავსად, იმჟამინდელი რევოლუციური მოძრაობის ავანგარდს, სტუდენტობას, ხალხში (ანუ გლეხობაში) გასვლას მოუწოდებდა. ამ მონოდების ტალღამ ახალი ძლიერი მუხტი სამოცდაათიანი წლების შუაში მიიღო. მაგრამ შედეგი სავალალო იყო: რევოლუციურად განწყობილი სტუდენტობისა და ინტელიგენციის „ხალხში გასვლა“ უაღრესად ტრამვული აღმოჩნდა რუსული რევოლუციური პროცესისთვის.

თავიდანვე არსებობდა შეურყეველი რწმენა, რომ რუსი „მუჟიკი“ თავისი ბუნებით სოციალისტი და რევოლუციონერია. რომ ის კერძო საკუთრებისადმი ზიზღითაა განწყობილი და მისთვის სუნთქვასავით ბუნებრივია კომუნალურ საზოგადოებაში არსებობა. საჭიროა მხოლოდ რევოლუციური თესლის დათესვა და გლეხობა „იფეთქებს“ ისევე, როგორც ადრე აფეთქებულა პუგაჩოვისა თუ რაზინის დროს. რუსეთიდან წამოსული ხანძარი მოწოდებულია, რომ ბურჟუაზიული ტიპის მსოფლიო ცივილიზაცია გაანადგუროს და ის, ავტონომიისა და ფედერალიზმის საფუძვლებზე დაყრდნობით, ხალხთა შორის თავისუფალი კავშირით შეცვალოს...

სტუდენტობისა და ინტელიგენციის „ხალხში გასვლა“ არნახულ მასშტაბებს

---

[42] ამ გარემოებაზე ირიბად მიანიშნებს გამოჩენილი პუბლიცისტი და მოაზროვნე ნიკო ნიკოლაძე, რომელიც კარგად იცნობდა ჩერნიშევსკების წყვილს. „ერთხელ, როცა ჩვენ, ქართველ სტუდენტთა ჩვეულებრივ საზოგადოებაში, გარს უსხედით ჩაის მაგიდას და ჩერნიშევსკი, თავის ჩვეულების წინააღმდეგ გამოვიდა სტუმრებთან ერთად ჩაის დასალევად, მისმა ცოლმა ჩემზე ლაპარაკის დროს უთხრა, რომ მე ერთად-ერთი კავკასიელი ვარ, რომელიც მას არ ეარშიყება, და ამისთვის მას მე განსაკუთრებით უნდა უყვარდე... მე არ ვიცოდი, როგორ გადამერჩინა ჩემი ამხანაგები, რომელიც ქ-ნმა ოლგამ ასე დაურიდებლად გასცა თავის ქმართან. როცა სახლში მივდიოდით, მე უთხარი ამხანაგებს: – ბომ გეუბნებოდით, თქვე ოხრებო, ამ ქალის თავისუფალი მოქცევა სრულებით არა ნიშნავს, რომ ის თქვენ კისერზე ჩამოგეპორნიალებათ!“. ნ. ნიკოლაძე, მოგონებები, 1984 წ., გვ. 135-136.

[43] რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, დაბრუნება, ტ. 3, 1992 წ., გვ. 58.

აღწევს. ბევრი ინტელიგენტი თავს ანებებდა თავის პრივილეგირებულ მდგომარეობას და გლეხობასთან მათი მძიმე ხვედრის გაზიარებისა და შემსუბუქების მიზნით მიდოდა. მაგრამ ისინი თეთრი ყვავივით გამოირჩეოდნენ გლეხურ მასაში. მათი ფილანტროპიული მიზნები გლეხობამ საეჭვოდ აღიქვა. ბევრისთვის რევოლუციონერის შეფარება ან მასთან ურთიერთობა ისედაც დამძიმებული ყოფის უფრო მეტად დამძიმებას ნიშნავდა. დაიწყო მასობრივი დასმენები ხელისუფლებასთან. „აგიტატორ ხვედრისგამზიარებელთა" დიდი ნაწილი ამ დასმენების შედეგად ციხეში აღმოჩნდა.

ხალხოსნების ურთიერთობას გლეხობის მასასთან ამძიმებდა ხალხოსანთა აგიტაციის ფორმები – მიზნის მისაღწევად ყველაფერი ნებადართულია. „ჩიგირინის აჯანყება" აგიტაციის ამ მეთოდების კარგი მაგალითია: მას შემდეგ, რაც გლეხთა რევოლუციური ცნობიერების გამოღვიძებას არაფერმა უშველა, ხალხოსნებმა ჩიგირინის ოლქის (უკრაინა) გლეხები დაარწმუნეს, რომ მეფის სურვილი იყო, ისინი სისხლისმსმელ მიწის მეპატრონეებს აჯანყებოდნენ. „მეფე-მამის მოთხოვნა" გლეხებმა შესაშური მონდომებით შეასრულეს. ტყუილი მალე გამოაშკარავდა, თუმცა დაგვიანებით – აჯანყება სავალალო შედეგით დასრულდა: უამრავი მოკლეს და გადაასახლეს.

„ხალხში გასვლაში" აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთში მოღვაწე ქართველი სტუდენტები: ი. ჯაბადარი, გ. ზდანევიჩ-მაიაშვილი, მ. ჩიკოიძე. უფრო მეტიც, იმ პერიოდში, ანუ 70-იან წლებში, ერთ-ერთი უძლიერესი ხალხოსნური ორგანიზაცია „მოსკვიჩები" იყო, რომლის ორგანიზატორები ისევ და ისევ ქართველი სტუდენტები იყვნენ. ამ ორგანიზაციის ბევრი წევრი (მათ შორის ქართველები) დააპატიმრეს და 1877 წლის თებერვალ-მარტში პირველად რუსეთის ისტორიაში ჩატარდა პოლიტიკური სასამართლო, რომელსაც „50-ის პროცესი" უწოდეს.

საქართველოში ხალხოსნური მოძრაობა 70-იანი წლების დამდეგიდან გაჩაღდა და ის რუსეთში მიმდინარე პროცესების სუსტი გამოძახილი გახდა. ქართველ ხალხოსნებს მიაჩნდათ, რომ თვითმპყრობელობის ლიკვიდაცია სრულიად რუსეთის იმპერიის რევოლუციურ ძალთა შეთანხმებით და კოორდინაციით უნდა მომხდარიყო. რასაკვირველია, მათ მჭიდრო თანამეგობრობა ჰქონდათ რუს ხალხოსნებთან, ქართველებიც მიისწრაფოდნენ სოციალურად თანასწორი საზოგადოების შექმნისაკენ და გლეხთა საყოველთაო აჯანყების მოწყობა სურდათ. მიუხედავად თანამგრძნობებისა, მათ ხალხი არ აჰყვა, ვერც რუსი ხალხოსნების ტერორისტულმა ტაქტიკამ პოვა გასაქანი საქართველოში (ეს მოგვიანებით მოხდება). ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეროვნული მოძრაობის აღმავლობა იყო, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები ედგნენ. ჟანდარმერიის მიერ ხალხოსნური ორგანიზაციის წევრების დაპატიმრებების შემდეგ კი ეს მოძრაობა საქართველოში თითქმის მთლიანად ჩაქრა.

მასების გამოღვიძებით ხელისუფლების დამხობის იდეის იმედგაცრუება რევოლუციური ცენტრალიზებული კონსპირატორული ორგანიზაციის შექმნის იდეაში გადაიზარდა. რუსეთისთვის კატასტროფაა, თუკი მოხდება ავტორიტარიზმის მშვიდობიანი გადასვლა კონსტიტუციონალიზმში, – ამ თემაზე მსჯელობა ისევ გრძელდებოდა,[44] – ამიტომ აუცილებელია მტკიცე, შეკრული და ცენტრალიზებული

---

[44] რუსი რევოლუციონერი, „პირველ ბოლშევიკად" მონათლული, ხალხოსანი პეტრე ტკაჩოვი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც რუსეთის რეალობასთან რევოლუციური თეორიების ადაპტაციას ცდილობდა. მას თვით ფრიდრიხ ენგელსმა მიაქცია ყურადღება, რომელიც „მამაშვილური" დარიგებებით შეეცადა მისი უკიდურესად ტერორისტული აქცენტების, ნაწილობრივ მაინც, ბრძოლის დემოკრატიულ მეთოდებზე გადატანას. ტკაჩოვის პასუხი მკვახე და უხეში იყო, თუმცა ამჟამინდელი გადასახედიდან ეს პასუხი გაცილებით მეტი შორსმჭვრეტელობით გამოირჩევა, ვიდრე დიალექტიკისა და მეცნიერული სოციალიზმის მამის რჩევა. აი, რას პასუხობდა ტკაჩოვი ენგელსს: „რუსეთი ჩამორჩენილი ქვეყანაა, რაც მისი დიდი უპირატესობაა, ყოველ შემთხვევაში, რევოლუცი-

რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც დაელოდებიან საჭირო მომენტს და ერთი ძლიერი დარტყმით მოახდენენ სახელმწიფო გადატრიალებას. ეს იდეოლოგია შეჯამდება ორი სიტყვით – კონსპირაცია და რევოლუცია. კონსპირაციულობის პრინციპი გულისხმობდა შეთქმულთა მცირერიცხოვანი ჯგუფის „ხედვას", ისინი წყვეტდნენ, რა სჭირდება ხალხს ბედნიერი მომავლისთვის და თუ ჯგუფი ტერორს გადაწყვეტს, აუცილებელი არ არის ამ აქტის მასებთან შეთანხმება. ტერორისტული აქტის მორალური მხარის ამგვარი რაციონალიზაცია აადვილებს მის განხორციელებას. კიდევ ერთი მომენტი, რაც უფრო ადვილს ხდის ტერორისტული აქტის განხორციელებას, არის კონკრეტული მიზანი – მაგალითად, მთავრობის მოხელის ან პროვოკატორის დასჯა...

ტერორისტული ტაქტიკისკენ გადახრა იყო შედეგი ბრძოლის დანარჩენი ყველა სხვა ფორმის მარცხისა. როგორც ვნახეთ, გლეხთა თანდაყოლილი რევოლუციურ-სოციალისტური ინტუიციის გაღვიძების მცდელობა, რაც ხალხოსნების მოძრაობის მიზანი იყო, სრული კრახით დამთავრდა. პროპაგანდა-აგიტაციამ არათუ შედეგი ვერ გამოიღო, არამედ უზარმაზარი უფსკრული წარმოშვა გლეხობასა და ინტელიგენცია-სტუდენტობას შორის.

1878-79 წლებში შეიქმნა რევოლუციური პარტია სახელწოდებით „ზემლია ი ვოლია" (Земля и воля – რუს. მიწა და თავისუფლება) პარტია სწრაფადვე გაიყო ორ ნანილად. გაყოფის მიზეზი ტერორთან დაკავშირებული უთანხმოება იყო. ერთმა ნანილმა გიორგი პლეხანოვის მეთაურობით სათავე დაუდო რუსულ მარქსიზმს. ნმინდა ტერორის მომხრეებმა „ნაროდნაია ვოლია" (Народная воля – რუს. სახალხო თავისუფლება) დაირქვეს. მათი მოთხოვნა იყო კონსტიტუციური ყრილობის ჩამოყალიბება, მიზანი – სოციალისტური სახელმწიფო გლეხთა კომუნებზე აქცენტით, მიზნის მისაღწევი საშუალება – ტერორი, ტერორის უმთავრესი ობიექტი – იმპერატორი ალექსანდრე II. საინტერესოა, რომ „ნაროდნაია ვოლია" გლეხთა რევოლუციის დაწყების ერთ-ერთ საშუალებად თვლიდა (და გეგმავდა) ებრაელთა დარბევა-დაწიოკებას – „პოგრომს", რადგან პოგრომებში მონაწილეობა ხალხს რევოლუციურ გამოსვლებს მიაჩვევსო. ისინი აცხადებდნენ, რომ პოგრომები სამართლიანობის აქტია, რადგან მიმართულია მშრომელი მასების ექსპლუატატორების წინააღმდეგ. მხედველობაში ჰქონდათ ებრაელების მონაწილეობა სავაჭრო-ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელიც „მავნე გავლენას ახდენს მკვიდრი (რუსული) მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე". ეს „ებრაული ექსპლუატაცია" მათ წარმოსახვაში შეადგენდა იმ ძალას, რომელიც თანდაყოლილ რუსულ გლეხურ სოციალიზმს ებრძოდა და ამით ხელს უშლიდა რუსული გზის განვითარებას[45].

ბაზგასასმელია, რომ „ნაროდნაია ვოლიას" რიგებში უამრავი ებრაელი ირიცხებოდა, მათ პარტიაში მიღებაზე უარს არ ეუბნებოდნენ[46]. სხვათა შორის, პარტიებისა-

---

ის თვალთახედვით მაინც. დასავლეთში სოციალური წესრიგი საშუალო ფენის ფართო მხარდაჭერას ეყრდნობა. რუსეთში ეს ფენა მხოლოდ ახლა იწყებს ფორმირებას. რა ინარჩუნებს მთლიანობას ჩვენს ქვეყანაში? მხოლოდ სახელმწიფო და არმია. რა არის საჭირო იმისთვის, რომ სახელმწიფო ფრაგმენტებად დაიშალოს? ძალიან ცოტა: ორი ან სამი სამხედრო დამარცხება... გლეხთა აჯა-იქ გამოსვლები, ღია აჯანყება დედაქალაქში..." . Kingston-Mann. Lenin and the problem of Marxist peasant revolution, 1983 ნ., გვ. 29. რუსეთში კი ყველა დიდი მოძრაობა და ცვლილება სამხედრო მარცხის შემდეგ იწყებოდა – ყირიმის ომი, რუსეთ-იაპონიის ომი, პირველი მსოფლიო ომი...

[45] Pogroms-Anti-Jewish Violence in Modern Russian History. edit. By J. Klier and S. Lambroza, გვ. 69.

[46] ებრაელ რევოლუციონერებს აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ საკუთარი ხალხის კეთილდღეობისათვის ებრძოლათ და ეზრუნათ. „ნაროდოვოლცების" იდეალების გავლენის ქვეშ მყოფი ებრაელი ახალგაზრდობა, პირიქით, საკუთარ ფესვებს შორდებოდა, უფროსი თაობის ებრაელებს რაღაც ანომალიად მიიჩნევდა და რუსებთან ასიმილირდებოდა. გარდატეხა მათ ცნობიერებაში მხოლოდ 1881-82 წლების ებრაელთა დაწიოკების შემდეგ მოხდა.

გან განსხვავებით, ჟანდარმერიაში გამონაკლისებს არ უშვებდნენ: აკრძალული იყო ებრაელების, კათოლიკეების ანდა კათოლიკეებზე დაქორწინებულთა მიღება[47]. აღსანიშნავია, რომ თუ რუს რევოლუციონერებში დაბალი ფენის, წერა-კითხვის უცოდინარები ჭარბობდნენ, ებრაელები მდიდარი და განათლებული ოჯახებიდან იყვნენ. ეს დამახასიათებელი ნიშან-თვისება იყო თითქმის ყველა პარტიისა, გამონაკლისი არც ქართული პარტიები იყო, სადაც უმთავრესად ახალგაზრდა მუშებსა და ღატაკ გლეხებს იღებდნენ.

1901 წელს „ნაროდნაია ვოლიას" ნანგრევებზე შეიქმნა „სოციალისტ-რევოლუციური" – ესერების – პარტია, იმავე მიზნებით (აგრარული პოლიტიკა) და იმავე საშუალებებით (ტერორი). საყურადღებოა, რომ პარტიაში ებრაელები დომინირებდნენ. 1903 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით 136-მილიონიან რუსეთში სულ შვიდი მილიონი ებრაელი ცხოვრობდა, რევოლუციური პარტიების 50%-ს კი სწორედ ებრაელები შეადგენდნენ[48]. ესერების პარტია რუსეთში მძლავრ ძალას წარმოადგენდა, ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში კი „...სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, შეიძლება ითქვას, არ არსებობდა, – იმდენად უმნიშვნელო იყო მისი გავლენა მასაში... ის შესდგებოდა სულ მცირე ჯგუფისაგან, უმეტეს ნაწილად მოსულ ელემენტებისაგან. სოციალისტ-რევოლუციონერების მოქმედება გამოიხატებოდა თითქმის ტერორში"[49].

---

[47] თ. სიმაშვილი, საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიცია რევოლუციური პარტიების წინააღმდეგ საქართველოში 1894-1908 წლებში, 2003 წ., გვ. 11.

[48] А. Гейфман, Революционный террор в России 1894-1917, 1997 წ., გვ. 47.

[49] ფ. მახარაძე, 1905 წელი ამიერ-კავკასიაში, 1932 წ., გვ. 300.

ქართული ტერორის სათავეებთან

საქართველო და მთლიანად კავკასია ფაქტობრივად გადაურჩა XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში განვითარებულ რევოლუციურ მღელვარებას, რაც ხშირად „ნაროდნიკების", ანარქისტების და ზოგადად „ნიჰილისტების" სისხლიან ქმედებებში ვლინდებოდა. ბუნებრივია, რუსეთის მესიანისტური იდეა დაპყრობილ საქართველოში განვითარებას ნაკლებად იპოვიდა, მით უფრო რუს „მუჟიკსა" თუ „ობშჩინაში" დაუნჯებული კაცობრიობის გადამრჩენელი მისტიკური იდეა.

იმ დროს საქართველოში ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებული ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისთვის მიმდინარე განმანათლებლური მოძრაობა ტერორისტული თუ ავანტიურისტული ქმედებებისგან არიდებული იყო. მაგრამ XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში შექმნილმა მარქსისტულმა ჯგუფმა სულ რაღაც ხუთ-ექვს წელინადში არათუ ახალ საფეხურზე აიყვანა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის შინაარსი, არამედ საფუძველი ჩაუყარა სოკოებივით მომრავლებულ პარტიებს (ფედერალისტები, ანარქისტები, ესერები, დაშნაკები და ა. შ.)[50] და კატალიზატორის როლი ითამაშა მათ აგრესიულ აქტივობა-ქმედებებსა და ტერორის მრავალფეროვან ფორმებში. რევოლუციური მოძრაობის ავანგარდი ქართველი სოციალ-დემოკრატები (მისი ორივე ფრთა – მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც) რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ანარეკლი და შემადგენელი ნანილი იყო და მოქმედების ფორმებითაც რუსულს ეხმიანებოდა, თუმცა მისგან „უნიკალური" ქართული (კავკასიური) „ხიბლით" გამოირჩეოდა. „ხიბლით", რომელმაც XX საუკუნის 10-იან წლებში ევროპაში ქართველი (კავკასიელი) ტერორისტ-ექსპროპრიატორის სინონიმად აქცია. თავის მემუარებში ნადეჟდა კრუპსკაია ჰყვება თავშესაქცევ ამბავს, თუ როგორ ჩამოვიდა ერთხელ მათთან, ჟენევაში, სტუმრად მიხა ცხაკაია. შეშინებულმა სახლის მფლობელმა ქალმა, რომელსაც ქართველი რევოლუციონერი ცოცხალ ექსპროპრიატორ-ტერორისტად მოეჩვენა, ცხაკაიას კარი ცხვირნინ მიუხურა[51].

ლევ ტროცკი აღნიშნავდა, რომ საქართველოს ჰყავდა მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია, რომელიც ყველა პროგრესულ მოძრაობასა და რუსეთის სამ რევოლუციაში შესამჩნევ როლს თამაშობდა[52]. მართლაც, საზოგადოდ, ქართველების მონანილეობა რუსული სახელმნიფოს საქმეებში და, კერძოდ, ქართველი მარქსისტების უზარმაზარი როლი რუსეთის რევოლუციებში კარგად ნაცნობი თემაა, რომ არაფერი

---

[50] "Кто? Грузинцы?.. Партий всяких у них, брат, развелось больше, чем блох в собаке. И все друг друга опровергают, и все друг друга не признают, и кто у них за что борется, кто прав, кто виноват - сам архирей не разберет...". А. Веселый. Россия кровью умытая, 1990 б., გვ. 72. „ვინ? ქართველები? მათთან სხვადასხვა პარტიები ისეა გამრავლებული, ძმაო, როგორც რნყილები ძაღლზე. ერთმანეთს უარყოფენ, ერთმანეთს არ ცნობენ, და ვინ რისთვის იბრძვის, ვინ არის მართალი და მტყუანი, ამას არქიელიც ვერ გაარჩევს..."

[51] И. Дубинский-Мухадзе. Камо, 1974 б., გვ. 102-103.

[52] Л. Троцкий. Сталин, 2007 б.

ვთქვათ იოსებ სტალინის ფენომენზე, რომლის განხილვა ამ წიგნის ინტერესებს სცილდება. თუმცა ქართულ-კავკასიურ ტერორიზმში გარკვევისთვის სოციალ-დემოკრატიის ქართული ფრთისა და მისი მთავარი მოქმედი პირების შესახებ მოკლედ მოყოლა აუცილებლად გვეჩვენება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში კარლ მარქსის იდეები, უკვე თეორიულად განმტკიცებული და დასაბუთებული, მძლავრად შეიჭრა და მოედო მთელ ევროპას და ამერიკას. თუმცა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა ლენინი მარქსისტულ ჯგუფში განევრიანდა (ცნობისთვის: პირველი რუსული მარქსისტული ჯგუფი ჟენევაში 1883 წელს ჩამოყალიბდა გიორგი პლეხანოვის ხელმძღვანელობით; ლენინის გარდაქმნა მარქსისტად მოხდა 1889 წელს „კაპიტალის“ წაკითხვის შემდეგ), მოსკოვსა და პეტერბურგში მხოლოდ რამდენიმე პატარა ჯგუფი არსებობდა. მეფის ხელისუფლებას სოციალიზმი ნაკლებ უბედურებად მიაჩნდა იმ დროს უაღრესად აგრესიული და გავრცელებული „ნაროდნიკული“ მოძრაობის ფონზე. შემორჩენილია „ოხრანკის“ ერთი ფუნქციონერის რემარკა ლენინის დაჭერის თაობაზე 1895 წელს: „ასეთი პატარა მოძრაობა ...ალბათ, ამისგან რაიმე 50-60 წლის შემდეგ გამოვა...“ მართლაც, მაშინდელ რუსულ რადიკალურ რევოლუციურ წრეებში მარქსისტული თეორია ნამდვილ უაზრობად მიიჩნეოდა. „დამპალი დასავლეთის“ მარქსისტული გზა წმინდა რუსული „უნიკალური“ გზის განვითარებისთვის აბსოლუტურად შეუსაბამოდ ითვლებოდა, მით უმეტეს, მცირერიცხოვანი მუშათა კლასის არსებობის შემთხვევაში.

ობიექტური მიზეზების გამო ინდუსტრიული კაპიტალიზმი კიდევ უფრო უმნიშვნელოდ იყო ჩამოყალიბებული საქართველოში, რომელსაც, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩამოყალიბებისა და განვითარების კარდინალურად განსხვავებული გზა ახასიათებდა. საქართველოს დიდი ხნის განმავლობაში ერთიანი, მთლიანი სახელმწიფოებრიობის განცდა არ გააჩნდა. ის მოწყვეტილი იყო კულტურულ გარე სამყაროს, იმ განმანათლებლურ იდეებს, რომლებიც ევროპაში ჩაისახა, ამიტომაც ქვეყანა ამოვარდნილი იყო მსოფლიო განვითარების ერთიანი სისტემიდან. ეს მდგომარეობა კი სავალალოდ აისახა ქართული ეთნოსის ცნობიერებასა და განვითარებაზე. მისი ეკონომიურ-კულტურული განვითარება თითქმის ექვსი საუკუნის მანძილზე იყო გაჩერებული. XIX საუკუნეში დაპყრობილ საქართველოს გარე სამყაროსთან ურთიერთობა, როგორც უზარმაზარი იმპერიის ერთ პანაწინა ნაწილს, დანამატს, ისე უხდებოდა. თავიდანვე რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, ხელში ჩაეგდო საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე (რაც ნარმატებით განახორციელა), აქედან გამომდინარე მას ხელთ ჰქონდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები და იაფი ნედლეული საკუთარი წარმოებისათვის (ასეთივე პოლიტიკა გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის ბატონობის დროსაც). ისიც არ არის გასაკვირი, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსული წარმოების საქონელი დომინირებდა და უცხოური მრენველობა აქ ძნელად იკიდებდა ფეხს. კაპიტალი ხელთ ჰქონდა ჩაგდებული უცხოელებს, უმთავრესად სომხებს, რუსებს და სხვა ეროვნების ნარმომადგენლებს, რომელთაც ყოველნაირი შეღავათი ეძლეოდათ. ეს, პირველ რიგში, იმიტომ ხდებოდა, რომ ქართველები ხელისუფლებასა და ქვეყნის ეკონომიკურ სადავეებთან არ მიეშვათ. ამაში კი ქართველობაც, საკუთარი ქცევისა თუ უკვე გამომუშავებულ-შეთვისებული ზნე-ჩვეულების და სიზანტის გამო, ყოველნაირად უწყობდა ხელს. იმ დროის საქართველოში თავადაზნაურობის, ანუ ქვეყნის წარმართველი ძალის, გაღარიბება და დეგრადაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. მისი შენახვა, როგორც ოდესღაც მეფეებისა და წარჩინებული ფენისა, მთლიანად მშრომელ მასას ანვებოდა მხრებზე. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საგლეხო რეფორმამ ისედაც გაჭირვებული გლეხი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, უფრო მძიმე მატერიალურ

მდგომარეობაში ჩააგდო, რაც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო უარესდებოდა. მართალია, მწარმოებელი კლასის მცირე ნაწილი ეკონომიურად ძლიერდებოდა და სოფლის ბურჟუაზიის რიგებში გადადიოდა, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა უძლურდებოდა და უკიდურესი სიღატაკისკენ მიექანებოდა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ გლეხი საარსებო წყაროების მოსაპოვებლად საკუთარ კარ-მიდამოს ტოვებდა და საშოვარზე მიდიოდა. ქართველ გლეხებს ბათუმში, ტუაფსეში, ნოვოროსიისკში, ოდესაში, ციმბირსა და რუსეთის სხვა ადგილებში შეხვდებოდით.

როცა ჩვენს სიმდიდრეებს უცხოტომელები ეპატრონებოდნენ, ქართველები დროსტარებითა და ქეიფით იყვნენ დაკავებული. ცნობილია, რომ მეფისნაცვალ ვორონცოვის მმართველობის დროს, პირველი ოპერის თეატრის მშენებლობა რომ გადაწყდა, ეს საქმე ვაჭარ თამამშევს დაეკალა. მშენებლობისთვის მიწა მან დღევანდელი თავისუფლების მოედანზე თავად ესტატე ციციშვილისაგან ორ დოშად და ორი კაცის საკაბედ (!) შეიძინა (რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია). ამას ისიც დაუმატეთ, რომ ქართველების ლამის ყველა ფენის წარმომადგენელი ამპარტავნობდა და უკადრისობდა ვაჭრობაში მონაწილეობას და ის საკუთარი ღირსების შელახვად მიაჩნდა. ქართველის „...რაინდულ ხატში ვაჭრობა არ შედის..." – წერდა მერაბ მამარდაშვილი[53]. ოდითგანვე ყოველ ქართველს საკუთარი თავი გამორჩეულ და ლამის ღმერთისგან რჩეულ პიროვნებად წარმოედგინა. „რა გინდ ღარიბი ყოფილიყო იმერელი კაცი, ვაჭრობას მაინც არ კადრულობდა. გლეხიკაცის ცოლი ბაზარში ქათამს ან გოჭს გასაყიდათ რომ გამოიყვანდა, პირისახეს თათრის ქალივით აიხვევდა: არავინ ნამესწროს ასეთ საზიზღარ საქმეზეო"[54]. ასე აღწერდა ზოგადად ამ ქართულ კუდაბზიკობას ვაჭრის ოჯახში დაბადებული ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც უდიდესი ამაგი დასდო ქართული ეკონომიკის ჩამოყალიბება-აღორძინების საქმეს. ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო საქართველოში ეროვნული ბურჟუაზია თითქმის არ არსებობდა, ან მისი აქტივობა ნულს უახლოვდებოდა.

ქართველების ემოციური და ინტელექტუალური სამყარო, თუ სხვადასხვა მოგონებებს დავეყრდნობით, გაჯერებული იყო ზღაპრების, მითოსის და ფანტაზიების ტვირთით. მძიმე რეალობას რომ გაქცეოდნენ, ადამიანები „ფანტასტიკურ ატმოსფეროში" იხარშებოდნენ. მიუხედავად მძლავრი ქრისტიანული მრწამსისა, ცრურწმენა ყველა სოციალურ წრეში იყო გავრცელებული. „ჩემი ბავშვობის ხანაში... ქონდათ წარმოდგენა ქვეყნიერებაზე სავსებით ზღაპრულათ და საწაულებრივათ. საერთო აზრი იყო: ქვეყანა დასახლებულია უჩინარი სულებით, რომლებიც ებრძვიან ადამიანებს... ჭინკა, ქაჯი, ეშმაკი, დევი, კუდიანი, მზაკვავი და სხ. ბავშვებს ყავთ მიჩენილი ჭინკა, ხოლო დიდებს ყველა დანარჩენი..."[55] და აი, ასეთ სამყაროსა და ცნობიერებაში შემოდის მარქსიზმი, რაციონალური აზროვნების წესით, ათეიზმით, მეცნიერებაზე აქცენტით, რელიგიური მითოსის კრიტიკით და ამ სწავლების პოპულარიზაციით, რაც უამრავი არალეგალური თუ ნახევრად ლეგალური გაზეთისა და პუბლიკაციის გავრცელებას, სასწავლო ჯგუფების შექმნას და „მასებთან საგანმანათლებლო" მუშაობას გულისხმობდა.

პირველი მარქსისტული ჯგუფი საქართველოში 1892 წელს შეიქმნა (აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 70-იანი წლების ქართულ პრესაში ქართული ინტელიგენცია უკვე მსჯელობდა ევროპაში მარქსიზმის გავრცელების შესახებ. იმ დროიდან ჩვენში მარქსისტული ლიტერატურაც გაჩნდა). ამ ჯგუფის, რომელსაც „მესამე დასი"

---

[53] მ. მამარდაშვილი, 2007 წ., გვ. 93.

[54] ნ. ნიკოლაძე, მოგონებები, 1984 წ., გვ. 23.

[55] ნ. ჟორდანია, ჩემი ნარსული, 1990 წ., გვ. 17.

დაერქვა (თუმცა მოსახლეობაში „ახალი თაობის" სახელით იყო ცნობილი), შეკრების ინიციატორი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი, მარქსიზმის ერთ-ერთი პირველი მქადაგებელი ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) იყო. შეკრება გაიმართა ზესტაფონში 1892 წლის 25 დეკემბერს, შობადღეს, 12 კაცის შემადგენლობით: ეგნატე ნინოშვილი, ნოე ჟორდანია, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, მიხა ცხაკაია, ისიდორე რამიშვილი, არსენ წითლიძე, ევგენი ვანაძე, ისიდორე კვიცარიძე, იოსებ კაკაბაძე, დიმიტრი კალანდარიშვილი, რაჟდენ კალაძე და სილიბისტრო ჯიბლაძე.

შეხვედრის მიზანი საქართველოსთვის განვითარების ახალი გზის გეგმის შემუშავება იყო. ორი დღე-ღამის განმავლობაში მიდიოდა ბჭობა – რუსული „ნაროდნიკული" მიმდინარეობა აერჩიათ თუ მარქსიზმის პოზიციაზე გადასულიყვნენ[56]. საბოლოოდ ჯგუფი მარქსიზმზე შეჩერდა. „მესამე დასელებმა" ნამდვილი რევოლუცია მოახდინეს ქართულ ცნობიერებაში, – წერდა ცნობილი მენშევიკი გრიშა ურატაძე, და არ შეიძლება, მას არ დაეთანხმო.

ძალიან მალე „მესამედასელების" დახმარებით და მონაწილეობით ჩამოყალიბდა პირველი მარქსისტული წრეები, სადაც იმართებოდა კამათი და დისკუსიები, ვრცელდებოდა და იკითხებოდა არალეგალური ლიტერატურა და ქართული ჟურნალ-გაზეთები. გურიის და შემდეგ მთელი საქართველოს გლეხები და მუშები გროვდებოდნენ და უსმენდნენ განსხვავებული პოლიტიკური მიმდინარეობების ორატორების დიალექტიკურ პაექრობებს. ფაქტია, რომ მარქსიზმმა მძლავრი ბიძგი მისცა საქართველოში, პირველ რიგში, წერა-კითხვის განვითარებას და შემდეგ მითოსურ ცნობიერებაში რეალისტური, ლოგიკაზე დაყრდნობილი აზროვნების შემოსვლას.

ადამ ულამი მარქსიზმის შესახებ წერდა: „მარქსიზმის ემოციები და მეტყველება სუნთქავს მეცხრამეტე საუკუნისთვის დამახასიათებელი ძალმომრეობით და ხელისუფლებისადმი გამოწვევით, ამასთანავე მისი დასკვნა არის ყინულივით რაციონალური და პრაქტიკული. რუსეთის „პოპულიზმის" ინტენსიური ემოციონალიზმის შემდეგ მარქსიზმი უნდა წარმომდგარიყო, როგორც მოდელი „გამოფხიზლების და რეალიზმისა". მსგავსი განვითარება უნდა მომხდარიყო საქართველოშიც, სადაც მითოსური აზროვნება რეალიზმის ნაკადით გაზავდა, და, რაც მთავარია, მეცნიერულად დასაბუთებული, გარდაუვალი გამოსავლის (რევოლუცია) იდეამ რწმენის თეოლოგიური მოდელი ჩაანაცვლა. სტალინის ყრმობის მეგობარი და იდეური მონინააღმდეგე, მენშევიკი იოსებ ირემაშვილი წერდა: „...უკიდურეს სიღატაკეში მცხოვრები რუსეთის ქვეშევრდომებისათვის ახალი მოძღვრება სახარებად იქცა"[57].

ქართველთაგან მარქსიზმის იდეებს პირველად დიდი მოღვაწენი ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე და სხვები საფუძვლიანად გაეცნენ, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს „მესამედასელებმა" შეძლეს, მაგრამ „...ცხადია, აქედან არ გაუკეთებიათ ის დასკვნები, რაც ქართველმა „მესამედასელებმა" გააკეთეს"[58]. ილია ჭავჭავაძემ შეისნავლა ბელინსკის, ჩერნიშევსკის, გერცენის, დობროლიუბოვის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგია, ასევე გაეცნო ევროპელი ეკონომისტების, ფილოსოფოსებისა და პოლიტიკური მოღვაწეების შეხედულებებს. მან ეს ყველაფერი შეითვისა და გადახარშა, მაგრამ „...არა ბრმად, არამედ შემოქმედებითად და კრიტიკულად, ყველა ამ იდეას იგი მისი სამშობლოს ინტერესებიდან მიუდგა... იმგვარად, როგორადაც მისი ქვეყნის პროგრესისათვის გამოადგებოდა"[59]. გიორგი ლასხიშვილი იხსენებს ილია

---

[56] Г. Уратадзе. Воспоминания грузинского социал-демократа. 1968 წ., გვ. 12.

[57] ი. ირემაშვილი, სტალინი და საქართველოს ტრაგედია, 2006 წ., გვ. 26.

[58] გ. ყორანაშვილი, ილიას ფენომენი, 2007 წ., გვ. 260.

[59] ა. სურგულაძე, ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, 1980 წ., გვ. 114.

ჭავჭავაძესთან ერთ ძეხვედრას, სადაც მსჯელობა იყო გამართული რევოლუციური მოძრაობის, თვითმპყრობელობის მოსპობისა და საქართველოში საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარების შესახებ. რუსეთს ჭავჭავაძე მძინარე ილია მურომეცს ადარებდა, რომელიც თუ გაიღვიძებდა, საქართველოს ჯერ ეკონომიკურად დაიპყრობდა, შემდეგ კი ან გაარუსებდა, ან საერთოდ გაანადგურებდა (ალბათ, თვით ილიასთვისაც შეუძლებელი იყო, დაენახა დროში გაწელილი ის ნგრევა და საბოლოო ჯოჯოხეთური აფეთქება, რომელიც რუსულმა მარქსიზმმა წარმოშვა). მან ამის მიზეზად ქართველების ეკონომიკური და ნაციონალური თვითშეგნების სისუსტე დაასახელა, რაც არ ახასიათებდათ არც პოლონელებს და არც ფინელებს (მაშინ რუსეთის ქვეშევრდომებს), რომელთათვისაც საკონსტიტუციო რეჟიმი სასარგებლო იქნებოდა, რადგანაც ისინი „ძლიერი არიან როგორც ეკონომიურად, ისე ეროვნულის შეგნებით". ხოლო „სამართლიანი სამეფოს" შესახებ მან განაცხადა: „ჯერჯერობით ეგ ნამდვილი ოცნება და ზღაპარია, ყოველ შემთხვევაში, ისეთი შორეული ამბავია, რომ სანამ პავლე მოვა, პეტრეს ტყავს გააძრობენო"[60]. ტყავი რომ ქართველებს გააძრეს, ეს ყველამ კარგად დავინახეთ, თუმცა ტყავის გაძრობის პროცესშიც კი (რასაც თვითონვე ვუწყობდით ხელს), ჩვენ ისევ რუსეთს მივდევდით კუდში, ამ გენიოსი ქართველის გზას არამცთუ გადავუხვიეთ, თვით ეს ადამიანი გავუყენეთ საიქიოს გზას. „ილიას მკვლელობა იყო სიმბოლო იმ ფაქტისა, იმ შინაგანი სულიერი პროცესისა, რომელიც ხდებოდა ქართველებში და იმით გამოვლინდა, რომ ქართველი ერი განუდგა ილიას მიერ შემოთავაზებულ გზას"[61]. სიმპტომატურია, რომ, როცა სოხუმის საპატიმროში მყოფმა ფედერალისტმა თედო სახოკიამ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავი შეიტყო, ყველა პოლიტიკურ პატიმარს მოუწოდა, სამძიმრის დეპეშა გაეგზავნათ გაზეთის რედაქციაში. სოციალ-დემოკრატებმა – „პარტიული მოსაზრებით ვერ შემოგიერთდებითო" – უარი განაცხადეს[62].

როგორც აღვნიშნეთ, ქართველი სამოციანელები, „თერგდალეულები" ილია ჭავჭავაძის მეთაურობით რუსი რევოლუციონერი დემოკრატების იდეებზე იყვნენ აღზრდილი, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია, მყარად მდგარიყვნენ ეროვნულ ნიადაგზე. „თერგდალეულთა" მიზანს ხომ ქართველების ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება და მათი გაერთიანება წარმოადგენდა ერთი საერთო მიზნისთვის – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის და მთლიანობის აღდგენისათვის (იმ დროს ერთიანი საქართველოს ცნება, როგორც ასეთი, საზოგადოებაში არ არსებობდა და ვერც იარსებებდა. „...საქართველო ნიშნავდა ქართლს, ქართველი ქართლელს, ხანდახან – კახელსაც. ერთი მთლიანი საქართველო მის (ქართველის) წარმოდგენაში სრულებით არ არსებობდა..." – იხსენებდა ნოე ჟორდანია[63]. ამ მხრივ ასევე ნიშანდობლივია საზოგადო მოღვაწისა და მწერლის იოსებ იმედაშვილის მოგონება ეგნატე ნინოშვილის შესახებ, სადაც ის წერს: „...გურია გაგონილი მქონდა მხოლოდ მამია, ჯაბა და ვახტანგ გურიელების სახელით, თვითონ გურია რას წარმოადგენდა, ჩემთვის უცნობი იყო"[64]). ეროვნული ცნობიერების განცდა ერთიანი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტისა მანამდეც არსებობდა. ის, რომ ქართველებს ეს ცნობიერება ლამის

---

[60] გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1992 წ., გვ. 82.

[61] მ. მამარდაშვილი, 2007 წ., გვ. 93.

[62] ჩვენ შეგნებულად თავი ავარიდეთ საქართველოში მომხდარ ყველაზე გახმაურებული, დღემდე გაურკვევლობის ბურუსით მოცული ტერაქტის შესახებ საუბარს, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს ეპიზოდი ცალკე განხილვის საგანია.

[63] ნ. ჟორდანია, ჩემი ნარსული, 1990 წ., გვ. 15.

[64] ზ. ტუღუში, მოგონებები ნინოშვილზე, გურული ლექსიკა, 2008 წ., გვ. 65.

გაუქრათ, ობიექტური მიზეზების შედეგი იყო, რომელშიც ლომის წილი იმავე რუსულ თვითმპყრობელობას მიუძღვის, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, ემოქმედა რომაელთა აპრობირებული ტაქტიკით – გათიშე და იბატონე (ტერმინი „გათიშვა" ამ შემთხვევაში ადამიანთა ცნობიერებას ეხება). იგივე გრძელდება დღესაც, XXI საუკუნეში, როდესაც რუსული პროპაგანდისტული მანქანა ცდილობს, დაამტკიცოს, რომ უძველესი ქართული სახელმწიფოებრიობაც და ქართველი ერიც გამონაგონია და რომ ქართველი ერი სულ ახლახან, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ჩამოყალიბდა.

პირველი ქართველი მარქსისტები სამოციანელთა იდეოლოგიაზე გაიზარდნენ, ეს მდიდარი მემკვიდრეობა უადვილებდა მათ ახალი მიმართულებების ძებნას. XIX საუკუნის მიწურულს ქართული ეროვნული მოძრაობა მიმდინარეობებად დაიშალა და დაიწყო პოლიტიკური პარტიების აღმოცენება. ამგვარი პარტიები უდიდეს როლს თამაშობდნენ ევროპის მოწინავე ქვეყნებში, რასაც არ შეიძლებოდა გამოძახილი არ ჰქონოდა რუსეთში, შესაბამისად საქართველოშიც. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში პირველად პოლიტიკურ პარტიად ორგანიზება სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაიწყო „მესამე დასის" სახელით. თუ თავდაპირველად ქართველი სოციალ-დემოკრატების პროგრამაში ეროვნული სოციალიზმის იდეებს განსაკუთრებული ადგილი ეკავა, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იქ ფეხს იკიდებს რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეები, რის გამო ხდება აშკარა დაპირისპირება ეროვნულ მოძრაობასა და ეროვნულ საკითხთან. ამის დასტურია ილია ჭავჭავაძისა და „დასელების" ლიდერის ნოე ჟორდანიას საგაზეთო პოლემიკა. იმის მაგივრად, რომ მარქსისტებს საკუთარი ძალები სხვა გზით წარემართათ, მოწინაალმდეგედ ის ადამიანები, ის ჯგუფი აირჩიეს, რომელსაც პატრიოტულად განწყობილი საქართველოს დიდი ნაწილი უჭერდა მხარს. „თერგდალეულები" კიცხავდნენ „მესამედასელებს" ეროვნული ნიჰილიზმისა და ინდეფერენტიზმისთვის, ამ უკანასკნელთ კი ეროვნული (ისევე, როგორც თავის დროზე ხალხოსნებს, რომლებიც სოციალურ პრობლემებს სწევდნენ წინ) არაფერი აინტერესებდათ. მათი აზრით, მუშას, რევოლუციის მამოძრავებელ ძალას, სამშობლო არა აქვს, ერი მაშინ გათავისუფლდებოდა, როცა ქვეყანაში სოციალიზმი გაიმარჯვებდა. რუსული და ქართული მარქსისტული მსოფლმხედველობის თანხვედრა კარგად არის ასახული ერთ საგულისხმო ფაქტში, რომელიც მოყვანილი აქვს თავად სიმონ სიდამონ-ერისთავს მემუარებში და რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსი და ქართველი სოციალისტების მსოფლმხედველობის ერთობას: როცა მეფე ნიკოლოზ II გადადგა და მთელი რუსეთი ანარქიამ მოიცვა, პეტერბურგის სამხედრო აკადემიაში შედგა საუბარი რექტორ კრილენკოსა და ცნობილ რევოლუციონერ ბონჩ-ბრუევიჩს შორის. ამ უკანასკნელის ნათქვამზე, რომ ახლა რუსეთის ინტერესებია დასაცველი, კრილენკომ იატაკზე დააფურთხა, ქუსლით გასრისა და უპასუხა: „აი, რას ვუშვრები მე რუსეთის ინტერესებს. ჩემთვის საერთაშორისო კომუნიზმის ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია"[65].

რევოლუციონერი და ბომბების დამზადების სპეციალისტი, ვლასა მგელაძე იხსენებს გიორგი წერეთლის ერთ გამონათქვამს: „სოციალისტობა კარგია, ბატონო,

---

[65] The Memoirs of Colonel Prince Simon C. Sidamon-Eristoff. 2002 წ. გვ. 142.

*„...1903 წელს ლონდონის ყრილობაზე... ქართველი სოციალ-დემოკრატია პროგრამულადაც და ორგანიზაციულადაც საბოლოოდ რუსის სოციალ-დემოკრატიას შეუკავშირდა... აქედან ინყება ჩვენი მესამე დასის გადაგვარება, მისი გათქვეფა რუსულ უსახო და უფორმო ოპორტუნიზმში. ერთს დროს ამ ხალხმა თითქმის სრულიად დაიკიწყა საკუთარი ტრადიციები და რუსულ-ებრაული ჟარგონი შეითვისა. გადაგვარების პროცესმა არ დაინდო თვით ნოე ჟორდანია. სექტანტურმა ჟინიანობამ დაჩრდილა მისი ნათელი აზროვნება, მენშევიკებისა და ბუნდისტების გავლენამ მას ნაკლებ სასიქადული სტრიქონები უკარნახა ფედერალისტებისა და ტერიტორიული ავტონომიის იდეის წინააღმდეგ..." გ. ქიქოძე, ეროვნული ენერგია, 1919 წ., გვ. 110-111.

მარა ისეთი სოციალისტი უნდა იყო, როგორიც პოლშელი სოციალისტებია. რუს სოციალისტს პოლშელი სოციალისტი სახლში არ შეუშვებს. სოციალისტი უნდა იდგეს ეროვნულ ნიადაგზე და როცა განვთავისუფლდებით, მერე ყველასთან კავშირი"[66]. მენშევიკებად და ბოლშევიკებად გაყოფის შემდეგაც ქართული სოციალ-დემოკრატია ყველანაირი სახის ფრაქციულ ბრძოლაში იქნა ჩათრეული, მაგრამ, შიდა პარტიული ბრძოლების მიუხედავად, ორივე ფრაქცია დიდი ძალისხმევით უპირისპირდებოდა ეროვნულ მოძრაობას[67]. ამ პარტიაზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ მას თავისი პოპულარობით, მრავალრიცხოვნობითა და გავლენით ბადალი არ ჰყავდა. 1906 ნლის 16 მარტით დათარიღებულ „პოლიტიკურ მიმოხილვაში" თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში რევოლუციური მოძრაობისა და თბილისში პოლიტიკურ ძალთა განლაგების შესახებ ვკითხულობთ: „უმთავრესი რევოლუციური ძალა თბილისში ადგილობრივი პროლეტარიატია, უპირატესად ქართული, რომელიც დგას რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დროშის ქვეშ. სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალისტ-ფედერალისტები და დაშნაკისტები, როგორც რევოლუციური ძალა, არსებული პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ კავკასიაში აქტიური საქმიანობის გამწევი არ არიან". ასევე მითითებულია, რომ „აქ პოლიტიკური საკითხი მჭიდროდ არის გადახლართული ეროვნულ საკითხთან, რაც აძლევს დიდ უპირატესობას რევოლუციურ და ოპოზიციურ ძალებს თავის საქმიანობაში, ამიტომ მათი ამოცანა სანახევროდ გაადვილებულია"[68]. გაუგებარია, რას გულისხმობდა ამ პატაკის ავტორი, როცა ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური საკითხი ეროვნულთან გადახლართვა რუსეთის დროშის ქვეშ მდგარ იმავე სოციალ-დემოკრატებს საქმიანობას უადვილებდა, მაშინ, როცა ამ უკანასკნელთ მხოლოდ მსოფლიო რევოლუციის ინტერესები აწუხებდათ და ეროვნული საკითხის გაგონებაც კი არ სურდათ და ამას არც მალავდნენ („ქართველებს ყველაფრის გადაჭარბება გვიყვარს, და ჩვენი მარქსისტებიც ისე შორს წავიდნენ თვისი ინტერნაციონალიზმით, რომ „ხალხს" აყვირებდნენ, – „არ გვინდა ავტონომიაო", და რაიცა მართლაც საკვირველია, არც ქართული ს. დ.-ული პარტია შექმნეს მათ, არამედ „რუსეთის ს. დ. მუშათა პარტიის" ნევრები იყვნენ. ქართველები იყვნენ მხოლოდ, რომლებსაც საკუთარი ს. დ. პარტია არ უნდოდათ, სხვას კი ყველას ჰქონდა იგი რუსეთში: სომხებს, ებრაელებს, პოლონელებს და სხვ."[69]).

როცა განგებამ უნიკალური შანსი ჩაგვიგდო ხელში, რომელზეც ყოველი საღად მოაზროვნე ქართველი პატრიოტი ოცნებობდა, ანუ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შანსი, მაშინაც კი ბევრი განთქმული ქართველი რუსეთს მისტიროდა: 1918 ნლის 25 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა დღეს, რუსეთის დუმის ყოფილმა დეპუტატმა კაკი წერეთელმა, რომელიც იმ დროს უკვე

---

66 ვ. მგელაძე, მოგონებები, 1972 ნ., გვ. 38.

67 სანამ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადეკიდებოდნენ, მენშევიკ-ბოლშევიკებს ერთმანეთში ძალზე თბილი და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ. XIX საუკუნის 90-იანი ნლების დასასნყისში გურიის სხვადასხვა ადგილებში გაიმართა თეატრალური წარმოდგენები, სადაც სუფლიორობას სილიბისტრო ჯიბლაძე კისრულობდა. გაყიდული ბილეთებიდან შემოსული მთელი შემოსავალი – 300 მანეთზე მეტი – გაეგზავნა ფილიპე მახარაძეს ვარშავაში, სადაც ის ვეტერინარულ ინსტიტუტში ნოე ჟორდანიასთან ერთად სნავლობდა. ა. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, 2009 ნ., გვ. 148.

68 თ. სიმაშვილი, საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიცია რევოლუციური პარტიების წინააღმდეგ საქართველოში 1894-1908 ნლებში, 2003 ნ., გვ. 107.

69 მ. ნერეთელი, ერი და კაცობრიობა, 1990 ნ., გვ. 293-294.

თბილისში იმყოფებოდა, გაიგო თუ არა დამოუკიდებლობის ამბავი „...გულშეწუხებული ჩავარდა სავარძელში და გაჰკიოდა ისტერიო-„ისტორიულ“ სიტყვებს: „რას შვებით, თქვენა ღუპავთ რუსეთის დემოკრატიას!“[70] ისიც სათქმელია, რომ თვით უმაღლეს ეშელონებშიც კი არ იცოდნენ, რა ექნათ ამ თითქოს ციდან ჩამოვარდნილი დამოუკიდებლობისათვის. ნოე ჟორდანია წერდა: „მაშასადამე, დღის წესრიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არ გათვალისწინებული ამბავი, მისი გატარება ჩვენს რევოლუციონურ ორგანიზაციებში გახდა დიდ თავსამტვრევ ამოცანათ...“[71] დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა გამომდინარეობდა იმდროინდელი მსოფლიო სიტუაციიდან, როცა რუსეთმა საქართველოზე კონტროლი დაკარგა, შიდა ეროვნულმა ძალებმა მოძრაობა დაიწყეს და აქედან გამომდინარე სოციალ-დემოკრატები იძულებული იყვნენ, ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ, დამდგარიყვნენ ეროვნულ ნიადაგზე, ანუ გადაედგათ ის ნაბიჯი, რის წინააღმდეგაც ისინი წლების მანძილზე გააფთრებით იბრძოდნენ.

ოდინდელი რუსული კითხვის – „რა ვაკეთოთ?“ მსგავსად, ქართველებმაც საკუთარ თავს უნდა დაუსვან – „რა მოხდა?“, როგორ მოხდა, რომ ერმა შინაგანი „სახე“ დაკარგა და რუსულ აპოკალიფსში ასე თავდავიწყებით გადაეშვა, სიკვდილის „ხიბლით შეიპყრო და სიცოცხლის გემო დაკარგა“[72]. ქართველს უყვარს საკუთარი თავის წარმოჩენა, ნინა პლანზე წაწევა, თავისი ბუნებით ის არტისტია, პოზიორი და გამოირჩევა განსაკუთრებული ემოციურ-ხასიათობრივი თავისებურებებით, ხშირ შემთხვევაში ისტერიული მახასიათებლებით, და როგორც ყველა ისტერიელს, ახასიათებს „სხვასთან“ იდენტიფიკაციის (გაიგივების) უნარი. ამ გაიგივებით ქართველი სახეს იცვლის და „სხვად“ გარდაისახება. სხვასთან გაიგივება შესაძლებელია, როცა მსგავსებას აღმოაჩენ შენსა და იმ ობიექტს შორის, რომელთანაც იდენტიფიკაციას ახდენ[73].

ქართველობის განმსაზღვრელი ნიშანი არის და იყო (და, ალბათ, იქნება) „სამი ღვთაებრივი საუნჯე“ – მამული, ენა, სარწმუნოება. როცა „უცხო ტომისა“ და განსხვავებული სარწმუნოების ხალხი შენი მამულის წართმევას ცდილობს, მომხდურთან იდენტიფიკაციის მოხდენა უბრალოდ ძნელია ან კიდევ შეუძლებელი. ზემოთ აღნიშნული ინდივიდუალურობის „მიმნიშნებლები“ ან რაიმე მსგავსების ქონა მომხვდურთან, რაც ამ იდენტიფიკაციას გაადვილებდა, არ არსებობდა უთვალავ თათარ-მონღოლ-თურქთან მიმართებაში. ერთმორწმუნეობის არსებობას კი ქართველი რუსებთან „ნათესაურ“ კავშირად აღიქვამდა, რამაც გაიგივების პროცესს დაუდო საფუძველი.

ამ იდენტიფიკაციის პროცესში ობიექტი, რომელთანაც გაიგივება ხდება, კარ-

---

[70] რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, დაბრუნება, ტ. 3, 1992 წ., გვ. 211.

[71] ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, 1990 წ., გვ. 89.

[72] მ. მამარდაშვილი, 2007 წ.

[73] „ქართველი, რომელიც ყოვლის მხრიდან შებოჭილია, – წერდა მიხაკო წერეთელი, – რომელიც ეროვნული სიცოცხლით არა სცოცხლობს, რასაკვირველია სხვაგან ეძებს თავის რწმენის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ საშუალებასა. მისი აღზრდა რუსულია, ე. ი. უცხოა, რომელიც არა თუ აკავშირებს მას ეროვნულ წარსულთან და კულტურასთან, არამედ სრულიად უწყვეტს მასთან შემაერთებელ ძაფებსა და აზიარებს სხვა, უცხო, რუსულ ანუ ევროპიულ კუტურულ სფეროსთან, – მაგრამ მხოლოდ მახინჯად... ასეთი ზიარება კი ქართველს ვერც ევროპიელად ხდის და ვერც რუსად, თანაც ქართველობას აცლის და ამგვარად იგი რაღაც უცნაურ ტიპად ხდება, სულიერ არარაობად...“. მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა, 1990 წ., გვ. 201.

გავს „უცხოს“, მომხდურის, მტრის თვისებებს, უფრო ზუსტად, იდენტიფიკატორი ითავისებს მის (ობიექტის) თვისებებს. რუსეთი „ჩემიანი“ ხდება, შესაბამისად – აშკარა მტრისადმი სიფხიზლე დუნდება. ძალდატანება მხოლოდ აღრმავებს წინააღმდეგობას თავსმოხვეულისადმი – ხვარაზმის შაჰის ჯალალედინის მიერ ქართველებისთვის ქრისტიანობის უარყოფის მოთხოვნას 100 000 ქართველი შეეწირა, სარწმუნოებაზე და, მაშასადამე, „მეობაზე“ უარის თქმას უმრავლესობამ ცნობიერად სიკვდილი არჩია[74]. ყოველი მათგანისთვის ქრისტიანობა პიროვნულის განმსაზღვრელი მომენტი იყო და პიროვნულზე უარის თქმა ფსიქოლოგიურ სიკვდილს ნიშნავდა, რაც ფიზიკური სიკვდილისკენ ნაბიჯის გადადგმას აიოლებდა. იგივე ძალდატანება, „შენიანისგან“ მომდინარე, შერბილებული თუ გაუკულმართებული ფორმით აღიქმება. რა თქმა უნდა, საუკუნეების მანძილზე თვითგადარჩენისთვის ბრძოლით ფიზიკურად და სულიერად დაღლილი ერს „ერთმორწმუნეში“ ნათესავის დანახვის დიდი სურვილი ჰქონდა და ამ სურვილის აშკარად საწინააღმდეგო რეალობის დანახვა, ბუნებრივია, ძნელი აღმოჩნდა. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთთან გაიგივების პროცესს ისტერიული სურვილის ასრულებაც მოჰყვა – მსოფლიო ასპარეზზე გამოსვლის სურვილის აღსრულება!

რა უნდა ყოფილიყო იმაზე უფრო „მოკლე გზა“ მსოფლიო სცენაზე გამოსვლისა, ვიდრე დედამინის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული სახელმწიფოს სიცოცხლით ცხოვრება და ინტერნაციონალურ მარქსისტულ მოძრაობაში თავქუდმოგლეჯით გადაშვება. რა უფრო ააგზნებდა ქართველს – მსოფლიოსთვის უცნობი და „მიყრუებული“ ქვეყნის ნაბიჯ-ნაბიჯ რუტინული შენება, თუ რუსული სოციალ-დემოკრატიის ავანგარდში ყოფნა და მისი წარმმართველი ძალის შექმნა, რაც მსოფლიო პროცესების ფერხულში გადავარდნას და გარდაუვალის („მარქსისტული“ სამოთხის დამყარება, ერთდროული სოციალისტური რევოლუცია ევროპის ყველა ქვეყანაში და არა მარტო იქ. ჩე გევარას ხსენებაც კი არ იყო, როდესაც 1908 წელს ქართველები („გურჯები“) სპარსეთში რევოლუციის დასახმარებლად გაიჭრნენ) შენებაში წამყვანი როლის შესრულებას ნიშნავდა, რაც იმავდროულად ისტერიული თვითტკბობის უმძაფრესი განცდაც იყო. საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ლორთქიფანიძე აღტაცებული ნერდა: „...ჯერ კიდევ უკანასკნელ რევოლუციამდე და საქართველოს გათავისუფლებამდე ქართველი ხალხი სოციალ-დემოკრატიის მეთაურობით იღებს ამიერკავკასიაში პოლიტიკური გეგემონის როლს. კიდევ მეტი, ქართველი ერი რევოლუციის დროშით ხელში სრულიად რუსეთის სარევოლუციო მოძრაობის სათავეში ექცევა და აქ, მაღალ ტრიბუნაზე, მთელი მსოფლიოს წინაშე ბრწყინვალეთ იჭერს პოლიტიკურ სიმნიფის ეგზამენს“[75]. მართლაც, ქართველი რევოლუციონერების მოღვაწეობა მთელი რუსეთის მასშტაბით სამაგალითო გახდა: იმპერიის სხვადასხვა ადგილებში სამხედრო ორგანიზაციები ქართულის მსგავსად იქმნებოდა, არალეგალური სტამბების შესაქმნელად და პრესის გამოსაცემად ქართველ „სპეციალისტებს“ და მათ გამოცდილებას იყენებდნენ, ტერაქტებსა და ექსპროპრიაციებსაც ხშირად საკუთარი ქვეყნიდან მრავალი ასეული თუ ათასი კილომეტრის დაშორებით ქართველები ახ-

---

[74] 1226 წელს ჯალალედინმა თბილისი აიღო და გაუგონარი სისასტიკით დაიწყო მოსახლეობის ამოულეტა. მან მეტეხის ხიდზე ქრისტესა და ღვთისმშობლის ხატები დაანყობინა, ქრისტიანებს უბრძანა, მაჰმადიანობა ელიარებინათ და ხატები ფეხით გაეთელათ. ვინც ამას არ შეასრულებდა, თავის მოკვეთით ემუქრებოდნენ. მხოლოდ მცირე ნაწილმა მიიღო ეს წინადადება. თვითმხილველთა გადმოცემით, დაახლოებით ასი ათასმა ადამიანმა უარი განაცხადა რჯულის შეცვლასა და სიწმინდის გათელვაზე, რისთვისაც მათ თავი მოკვეთეს და მტკვარში გადაყარეს.

[75] გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, 1995 წ., გვ. 99.

დენდნენ... ახდა ცნობილი გენერალ-მაიორის, მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის წინასწარმეტყველება, რომელიც მან გააჟღერა თბილისში ვორონცოვ-დაშკოვთან შეხვედრისას, რომ საქართველოს რევოლუციური მოძრაობა ტონს აძლევს მთელ რუსეთის იმპერიას. დადგება დრო, როდესაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია რუსეთის რევოლუციის ავანგარდში აღმოჩნდება, რომელიც იმპერატორის ტახტს პირქვე დაამხობს. ამიტომაც, – ამბობდა ალიხანოვ-ავარსკი, – რადაც უნდა დამიჯდეს, ეს მოძრაობა საქართველოში უნდა ჩავახშო და თითოეულ კაცზე ორ-ორი კაზაკი და სამ-სამი ტყვია უნდა ვიანგარიშო.

მსოფლიოს ავანსცენაზე ყოფნა მხოლოდ ქართული თვითმყოფადობის („მეს", სახის) დაკარგვის საფასურად იყო შესაძლებელი, თუ „მე"-ში ილიას გზას, ქართული სახელმწიფოებრიოების განცდას გავითვალისწინებთ. დამონებული და სახელმწიფონართმეული ქართველი მარქსისტები და სოციალისტები მთელი თავდადებით, მუხლჩაუხრელად იბრძოდნენ საერთაშორისო ინტერნაციონალიზმისა და მსოფლიო სოციალიზმის გამარჯვებისათვის, თითქოს თავისუფალი და გაფურჩქნილი ქვეყნის შვილები იყვნენ. საერთოდ, ეს დამახასიათებელი თვისებაა ქართველი კაცისა – უცხო ქვეყნის სამსახურში ჩადგომა და მისთვის თავგანწირვა, როცა თავზე საკუთარი ჭერი გენგრევა. კაკი წერეთლის რეაქციაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე – „ამით თქვენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიას უთხრით ძირსო" – გლობალურიდან კერძოზე, პროვინციულზე, ყველასთვის უცნობ „პატარა" სახელმწიფოში დაბრუნების პანიკური შიშის გამოვლენა იყო, ისტერიელის შიში „გაბრწყინების" საშუალების მოსპობის გამო.

მარქსიზმის შემოსვლამ დააჩქარა კულტურული ტრადიციების რღვევა, მოშალა შინაგანი მორალური მუხრუჭები, შემოიტანა ახალი ღირებულებები, რომლებიც უმაღლეს სათნოებად სოციალისტურ რევოლუციას სახავდნენ და იეზუიტური დოქტრინის – „მიზანი ამართლებს საშუალებას" – პრინციპით ოპერირებდნენ (1891-92 წლებში სამარაში დაწყებული შიმშილობის დროს, როცა მოსახლეობა კატასტროფული სისწრაფით იხოცებოდა, ყველა რადიკალური რევოლუციური ჯგუფი ხელისუფლებას დაუკავშირდა შიმშილობის ერთობლივი ძალებით დაძლევის მიზნით. ერთადერთი რადიკალი, რომელმაც ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე უარი თქვა, სამარაში მცხოვრები ვლადიმერ ულიანოვი იყო. „რაც უარესია, მით უკეთესია" – ამ პრინციპით ამართლებდა მომავალი ბელადი თავის საქციელს).

ავტორიტარული თვითმმართველობის, ანუ მეფის თვითმპყრობელობის, შეცვლის, დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების, ადამიანის ღირსებისა და უფლებების (ძმობა, ერთობა, თავისუფლება) მაქსიმალურად განვითარების ამ კეთილშობილურმა მიზანმა რუსულ-ქართული მარქსიზმის შემთხვევაში მეორე „პლანზე" გადაინია და მარქსიზმი რევოლუციის მოხდენისა და ადამიანის სისხლით ტკბობის საშუალებად იქცა. ეს იყო მარქსისტული იდეოლოგიის მებრძოლი ვერსია – მრისხანე და დაუნდობელი მარქსიზმი[76], მიმართული ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ, რაც მას საკუთარი მიზნების მიღწევაში შეუშლიდა. როდესაც უძველეს ქართულ ჭურჭელში ახალი მარქსისტული ღვინო ჩაასხეს, ღვინომ ეს ჭურჭელი გახეთქა...

---

[76] სტალინი ისტორიასა და ისტორიკოსთა შეფასებებში, 2002 წ., გვ. 57.

ბანალური ტერორი – ილია ნებიერიძის ამბავი

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ისევე, როგორც მთელ რუსეთის იმპერიაში, განურჩევლად ყველა პარტია ახდენდა ტერორისტულ აქტებს, ექსპროპრიაციებს, მკვლელობებს, შეიარაღებულ თავდასხმებს და ძარცვა-გლეჯას სახელმწიფო, კერძო სექტორსა და კერძო პირებზე. ამ შემთხვევაში ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ უბრალო მძარცველებისაგან (ისიც აღსანიშნავია, რომ ამ საქმეებში რევოლუციონერები უპარტიო სისხლის სამართლის დამნაშავეებს, მკვლელებსა და მძარცველებს იყენებდნენ – რევოლუციაში ყველა უნდა გამოვიყენოთო). ნაშოვნ ფულს იდეურ მიზნებსაც ახმარდნენ და საკუთარ თავსაც. ამ მხრივ სოციალ-დემოკრატების ორივე ფრაქცია იყო გამორჩეული, თუმცა ისინი ამაში მუდმივად ერთმანეთს სდებდნენ ბრალს[77]. კავკასიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვთან მიწერილ წერილებში ღრმა შეშფოთებას გამოხატავს და მოჰყავს 1907 წელს მომხდარ დანაშაულთა სტატისტიკური მონაცემები, საიდანაც ჩანს, რომ კავკასიაში მხოლოდ 1907 წელს 3050 ტერორისტული შემთხვევა მოხდა, აქედან 1732 ძარცვა იყო, მოკლულთა რიცხვი 1239-ს შეადგენდა, ხოლო დაჭრილების – 1253-ს. ამავე ცნობებით, მხარეში იზრდებოდა როგორც ნაციონალისტური, ისე საერთო რევოლუციური პროპაგანდა, რომელიც მჭიდრო კავშირშია რევოლუციონერთა ქმედებასთან რუსეთში. ჩადენილი დანაშაულებების მიხედვით გუბერნიებში ადგილები ასე გადანაწილდა: 1) თბილისის, 2) ქუთაისის, 3) ბაქოს, 4) ყუბანის, 5) ერევნის, 6) ელიზავეტოპოლის და ა. შ. [78]

საქართველოში არსებული ტერორისტული აქტივობა რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებში არსებულ სიტუაციას, მაგალითად პოლონეთის მდგომარეობას, რომ შევადაროთ, ერთი თვალში საცემი განსხვავება წარმოგვიდგება: პოლონელი სოციალ-დემოკრატებისა და საზოგადოდ პოლონელების ტერორი მიმართული იყო პოლონეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენისკენ, განსხვავებით ქართველების მიერ ნარმოებული ტერორისა. პოლონელებმა იცოდნენ, რომ ტერორის საშუალებით საკუთარ მიზნებს ბოლომდე ვერ მიაღწევდნენ, მაგრამ ამით ისინი შიშის ატმოსფეროს ბადებდნენ რუსულ ადმინისტრაციაში და ძალადობრივი გზით აიძულებდნენ ზოგიერთ დათმობაზე წასვლას. ტერორისტების მიერ რუსული ადმინისტრაციის წარმომადგენლების დახოცვა პოლონურ საზოგადოებაში დიდი თანაგრძნობითა და ენთუზიაზმით აღიქმებოდა, რადგან ტერორისტები პოლონელების მტრებს ანადგურებდნენ და ამით საკუთარი ქვეყნის განთავისუფლებას და დამოუკიდებლობის აღდგენას უწყობდნენ ხელს.

საქართველოში არსებული იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ „ივერია" ნერდა: „...ისე დღე არ გაივლის, რომ ოცი და ოცდაათი შემთხვევა არ მოხდეს თავ-

---

[77] თ. სიმაშვილი, საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიცია რევოლუციური პარტიების წინააღმდეგ საქართველოში 1894-1908 ნლებში, 2003 ნ., გვ. 50.

[78] Письма П. А. Столыпина. Письмо графу И. И. Воронцову-Дашкову, 1908 г. www.hrono.info/libris/stolypin/stpn_dashk.html.

დასხმისა და მკვლელობისა, არავითარი ფასი და პატივისცემა აღარ აქვს არც საკუთრებას და არც სიცოცხლეს ადამიანისას. ისეთი ოჯახი აღარ არის, რომელსაც უსახელო მუქარის წერილი არ მიეღოს მძარცველთაგან, რომელნიც ფულის მოთხოვნის საბუთად არა იშვიათად სხვა და სხვა პარტიებსა და „კომიტეტებს" ახსენებენ და ადრესატებს ყუმბარისა და ტყვიის მოლოდინით აშინებენ... ეს თავზე ხელაღებული ყაჩაღები, რომელთაც თავი განწირული აქვთ, ქათმის ოდნადაც არ აფასებენ ადამიანის სიცოცხლეს."[79]

1901 წელს ჟანდარმთა პოდპოლკოვნიკი დებილი პოლიციის დეპარტამენტს ატყობინებდა, რომ კრებაზე, რომელიც ორთაჭალაში შედგა, თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წევრებმა მიიღეს დადგენილება: 1) არ დაზოგონ თავიანთი სიცოცხლე საზოგადო საქმისათვის. 2) არ გასცენ ამხანაგები. 3) დახოცონ ჯაშუშები. ამ ბოლო პუნქტს სოციალ-დემოკრატებიც და სხვა პარტიის წარმომადგენელებიც დიდი ენთუზიაზმით ასრულებდნენ. ბოლშევიკების იდეური მამა და წინამძღოლი ვლადიმერ ლენინი ხომ პირდაპირ მოუწოდებდა, რომ ტერორისტული რაზმის წევრებს დაუყოვნებლივ უნდა დაეწყოთ შეიარაღებული თავდასხმები: „...ახლავე შეიარაღდნენ, ვისაც როგორ შეუძლია, რევოლვერით, დანით, ნავთით გაჟღენთილი ჩვრით... ზოგმა ახლავე მოკლას „შპიკი", ააფეთქოს საპოლიციო უბანი, სხვები ბანკს დაესხნენ... ყოველი ჯგუფი გაიწვრთნას თუნდაც გოროდოვოებზე თავდასხმებით..." [80]

ამ ტაქტიკის შედეგად ყველაზე მეტი დანაკარგი გოროდოვოებმა (Городовой – რუს. ქალაქის პოლიციელი), ღამის დარაჯებმა და მეეზოვეებმა განიცადეს – მათ დღისით-მზისით, თავხედურად, ხშირად ყოველგვარი მიზეზის გარეშე ხოცავდნენ, ანუ სუსტებს ურტყამდნენ, ძლიერებს რომ შეშინებოდათ. დარაჯები და მეეზოვეები XIX საუკუნის ბოლოდან პოლიციაში ირიცხებოდნენ, ხელფასი ეძლეოდათ და მათ მოვალეობაში შედიოდა თვალყურის დევნება უკანონო განცხადებების, აფიშების, პროკლამაციების გამკვრელებისთვის, ასევე სახლის ბინადრებისთვის, რომ მათ პოლიტიკური დევნილი არ შეეფარებინათ ან კრებები არ ჩაეტარებინათ. თბილისის პოლიცმეისტერმა ბრძანებაც კი გამოსცა, რომ სახლის მეპატრონეებს თვალსაჩინო ადგილას გამოეკიდათ ყველა მდგმურის გვარები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პასუხისგებაში იქნებოდნენ მიცემული. ყველა კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ – იქნებოდა ეს მიტინგი, შეკრება და სხვა – მეეზოვეებს და დარაჯებს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინათ პოლიციისთვის და შეესრულებინათ პოლიციელების ნებისმიერი მოთხოვნა. 1902 წლის 12 იანვარს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტმა გამოუშვა მონოდება, სადაც ე. წ. მეეზოვეების ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით ნათქვამია: „...რა არის მეეზოვე რუსეთის ქალაქში? – ეს არის ყველა მობინადრეების ბატონი, და არა მარტო მობინადრეებისა, სახლის პატრონისაც... ვის იცავს მეეზოვე? თქვენ მოსისხლე მტერს – თვითმპყრობელ მთავრობას, მის ბატონობას, თვითნებობას, მის უკონტროლო მოქმედებას, ხალხის ძარცვას..." [81] ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მეეზოვეები და გოროდოვოები ტერორისტებს მიზანში ჰყავდათ ამოღებული, მათზე გახშირებული იყო თავდასხმები, რასაც გაზეთებიდან და არქივებიდან ამოკრებილი მასალებიც ცხადყოფს:

„Русское слово" (1905 წ. 27 აპრილი): „ერთ ეზოში იპოვეს სისხლში მოსვრილი თავის ქალის ნაფლეთები და ქუდი მეეზოვის ნიშნით. ეს მეეზოვე წინადღით საღამოს დაიკარგა სახლიდან. ვერც გვამი, ვერც მკვლელი ჯერ ვერ აღმოაჩინეს".

---

[79] „ივერია", 1906 წ., 14.

[80] Ленин. Сочинения, 1929 წ., ტ. 8, გვ. 326.

[81] გ. გიორგაძე, თვითმპყრობელობა და რევოლუცია, 1929 წ., გვ. 218.

„...ერთხელ ჯაშუშ მეეზოვესთან ჩხუბი მომივიდა. ხმა რომ ავუმაღლე, უეცრივ მესმის: „დასცხე, კოტე, არ შეუშინდე ეგენი ჟანდარმერიის ნაგეში ქოფაკები არიანო. ახე არ დამენახა, მაგრამ ხმაზე უკვე ვიცანი, რომ ეს სოსო (ჯუღაშვილი) იყო"[82].

„Кавказъ" (1905 წ. 6 ივნისი): „საღამოს რვის ნახევარზე სადგურის მოედანზე რევოლვერის ტყვიით მოკლეს მეეზოვე მათე ფედოსეევი, 21 წლისა. მკვლელი ივანე ანთაძე შეიპყრეს".

„ლამპარი" (1906 წ., №2): „გუშინწინ, 18 აპრილს, საღამოს 6 საათზე თუმანოვის მესამე ქუჩაზე, საკუთარ სახლში მოკლეს გრიგოლ ქართველიშვილი. როგორც ამბობენ, ქართველიშვილს პოლიციის აგენტობას აბრალებდნენო".

„Кавказъ" (1905 წ. 25 ივნისი): „ავლაბარში მძიმედ დასჭრეს ზურგში უბნის ზედამხედველი ილინი. იქ მყოფმა ყაზახმა თავი მოკვეთა მკვლელს. ამის შემდეგ ასტყდა სროლა ყაზახებსა და ავლაბრის მცხოვრებთ შორის. სროლის დროს მოკლული იქნა საექიმო კურსებ დამთავრებული ქალი ო. ი. შხანოვისა".

ხელისუფლების დაბალი რანგის მოხელეებისადმი რევოლუციონერების დამოკიდებულება, ცოტა არ იყოს და, დამცინავი და აბუჩად ამგდებიც იყო. ერთ ღამეს ქუთაისში (ამბავი ხდება 1906 წელს) გოროდოვი გიორგი კუჭავასთან კაზაკისა და არტილერისტის ფორმაში ჩაცმული ორი უცნობი მივიდა და ერთი მანეთი მოსთხოვა, ნინააღმდეგ შემთხვევაში იარაღის წართმევით დაემუქრა. კუჭავამ კატეგორიული უარი განაცხადა, მაშინ უცნობებმა სთხოვეს, ეჩვენებინა რომელიმე ცუდად დაცული მაღაზია, რაზეც კუჭავამ სასტვენით პოლიციელები მოიხმო. უცნობებმა სასტვენი წაართვეს და გაიქცნენ. ცოტა ხანში გოროდოვი გერასიმე ბანძელაძესთან, აღწერის მიხედვით, იგივე ადამიანები მივიდნენ, გაუბეს საუბარი, იარაღი წაართვეს და გაუჩინარდნენ[83]. იყო შემთხვევებიც, როცა პოსტზე მდგარ პოლიციელს ევაჭრებოდნენ – დიდ ფულს მოგცემთ და იარაღი მოგვყიდეო.

1905 წლის ოქტომბერსა და 1906 წლის აპრილს შორის რუსეთის იმპერიაში ტერორისტების მიერ მოკლული და დაჭრილი შინაგან საქმეთა სამინისტროს 671 თანამშრომლისაგან მხოლოდ 13-ს ეკავა რაიმე ადმინისტრაციული თანამდებობა, დანარჩენები უბრალო პოლიციელები, მეეზოვეები და დარაჯები და ა. შ. იყვნენ. ისინი ყველანი ფორმაში იყვნენ გამოწყობილი, რაც უკვე საკმარისი იყო, რომ ტერორისტებს მათზე იერიში მიეტანათ, როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე.

ტერორისტული სულისკვეთებით გაჟღენთილი თვალსაჩინო მაგალითებია გამოქვეყნებული ჟურნალ „რევოლუციის მატიანეში", რომელიც თბილისში 1923-31 წლებში გამოდიოდა. გამოცემაში იბეჭდებოდა ცნობილი ქართველი და ხანდახან რუსი ბოლშევიკების სტატიები და წერილები. ცენზურის ნაკლებობის თუ უყურადღებობის გამო, ან იმდროინდელ სიტუაციაში ტერორის გამართლების მცდელობად წარმართული კამპანიის გამო (ეს ყველაზე დამაჯერებლად და მართებულად მიგვაჩნია) წერილები ღია ტექსტით იბეჭდებოდა, ანუ ავტორი შეუზღუდავად და დაუფარავად გადმოსცემდა თავისი ბიოგრაფიის თუ უახლესი რევოლუციური ისტორიის ყველა ფაქტს. აი, ზუსტად ერთი ასეთი პუბლიკაციაა „ტერორისტის მოგონებანი", რომელიც ვინმე ილია ნებიერიძემ დაწერა[84]. ავტორი იმდროინდელი „ჩვეულებრივი" ტერორისტის განზოგადოებულ პორტრეტს გვიხატავს და საკმაოდ გულწრფელად და დანვრილებით გადმოსცემს მის ყოველდღიურ, „რუტინულ" საქმიანობას. ვფიქრობთ,

---

82 კოტე ჩარკვიანი, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, ნაწილი 1, საქმე №54, გვ. 199.

83 სცსსა ფონდი 83, აღწერილობა 1, საქმე 198.

84 „რევოლუციის მატიანე", №2 (22), 1929 წ.

ამგვარი თხრობა ზუსტად გადმოგვცემს ტერორისტის და საზოგადოების ინდიფერენტულ დამოკიდებულებას კაცის კვლის საზარელი ყოველდღიურობისადმი.

„...1901 წლიდან ვმსახურობდი რკინის გზის მთავარ სახელოსნოს სარონოდო განყოფილებაში. მაშინ 18 წლისა ვიყავი. ამავე სარონოდო სააღმშენებლო განყოფილებაში გავიცანი სტეფანე ზაქრაძე, ზაქრო ჩოდრიშვილი, გიორგი სტურუა... მალე ამირჩიეს ათისთავად და პარტიულ გადასახადს ვაგროვებდი. გარდა ამისა მავალებდნენ დაფარული კრებისათვის ოთახის შოვნას, რომელიც მეტი წილი ჩემ ოთახში ხდებოდა, აგრეთვე დავალებული მქონდა არალეგალური ბროშურების (პროკლამაციის) დანაწილება და დარიგება მთელ სარონოდო ცეხში და აგრეთვე სტოლიარის ცეხშიც.

1903 წ. სტეფანე ზაქრაძემ და გიორგი სტურუამ დამავალეს მომეკლა სარონოდო განყოფილებაში მომუშავე მექვაბე განჩაროვი, როგორც მუშათა კლასისთვის მავნე პიროვნება (საინტერესოა, ვინ დაადგინა ბედკრული გონჩაროვის „მავნებლობა“, უფრო მოსალოდნელია ვიფიქროთ, რომ ვინმეს პიროვნული წყენის მსხვერპლი გახდა. იმდროინდელ რეალობაში ხშირი იყო ტერაქტები, რომელსაც უფრო პირადული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე იდეური საფუძველი. კლავდნენ მევალეებს, სასწავლებლიდან ან სამსახურიდან დათხოვნილები – დირექტორებს და უფროსებს, მაღაზიების მეპატრონეებს, რომელთაც ნისიად საქონელი არ მისცეს და კიდევ მრავალი სხვა მიზეზის გამო. ყველაზე სავალალო კი ის იყო, რომ ეს დანაშაულებანი საზოგადოების თვალში აღიქმებოდა, როგორც პოლიტიკური ტერაქტი – ი. მ., ლ. ხ.). ამ აქტის შესრულება ვიკისრე, რისთვისაც ზაქრაძემ მომცა რევოლვერი (ბრაუნინგი). ეს იყო ჩემი პირველი გასვლა ტერორისტულ ასპარეზზე. როცა განჩაროვი სამუშაოთ მიდიოდა სარონოდო განყოფილებაში, დავხვდი და ვესროლე, დავჭერი მძიმედ მუხლში, რის შემდეგ უვარგისი შეიქმნა მუშაობისათვის, მე კი თავს ვუშველე. ჩემს მაგივრად დაიჭირეს პარმენ სვანიძე, რომელიც რამდენიმე თვის ციხეში ჯდომის შემდეგ სასამართლომ გაამართლა.

ამის შემდეგ ტიხონა სანაძის ხელმძღვანელობით შესდგა ტერორისტთა ჯგუფი. 1903 წელს სტეფანე ზაქრაძის და ზაქარია ჩოდრიშვილის დავალებით მძიმეთ დავჭერი სამორიგო ოთახში ბრიგადირი სამსონ გამყრელიძე, როგორც მავნებელი მუშათა კლასისა. გამყრელიძე მორჩა ჭრილობისაგან და ამის შემდეგ ემხრობოდა მუშათა მოძრაობას“.

ამ ტერაქტებს იმდროინდელი პრესა ეხმიანებოდა. „Кавказъ“ (1905 წ. 12 იანვარი): „დაახლოებით დილის 6 საათზე მოკვლის განზრახვით დასჭრეს ამიერკავკასიის რკინის გზების მთავარ სახელოსნოს რონოდების ამქრის ბრიგადირი სამსონ გამყრელიძე. ბოროტმზრახველმა ორი ტყვია ესროლა მას. ერთი მათგანი მოხვდა დაზარალებულს მარცხენა ბეჭში, მეორე ტყვია კი მოხვდა სახელოსნოს ფანჯრის ჩარჩოს. დაჭრილი გამყრელიძე გაიგზავნა რკინის გზის საავადმყოფოში... ბოროტმზრახველი მიიმალა“.

კვლავ ნებიერიძეს დავუბრუნდეთ: „ამავე 1903 წელს სანაძის ხელმძღვანელობით მოვკალით დურგალი ეზეფოვიჩი, როგორც მავნებელი მუშათა კლასისა. ამავე წელს მე და ტიხონა სანაძე დაუხვდით ნაძალადევში რკინის გზის ეკლესიიდან მომავალ ლიანდაგის მუშების უფროსს და სროლა აუტეხეთ, მაგრამ მან თავს უშველა და თავის საცხოვრებელ ოთახში შევარდა. მეორე დღეს მუშებმა გადმოგვცეს, რომ პალტო დახვრეტილი ჰქონდაო და თვითონ კი უვნებლად გადარჩენილიყო. მიზეზი ამისა კი ის იყო, რომ ტანზე სცმოდა ჩაჩქანი, ამის შემდეგ მუშებს კარგათ ეპყრობოდა.

1903 წელს მოხდა საპირველმაისო დემონსტრაცია, სადაც ეხლა მუშათა სასახლეა. ავწიეთ წითელი დროშა, რისთვისაც ყაზახებთან და პოლიციასთან შეტაკება მოგვიხდა. ამხ. სტეფანე ზაქრაძემ და სტეპკო პარეკუსაძემ აღმოაჩინეს ჯაშუში მამულაშვილი, რომელიც იყო მოთავსებული ნაძალადევში ილიკო ხავთასის სახლში. ბევრი კითხვაძიების შემდეგ საბუთების მიხედვითაც თვითონაც გამოტყდა... ჯაშუში მამულაშვილი ყელ-გამოჭრილი დავაგდეთ დეპოს ამოსასვლელ გზაზედ ბაკების წინ შუაღამისას...

1904 წ. ჩვენ ტერორისტთა ჯგუფში მივიღეთ ნიკოლეიშვილი. ამავე წელს ს. ზაქრაძემ გამოგვიცხადა სახელოსნოს უფროსი ხელოსნის პავლოვის მოკვლა... ამ აქტის შესრულება იკისრა ამხ. ნიკოლეიშვილმა. მე კი მცველად გავყე. დაუხვდით მომავალს სამსახურში თავის სახელოსნოს კანტორის ახლოს, სადაც მიეპარა ნიკოლეიშვილი და ესროლა რევოლვერი. ტყვიამ თავის კანი გადასნვა, თვითონ პავლოვმა კი იმავე წამში სროლითვე უპასუხა, რომლითაც მუცელში დაჭრა მსუბუქათ ამხ. ნიკოლეიშვილი. მოინდომა მისი დაჭერა, ეხმარებოდნენ მაშინდელი პატრიოტი მუშები. მე აღარ დავაცალე, ვიძრე რევოლვერი და შეუტიე, ისინი თავზარდაცემულნი გაიქცნენ. ამ შემთხვევით ისარგებლა პავლოვმა და გაიქცა თავის კანტორაში. შემდეგ მსუბუქათ დაჭრილი ნიკოლეიშვილი სახელოსნოდან გამოვიყვანე და სოფელში გავგზავნეთ. პავლოვი თუმცა გვიცნობდა ორთავეს, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო არ გაგვცა".

ამონარიდი გაზეთიდან „Русское слово" (1905 წ. 28 მარტი): „გუშინ, საღამოს 8 საათზე, რევოლვერის ტყვიით საკუთარ მაღაზიაში მოკლეს საშაქარლამოს პატრონი ალიხანოვი. მკვლელნი, ორი ახალგაზრდა ადგილობრივი მცხოვრები, შეიპყრეს".

ნებიერიძე: „1904 წელს მთავარ სახელოსნოს წარმომადგენელები გიორგი თათუზოვმა დაგვიბარა მე და ამხ. სანაძე დიდუბეში ივავის საცხოვრებელში[85]. სტეფანე ზაქრაძის თანხმობით ნავედით თათუზოვთან, სადაც დაგვიხვდა თბილისის კონდიტერების წარმომადგენელი... გადაწყდა საკონდიტროს პატრონის ალიხანოვის მოკვლა. საკონდიტრო იყო ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ნავედით მეორე დღეს

---

[85] გიორგი თათუზოვი „აქტიურ ბოლშევიკად" ითვლებოდა. ის ჟანდარმერიის მიერ განსაკუთრებით საშიშ პიროვნებად იყო მიჩნეული. თათუზოვი რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული, მაგრამ თავის დაღნევას ყოველთვის ახერხებდა. 1906 წელს ის ისევ დააპატიმრეს, ჩხრეკისას კი სახლში ბომბები უპოვეს. თავისუფლების სანაცვლოდ მან ჯაშუშობა იკისრა. როგორც ამბობენ, ავლაბრის საიდუმლო სტამბა მისი გაცემულია. გადაწყდა მისი მოკვლა. მან უკვე იცოდა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ და ამიტომ რევოლვერით შეიარაღებული დადიოდა. 1906 წლის ერთ დღეს, როცა თათუზოვი ქუჩაში მიდიოდა, მას ტერორისტმა გარსო მამაცაშვილმა ზურგში იარაღი დაახალა. სიკვდილის წინ თათუზოვმაც მოასწრო გასროლა და შემთხვეევითი გამელელი ფეხში დაჭრა. საინტერესოა მამაცაშვილის ისტორიაც: ისინი სამნი ძმანი იყვნენ, სამივე ტერორისტი, რომლებიც ერთ დროს ვანო („ტურა") მაისურაძის წითელ რაზმში იყვნენ გაერთიანებული. ძმები მონაწილეობას იღებდნენ ტერაქტებსა და ექსპროპრიაციებში – მაგალითად, კაჭრეთში ერთი თვის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილას თბილისიდან მომავალი საფოსტო ეტლი ორჯერ გაძარცვეს. ამ ფულით შეიძინეს იარაღი, რომელიც მთაწმინდის გორაზე დამალეს. ასევე გაისტუმრეს საგარეჯოელი ვაჭრებისა და თერძების ვალი. იქამდე ისინი ნისიად იღებდნენ ყველაფერს მაისურაძისა და ქართლ-კახეთის წითელრაზმელთა გაერთიანებული შტაბის უფროსის ვანო ალიხანაშვილის (გურულის) ხათრით, რადგან „...ბევრი ჩვენი ამხანაგი ტიტველი და ფეხშიშველი იყო და ბოლო დროს ჩვენ შინაურების სახლებიდგან საჭმელ პურსაც აღარ გვაძლევდნენ – ნადით და „ერთობის პარტიამ გაჭამოთ პურიო". ვანო ალიხანაშვილი, შსსსს ფონდი 93, აღწერილობა 2, საქმე 1153, ფურცელი 11. ერთხელ მამაცაშვილების უმცროს ძმას გრიშას და მის ამხანაგს ჩარკვიანა ოფიცერ ტემნიკოვის მოკვლა დაავალეს. ტერორისტებმა ტემნიკოვს ესროლეს, მაგრამ ააცილეს. პოლიციამ ორივე დააპატიმრა და კაზაკებისა და ოფიცერ იმნაძის თანხლებით მეტეხის ციხეში გადაგზავნა. როდესაც ციხის კარებთან მივიდნენ, გაქცევის ბრალდებით იმნაძემ ორივე ტერორისტი მოკლა. გარსომ გადაწყვიტა, შური ეძია და შესაფერის მომენტს ელოდებოდა (იმნაძის ძმაც პოლიციაში მსახურობდა). 1907 ნლის გაზაფხულის ერთ დილას გრიბოედოვის ქუჩაზე გარსომ რევოლვერიდან გასროლით ერთ-ერთი ძმა მოკლა. როგორც კი მეორე იმნაძემ ძმის დაღუპვის ამბავი გაიგო, ეტლში ჩაჯდა და მიცვალებულის სანახავად მიხეილის საავადმყოფოში გაემგზავრა. ვორონცოვის ძეგლთან გარსომ ეტლს ბომბი ესროლა. თვითმხილველების გადმოცემით, იმნაძის სხეულის ნაჭრებს ცოცხით აგროვებდნენ. ასე გაისტუმრა საიქიოს გარსო მამაცაშვილმა ორი საათის განმავლობაში ორივე ძმა. იმავე წელს გარსო სხვა ტერორისტებთან ერთად თავს დაესხა შავრაზმელ ცალხელა პიორიშკინს. მას რანდენიმე ყუმბარა ესროლეს, მაგრამ პიორიშკინი სასნაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. პოლიციელებმა გარსო ფეხში დაჭრეს და შეიპყრეს. სამხედრო სასამართლომ მას ჩამოხრჩობა მიუსაჯა და 1908 წელს გარსო მამაცაშვილი, „ძალიან ჩუმი კაცი", რომელიც „არ გავდა ზოგიერთ ტრაბახა ტერორისტებს", მეტეხის ციხეში ჩამოახრჩვეს. „რევოლუციის მატიანე", 1924 წ., 4-5.

ოთხი ამხანაგი: მე, ტიხონა სანაძე, ნიკოლეიშვილი და ნოე თევზაძე. მივუახლოვდით თუ არა ვორონცოვის ძეგლს, დაგვიხვდენ ცხენოსანი ყაზახები, რომლებიც ყარაულობდნენ ალიხანოვს, რადგანაც მუქარის წერილი მიეღო... მესამე დღეს... მე შევედი საკონდიტროში, შემდეგ შემოვიდა ამხ. თევზაძე. ესროლა ალიხანოვს, იგი სასიკვდილოდ დაიჭრა, თევზაძე მაშინვე გარეთ გავარდა. სროლა მოუხდა პოლიციელებთან. ნიკოლეიშვილმა უღალატა და დაიმალა. მე კი დავრჩი ალიხანოვთან, რადგანაც იმ შემთხვევაში შეუძლებელი იყო გარეთ გამოსვლა. მერე ვიდროვე და გამოვიპარე გარეთ. თევზაძე და ნიკოლეიშვილი დაიჭირეს, უკანასკნელი გაიქცა, რის შემდეგ ჩვენც დაგვიჭირეს. ვიჯექი ოთხი თვე ნახევარი ციხეში".

ამონარიდი გაზეთიდან „Русское слово" (1905 წ. 4 აგვისტო): „სამხედრო-საოლქო სასამართლოში გაირჩა თევზაძის, ნიდიერიძის (ნებიერიძის – ი. მ., ლ. ხ.), სინაძის (სანაძის – ი. მ., ლ. ხ.) და ნიკოლეიშვილის საქმე, რომელთაც ბრალად ედებათ საშაქარლამოს პატრონის ალიხანოვის მოკვლა... სასამართლოს განაჩენით 17 წლის თევზაძეს და 20 წლის ნიკოლეიშვილს მიესაჯათ ჩამოხრჩობა. ნიდიერიძე და სინაძე სასამართლომ გაამართლა. სასამართლომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მეფის მოადგილის წინაშე სასჯელის შემსუბუქების შესახებ. ბრალდებულებმა სრული სიმშვიდით მოისმინეს სასიკვდილო განაჩენი".

კვლავ ნებიერიძე: „1904 წელს შევადგინეთ ტერორისტთა პატარა ჯგუფი სტეფანე ზაქრაძის ხელმძღვანელობით. ზაქრაძემ განმიცხადა მოკვლა მთავარ სახელოსნოში მომუშავე მჭედელ კრავჩენკოსი, როგორც ჯაშუშისა... მცველად გამომყვა ამხ. ტალახაძე. დაუხვდით რკინის გზის საავადმყოფოს წინა ქუჩაზედ. მივეპარე ჯაშუშ კრავჩენკოს, ვიძრე რევოლვერი, დავაცემინე ერთი, მივაყოლე მეორე, მაგრამ გამიცრუვდა. რევოლვერმა მიღალატა, არ გავარდა. მაშინათვე მომიბრუნდა და სროლა დამინყო ჯაშუშმა და თან ყვიროდა დაიჭირეთო. ამ დროს კი ამხ. ტალახაძემ მიღალატა და გაიქცა დიდუბისაკენ. მე შევარდი რკინის გზის სააავადმყოფოს ეზოში, სადაც დამიხვდენ მოსამსახურენი (სტოროჟები), მათ განიზრახეს ჩემი დაჭერა. მე მაშინვე ვიძრე რევოლვერი და შევუტიე სტოროჟებს, ისინი თავზარდაცემულნი გაიქცნენ... თავს ვუშველე. კრავჩენკო ერთი კვირის შემდეგ ზაქრაძემ და სტეფანე ჯიქიძემ მოკლეს რკინის გზის საავადმყოფოს ასავლელ კიბეზე. ამის შემდეგ მე და ამხ. ტალახაძე წავედით მთავარ სახელოსნოს დურგალის იანას მოსაკლავათ... დავუხდით ნაძალადევში, მას მიეპარა ტალახაძე და სროლა დაუწყო, მაგრამ არც ერთი არ გავარდა, რევოლვერმა უღალატა. მე... ვესროლე რევოლვერი, რითაც დავჭერი...

1905 წელს საერთო გაფიცვებში აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი შტრეიკ-ბრეხერების წინააღმდეგ, რათა სამუშაოთ არ გაგვეშვა. 1906 წელს ჯაშუში დაშკოვსკი მოკლეს ნაძალადევში იურიევის ქუჩაზე ცალ მკლავას სარდაფის წინ. ამ დროს მოვარდა სახარატოში მომუშავე ხულიგნების ტერორისტთა წამქეზებელი სკოკოვი და ცეცხლი წაუკიდა სარდაფს. მთლად გადაინვა შენობა, რადგან არავის მისცეს ჩაქრობის უფლება".

მომდევნო წლებში ნებიერიძე ისევ მონაწილეობდა ტერორისტულ აქტებში – მოკლეს დეპოს მემანქანე ჯაბოვი, დაჭრეს გოროდოვოი იოსები, 1908 წელს მოკლეს მეეზოვე, პოლიციის ჯაშუში, ნებიერიძის მაგივრად კი თედორე სოხაძე და ზაქარია დვალი დაიჭირეს და ციმბირში გადაასახლეს.

„...1908 წელს გაჩნდა მძარცველთა ჯგუფი ნაძალადევში, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა მცხოვრებლებს და თბილისში მოსიარულე მეურმე გლეხკაცებს. ამ მძარცველთა ჯგუფმა მოკლა მთავარი სახელოსნოს მუშა ზეინკალი პეტრე ფთაძე. ეს იყო უდანაშაულო მუშა, ხალხის წინაშე მოკლა მძარცველთა ჯგუფის ხელმძღვანელმა სანდრო ჯავახიშვილმა... მაშინ მივაგენი მძარცველების ხელმძღვანელს...

რომელიც ლაშქარაშვილის დახმარებით სიკვდილს გადურჩა – თუმცა მსუბუქათ დავჭერი ტყვიით, მაშინ კი გაჯავრებულმა მძარცველთა ჯგუფმა განიზრახეს ჩემი და ლადიკო ბატონოსაშვილის მოკვლა, მაგრამ ვერ მოახერხეს...

გლეხობა გვთხოვდა გიორგი ამილახვარის მოკვლას. ვიკისრეთ აქტის შესრულება და ნავედით თბილისიდან სამი ამხანაგით ჩემის ხელმძღვანელობით... და თან წავიყვანეთ ვანო ნავროზაშვილი. სუყველა ამხანაგები ვიყავით საუკეთესო იარაღით შეიარაღებული; ამ დროს იყვენ ჩემთან ამხ. სანდრო ჯიქურაშვილი და დათა მიქაძე. როდესაც მივედით სოფელ მოხისში, მაშინათვე ჩაუსაფრდით მოხისიდან სოფელ ხაშურზე გადმოსასვლელ გზაზე გიორგი ამილახვარს მოსაკლავათ, სამი დღე და ღამე ვყარაულობდით, მაგრამ ჩვენი ცდა უშედეგოთ დამთავრდა, რადგანაც ამილახვარისთვის გაეგებინებინა გლეხს ჩვენი განზრახვა, რისთვისაც გ. ამილახვარი წასულიყო მეორე გზით ს. ხაშურში". ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა – ამილახვარი გააფრთხილესო – „ასე უშლიდა ზოგიერთი ჯაშუში გლეხი ტერორისტების განზრახვას", – დანანებით წერს ნებიერიძე. ეს შემთხვევა კარგი მაგალითია იმისა, თუ რა ადვილად ხდებოდა ტერორის ინიცირება, როგორ იოლად შეეძლო „გლეხობის წარმომადგენელს" ან ნებისმიერს, მოეთხოვა ვინმეს დასჯა, ადამიანისთვის სიკვდილის განაჩენის გამოტანას აბსურდულად ზედაპირული გამართლება მოეძებნა („გლეხებს წყალს არ აძლევდა... ჩემს ხარს სახრე გადაუჭირა უმიზეზოდ")...

დასასრულ, ისევ ნებიერიძეს დავუბრუნდეთ: როგორც ირკვევა, ის 1917 წლამდე აგრძელებდა პარტიული დავალებების შესრულებას. წერილს ტერორისტი ასე ამთავრებს: „...ამდენმა ბრძოლამ თვითმპყრობელ ჯალათების წინააღმდეგ იქონია გავლენა და ყურთა სმენა დამაკლდა, მაგრამ დღესაც მზათ ვარ დავიცვა მტრისაგან საბჭოთა სახელმწიფო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე". ავტობიოგრაფიული ჩანაწერების გამოქვეყნებისას უკვე სახელმწიფოს ჰქონდა აღებული ტერორის განმახორციელებლის ფუნქცია, ნებიერიძისნაირი „ყურთასმენადაკლებული" ნაბრძოლი ტერორისტების ვარგისიანობის დრო კი წარსულს ჩაბარდა.

შემობრუნების წერტილი – რევოლუციონერი ტერორისტის ხატის ჩამოყალიბება

1881 წლის 1 მარტს ყმათა განმათავისუფლებელმა, რეფორმატორმა ალექსანდრე II-მ მოიწონა შინაგან საქმეთა მინისტრის და ჟანდარმთა შეფის, თბილისელი მიხეილ ლორის-მელიქოვის[86] მიერ შემუშავებული ლიბერალური პროექტი დროებითი სათათბირო კომისიების შექმნის შესახებ, რომელიც იმპერიაში მდგომარეობის გაუმჯობესება-დაწყნარებისაკენ იყო მიმართული. სწორედ ტერორმა აიძულა ხელისუფლება, ამ სახის დათმობებზე წასულიყო. ლორის-მელიქოვის ამ პროექტს ბევრი კონსტუტუციას უნოდებდა, რომლის განხილვა 16 მარტს იყო დანიშნული. მაგრამ მის განხორციელებას ბედი არ ეწერა: იმავე დღეს (პირველ მარტს) ალექსანდრე II ტერორისტებმა მოკლეს. მისი მკვლელობის დეტალები არაორდინალურია – როცა ტერორისტმა რისაკოვმა იმპერატორის ეტლს პირველი ყუმბარა ესროლა, მას არაფერი დაშავებია, თუმცა რამდენიმე შემთხვევითი გამვლელი, მათ შორის 14 წლის ბიჭი, დაიღუპა. რისაკოვი მაშინვე დაიჭირეს. იმპერატორი კარეტიდან გადმოვიდა, დაკავებულთან მივიდა და ვინაობა და ჩინი იკითხა. რისაკოვმა გამოგონილი სახელი უთხრა, რაზეც ალექსანდრე II-მ თქვა: „Хорош!". შემდეგ იმპერატორი არხის პარაპეტთან მივიდა. ამ დროს მცველებისთვის შეუმჩნევლად დარჩენილმა მეორე ტერორისტმა გრინევიცკიმ ყუმბარა ააფეთქა, რის შედეგადაც მეფეც და ბომბისტიც სასიკვდილოდ დაიჭრნენ და იმავე დღეს გარდაიცვალნენ[87].

ალექსანდრე II-ის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, XIX საუკუნის სამოციან წლებში, რუსეთში პიკს მიაღწია რევოლუციური პათოსის განვითარებამ. რევოლუციური ციებ-ცხელებით განიმსჭვალა თითქმის ყველა ფენა (ჯარის ჩათვლით), გარდა გლეხობისა და ფორმირებადი პროლეტარიატისა. იმავდროულად, პოლონეთის აჯანყების სისხლიანი ჩახშობის ფონზე, ახალ საფეხურზე ადის რუსული შოვინიზმი, რაც ევროპული მატერიალიზმის საპირისპიროდ რუსული მესიანიზმის ნაცნობი თემების წამოწევაში გამოიხატება. პარალელურად მიმდინარეობდა სასამართლო და სამხედრო რეფორმები. ალექსანდრე II-ის მთავრობა, უაღრესად ჩამორჩენილი რუსეთის პირობებში, ყმების ემანსიპაციასთან ერთად (რომელმაც საზოგადოების ყველა ფენაში უკმაყოფილება გამოიწვია) ევროპული ინსტიტუტების სტრუქტურების შემოტანას ცდილობდა. „ახალი რუსი" – რადიკალი რევოლუციონერი (ინტელიგენციის უმრავლესობა რადიკალიზმისკენ იხრება) შიშობს, რომ ამ ზედაპირულმა

---

86 „ოინბაზი, ლაქათაა, გრძლად გალეული მელია, ბაზრის ბიჭად გაჩენილა, ეხლა ქვეყნის მმართველია..." – წერდა მის შესახებ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი კი ამბობდა: „ჯარასავით დატრიალდა ჩვენი კინტო მიხაკუა, სასახლეში კარისკაცებს ყველას ერთად...", ა. წერეთელი, 1950 წ., ტ. II, გვ. 24-25.

87 ქართული ინტელიგენციის ნაწილი მიესალმა მეფის მოკვლას. ამის ერთ-ერთი დასტურია აკაკი წერეთლის ლექსი „გაზაფხული", რომელიც გაზეთ „დროებაში" იმავე წლის 3 მარტს დაიბეჭდა. პოეტი ერთ მოგონებაში წერდა: „1 მარტს რომ ხემწიფე იმპერატორი მოკლეს, 3-ს ჩემი ლექსი გამოვიდა... კინაღამ ციმბირში ამომაყოფინეს თავი... სტაროსელსკი, მაშინდელი ნამესტნიკის კანცელარიის უფროსი, რომ არ გამომსარჩლებოდა...", ა. წერეთელი, 1950 წ., ტომი II, გვ. 453.

დემოკრატიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს გლეხობის მატერიალურად მომძლავრება, ევროპულის მსგავსი საშუალო ფენის განვითარება და ამით რუსეთი რევოლუციისგან „გაიძარცვოს". როგორც ადამ ულამი წერდა, რევოლუცია ფსიქოლოგიური აუცილებლობა ხდება და არა მიზნის მიღნევის საშუალება.

ალექსანდრე II-ის მკვლელობის გამო კონსტიტუციური ყრილობის დაფუძნება და, საერთოდ, დემოკრატიული ცვლილებების განვითარება 25 წლით გადაიდო. დაიწყო იმპერატორ ალექსანდრე III-ის რეაქციული წლები, რომელიც არ შენელებულა მისი მეფობის მთელ პერიოდში. „ნაროდნაია ვოლია" თითქმის მთლიანად იქნა დაპატიმრებული და განადგურებული.

ზოგადად რუსული ინტელიგენცია ერთგვარი სიმპათიით იყო განწყობილი ტერორისტი რევოლუციონერისადმი. სიმპათიას იწვევდა ის, რომ ტერორისტი თავგადადებულია, რისკავს საკუთარ სიცოცხლეს ხალხის ბედნიერებისთვის, წამებულის შარავანდედს იდგამს („ჯოჯოხეთის მანქანას გავიკეთებ ტანსაცმლის ქვეშით, როგორმე ვინახულებ მინისტრს, ავფეთქდები, დავლუპავ მას, მეც დავიღუპები!" – ამბობდა თურმე „მუდამ მოძრავი რევოლუციონერი" კამო). ის ინტელიგენციაში საკუთარი უსუსურობის შეგრძნებით აღძრულ სინდისის ქეჯნას აღვივებდა.

ალექსანდრე III-ის რეაქციული მეფობიდან მოყოლებული რუსული ინტელიგენციის სიმპათია ტერორისტი რევოლუციონერისადმი უფრო გაიზარდა. ჩამოყალიბდა რევოლუციონერი ტერორისტის ახალი ტიპი – ბანდიტისა და ექსტრემისტის ერთგვარი ნაზავი, გათავისუფლებული ყოველგვარი მორალური ტვირთისაგან, რომლის კონტურებიც პირველად 1862 წელს 19 წლის პეტრე ზაიჩნევსკის მიერ დაწერილ პროკლამაციაში გამოიკვეთა, რომელიც საბჭოთა ისტორიკოსებმა პირველ ბოლშევიკურ სტატიად მონათლეს. „რევოლუცია, რომელსაც ეშინია წინ წასვლის, რევოლუცია არ არის," – წერდა ავტორი და რუსული იაკობინიზმის აუცილებლობას ღაღადებდა: უმცირესობა მალე მოახდენს რევოლუციას, გადატრიალებას და შემდეგ უმრავლესობის საკუთარ აზრზე გადაყვანას დაიწყებს[88]. ხელისუფლების სათავეში მოსვლა აუცილებელი, „პროფილაქტიკური" ტერორით გაგრძელდება, რათა უმცირესობის დიქტატურის დამყარებას ხელი შეეწყოს. „...ჩვენ არ შეგვეშინდება, – წერს ავტორი, – თუ დავინახავთ, რომ დღევანდელი რეჟიმის ჩამოსაგდებად სამჯერ მეტი სისხლი დაიღვრება, ვიდრე ფრანგმა იაკობინელებმა დაღვარეს..." და მოუწოდებდა გაშლილი დროშით, რომელსაც ანერია „გაუმარჯოს რუსეთის სოციალურ და დემოკრატიულ რესპუბლიკას!" ზამთრის სასახლეზე იერიშისკენ და იქ მყოფთა, ანუ რომანოვების, პირნმინდად განადგურებისკენ[89]. ზაიჩნევსკის სენტენცია – „გახსოვდეს, ვინც ჩვენთან ერთად არ იქნება, ის ჩვენი მოწინააღმდეგეა, ის ჩვენი მტერია, მტრები კი ყველა ხერხით უნდა გაანადგურო" – ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებში საკმაოდ პოპულარული გამოდგა და ბოლშევიკების აგრესიულ რევოლუციურ პროპაგანდას და მრნამსს ეხმიანებოდა.

რუსული იაკობინიზმი კიდევ უფრო პათოლოგიურ მიმართულებას იღებს სერგეი ნეჩაევის ნაშრომებში. აი, ამონაწერი მისი „რევოლუციონერის კატეხიზისიდან", რომელსაც მან საფუძვლად ლოზუნგი „მიზანი ამართლებს საშუალებებს" დაუდო: „...რევოლუციონერი განწირული პიროვნებაა. მას არ აქვს პიროვნული ინტერესი, არ გააჩნია ემოცია, სხვებისადმი ერთგულება, ქონება და სახელი. მასში ყველაფერი შთანთქმულია რევულუციის მოხდენის ერთადერთ აზრსა და ვნებაში. რევოლუ-

---

88 W. Laqueur. History of Terorism. 2001 წ., გვ. 30.

89 Yarmolinsky. Road to Revolution: A Century of Russian Radicalism, 1956 წ.

ციონერს ეზიზღება ყველანაირი დოქტრინა და მეცნიერება, ის მეცნიერებას მომავალ თაობებს გადაულოცავს. მან მარტო ერთი მეცნიერება იცის – ნგრევის მეცნიერება. მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნით სწავლობს ის ქიმიას, ფიზიკას, მექანიკას და შესაძლოა მედიცინასაც... იგი ზიზღით არის განმსჭვალული არსებული სოციალური ზნეობის ყოველგვარი გამოვლინებისადმი. მისთვის ზნეობაა ყველაფერი, რაც რევოლუციის ტრიუმფს ეხმარება... დაუნდობელი საკუთარი თავისადმი, ის დაუნდობელია სხვისადმიც. ყველა ნაზი და სათუთი გრძნობა – მეგობრობა, ნათესაობა, მადლიერება და ღირსებაც კი მასში უნდა შეიცვალოს რევოლუციისადმი მიზანდასახულ ვნებით. მისთვის არსებობს მხოლოდ ერთი სიამოვნება, ერთადერთი ჯილდო, კმაყოფილება – რევოლუციის წარმატება... ჩვენი ამოცანაა, მოვახდინოთ საშინელი, მთლიანი, უნივერსალური და ულმობელი ნგრევა..." [90]

ამ გამონათქვამების ავტორი, რომელიც საკუთარ თავს ტერორისტს უწოდებდა, თავად ცხოვრობდა იმ მოძღვრებით, რასაც ქადაგებდა. მოსკოვში მან მცირერიცხოვანი რევოლუციური ჯგუფი „ნაროდნაია რასპრავა" (Народная Расправа – რუს. სახალხო სასჯელი) შექმნა. მისი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ეჭვქვეშ აყენებდა ლიდერის ზოგიერთ ფანტასტიკურ დოქტრინას. ნეჩაევმა დაარწმუნა ჯგუფის დანარჩენი წევრები, რომ „ამრევი" აგენტი-პროვოკატორი იყო. ჯგუფმა „პროვოკატორი" სიცოცხლეს გამოასალმა. ნეჩაევი მეფის პოლიციას საზღვარგარეთ გაექცა, თავი პეტრე-პავლეს ციხიდან გაქცეულ რევოლუციონერად გაასაღა და ბაკუნინთან დაიწყო თანამშრომლობა. მათ ერთად დაწერეს „კატეხიზისი". მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროპელმა სოციალისტებმა ამგვარ კრიმინალთან ურთიერთობისთვის ბაკუნინის გაკიცხვა დაიწყეს, ბაკუნინმა უარყო თანაავტორი, კატეხიზისს „აბრაგების კატეხიზისი" უწოდა, ნეჩაევის შესახებ კი თქვა: „ის საშიში ფანატიკოსია, მისი ქმედებები კი საძაგელი". საბოლოოდ, მეფის მთავრობამ მოახერხა ნეჩაევის რუსეთში ექსტრადირება. პირადად მეფის მითითებით (ბრძანების ტექსტში საგულდაგულოდ იყო გამოყოფილი სიტყვა „სამუდამოდ"), ის პეტრე-პავლეს ციხის ცალკე საკანში მოათავსეს. მან მოინდომა გაქცევა, თავის მხარეზე გადაიბირა შეიარაღებული დაცვა, მაგრამ გაუგეს და ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა. ნეჩაევი 1882 წელს პეტერბურგის საპყრობილეში გარდაიცვალა (ნეჩაევის ჯგუფის აქტიური და თვალსაჩინო წევრი იყო ცნობილი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. პირველად ის კარაკოზოვის მიერ 1866 წელს 4 აპრილს ალექსანდრე II-ზე უშედეგო თავდასხმის გამო დააპატიმრეს, იმ ბრალდებით, რომ მან იცოდა და არ გათქვა ამ ტერორისტული აქტის შესახებ. კარაკოზოვი ჩამოახრჩვეს, ჩერქეზიშვილი კი რვა თვით ჩასვეს ციხეში. გათავისუფლების შემდეგ ის ნეჩაევის „რასპრავას" უერთდება, მაგრამ ჯგუფის ჩავარდნის შემდეგ გამართულ გახმაურებულ პროცესზე მას ხუთი წლით გადასახლება მიუსაჯეს. ჩერქეზიშვილმა თითქმის მთელი ცხოვრება საზღვარგარეთ გაატარა, სადაც ინტენსიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა რევოლუციურ პარტიებთან და პრაქტიკულ და პუბლიცისტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა).

„ძალმომრეობის საკითხი, მეტაფიზიკური, ზნეობრივი, პირადული, საზოგადოებრივი, ყველა რევოლუციის დროს წარმოშობილა, მაგრამ არც ერთში არ გაშიშვლებულა მისი რელიგიური მნიშვნელობა ისეთი სიცხადით, ისეთი მტკივნეული სიმწვავით, როგორითაც რუსულში", – წერდა რუსი მწერალი დიმიტრი მერეჟკოვსკი ესეში, რომელიც ცნობილი რუსი ტერორისტის, ბორის სავინკოვის ნაწარმოებს „Конь бледный" ეხება[91]. მერეჟკოვსკი თვლიდა, რომ რუსულ ფსიქიკაში აქცენტი სიკვდილის

[90] http://www.uoregon.edu/~kimball/Nqv.catechism.thm.htm

[91] Д. Мережковский, Больная Россия, 1991 ნ., გვ. 128.

სიყვარულზეა გადატანილი – ადამიანის სულიერი სიკვდილი აუცილებელია მისი სულიერი აღორძინებისთვის. ამ აზრს ეთანხმება მერაბ მამარდაშვილიც: „...რუს ხალხს რაღაცნაირად დარღვეული აქვს ის ფენომენი, რასაც ჰქვია სიცოცხლის სიყვარული ან სიცოცხლის გემო. მათგან განსხვავებით ქართველებს... შერყეული და დარღვეული არა გვაქვს ფუნდამენტალური ურთიერთობა სიცოცხლესთან, როგორც ფენომენთან. ის ოდნავ შელახული კია, მაგრამ მისი საძირკველი ფუნდამენტში საღია, რუსეთში კი თითქოს მოჯადოებულნი არიან სიკვდილით, თითქოს ეჩოთირებათ სიცოცხლე... ეს არის ერთ-ერთი წინამძღვარი იმისა, რომ რუსეთის სივრცეში ტოტალიტარიზმა გაიმარჯვა...“ [92]

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში თვითმკვლელობამ ნამდვილი ეპიდემიის სახე მიიღო, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ბევრი ამას ნიკოლოზის შემდგომ ლიბერალურ ხანას აბრალებს, როცა ოდნავი თავისუფლების ნაკადი შემოიჭრა საზოგადოებაში; ცხოვრება სწრაფად იცვლებოდა, ძველი ყოფა ინგრეოდა, იქმნებოდა ახალი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ახალი კანონები, პატრიარქალური ტრადიციული ყოფა იცვლებოდა და საზოგადოების დიდმა ნაწილმა უეცარი სოციალურ-ქონებრივი გარდაქმნა განიცადა. სწრაფმა ინდუსტრიალიზაციამ და ჩამორჩენილმა პოლიტიკურმა სისტემამ ერთიანობაში სხვადასხვა წოდების უამრავი ადამიანი დატოვა უფუნქციოდ. თვითმკვლელობის, ამ „დამღუპველი სენის“, რუსულ საზოგადოებაში შეტანას ტრადიციულად უცხოურ ზეგავლენასაც აბრალებდნენ. 70-80-იანი წლების სუიციდური აღმავლობა არც ბუმი ყოფილა და არც მოდა, არამედ, როგორც გრიგორი ჩხარტიშვილი აღნიშნავს, „ტენდენცია, რომელიც არ შემწყდარა რევოლუციამდე“. თვითმკვლელობა ნორმად იქცა და საზოგადოებაში ის წინანდებურად შოკს აღარ იწვევდა ისევე, როგორც XX საუკუნის დასაწყისში განხორციელებული ტერაქტები ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ამბად აღიქმებოდა.

ფრანგი იაკობინელების სისხლიან ტერორით ნასაზრდოები „ძალმომრეობის მეტაფიზიკა“ რუსულ საზოგადოებაში ნეჩაევის მიერ აღწერილ რევოლუციონერ-ტერორისტის ხატში დაილექა. ვერა ზასულიჩი, რომელმაც ტრეპოვი საკუთარ მისაღებში რევოლვერით დაჭრა (ზასულიჩს იაკობინელთა კლუბის თავმჯდომარე ჟან პოლ მარატის მკვლელს, შარლოტა დე კორდეს ადარებდნენ), ნაფიცმა მსაჯულებმა მოსამართლე კონის დიდი მხარდაჭერით გაამართლეს, რამაც მთელი რუსი ინტელიგენციის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ეს ტერორისტების მისამართით საზოგადოების მხრიდან ჩადენილი შემწყნარებლური პოლიტიკური აქტიც იყო და იმ ჩაგდებული თესლის გამოხატულებაც, რომ საზოგადოების გადარჩენა (სულიერიც და ფიზიკურიც) მხოლოდ ძალმომრეობაზე გადის. პირველ „რევოლვერიან ქალს“ სასჯელის მაგივრად ინდულგენცია არგუნეს, ამან ხელ-ფეხი გაუხსნა მომავალ ტერორისტებს და ალექსანდრე II-ის მკვლელობასთან ერთად დასაბამი დაუდო ძალადობის კულტურას – დიდ რუსულ ტერორს.

პოლიტიკური ტერორის ახალი ტალღის საწყისად მიჩნეულია 1901 წელი, როცა პეტრე კარპოვიჩმა სახალხო განათლების მინისტრი ბოგოლეპოვი მოკლა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამ ტერაქტის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ მან აღასრულა ის წინასწარმეტყველება, რომელსაც ბევრი რევოლუციური მოღვაწე გამოთქვამდა: ნარმატებულად ნასროლი პირველი ბომბი ტერორის დროშის ქვეშ შემოიკრებს ათასობით თანამოაზრეს და მაშინ რევოლუციაში ფული წყალივით წამოვა[93].

ტერორისტების დიდ ნაწილს შედაგენდნენ ძლიერი სულის, ფანატიკოსი ადა-

---

[92] მ. მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე, 1992 წ., გვ. 20.

[93] А. Гейфман. Революционный террор в России 1894-1917. 1997 г., გვ. 27.

მიანები, დღევანდელი ტერმინოლოგიით, ბოევიკები, რომლებიც იდეის გულისთვის მზად იყვნენ, საკუთარი სიცოცხლე სამსხვერპლოზე მიეტანათ. იმდროინდელ საზოგადოებაზე ტერაქტები ნამდვილად დიდ ეფექტს ახდენდა: სატახტო ქალაქის ცენტრში მეფის მოკვლა, აფეთქება ზამთრის სასახლეში, დღისით-მზისით მინისტრების განადგურება – ეს ყველაფერი ხელს უწყობდა ტერორისტი რევოლუციონერის გმირული ხატის შექმნას, ამიტომაც ბევრი ახალგაზრდა, განსაკუთრებით სტუდენტური წრეებიდან, რევოლუციური ტერორის რომანტიკით ინთებოდა, საკუთარი კერპების მსგავსად იწყებდა ფიქრსა და აზროვნებას. საგმირო საქმეების კეთების სურვილი მათ არნახული სისატიკის ქმედებების ჩადენისკენ უბიძგებდათ (მსგავსი რამ ხდებოდა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ საქართველოში, სადაც „...ფანატიკოსმა რევოლუციონერებმა, რომლებიც ბრძოლის საშუალებად ტერორს იყენებდნენ, და თვით თავსაც არ ზოგავდნენ, არ ერიდებოდნენ არც დევნას მთავრობის მიერ, არც ციმბირს და კატორღას, არც სახრჩობელას, შექმნეს ძლიერი კადრები თავგანწირულ პროპაგანდისტთა და დარაზმეს საქართველოში ხალხი...“ [94]

1901 წლიდან 1911 წლის ჩათვლით რუსეთის იმპერიაში რევოლუციური ტერორის მსხვერპლი შეიქნა დაახლოებით 17 ათასი ადამიანი, ამათგან 9 ათასი 1905-07 წლების რევოლუციის პერიოდზე მოდის. 1907 წელს ძალადობრივი სიკვდილით დღეში საშუალოდ 18 ადამიანი იღუპებოდა. პოლიციის ცნობების თანახმად, მარტო 1905 წლის თებერვლიდან 1906 წლის მაისის ჩათვლით მოკლულ იქნა 8 გუბერნატორი და ქალაქისთავი, 5 ვიცე-გუბერნატორი და საგუბერნიო მმართველობის მრჩეველი, 21 პოლიცმეისტერი, მაზრის უფროსი და ისპრავნიკი, ჟანდარმერიის 8 ოფიცერი, 4 გენერალი, 7 ოფიცერი, 79 პრისტავი და მისი თანაშემწე, 346 გოროდოვოი, 57 ურიადნიკი, 257 სტრაჟნიკი, ჟანდარმერიის 55 დაბალი ჩინოსანი, სამღვდელოების 12 წარმომადგენელი, 29 ბანკირი და მსხვილი მეწარმე და ა. შ. [95]

ამ სტატისტიკის შემყურე უნებურად გაიხსენებ გამოთქმას, რომელსაც იოსებ სტალინს უკავშირებენ: „ერთი სიკვდილი ტრაგედიაა, მილიონი კი – სტატისტიკა“. ხაზი უნდა გაესვას, რომ ამ სტატისტიკაში საქართველო უკვე არათუ მოიაზრებოდა, არამედ მის შექმნაში ერთ-ერთ მთავარ როლსაც თამაშობდა. თუკი ქვეყანა XIX საუკუნის ტერორს, მთელი მისი განტოტებებით, ფსიქოლოგიური და ზნეობრივი შინაგანი ბრძოლით, ასცდა, XX საუკუნიდან უკვე თავდავიწყებით გადაეშვა სისხლის მორევში, ძალიან მალე ლიდერის როლში აღმოჩნდა და რუსეთის იმპერიაში საყოველთაო დაბნეულობისა და შიშის ატმოსფეროს, ზნეობრივი და პოლიტიკური ანარქიის დასადგურებაში არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშა.

კატასტროფული მდგომარეობის გამოსნორების მიზნით მეფე ნიკოლოზ II-მ 1905 წლის 17 ოქტომბერს ხელი მოანერა მანიფესტს „სახელმწიფოებრივი წესრიგის სრულყოფის შესახებ“. ამ დოკუმენტის თანახმად, რომელიც წერტილს უსვამდა აბსოლუტურ მონარქიას, ხალხს ენიჭებოდა „სამოქალაქო თავისუფლების ძირითადი გარანტიები“. რევოლუციონერებმა ეს მანიფესტი მთავრობის მხრიდან უკანდახევის გამოვლინებად აღიქვეს და არსებული წესწყობილების ძირფესვიანად მოსპობის მიზნით მთელი ძალებით შეტევაზე გადავიდნენ. ტერორისტები ზურგიდან ესხმოდნენ კაზაკებსა და ჯარისკაცებს, ესროდნენ ბომბებს. ეს კი იმ განზრახვით ხდებოდა, რომ საპასუხო ცეცხლი გამოეწვიათ, რათა სროლის დროს უდანაშაულო ხალხი დაღუპულიყო (რაც მეტი, მით უკეთესი). ეს კი გამოინვევდა ხელისუფლების სანინააღმდეგო

---

[94] მ. ნერეთელი, ერი და კაცობრიობა, 1990 წ., გვ. 293-294.

[95] Wikipedia, Революция 1905-1907 годов в России.

აღშფოთებას და სახალხო გამოსვლებს. ტყუილად არ უწოდა გრაფმა სერგეი ვიტემ იმდროინდელ რუსეთის იმპერიას „უზარმაზარი საგიჟეთი"[96].

ამ სიტუაციისაგან არავინ იყო დაცული, არც უცხოელები, მათ შორის დიპლომატიური ნრეების ნარმომადგენლებიც. 1906 წლის შვიდ მაისს ბათუმში ამერიკელი კონსული უილიამ სტიუარტი მოკლეს. მკვლელები მალევე შეიპყრეს. თუმცა ამ მკვლელობას პოლიტიკური სარჩული არ ჰქონდა, კონსული ძარცვის დროს შემოაკვდათ, მაგრამ ეს იმდროინდელი არანორმალური სიტუაციის გამოძახილი იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ტერორისტთა შემოტევით შეშინებულ მთავრობის მაღალჩინოსნებს უსაფრთხოების მიზნით პოლიცია იცავდა. ერთი კორესპონდენტი წერდა, რომ სანამ სტოლიპინთან შეუშვებდნენ, მსხვილი რკინის ჯაჭვებით დაკეტილი სამი კარის გავლა მოუხდა, სადაც დაცვა ყველას გულმოდგინედ ჩხრეკდა. დერეფანში კი საიდუმლო პოლიციის იმდენი აგენტი იდგა, რომ მათი გვერდის ავლა საკმაოდ გასძნელებია[97].

კავკასიაში ყველაზე მეტი ტერორისტული აქტი 1905 წელს თბილისში მოხდა. ტერორისტ სერაპიონ ლომიძის თქმით, „...1903-1905 წლების ბოლომდე ტერორი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, განსაკუთრებით 1905 წელში, ვინც ცოტათი ხელს უშლიდა სოციალისტურ მოძრაობას, იმის წინააღმდეგ ყველა რევოლუციონური პარტია ტერორს მიმართავდა"[98].

საქართველოში არნახული მასშტაბის ტერორისტული აქტივობის მთავარ მიზეზებად ფილიპე მახარაძე რამდენიმე ფაქტს ასახელებს: 1) კაზაკების მეტისმეტი თავაშვებულობა. 2) ხულიგნების, ანუ რუს-პატრიოტების, შავრაზმული გამოსვლები, რომელთაც ვორონცოვ-დაშკოვი იარაღით ამარაგებდა. 3) გახშირებული ჩხრეკა-დაჭერა[99]. რა თქმა უნდა, ამგვარი დასკვნა ამ ავტორისთვის დამახასიათებელი სიბეცესთან მიახლოებული სიმარტივის გამოხატულება უფროა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრაქცია, როგორც აღნიშნული იყო, ბევრად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ბრძოლის ფორმებითა და მეთოდებით. ისიც საგულისხმოა, რომ პარტიის წევრები ხშირად თავს უბრალოდ სოციალ-დემოკრატებს უწოდებდნენ, ამრიგად, ძნელია იმის დადგენა, რომელი ფრაქცია ახდენდა ტერორისტულ აქტებს ან ექსპროპრიაციებს. თუმცა კავკასიაში, და კერძოდ საქართველოში, ყველაზე უფრო დიდი გავლენა მენშევიკებს ჰქონდათ. რუსეთის იმპერიის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ისინი ყველაზე უფრო ხშირად იღებდნენ მონაწილეობას პოლიტიკურ მკვლელობებსა და ექსპროპრიაციებში. ანა გეიფმანის აზრით, ეს დაკავშირებულია ადგილობრივ ტრადიციებთან, როგორიცაა სისხლის აღების უძველესი ჩვეულება, ამიტომაც ძალადობა საქართველოში ჩვეულებრივი ამბად მოიაზრებოდაო. სოციალისტ-რევოლუციონერებმა, იგივე ესერებმა, სისხლის ტბები დააყენეს რუსეთში, მათი ტერაქტები და მკვლელობები განსაკუთრებული სისასტიკითა და დაუნდობლობით

---

96 მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მწერალი ერნსტ იუნგერი, რომელიც საკუთარ შთაბეჭდილებებს დღიურებში გადმოსცემდა, რუსი პარტიზანების შესახებ წერდა: „...ამ ხალხში იღვიძებენ 1905 წლის ძველი ნიჰილისტები, რა თქმა უნდა, განსხვავებულ სიტუაციებში. მაგრამ იგივე საშუალებანი, იგივე ამოცანები, ცხოვრების იგივე სტილი, მხოლოდ ასაფეთქებელი მონყობილობებით მათ სახელმნიფო ამარაგებს". П. Крусанов. Действующая модель ада. Очерки о терроризме и террористах, 2004 ნ. gurnal. ru oct oct_krusanov.htm

97 „მწყემსი", 1907 ნ., №1-2.

98 „რევოლუციის მატიანე", 1924 ნ., №4-5, გვ. 105.

99 ფ. მახარაძე, 1905 წელი ამიერ-კავკასიაში, 1932 ნ., გვ. 214.

გამოირჩეოდა; ისიც ცნობილია, რომ ამ პარტიაში უმთავრესად რუსები და ებრაელები ირიცხებოდნენ, მაშინ იბადება კითხვა: ამ შემთხვევაში რომელ ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან გვაქვს საქმე? იქნებ ამას მამარდაშვილის შეფასება მიესადაგება, როცა ის ამბობს, რომ რუს ხალხს რაღაცნაირად დარღვეული აქვს ის ფენომენი, რომელსაც სიცოცხლის სიყვარული, სიცოცხლის გემო ჰქვია?

ტერაქტები ხდებოდა უმიზეზოდ და ყოველნაირი პროვოკაციისა თუ საჭიროების გარეშე, იმიტომ რომ თვითმპყრობელობის სამსახურში მყოფი ადამიანების განადგურება მოდაში იყო. დაპყრობილ ქვეყნებში ტერორისტული აქტი ხშირად მართლდებოდა და მართლდება, როგორც თავდაცვის აქტი. „ყველა ჩვენი ორგანიზაცია უარყოფდა ტერორს, როგორც ცარიზმის დამხობის ბრძოლის მეთოდს, როგორც ეს გაიაზრებოდა რუსი ნაროდნიკების მიერ, – წერდა გრიშა ურატაძე, – ჩვენი შეხედულებით ერთი კარგი დემონსტრაცია უფრო გვაახლოებდა ჩვენ მიზანთან, ვიდრე რამდენიმე მინისტრის მკვლელობა. მაგრამ როგორც თავდაცვის საშუალება, ყველა ჩვენი ორგანიზაცია მიმართავდა მას (ტერორს)"[100]. ახლა კი მის იდეურ მონინააღმდეგეს ბოლშევიკ-ტერორისტს კოტე (ალიპი) ცინცაძეს მოვუსმინოთ: „...სახელმწიფო „ექსები" და ხანდახან ტერორისტული აქტებიც პარტიზანული ომის ნაწილია, რომელსაც ერთგვარი დეზორგანიზაცია შეაქვს მთავრობის მექანიზმში"[101].

900-იანი წლების დასაწყისში, როცა რევაზ გაბაშვილი სიღნაღის მაზრაში იმყოფებოდა, მასთან კბილებამდე შეიარაღებული ორი ტერორისტი მივიდა. კითხვაზე, თუ ვინ იყვნენ და რა უნდოდათ, მათ უპასუხეს, რომ ისინი სოციალ-დემოკრატებმა გამოგზავნეს ტერორისტული აქტის მოსახდენად; მიუხედავად იმისა, რომ სიღნაღის მაზრა (მაზრის უფროსი, სასამართლო და სხვა სახელმწიფო ორგანოები) მაშინ ფედერალისტების კომიტეტის ხელში იყო და ისინი სიტუაციას უტეროროდაც ფლობდნენ. „...სწორედ მაგიტომ, რომ მარტო სიღნაღის მაზრაში არ მომხდარა არც ერთი ტერორი და მშვიდობიანობაა, ჩვენ გამოგვგზავნეს". გაბაშვილმა და კომიტეტის სხვა წევრებმა ძლივს დააჯერეს „სისხლს მონყურებული" ტერორისტები, რომ სიღნაღის მაზრას ტერორი არ სჭირდება. „მივეცით საგზაო ფული და თელავში გავისტუმრეთ. „იქნება იქა სჭირდებათ და იქ წაბრძანდით..." [102]

მუდმივმა ტერორისტულმა შემოტევამ საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე შედეგი გამოიღო: მთავრობის აპარატი მოიშალა, დაფუძნდა დემონსტრაციების, გაფიცვებისა და მიტინგების და პრესის თავისუფლება. ქუჩის სრულ ბატონპატრონებად სოციალ-დემოკრატები იქცნენ. „თბილისში მოისპო ცარცვა-გლეჯა, ლოთობა, ჯიბგირობა, მთავრობის გაქრობასთან ერთად გაქრა უნესრიგობა"[103].

---

[100] Г. Уратадзе. Воспоминания грузинского социал-демократа, 1968 ნ., გვ. 130.

[101] კ. ცინცაძე, როგორ ვიბრძოდით პროლეტარიატის დიქტატურისათვის, 1927 ნ., გვ. 42.

[102] რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, დაბრუნება, ტ. 3, 1992 ნ., გვ. 62-63.
*თბილისის „ოხრანკის" ცნობით, 1908 წელს „მუშათა ორგანიზაციის წევრებმა გადაწყვიტეს ტერორის გაკეთება პოლიციის და „ოხრანკის" ჩინოსნების წინააღმდეგ, ამისთვის ისინი უთვალთვალებდნენ ამ უწყებების თანამშრომლებს და შემდეგ მათზე მიუთითებდნენ ტერორისტებს. თ. სიმაშვილი, საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიცია რევოლუციური პარტიების წინააღმდეგ საქართველოში 1894-1908 წლებში, 2003 ნ., გვ. 138. ცნობილი მუშა-რევოლუციონერი მიხა ჩოდრიშვილი და მისი მეუღლე მელანია ყველანაირ რევოლუციურ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, გამონაკლისი არც ჯაშუშებისთვის თვალყურის დევნება იყო. თბილისის „ოხრანკის" უფროსი 1905 წლის 22 თებერვლით დათარიღებულ წერილში იუწყებოდა, რომ ერთხელ, როდესაც ჩოდრიშვილის მეუღლე ვიღაც უცნობთან ერთად ქუჩაში მიდიოდა, მელანიამ „ოხრანკის" ერთ თანამშრომელზე მიუთითა: „აი, ეს შპიონია, ეს ქალბატონი კი ამ საქმეს ახლა სწავლობს". სცსსა ფონდი 83, აღნერილობა 1, საქმე 311.

[103] ვ. მგელაძე, მოგონებები, 1972 ნ., გვ. 104.

უნესრიგობა გაქრა, მაგრამ მის მაგივრად რევოლუციური თავაშვებულობა დამკვიდრდა. კაცის კვლამ ორგანიზებული ხასიათი მიიღო. საინტერესოა აგენტების მიერ აღწერილი ტერორისტების ერთი შეხვედრა „ნახალოვკის" ბაღში 1906 წელს. შეხვედრის ყველა მონაწილე „ტუზემცურ" ტანსაცმელში იყო ჩაცმული და სახე შავი ნახევარნილბებით ჰქონდა დაფარული. განხილვის მთავარი საგანი რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის დირექტორისა და ინსპექტორის მოკვლა იყო, რაც ხმათა უმრავლესობით დადებითად გადაწყდა. შემდეგ შეთანხმდნენ, ჩაეტარებინათ კენჭისყრა, თუ ვის უნდა რგებოდა მაღალი ღირსება მკვლელობის მოხდენისა. მაგრამ კენჭისყრამდე საქმე არ მისულა: ერთმა ქართველმა, იმავე სასწავლებლის მოწაფემ, გამოთქვა სურვილი ამ ტერაქტის ჩატარებისა. ეს ინიციატივა მოიწონეს და მას „სმიტ ვესონის" სისტემის რევოლვერი გადასცეს[104].

აი კიდევ ერთი მაგალითი, თუ როგორ იქცეოდნენ „წესრიგის" მოყვარული რევოლუციონერები. „ოხრანკის" თანამშრომლის, ივან მიროშნიკოვის დასმენით პრისტავმა გურგენიძემ აგიტატორი ზაქრო ჩიჩუა დააპატიმრა და პოლიციის განყოფილებაში მიიყვანა. მალე პოლიციაში სოციალ-დემოკრატების რამდენიმე წარმომადგენელი მივიდა და სიკვდილის მუქარით ჩიჩუას გათავისუფლება მოითხოვა. პრისტავი უარზე დადგა, თუმცა მრავალჯერადი მუქარისა და დაშინების შედეგად ჩიჩუა გაათავისუფლა, მაგრამ მიანიშნა, რომ საჭიროა მოწმე მიროშნიკოვის თავიდან მოშორება. მართლაც, როცა ცოტა ხნის შემდეგ მოწმე პოლიციიდან ქუჩაში გამოვიდა, ის სტეპკო ბორიანცმა ხანჯლით მოკლა. სულ მალე მკვლელიც გაასაღეს[105]. 1905 წლის 25 ნოემბერს თბილისის „ოხრანკის" უფროსი კავკასიის პოლიციის გამგეს სნერდა: „იმის გამო, რომ თბილისის ქუჩები სოციალ-დემოკრატი მენშევიკების ორგანიზაციის ხელშია, პოლიციის ხელისუფლება ფაქტობრივად მოსპობილია. სოციალ-დემოკრატმა მილიციონერებმა დაიწყეს დევნა ფილერებისა (მეთვალყურე აგენტების) და „ოხრანკის" განყოფილება არის დარბევის საშიშროების წინაშე. ამიტომ მე მოვხსენი ყოველგვარი მეთვალყურეობა ტერორისტებზე"[106] (საჭიროების შემთხვევაში მთელი ქალაქი ერთიანად იფიცებოდა, წყდებოდა ვაჭრობა, დუქნები და მაღაზიები იკეტებოდა. „დაიწყო ნოქრების გაფიცვა... აქაური ურჩი ვაჭრების მაღაზიების ვიტრინებიც ჩაიმტვრა, რაშიაც მეც, 13-14 წლის ყმაწვილიც, ვიღებდი მონაწილეობას... ერთხელ მნარედ გამამათრახა ბოქაულმა სკვერთან პუშკინის ქუჩაზე. ჩემი გალახვის ადგილას რამდენიმე დღის შემდეგ მოკლეს იგი ვიღაც ტერორისტებმა. კონკის ლიანდაგზე იყო გაშხლართული გასისხლიანებული ზორბა ტანის პოლიციელი. ამის ნახვაზე სიხარულისაგან ცას ვეწიე"[107]).

საქმე იქამდე მივიდა, რომ, როდესაც თბილისში სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა დაიწყო (1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერი), მთავრობის განკარგულებით სოციალ-დემოკრატებს იარაღი დაურიგდათ, რათა ისინი შუაში ჩამდგარიყვნენ და სისხლისღვრა აღეკვეთათ. ამ საქმეს სილიბისტრო ჯიბლაძე ხელმძღვანელობდა. მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანებით, სოციალ-დემოკრატებს გადაეცათ ბერდანის სისტემის 500 თოფი (რომელთაგან ნახევარი უვარგისი აღმოჩნდა) და 40 ათასი პატრონა. ეს იარაღი, ხელწერილის საფუძველზე, (მთავრობის გადმოსახე-

---

104 სცსსა ფონდი 83, აღწერილობა 1, საქმე 201.

105 სცსსა ფონდი 83, აღწერილობა 1, საქმე 199.

106 თ. სიმაშვილი, საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიცია რევოლუციური პარტიების წინააღმდეგ საქართველოში 1894-1908 წლებში, 2003 წ., გვ. 128.

107 თ. შავიშვილი, მეფის კატორღა, 1970 წ., გვ. 22.

დიდან) ყველაზე ზომიერ სოციალ-დემოკრატს, ისიდორე რამიშვილს ჩააბარეს. ეს იყო პირველი და ერთადერთი შემთხვევა რუსეთის იმპერიის ისტორიაში, როდესაც მთავრობამ საკუთარი ხელით გადასცა იარაღი რევოლუციურ ორგანიზაციას, რომელიც ყოველნაირად ძირს უთხრიდა და ებრძოდა მას (ნიკოლოზ II უკმაყოფილო იყო საკუთარი მეფისნაცვლის მოქმედებებით, რაც მან ვორონცოვ-დაშკოვისადმი გაგზავნილ დაშიფრულ დეპეშაში გამოთქვა: „იუსტიციის მინისტრმა მომახსენა, რომ თქვენ დართეთ ნება, რევოლუციონერებისათვის, რომელთაც პოლიციის მაგივრად ქალაქის დაცვა იკისრეს, დაერიგებინათ ხუთასი შაშხანა... მე არ მსურს დავიჯერო ეს წარმოუდგენელი ცნობა"). იმ პერიოდში თბილისის ქუჩებიდან პოლიციელები გაქრნენ, უმოქმედოდ იდგნენ ჯარის ნაწილები და ქალაქის დაცვა ფაქტობრივად მუშათა ორგანიზაციების ხელში გადავიდა. როგორც კი თათრებსა და სომხებს შორის შეტაკებები ჩაცხრა, მთავრობამ იარაღი უკან მოითხოვა. ამის გამო დიდი დავა ატყდა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის, მენშევიკები იარაღის დაბრუნების მომხრე იყვნენ, რამიშვილი აცხადებდა, მე მთავრობას პატიოსანი სიტყვა მივეციო (ვორონცოვ-დაშკოვის მეუღლე რამიშვილის შესახებ, რომელიც ერთხელ მეფისნაცვალთან იყო სტუმრად და მასთან ერთად ჩაის მიირთმევდა, ამბობდა: ადამიანები ასეთი სუფთა თვალებით არ იტყუებიან)[108]. საბოლოოდ უკან მხოლოდ 250 თოფი დააბრუნეს. სხვათა შორის, ერთ-ერთი მათგანი, ვინც იარაღი არ დააბრუნა, კამო ტერ-პეტროსიანი იყო.

„სუფთა თვალებით" და რევოლუციური შემართებით სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ტერორს, „როგორც ბრძოლის მეთოდს", უარყოფდა, მალე ტერორისტულ აქტივობას საკუთარი ბიუროკრატიული აპარატის დაქვემდებარებაში აქცევს. სოც.-დეკების პარტიიდან გარიცხული და განაწყენებული ვინმე ტიგრან კაჩაროვი (პოლიციის საქმეში ის მოხსენიებულია, როგორც მძარცველი, მკვლელი და ტერორისტი) პოლიციას ბევრ რამეს მოუყვა მათ შესახებ; კერძოდ, რომ ყოველ ახალ წევრს სოციალ-დემოკრატები ფოტოს უღებდნენ და ბინას, საჭმელს და ყოველდღიურ დახმარებას ჰპირდებოდნენ, თუ ის ყველა იმ დავალებას შეასრულებდა, რასაც პარტიის უმრავლესობა დაუსახავდა. ყოველი ტერორისტი, ანუ შემსრულებელი-ბოევიკი, 30 მანეთს იღებდა, ინტელიგენტი კი – 120-150 მანეთს (ხელფასის შესახებ სხვადასხვა ცნობები არსებობს: მაგალითად, 1909 წელს პარტია ნოე ჟორდანიას თვიურად 50 მანეთს უხდიდა, უფრო დაბალი რანგის რევოლუციონერი მოხელე 25 მანეთს იღებდა. ეს თანხა მათ ეცოტავებოდათ და ისინი ხელფასის გაზრდას 40 მანეთამდე მოითხოვდნენ.[109] ცნობისათვის: XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე რუსეთში საერო მასწავლებელი თვეში 10-15 მანეთს იღებდა, მაშინ ერთი ლიტრი კარგი არაყი 12 კაპიკი ღირდა, ხოლო მეწველი ძროხა – 3-5 მანეთი). ინტელიგენტებში ითვლებოდნენ „...ასე თუ ისე თეორიულად მომზადებულნი, განსწავლულნი და მცოდნე მარქსიზმისა, მწერლობას ეწეოდნენ და თანაც ქუჩებში დემონსტრაციებში იღებდენ მონაწილეობას..." ტერორისტები კი ასე არიან დახასიათებული: „...მუდამ დაუღალავი მებრძოლნი რევოლუციის ასპარეზზე, მუდამ გმირულად, თავგანწირვით, ქუჩებში მტრების გულმკერდის გასაპობათ ბომბებით და თოფებით ხელში რევოლუციონურ სადარაჯოზე მყოფთ წერისთვის არ ეცალათ, მათ სიცოცხლეს წარმოადგენდა მუშათა კლასის მტრების მოშორება, თვითმპყრობელობის დამქაშების ჩაძაღლება[110]".

---

[108] Л. Шаумян, Камо, 1959 г., გვ. 35-36.

[109] www.ruthenia.ru/logos/number/56/10.pdf

[110] „რევოლუციის მატიანე", 1928 წ., №1, გვ. 39-40.

ამგვარი „დაუღალავი მებრძოლების“ რიცხვი ბევრად აღემატებოდა მარქსიზმში განსწავლული, ქუჩის დემონსტრაციებში მონაწილე ინტელიგენტების რიცხვს.

„ამ ამხანაგთა დიდი უმეტესობა დაიღუპა ბრძოლაში გმირულად. დასახასიათებლად ამ ამხანაგების თავგანწირული მოქმედებისა მოვიყვანოთ მხოლოდ ორი სამი ეპიზოდი ქუჩებში მათ მიერ მოწყობილი ექსცესებისა. ერევნის მოედანზე კამოს ხელმძღვანელობით კაზაკებზე ბომბებით თავდასხმა და ფულის გატაცება... ჯორჯიაშვილის და მისი ჯგუფის მიერ გრიაზნოვზე თავდასხმა ბომბებით და მისი მოკვლა... ალიხანოვის დაჭრა ქუთაისში, რომლის აქტის შესრულების მონაწილენი პლატონ მიქაბერიძესთან ერთად ვალოდია ოკუჯავაც იყო[111]; ამხანაგ იცკა რიჟინაშვილის[112] მკვლელებზე თავდასხმა ქუთაისში ბომბებით, ბოქაული ელჩიბეგოვის მოკვლა, „სტრაჟნიკ“ მუციევის დაჭრა ქუთაისის ბულვართან ამხ. ქიქია ჭიჭინაძის, ბაჭუა კუპრაშვილის და თავაძის მიერ, შემდეგ ინგლისის ქუჩაზე ამხ. ალიოშა ჯაფარიძის მიერ მონყობილი თავდასხმა ოცდახუთი რევოლუციონერისა კაზაკებზე, რომლებსაც შებორკილი მიყავდა თბილისიდან ქუთაისის საპყრობილეში ნოე ხომერიკი და სხვები. ამ თავდასხმებში მონაწილეობდენ აკაკი დალაქიშვილი, პროკოპი ლეჟავა (ჯიხაიშიდან), ერმილე კაკაბაძე, პავლე შალაყმაძე და იოსებ ხარაბაძე, რომლებმაც მოჰკლეს კაზაკები და გაათავისუფლეს ტუსაღები. ამ ბრძოლაში მოკლულ იქნა პროკოფი ლეჟავა, პავლე შალაყმაძე კი დაჭრილი – განა ეს საქმე მხოლოდ ქუჩაში მებრძოლი გმირებიდან არ წარმოიშობოდა?“[113]

თავისთავად ბოევიკები უკმაყოფილო იყვნენ ასეთი დისკრიმინაციით, რადგან ისინი სიცოცხლეს რისკავდნენ რაღაც გროშების გამო, მაშინ, როცა მათ ზურგს ამოფარებულ ინტელიგენტ „მწერლებს“ თვიური სარგო მაღალი ჰქონდათ. კამო მათ შესახებ თურმე ამბობდა: „...ეგ რჯულ-ძაღლები, სხედან კაბინეტში და ჰგონიათ საქმე ისე გაკეთდებოდეს, გამოვიდნენ ერთი ყუმბარა აიღონ და მაშინ დაინახავენ, რა კარგია ბომბის ტრიალი!“.

1905 წლის რევოლუციამ ახალგაზრდების შემოდინება ტერორისტულ მოძრაობაში გააათმაგა, ბევრი ახალგაზრდა მუშა, ხელოსანი და არალეგალურად მცხოვრები ყოფილი წითელრაზმელი და ტერორისტი ჩაითრია აქტიურ მოძრაობაში. „...ყველა ესენი დაინტერესებულნი იყვნენ, რაც შეიძლება მეტი გამცემი ჯაშუშები მოეშორებიათ და ასეც იქცეოდენ. ჰკლავდენ გამცემლებს... მე არ შემიძლია გავიხსენო ყველა ტერორისტული აქტები, რადგან ასეთები ბევრი იყო. კომიტეტს არავინ ეკითხებოდა და თუ კი დარნმუნდებოდენ ვინმეს გამცემლობაში, იმაზე ბევრ გამოძიებას არ ნიშნავდენ და თვითონ უსნორდებოდენ“[114].

ასეთმა მასობრივმა ტერორმა თითქმის 1909 წლამდის გასტანა და ამ ხნის განმავლობაში ტერორისტების ჯგუფებსაც აკლდებოდათ წევრები: ზოგს იჭერდნენ და ასაბლებდენ, ზოგსაც დაჭერის და ციხეში წაყვანის დროს გზაში კლავდნენ (მსგავსი მაგალითების მოყვანა, როცა ბადრაგი დაპატიმრებულს კლავდა, მრავლად შეიძლე-

---

111 იმავე წელს ქუთაისში მიქაბერიძე დაუდარაჯდა ზუგდიდის მაზრის უფროსს კელამოვს, ფაეტონზე შეუსტა, სამი გასროლით მოკლა და მიიმალა.

112 ქუთაისელი აბრამ (იცკა) რიჟინაშვილი ცნობილი სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტი იყო. პოლიციამ რიჟინაშვილი 1907 წლის 17 ივლისს მოკლა, როცა ის სადგურისკენ მიდიოდა ტერმისფორში გასამგზავრებლად. სხვა მონაცემებით, რიჟინაშვილი გოროდოვოი მოშიაშვილმა იმსხვერპლა. რამდენიმე თვის შემდეგ მოშიაშვილი კოლია იოსელიანმა მოკლა კამოს მიერ ჩამოტანილი „მარსის“ სისტემის რევოლვერით.

113 „რევოლუციის მატიანე“, 1928 წ., №1, გვ. 39-40.

114 „რევოლუციის მატიანე“, 1924 წ., №4-5, გვ. 122-123.

ბა. ეს ხომ დაინტერესებულ მხარეს საქმეს უადვილებდა – არ არის ადამიანი, შესაბამისად, არც პრობლემაა. ერთხელ კოტე ცინცაძე დაიჭირეს და ციხეში უნდა წაეყვანათ. „...ციხეში მარტო არ წაველი, რადგან ხშირი იყო იმ დროს გზაში მკვლელობა. მით უფრო არ გავყევი, რომ ჩემი წაყვანა მოითხოვა უფროსმა „გარადავოიმ", ვილაც ინგაუში იყო, რომელმაც იმ წინა კვირეებში სამი კაცი მოკლა გზაში, ვითომდა გაქცევის ნიადაგზე. ჩემმა ჯიუტობამ გასჭრა და გამაყოლეს თვით ბოქაული ბახტაძე და ოფიცერი გელოვანი, ამნაირად სიკვდილს და დახრჩობას გადავრჩი"[115]).

დაბოლოს, „ფორთოხლის" შესახებ – ასე მოიხსენიებდნენ ტერორისტები ადამიანთა მოკვდინების ყველაზე ეფექტურ საშუალებას – ბომბებს[116].

ცნობილია, რომ ტექნიკური პროგრესი სხვა სიკეთესთან ერთად ადამიანთა განადგურების ახალ-ახალი იარაღის გამოგონებასაც უწყობს ხელს. ბომბის ფართოდ გამოყენებას ალფრედ ნობელის მიერ 1866 წელს გვირაბების გაყვანითი სამუშაოების გასაადვილებლად გამოგონილმა დინამიტმა შეუწყო ხელი, რაც ტერორისტებისთვის ნამდვილი მისწრება იყო. ბომბით უფრო ადვილი იყო მსხვერპლის განადგურება (მსხვერპლთან ერთად რომ უამრავი ადამიანი დაიღუპებოდა, ხშირად საქმის შემსრულებელთან ერთად, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა), უფრო მეტ ხმაურს გამოიწვევდა და ხელისუფლებასაც დააშინებდა. ნოე ჟორდანია წერდა: „...თფილისის კომიტეტი ახდენდა ტერორისტულ თავდასხმებს ჟანდარმებზე, მეტათ ერთგულ პოლიციელებზე და „ოხრანკის" აგენტებზე. ისე ვარდებოდა ბომბები თფილისის სხვადასხვა კუთხეში, რომ გეგონებოდათ მტრის შელეღია"[117]. თბილისში გასროლილმა ბომბებმა პანიკაში ჩააგდეს კაზაკები და ჯარიო, – ამის შესახებ სიამოვნებით წერდა ლენინი[118]. ქართველმა ტერორისტებმა ეს ნოვაცია აიტაცეს. 1905 წელს სოციალ-ფედერალისტურმა პარტიამ საკუთარი წევრი ალექსანდრე გაბუნია მაკედონიაში გაგზავნა რევოლუციური მოძრაობის გასაცნობად და როგორც ქიმიკოსს, ე. წ. „მაკედონური სისტემის" ყუმბარების დამზადების შესწავლა დაავალა, „რომ მერე საქართველოში ყუმბარების ლაბორატორია მოაწყოს და მასალა მოუმზადოს აჯანყებულთ"[119]. საქართველოში ბომბები და ასაფეთქებელი ინგრედიენტები მრავლად ჩამოჰქონდათ უცხოეთიდან და ბომბები სხვადასხვა ადგილებში – თბილისში, სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში, ხაშურში, თელავის და გორის მაზრებში – არალეგალურ საწარმო-ლაბორატორიებში კეთდებოდა რუსეთში განსწავლული ახალგაზრდების მიერ. „მიუვალ ტყეში, თეძმის სათავეებთან გაიმართა მოზრდილი ფანჩატური, საცა პატარა „პრობირებიდან" – ას-ლიტრიან თეზაფის ბოთლებამდე; შაქრის, ნახშირის,

---

115 „რევოლუციის მატიანე", 1924 წ., №4-5, გვ. 111-112.

116 ლენინი, რომელიც სახალხოდ უარყოფდა ტერორის ტაქტიკას, ერთ წერილში წერდა: „ღმერთო, მე თავზარდაცემული ვხედავ, რომ ბომბების შესახებ ნახევარ ნელზე მეტია, რაც ლაპარაკობენ და ჯერ ერთი ცალიც კი არ გაუკეთებიათ!" Сочинения Ленина, 1929 წ., ტ. 8, გვ. 326. ახლა სტოლიპინს მოვუსმინოთ: „სანამ არსებობს რევოლუციური ტერორი, უნდა არსებობდეს პოლიციური სამძებროც. გაეცანით, ბატონებო, რევოლუციურ ლიტერატურას, ნაიკითხეთ, როგორ ასწავლიან ბრძოლას ტერორის, ბომბების საშუალებით, თანაც რეკომენდებულია, რომ ბომბები თუჯის იყოს, რათა უფრო მეტი ნამსხვრევები იყოს, ან კიდევ ისინი ლურსმნებით იყოს გატენილი...", 11 февраля 1909; Гос. Дума: ответы П. А. Столыпина на запросы, касавшиеся бывшего сотрудника полиции Азефа в связи с преданием суду бывшего директора департамента полиции.

117 ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, 1990 წ., გვ. 50.

118 ი. ხუციშვილი, 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955 წ., გვ. 278.

119 თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, 1984 წ., გვ. 171.

ბერტოლეს მარილის, გვარჯილა, გოგირდიდან – „მეფის არყამდე" (ცარსკაია ვოდკა) ყველა მასალის სანყობი გვქონდა; ტყვია, თუჯი, კალა და რკინა, „ბიქფორდის ბანარი", კაპსულები ვერცხლის წყლისა, პატრონები... შუა ადგილას გამართული იყო პრიმიტიული სამჭედლო ღუმელი... თხის ტყავის საბერველით. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ ჩამოვიტანეთ თბილისიდან დიდი ნამდვილი საბერველი და ჩვენგან შედგენილი ხელსანყოებისა და იარაღების სიით..."[120] გურიაში რამდენიმე იატაკქვეშა სახელოსნო არსებობდა: სურებში, ლანჩხუთში, ოზურგეთის მაზრის სოფელ ზვანის უბანში, სადაც სხვებთან ერთად სპარსეთის რევოლუციის გმირი ვლადიმერ დუმბაძეც მუშაობდა. სხვათა შორის, სპარსეთის რევოლუციაში მონაწილე ქართველ რევოლუციონერებს თან ჰქონდათ ხელყუმბარების დამამზადებელი მინილაბორატორია და საკუთარი „პროდუქციით" თავზარს სცემდნენ სამთავრობო არმიის ჯარისკაცებს, რომელთაც იქამდე ხელყუმბარები, ისევე, როგორც მაუზერები, არ ენახათ[121]. ბაქოში მოღვაწე ქართველი რევოლუციონერები ძალის გამოყენებითაც ახერხებდნენ ყუმბარების დამზადებას. 1906 წლის თებერვალში ვალოდია გოგუაძე შეიარაღებულ რაზმელებთან ერთად თავს დაესხა ქარხანა „პრომეთეს", მეპატრონე და ადმინისტრაცია ტყვედ აიყვანა, დაზგებთან თავისი სპეციალისტები დააყენა და მთელი ღამე ამუშავა. გათენებისას დამზადებული ყუმბარები კონსპირაციულ ბინაზე გადაიტანეს[122]. მზა პროდუქცია რევოლუციონერებს სხვადასხვა გზით ეგზავნებოდათ: ვლასა მგელაძე, „რომელიც დახელოვნებული იყო ყუმბარების და ასაფეთქებელი ნივთიერების დამზადების საქმეში", გურიიდან თბილისში გამგზავრებისას ხურჯინში ჩალაგებულ ბომბებს ზევიდან ხაჭაპურებს აწყობდა.

ტექნიკური პროგრესის სხვა გამოგონება – ტელეგრაფიც ტერორისტებმა საკუთარი მიზნებისთვის მშვენივრად გამოიყენეს – ის აადვილებდა და, რაც მთავარია, აჩქარებდა ინფორმაციის გადაცემას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში და ტერორისტული აქტის პროპაგანდისტულ ეფექტს მრავალგზის ზრდიდა; ანუ მიზანი, რისთვისაც ხდებოდა ტერაქტი – ერთეულების მოკვლით ათასების დაშინება და საკუთარი ძლევამოსილების, ხოლო მთავრობის უსუსრობის ჩვენება, მიღწეული იყო. თანამედროვე ტერორისტებისათვისაც მასმედია ერთ-ერთი უმთავრესი და უმძლავრესი იარაღია. 2001 წლის 11 სექტემბერს პირდაპირ ეთერში ნაჩვენებმა ტერაქტმა ხომ მთელ მსოფლიოს მოჰგვარა შიში.

ბუნებრივია, ქართული ტერორის ასეთი სწრაფი ტემპებით ზრდა უამრავ კითხვას ბადებს. შევეცადეთ, ნანილობრივ პასუხი გაგვეცა ამ კითხვებზე. ქართულ-რუსული სახელმნიფოებრივი ურთიერთობის თემის წამოწევის გარეშე კი ქართულ რევოლუციურ ტერორში გარკვევა შეუძლებელი იქნება.

---

[120] რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, დაბრუნება, ტ. 3, 1992 წ., გვ. 44-45.

[121] გ. ჭიპაშვილი, სერგო გამდლიშვილი (სერგო გურჯი) და მისი ირანული დღიურები, 1983 წ., გვ. 10.

[122] ვ. გოგუაძე, მოგონებები, დაბრუნება, ტ. 3, 1992 წ., გვ. 382.

რუსული სახელმწიფო ტერორი საქართველოს წინააღმდეგ

ისტორიის გადმოსახედიდან საქართველო-რუსეთის ურთიერთობა დროის მცირე მონაკვეთს მოითვლის (თუ ათვლას 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიით დავიწყებთ), მაგრამ ის სისხლიანი, ტრაგიკული და დრამატული ამბებითაა დატვირთული. ქართველი ერი ისლამურ სახელმწიფოებთან განუწყვეტელი და სისხლისმღვრელი ომების გამო დაღლილი და გამოფიტული იყო. ამ სახით მიაღწია ჯერ გეორგიევსკის ტრაქტატამდე და შემდეგ 1801 წლამდე. შუა საუკუნეების შემდეგ ქართველ ერს უაღრესად მძიმე გზა ჰქონდა გამოვლილი ერთიანი, მთლიანი სახელმწიფოებრივი იდეისაკენ. ამ იდეის განხორციელებისთვის საჭირო იყო გარეშე მტრისაგან გათავისუფლება, მათი ჩამოშორება, რაც საკუთარ გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობისა და სხვა ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლო. გარეშე მტრები საქართველოს აქუცმაცებდნენ, ნაწილებად ყოფდნენ და ყველანაირი მეთოდით ცდილობდნენ ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს სრულ დანგრევა-გაქრობას. სამთავროებს შორის (ანუ ქართველთა შორის) გაჩაღებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში ქართველთა ისედაც შეზღუდული ძალები იფიტებოდა, რაც ისევ მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე მეფე ნათლად ხედავდა, რომ სამი დიდი მოქიშპე სახელმწიფო: ირანი, თურქეთი და რუსეთი ამიერკავკასიაში გაბატონებაზე პრეტენზიას აცხადებდა, აქედან გამომდინარე, საქართველოს არც ერთი მხრიდან მოსვენება არ ექნებოდა. მას აუცილებლად უნდა გაეკეთებინა არჩევანი: ან ისლამური სამყარო, ან რუსეთი, ვისი მეშვეობითაც ერეკლე მეფე სახელმწიფოებრივი სტრუქტურისა და ცხოვრების პროგრესული, ანუ ევროპული, გზით გარდაქმნას იმედოვნებდა. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ საქართველო საბოლოოდ მოსწყდა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ევროპისაკენ მიმავალ გზას. რუსეთთან კავშირი კი, ბევრი ქართველის აზრით, შანსს იძლეოდა, გაერღვია ეს ბლოკადა, დაებრუნებინა წართმეული მიწები და რუსეთის გავლით მაინც აღედგინა ევროპულ ცივილიზაციასთან გაწყვეტილი კავშირი და რამენაირად ამ ოჯახში შეედგა ფეხი. ამის შედეგად 1783 წლის 24 ივლისს გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელსაც სხვადასხვა თაობის ისტორიკოსები განსხვავებულად აფასებენ, თუმცა ეს ხელშეკრულება არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებას და რუსეთის განაპირა გუბერნიად გადაქცევას აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ქართველი მეფეები და დიდებულები, დიპლომატები და უბრალო მოქალაქეები გულწრფელად ენდობოდნენ რუსეთს – ისიც ხომ მართლმადიდებელი სარწმუნოებისა იყო, მთავარ მტრად კი ისევ ისლამური სამყარო მოიაზრებოდა. ბევრ ქართველს ვერ წარმოედგინა, რომ რუსეთი საქართველოს არ დაეხმარებოდა და განსაცდელში მიატოვებდა. სწორედ ამით სარგებლობდა რუსეთი და საქართველოს ყოველთვის თავისი პოლიტიკური მიზნებისა და ზრახვებისათვის იყენებდა. ზოგიერთი ქართველი ამას კარგად ხედავდა, მაგალითად, ერეკლე II-ის მსაჯული სოლომონ ლიონიძე, რომელიც სულ ამას ემუდარებოდა ერეკლე მეფეს: ნუ ენდობი ჩრდილოეთს, სარწმუნოების ერ-

თობა სრულიადაც არ ნიშნავს „სისხლ-ხორცობას“, მას ხალხის ზნე-ჩვეულებანი და განსაკუთრებული ეროვნული თვისებები აქარწყლებს. „ერი, სხვის მფარველობაში მყოფი, – ნერდა ლიონიძე, – სხვის ფრთას ქვეშ შეხიზნული, არის მონა, მზაკვარი, მასხარათ აგდებული. დამოუკიდებლობის დამკარგავი კარგავს საკუთარ ღირსებას და სულის ძალასაც!“ თითქმის ასი წლის შემდეგ, როდესაც სოციალისტურ-ფედერაციული პარტიის შექმნაზე მიმდინარეობდა მსჯელობა, ზოგიერთმა წამოაყენა ნინადადება, რომ რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიასთან შეექმნათ ქართული ავტონომიური ჯგუფი, მაგრამ მეორე ნაწილი სასტიკი წინააღმდეგ იყო რუსული პარტიის დროშის ქვეშ დადგომისა. ამ იდეას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა ვლადიმერ ლორთქიფანიძე: „რას ჰგავს ეს! რუსეთისაგან გინდათ თავი გაინთავისუფლოთ და რუსულ პარტიას კი ემორჩილებით. რომელი რუსული პარტია იქნება გულნრფელი მომხრე საქართველოს განთავისუფლებისა?“[123]

ქართველი ერი განვითარებით, შეგნებით, კულტურულ-პოლიტიკური და ძველი სახელმნიფოებრივი სკოლის გამოცდილებით ბევრად მაღლა იდგა რუსეთზეც და ბევრ სხვა დამპყრობელზეც. ცნობილია, რომ XVII საუკუნემდე რუსეთი საერთოდ მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს – განათლებულ ევროპას. 1486 ნელს მოსკოვში შემთხვევით მოხვედრილმა გერმანელმა რაინდმა პოპელმა დაბრუნებისთანავე აცნობა თავის იმპერატორს რუსეთის აღმოჩენის შესახებ. ასე რომ, ევროპელებმა ამერიკა და რუსეთი ლამის ერთ დროს აღმოაჩინეს[124]. მაშინ, როდესაც ევროპა თანამედროვე ცხოვრებას საძირკველს უყრიდა: ავითარებდა მრეწველობას და ვაჭრობას, ხვეწდა და აუმჯობესებდა ტექნიკას, გზას აძლევდა მეცნიერული და თავისუფალი აზრის განვითარებას, „ევროპის მაჩანჩალა“[125] რუსეთი ჯერ კიდევ გაუნათლებლობისა და უკულტურობის ჭაობში იმყოფებოდა. „სამთავროდ რომ შემდგარიყო, რუსებს ვარიაგები სჭირდებოდათ, სახელმნიფოდ რომ ჩამოყალიბებულიყო – მონღოლები. ევროპიულობამ კი მოსკოვის სამეფოდან განავითარა კოლოსალური პეტერბურგის იმპერია“[126]. ჩვენ კი დავამატებდით, რომ საბჭოთა იმპერიის შექმნისათვის რუსებს ქართველების, უფრო სწორად, ქართველი ჯუღაშვილის, დახმარება დასჭირდათ. ამ სახის დახმარების შესახებ ამბობდა გერცენი, რომ სლავების შემთვისებელი ხასიათი, მათი ქალურობა, თვითშემოქმედების ნაკლებობა და შეთვისების დიდი უნარი და პლასტიკურობა მათ ხდის ხალხად, რომელსაც სხვა ხალხების დახმარება სჭირდება. იმავეს ამტკიცებს ბერდიავი, როცა ამბობს, რომ „უდიდესი ჭირი რუსული სულისა მდგომარეობს მის ქალურ, „დედაკაცურში“ გარდამავალ პასიურობაში, მამაკაცურობის უკმარობაში, მისთვის უცხო და უცხოელ მამაკაცთან დაქორწინების სურვილში“.

1914 ნელს ლენინი სტატიაში „ველიკორუსების ნაციონალური სიამაყის შესახებ“ რუსი ერის მისამართით ამბობდა: „არავის ბრალი არ არის, თუ ის მონად დაიბადა; მაგრამ მონა, რომლისთვისაც არა მარტო უცხოა საკუთარი თავისუფლებისკენ სნრაფვა, არამედ ამართლებს და ალამაზებს თავის მონობას (მაგალითად, პოლონეთის, უკრაინის და ა. შ. მოხრჩობას „ველიკორუსების მამულის დაცვას“ უწოდებს), ინვევს აღშფოთების, ზიზღის და გულისრევის დამსახურებულ გრძნობას და არის „ხალუი“ და „ხამი“.

მაშინ, როგორ შეესაბამება რუსეთის მონურ ბუნებას ის ფაქტი, რომ რუსეთი

---

[123] გ. ლაბიშვილი, მემუარები, 1992 ნ., გვ. 121.

[124] Епископ Кирион. Культурная роль Иверии въ истории Руси, 1910 ნ., გვ. 61.

[125] ნ. რამიშვილი, საქართველო და რუსეთი, 2006 ნ., გვ. 15.

[126] А. Герцен. Былое и думы, ნაწ. 1-5, 1969 ნ., გვ. 451.

რევოლუციებისა და ავტორიტარული სისტემის წინააღმდეგ მიმართული ჯანყების ქვეყანაა? თუმცა „რევოლუციების ქვეყანას“ მერეჟკოვსკი სხვაგვარად უყურებდა: „კაცს ზოგჯერ გეჩვენება, რომ რუსეთში საერთოდ არ ხდება რევოლუცია, არამედ არსებობს მხოლოდ ბუნტი – იანვრის, დეკემბრის, ჩუგუევსკის, ხოლერის, პუგაჩოვის, რაზინის – მუდმივი მონების მუდმივი ბუნტი“[127].

პიროვნების გაღვიძება ვერ მოხდა რუსულ ცნობიერებაში, როგორც კონსერვატორულ რუსეთში, ისე რევოლუციურ-დემოკრატიულ ინტელიგენციაში, ეს უკანასკნელი შეპყრობილია უფრო მექანიკური თანასწორობის იდეით, ვიდრე თავისუფლების იდეით, – წერდა ბერდიაევი 1914 წელს და აგრძელებდა: „ბევრისთვის რუსეთი განწირულია მონობისთვის და მისთვის თავისუფალი სიცოცხლის ასპარეზზე გამოსვლა არასოდეს არ მოხდება, ის ყოველთვის დარჩება უსახო კოლექტივის ქვეყნად“. მაგრამ ავტორი იმედს იტოვებდა, რომ ეს ყველაფერი გარდამავალი სტადიაა და არა (რუსული) „სულის სამუდამოამო მდგომარეობა“. ბერდიაევი იმედის თვალით შეჰყურებდა პირველ მსოფლიო ომს, ის იმედოვნებდა, რომ რუსეთი ამ ომში არათუ წარმოაჩენდა, არამედ საბოლოოდ განივითარებდა თავის სულიერებაში ნაკლულ „მამაკაცურ საწყისს“ და ამით შინაგანად დაძლევდა მონურ ბუნებას.

რუსეთი ამაყობდა და ამაყობს საკუთარი ისტორიული წარსულით, ქრისტიანობითა და კულტურით, იმით, რომ თითქოს მან შემოიტანა განახლება, ცივილიზაცია და კულტურა საქართველოში. ცნობილია, რომ მხოლოდ X საუკუნის დამლევს მიიღო დიდმა მთავარმა ვლადიმირმა ქრისტიანობა, იქამდე იქ კერპთაყვანისმცემლობა იყო მოდებული. არის ასეთი აზრიც, რომელსაც განსაკუთრებით ახმიანებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი, რომ როცა რუსმა ჟამთააღმწერელმა ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი აღწერა, მან ეპიზოდი პირდაპირ „ქართლის ცხოვრებიდან“ მოიპარა, სადაც მოთხრობილი იყო მირიანისა და ქრისტიანობის გავრცელების შესახებ. იგივე კირიონი ამტკიცებს, რომ ასეთი შემთხვევები ხშირი იყო. რომ რუსები კარგად იცნობდნენ „ქართლის ცხოვრებას“ და იქიდან მრავალი ფაქტი აქვთ გადაწერილ-გადარუსულებული. ეს ძირითადად იმიტომ ხდებოდა, რომ საკუთარი ისტორია უფრო გაემდიდრებინათ და მრავალფეროვნად წარმოეჩინათ. აი, კიდევ ერთი მაგალითი: დამტკიცებულია, რომ ივან სუსანინი თავიდან ბოლომდე გამოგონილი პერსონაჟია, ის შექმნილია მღვდელი თევდორეს გმირული მაგალითის მიბაძვით[128].

რუსები თავს დებდნენ, რომ ისინი იყვნენ აღმოსავლეთში ქრისტიანების დამცველნი, მაგრამ XIX საუკუნის ბოლომდე მათ არც ერთი მონასტერი არ გააჩნდათ აღმოსავლეთში, მაშინ, როცა ქართველების ეკლესია-მონასტრების რიცხვი 50-ს აღწევდა ბევრად ადრე, სანამ სლავები ქრისტიანობას ეზიარებოდნენ. ისიც საინტერესოა, რომ რუსები საკუთარ ეკლესიებს ათონის ივერიის მსგავსად ხატავდნენ, რაც ქართული ეკლესიის დიდ გავლენაზე მეტყველებს.

რუსეთი ჯერ კიდევ პეტრე I-ის დროიდან ცდილობდა სხვადასხვა ხერხებით საქართველოს დაპყრობას. ტრაქტატის გაფორმების შემდეგ კი დიდი ხნის მიზანს, ანუ ქართული სახელმწიფოებრიობის გაქრობა-ჩაყლაპვას და ქართული ეთნოსის განადგურებას, ის უკვე ღიად ასრულებდა. იმავე ამოცანას ისახავდა მიზნად რუსეთის საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილიც, მათ შორის მეფის ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანებიც. ამის ნათელი დასტურია თუნდაც დეკაბრისტების აჯანყების ერთ-ერთი ლიდერის პავლე პესტელის ნაშრომი სათაურით „Русская Правда“. როგორც ცნობილია, 1825 წლის 14 დეკემბერს, იმპერატორ

---

[127] Д. Мережковский. Больная Россия, 1991 б., გვ. 138.

[128] Епископ Кирион. Культурная роль Иверии въ истории Руси, 1910 б., გვ. 114-115

ნიკოლოზ I-ის კორონაციის დღეს, სამხედრო გარნიზონის ამბოხება მოხდა. ეს იყო რუსი სამხედრო და არისტოკრატიული ელიტის საკმაოდ ფართო წრეების ფართომასშტაბიანი შეთქმულება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა რუსეთის ავტოკრატიული ხელისუფლების დამხობა და დასავლეთის მსგავსი სახელისუფლებო ინსტიტუტების დამკვიდრება. სწორედ პესტელის ნაშრომი უნდა გამხდარიყო გადატრიალების შემდგომი კონსტიტუციის ბაზისი. შეთქმულთა მთავარი მიზანი იყო ერთეროვანი რუსეთის შექმნა, რაც ნიშნავდა აბსოლუტურ რუსიფიკაციას და იმპერიაში შემავალი ერების კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ ინტეგრაციას რუსულ სახელმწიფოში. ასეთი მიდგომა კი ბევრად არ განსხვავდებოდა ხელისუფლების პოზიციისგან. პესტელის აზრით, იმპერიაში შემავალ ერები „მათი სისუსტის გამო" ვერასოდეს ვერ ჩამოაყალიბებდნენ სახელმწიფოებს, ამიტომ ისინი სამუდამოდ იქნებიან რუსეთის სახელმნიფოს ქვეშევრდომები. კავკასიელები, იმის გამო, რომ მათი „დაწყნარება და მორჯულება" უშედეგოა, უნდა დაყოფილიყვნენ ორ ჯგუფად: მშვიდობიანებად და შფოთიანებად. პირველი ჯგუფი საკუთარ მიწებზე რუსეთის მმართველობაში უნდა დარჩენილიყო, შფოთიანები კი ძალით უნდა გადაესახლებინათ რუსეთის შუაგულში და დაენანევრებინათ. მათ ტერიტორიებზე კი რუსები უნდა დასახლებულიყვნენ, რათა ნინანდელი მოსახლეობის ნასახიც არ დარჩენილიყო და ამ ადგილებში სიმშვიდეს და სიწყნარეს დაესადგურებინა. ამ საბოლოო მიზნის მიღწევას დეკაბრისტები 10-15-ნლიანი გარდამავალი დიქტატურის გზის გავლით აპირებდნენ[129]. აჯანყებულთა დასასრული საყოველთაოდ ცნობილია – მეფის მთავრობამ აჯანყება ჩაახშო, რის შედეგად დაიღუპა 1271 ადამიანი, აქედან 900 სრულიად უდანაშაულო, მოედანზე შეკრებილი სეირის მოყვარული. ხუთი დეკაბრისტი (პესტელის ჩათვლით) ჩამოახრჩვეს, დანარჩენებს ციმბირში და რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში სამუდამო გადასახლება მიესაჯათ[130].

ალექსანდრე პუშკინის ცნობილი ლექსი, რომელიც პესტელს და მის თანამებრძოლებს მიეძღვნა, ყოველი რუსის ცნობიერებაში რეზონირებულ სტრიქონებს შეიცავს – „...და ნაპერწკალი გაღვივდება ცეცხლად..." ბოლშევიკური გაზეთის სახელწოდება „Искра" ლენინმა სწორედ პუშკინის ლექსიდან აიღო, ხოლო 1917 ნლის ბოლშევიკური რევოლუცია თავისი შედეგით დეკაბრისტების ოცნების გადაჭარბებით შეასრულება იყო – დიქტატურის გზით ტოტალიტარული, იმპერიული სახელმნიფოს წარმოქმნა, რუსიფიკაციული პოლიტიკის გატარება და სატელიტური სახელმწიფოების შექმნა, პლუს მეფის ოჯახის ფიზიკური განადგურება.

დეკაბრისტების ჩანაფიქრი არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც შემდეგ ბოლშევიკების მიერ დამყარებულმა რეჟიმმა და რუსული იდეების განმხორციელე-

---

[129] http: vivovoco.rsl.ru VV/LAW/VV_PES_W.HTM

[130] დეკაბრისტთა აჯანყების დროს პეტერბურგში იმყოფებოდა რამდენიმე ქართველი, მათ შორის სოლომონ დოდაშვილი, 1832 ნლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი. შეთქმულების მთავარი მიზანი „მამულის გამოხსნა" და ქართული სახელმნიფოებრიობის აღდგენა იყო. იმდროინდელი ქართული მონინავე ძალა დეკაბრისტების დიდ გავლენას განიცდიდა. ამის დასტურია ის, რომ ერთ-ერთმა შეთქმულმა, ალექსანდრე ორბელიანმა, პესტელისადმი სიმპათიის გამო მისი სახელიც კი შეერქვა. დეკაბრისტებთან დაახლოებული ქართველი შეთქმული ზ. ჩოლოყაშვილი აცხადებდა, რომ ქართველებისადმი პესტელის რჩევა იყო, პოლონეთი, საქართველო და სხვა ოლქები ისევ თავიანთ მფლობელებს დაუბრუნდნენ, რუსეთს კი ის ოლქები დარჩეს, რომლებიც მოსკოვის გარშემოა. როგორც ზემოთ ვიხილეთ, პესტელისა და სხვათა გეგმაში საქართველოსა დ სხვა დაპყრობილი სახელმნიფოების განთავისუფლება არც კი მოიაზრებოდა, დეკაბრისტების გამარჯვება კი, ალბათ, ბევრად უფრო მეტ უბედურებას მოუტანდა ჩვენს ქვეყანას, ასე რომ, ეს ცნობა, რომელსაც ჩოლოყაშვილი პესტელს მიანერს, „...უფრო შეთქმულთა სურვილს გამოხატავდა...". საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973 ნ., გვ. 948.

ბელმა დიდმა ქართველმა ბელადმა დაატრიალა: არა მარტო მთელი ერების აყრა, გადასახლება და გენოციდი, არამედ ის მზაკვრული და ვერაგული იდეა, რომ კარდინალურად განსხვავებული სხვადასხვა ერისაგან ერთი მთლიანი სახედაკარგული, უფლებააყრილი, ათეისტი საბჭოთა ერი გამოეძერწა... და გამოძერწა კიდეც, რის შედეგებსაც დღემდე ვიმკით. „ჩვენ გავხდით ტოტალიტარიზმის სუბიექტები, მისი ჩვევებით დამძიმებულნი – მის მიერ დანგრეული აზროვნებით ვაზროვნებთ, მის მიერ დანგრეული ცხოვრებით ვაცნობიერებთ ყველაფერს".[131]

ბევრისგან განსხვავებით, ქართული ეკლესია ნათლად ხედავდა, რა მიზნები ამოძრავებდათ რუსებს და თავიდანვე ცდილობდა, დაეცვა ქართული სახელმწიფოებრიობა და არ დაეშვა მისი რღვევა. ეკლესია იყო ქართული ენის, ლიტერატურის, აზროვნებისა და კულტურის დამცველი და შემნახველი. ამიტომაც საქართველოს სამეფოს მოსპობის შემდეგ რუსეთის მთავრობა ცდილობდა, მოესპო ქართული ეკლესიაც. 1810 წელს მთავარმართებელი ტორმასოვი სინოდის[132] ობერპროკურორს, თავად გოლიცინს წერდა: „საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსი ანტონი იშვიათი და ყველასაგან პატივცემული პირია, მაგრამ რადგანაც ის ავადმყოფი კაცია, სასარგებლო იქნება, საქართველოში ეგზარხოსი დაინიშნოს, კათალიკოსს კი საქართველოს შემოსავლიდან პენცია მიეცეს". ტორმასოვის მოხსენება შეინყნარეს და მთავარმართებელმა „ავადმყოფი" 47 ნლის ანტონ II აიძულა, რუსეთში გადასახლებულიყო. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა, მსოფლიო კრების დადგენილებების მიუხედავად, გააუქმეს. კათალიკოსის მაგივრად ქართული ეკლესიის მმართველად სინოდის ეგზარქოსი ქართველი ვარლამ ერისთავი დანიშნეს. ახალი მართველობის დამყარებამ აღმოსავლეთ საქართველოში ეგზარქოს ერისთავის მეცადინეობით შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა.[133]

1815 წელს თბილისში სინოდის კანტორა დაარსდა. იმერეთის სამღვდელოება, მიტროპოლიტების მეთაურობით, კანტორის განკარგულებას ყურადღებას არ აქცევდა და დამოუკიდებლად მოქმედებდა. ამის გამო უწმინდესმა სინოდმა ეგზარქოსი ვარლამი გადააყენა და მის მაგივრად 1817 წელს ეგზარქოსად თეოფილაქტე რუსანოვი

---

[131] მ. მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე, 1992 ნ., გვ. 10.

* სანამ უძლიერესი საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში მოექცეოდა, 1901 წელს ახალგაზრდა იოსებ ჯუღაშვილი ნიანგის ცრემლებს ღვრიდა, თუ როგორ იჩაგრება მეფის ნყობილების უღელქვეშ არა მარტო მუშათა კლასი, არამედ საზოგადოებრივი კლასები და მთელი ერები: „...კვნესიან... თავისი სამშობლოდან დევნილი და ნმინდა გრძნობებ-შეურაცხყოფილი პოლონელები, ფინელები, რომელთაც თვითმპყრობელობამ ურცხვად გაუთელა ისტორიისაგან მიცემული უფლებები და თავისუფლება... კვნესიან ქართველები, სომხები და სხვა ერები... იძულებულნი, დაემორჩილონ იმ სამარცხვინო და შემავიწროებელ პოლიტიკას გარუსებისას, რომელსაც ასე გულმოდგინედ ატარებს თვითმპყრობელობა..." ჯუღაშვილს არც სარწმუნოება ავიწყდება, ის სექტანტების უფლებების დამცველად გვევლინება, რომელთაც მართლმადიდებელი ხუცესები ჩაგრავენ... ი. სტალინი, თხზულებანი, 1947 ნ., გვ. 21-22.

[132] სინოდი – უმაღლეს სასულიერო პირთა კრება მთელ რიგ მართლმადიდებლურსა და პროტესტანტულ ეკლესიებში; რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველობის უმაღლესი ორგანო (XVIII საუკუნის დასაწყისი – XX საუკუნის დასაწყისი). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, 1985 ნ., გვ. 373.

[133] საინტერესოა, რომ კათალიკოსებს თვით ქართველებიც არ სნყალობდნენ. 1774 წელს თბილისში აზნაურმა ტარიელ თაზიშვილმა ხანჯლით კათალიკოსი ნიკოლოზ ხერხეულიძე მოკლა. მკვლელი რიყის მიმართულებით გაიქცა, მაგრამ დაეწიენენ და ქვებით ჩაქოლეს, შემდეგ კი მისი ნათესავები დააწიოკეს. იმდროინდელი საქართველოს სინამდვილეში ტერორისტული აქტები იშვიათობა არ ყოფილა, მაგრამ „...კათოლიკოსის მოკვლა... განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენდა". გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, 1958 ნ., გვ. 69.

დანიშნა. დანიშვნისთანავე თეოფილაქტე იმერეთში გაემგზავრა, გურია-სამეგრელოში კი კანტორის მოხელეები დაგზავნა და საეკლესიო მამულების აღწერა და ჩაბარება დაავალა. მთავარმართებელი ერმოლოვი ეგზარქოსს მხარს უჭერდა, თუმცა ეს ნაბიჯები ნაადრევად მიაჩნდა, რადგან აჯანყებისა ეშინოდა. ეგზარქოსი კი დაწყებულ საქმეს აგრძელებდა: მან საქართველოში საეპისკოპოსო კათედრები 12-დან 4-მდე შეამცირა და ბევრი ეკლესია დაკეტა, რამაც ხალხის გაღიზიანება გამოიწვია: „ჩვენი ეკლესიები ოსმალებს არ დაუკეტიათ და ამას რა მოვესნარითო", ამას კი აჯანყება მოჰყვა.

იმერეთის გამგებელმა გენერალმა კურნატოვსკიმ ეს ამბავი ერმოლოვს აუწყა და ჯარი სთხოვა. მაგრამ მაშინ დაღესტანში ომი მიმდინარეობდა და მთელი ყურადღება იქითკენ იყო გადატანილი. შტაბის უფროსმა ველიამინოვმა თეოფილაქტეს სთხოვა, დროებით შეეჩერებინა თავისი საქმიანობა და ქართლში დაბრუნებულიყო. ის კი ჯიუტად აგრძელებდა ქუთაისში ყოფნას, სანამ ხალხმა არ გააგდო. ამით შეურაცხყოფილმა ეგზარქოსმა გადაწყვიტა, იმერეთიდან განედევნა იმერეთის ცნობილი მიტროპოლიტები და რუსეთში გადაესახლებინა. ეს აზრი მოიწონეს და საქმის სისრულეში მოსაყვანად ქუთაისში ჯარი გაგზავნეს.

ამ დროს ხანში შესული გენერალი კურნატოვსკი სამსახურიდან დაითხოვეს და მის მაგივრად ახალგაზრდა პოლკოვნიკი პუზირევსკი დანიშნეს, მასვე მიანდეს მიტროპოლიტებისა და მისი თანაშემწეების დაპატიმრება. შტაბის უფროსმა ველიამინოვმა პუზირევსკის ასეთი წერილი გაუგზავნა: „მიტროპოლიტების დახოცვას გაუფრთხილდით, ვინაიდან ეს ხალხს უფრო აღაშფოთებს. თუ ვინიცობაა, ეს ზომა საჭირო გახდეს, მაშინ დახოცილთა გვამები იმერეთში არ დატოვოთ, არც სადმე მდინარეში გადაყაროთ, რომ არ გამოირიყოს – მოზდოკამდე მიიტანეთ და იქ დამარხეთ".

1820 წლის 4 მარტს ლოცვის დროს პუზირევსკი და ხიშტებმომარჯვებული რამდენიმე ჯარისკაცი მიტროპოლიტ დოსითეოს ქუთათელის ოთახში შეიჭრნენ. პოლკოვნიკმა ლოცვის შეწყვეტა მოსთხოვა და უბრძანა, უკან გამომყევიო, რაზეც სასტიკი უარი მიიღო. მაშინ ჯარისკაცებმა მიტროპოლიტს ხელი სტაცეს, მაგრამ ის რკინის სარკმელს მოეჭიდა და არ ნებდებოდა, მას მესენაკე ყიფიანიც მიეშველა, რომელსაც თავში კონდახი ჩაარტყეს და უგრძნობლად დასცეს იატაკზე. მოხუცი მიტროპოლიტი კიდევ დიდხანს უნევდა წინააღმდეგობას, მაგრამ ბოლოს თოკებით შეკრეს და კონდახის ცემით გარეთ გამოათრიეს.

იმავე ღამეს შეიპყრეს გელათის მიტროპოლიტი ევთიმე, მასთან ერთად – სოლომონ პირველის ასული დარეჯანი, სეხნია წულუკიძე, მდივანბეგი დავით მიქელაძე და ბევრი მისი თანამოაზრე მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად. ტყვეებს თავზე გაფისული ტილოები ჩამოაცვეს, რომ არავის ეცნო, მხოლოდ სულის მოსათქმელი დაუტოვეს, ხელ-ფეხშეკრულნი ურემზე დაყარეს და რუსეთისკენ გაგზავნეს. ნაცემ-ნანამები ქუთათელი გზაში გარდაიცვალა და ის ანანურის საყდარში დაკრძალეს. პუზირევსკი კი ამის თაობაზე ერთ წერილში წერდა, მიტროპოლიტი ტიფისგან გარდაიცვალაო. ყველა დაპატიმრებული რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში გადაასახლეს, სადაც უკიდურეს სიღარიბეში გარდაიცვალნენ.[134]

---

[134] პუზირევსკის სამგიერო მალე მიეზღო. ამ საქმის მოთავების შემდეგ ის მცირე რაზმით გურიისკენ გაემგზავრა, სადაც ქაიხოსრო გურიელთან შეფარებული სოლომონ პირველის შვილიშვილი, ივანე აბაშიძე იმალებოდა და აჯანყებას ხელმძღანელობდა. შემოქმედის ციხესთან რომ მივიდა, პუზირევსკის ნინ მეშოხვდა სამი გურული, მათ შორის იოთამ ბოლქვაძე (სხვა ცნობებით, ბოლქვაძე მარტო იყო). ქაიხოსრო გურიელს ისინი დასაზვერად გამოეგზავნა. პუზირევსკიმ მათ დაუყვირა: „აბა არიან ის ძალლისშვილი ქაიხოსრო?" და ერთ გურულს მათრახიც უთავაზა. ბოლქვაძეს ბევრი არ ეფიქრია და ერთი გასროლით პოლკოვნიკი იქვე გააგორა, პუზირევსკის ერთი მხლებელი კი ხმლით ფეხზე გააპო. დანარჩენი რუსები კი შეიპყრეს და თან წაიყვანეს.

რუსებმა ქართულ ეკლესიას ესეც არ აკმარეს – მათ რუსეთში გაჰქონდათ განძეულობა, ხატები, ფრესკებს კი ანადგურებდნენ, კირით ლესავდნენ და მის ადგილას რუსული მხატვრობის ნიმუშებს სახავდნენ ან განადგურებულს ტოვებდნენ.

ქართული ეკლესიის დევნა რუსეთის ბატონობის მთელ პერიოდში გრძელდებოდა. „ეს ის დრო იყო (XIX საუკუნის მეორე ნახევარი – ი. მ., ლ. ხ.), როდესაც ტფილისის არც ერთ ქართულ ეკლესიაში ქართულ ლოცვა-წირვას ვეღარ გაიგონებდით. ეს ის დრო იყო, როდესაც შავრაზმელ მღვდელს ვოსტორგოვს და მის დამქაშებს შედგენილი ჰქონდათ გეგმა, მთელ საქართველოს სოფლებში გადაეგდოთ ქართულ ენაზე ღვთისმსახურება და ქართული საეკლესიო ენის მაგიერ შემოეღოთ სლავური ენა“[135]. ქართველი სამღვდელოება აქტიურად ჩაება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. ამ მოძრაობის წევრები იყვნენ მომავალი კათალიკოს-პატრიარქები: კირიონი, ლეონიდი, ამბროსი და სხვები. რასაკვირველია, ქართველი ავტოკეფალისტების ამ მოძრაობას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია დიდი უკმაყოფილებითა და აღშფოთებით შეხვდა. 1905 წლის ივნისში სასულიერო სემინარიაში გამართული ქართველი სამღვდელოების ყრილობა საქართველოს ეგზარქოსის, ნიკონის, ბრძანებით კაზაკებმა სასტიკად დაარბიეს. სასულიერო წოდება ხელშეუხებლობას გულისხმობდა, მაგრამ კაზაკებმა მღვდლებს უმოწყალოდ სცემეს შენობაში, პუშკინის სკვერში; სასულიერო პირებმა ტრამვაის ვაგონებს შეაფარეს თავი, მაგრამ კაზაკების მათრახი და კონდახი მათ იქაც დაეწია. ფიზიკური დაზიანება მიიღო სამღვდელოების 60-ზე მეტმა წარმომადგენელმა. ამ ველური აქტის გამო ქალაქის თვითმმართველობამ პროტესტის ნიშნად სხდომა დახურა. დეპუტატმა ხრამელოვმა კი შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „საქართველოს ცხოვრებაში იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც მტრები თვით ეპისკოპოსებსაც ყრიდენ მტკვარში, მაგრამ ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც გამწვავებული ბრძოლა სწარმოებდა ისლამსა და ქრისტიანობას შორის... განა აქ ისლამი ებრძვის ქრისტიანობის წარმომადგენელთ? განა აქ ადგილი აქვს ორი რელიგიის ბრძოლას? არა, აქ სულ სხვა პირობებია... აქ თავიდან ფეხამდე შეიარაღებული ხალხი მუხანათურად ესხმის თავს ქართველ სამღვდელოებას... ენა გიდუმდება და ვერ პოულობ შესაფერ სიტყვებს, რომ გამოსთქვა ის აღშფოთება, რომელსაც გრძნობს მთელი მხარე ამ ბარბაროსული სიმხეცის გამო“[136].

1908 წლის 28 მაისს ანტიქართული საქმიანობით განთქმული ეგზარქოსი ნიკონი სასინოდო კანტორის შენობაში მოკლეს. „...როცა მისი მეუფება ექსარხოსი შევიდა კანტორის შესავალში, ზედიზედ გაისმა რამოდენიმე რევოლვერის სროლის ხმა, ხოლო ამის შემდეგ გამოვარდა ორი „ტუზემეცი“ და მიეფარენ სომხის ბაზრისკენ... გვამის გასინჯვის შემდეგ გამოირკვა, რომ არქიეპისკოპოზ ნიკონისათვის ესროლათ ორ ბოროტ გამზრახველს ორი მხრიდან და მოერტყმიათ მეუფისათვის სამი ტყვია, განსვენებულის გვამში ნახეს ტყვიები მაუზერის და ბრაუნინგის სისტემის რევოლვერებიდან. სამი ტყვია მეორე მხარეზე გასულა, გაუკაწრავს გული, ფილტვები და სხვა შინაგანი ორგანოები, ერთი ტყვია მოხვედრია კისერში, დანარჩენები კი სხეულის სხვადასხვა ნაწილებში...“[137] ამ დანაშაულს ფედერალისტებს აბრალებდნენ, ისინი კი კატეგორიულად უარყოფდნენ რაიმე კავშირს ნიკონის მკვლელობასთან. გიორგი ლასხიშვილი ფიქრობდა, რომ ეს ტერაქტი ქართველი სამღვდელოების წრეებში იყო დაგეგმილი და მოწყობილი. ეს იყო რუსეთის უმაღლეს ცენტრალურ სასულიერო მთავრობასა და ქართველ სამღვდელოებას შორის მწვავე დაპირისპირე-

---

[135] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, 1985 წ., გვ. 76.
[136] 1905 წელი ტფილისში, 1926 წ., გვ. 54.
[137] „ნაპერწკალი“, 1908 წ., №4.

ბის შედეგი. ამ დაპირისპირებაზე ისიც მეტყველებს, რომ, როცა ეგზარქოსი ნიკონი თბილისში ჩამოვიდა, მის დასახვედრად ქართველი სამღვდელოებიდან მხოლოდ გორის ეპისკოპოსი პეტრე მივიდა, რომელმაც მისასალმებელ სიტყვაში ისურვა, რომ ახლად დანიშნულ ეგზარქოსს საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენაზე ეზრუნა. რაზეც ნიკონმა უარი განაცხადა. ქართველმა სამღვდელოებამ თავის მხრივ მას ბოიკოტი [138] გამოუცხადა. იქამდე კი იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდიმ სინოდისაგან ნინადადებაც კი მიიღო, რათა „გადააყენოს სამსახურიდან მღვდელი გიორგაძე ქართველი სამღვდელოების სახელით სინოდში ტელეგრამის გაგზავნისათვის, რომელშიც აცნობებდა, რომ ახლა დანიშნული ექსარხოსი ნიკონი საქართველოში არ მოვიდესო"[139]. ნიკონის მოკვლის გამო ბევრი ქართველი ავტოკეფალისტი, მათ შორის ეპისკოპოსი კირიონი, დასაჯეს.

საისტორიო არქივში (ფონდი 156, აღწერილობა 1, საქმე 15) დაცულია დოკუმენტები, ქალაქ ნიკოლაევის საკატორღო ციხის ტუსაღის, ყვირილის ხაზინის ერთ-ერთი მძარცველის არსენ ქარსიძის[140] მონათხრობი, საიდანაც ვიგებთ, რომ 1905 წელს თბილისის გუბერნიაში შეიქმნა ავტოკეფალისტების პარტია, რომელიც საქართველოს ეკლესიის რუსულისგან გამოყოფას მოითხოვდა. მას შემდეგ კი, რაც 1907 წელს კაზაკებმა სასულიერო სემინარიაში ქართველი სამღვდელოების კრება დაარბიეს, ეგზარქოს ნიკონის მოკვლა გადაწყდა. დაიწყეს „ქილერის" ძებნა. ამასობაში ავტოკეფალისტებმა ეჭვი მიიტანეს ერთ სასულიერო პირზე, გვარად გურგენიძეზე, რომ ის პოლიციასთან იყო შეკრული და შეეძლო გაეცა, ამიტომ მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. ეს გადაწყვეტილება გურგენიძემ გაიგო და შეთქმულებს სთხოვა, რომ არ მოეკლათ, სამაგიეროდ ყველაფერს გავაკეთებო. მაშინ მას ეგზარქოსის მოკვლა ან კიდევ მკვლელის გამოძებნა შესთავაზეს. გურგენიძე დათანხმდა. მან სასულიერო სემინარიის ყოფილ მონაფეს, იმჟამად ანარქისტების პარტიის წევრს, ეფიმ კუჩუკს, საქმის ვითარება გააცნო, ისიც დათანხმდა და დამხმარედ ზაქრო ტურიკიანცი წამოიყვანა. ამ საქმეში მათ 500 მანეთი მოითხოვეს. იქამდე კუჩუკი სასჯელის მოლოდინში მეტეხის ციხეში იჯდა სადგურ კარაიაზში საფოსტო მატარებლის ძარცვის მცდელობის გამო[141]. კუჩუკი ციხეში ბანქოს თამაშობდა, მუდმივად აგებდა, ფულს კი პატიმარ

---

138 პროტესტის ეს ფორმა პირველად გამოყენებულ იქნა ინგლისში მემამულეებსა და გლეხებს შორის დაპირისპირების დროს. ბოიკოტი ძალზე ფართოდ გავრცელდა რევოლუციურ გურიაში. „უმაღლესი დასჯა ბოიკოტით ასეთი იყო: დამნაშავეს ეკრძალებოდა ეზოდგან გადმოსვლა და მისას ჩასვლის უფლება არავის არ ჰქონდა, თუ გინდ მისას ცეცხლი გასჩენოდა სახლს; იყო შემთხვევები ოჯახის ნევრებსაც არ ეძლეოდა დასჯილზე გალაპარაკების უფლება. მახსოვს ისეთი შემთხვევებიც რომ გამოუსნორებელი პირი ტყვეით სნორდებოდა. ყველა ეს სასჯელი ხალხს გამოჰქონდა მასიურ კრებებზე", – წერდა უცნობი ავტორი. შსსსს ფონდი 8, საქმე 242, აღწერილობა 2, ნანილი II, გვ. 4.

139 „ახალი ცხოვრება", 1906 წ., №12.

140 ქარსიძემ პოლიციას ბევრი რამ მოუთხრო დუშეთის ხაზინის გაძარცვის, ერივანსკის მოედანზე ექსპროპრიაციის შესახებ, რომელზეც ქვემოთ გვექნება დეტალურად საუბარი. მან ამოიცნო ფოტოს საშუალებით კამო, როგორც ერივანსკის მოედანზე „ექსის" მეთაური და გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მკვლელობის ორგანიზატორი, აგრეთვე დაუსახელა ის ბინა თბილისში, გონჩარნი (დღევანდელი მოსე თოიძის ქუჩა) ქუჩაზე, სადაც „ექსის" მონანილენი იკრიბებოდნენ და იარაღს ინახავდნენ. მეტეხის ციხეში მისი პატიმრობისას მოდიოდა ცნობები, რომ ქარსიძე პროვოკატორია, რომ მან ბევრი რევოლუციონერი გასცა. ამის დამამტკიცებელი საბუთებიც აღმოჩნდა, მაგრამ ციხის ადმინისტრაცია მას საიმედოდ იცავდა მსჯავრდებულთა რისხვისაგან. საბოლოოდ ქარსიძე საკატორღო ციხეში ტიფით გარდაიცვალა.

141 1907 წელს პარტიის დავალებით უნდა მომხდარიყო თავდასხმა მატარებელზე, რომელსაც მილიონი მანეთი გადაჰქონდა, მაგრამ არშემდგარი მძარცველები გასცეს და ტერორისტული ჯგუფის თითქმის ყველა მონანილე დააპატიმრეს.

ალექსი ქართველიშვილისაგან სესხულობდა. კუჩუკი ჰპირდებოდა, რომ, როგორც კი გათავისუფლდებოდა, ვალს დაუბრუნებდა. ბუნდოვანია, როდის შესთავაზეს კუჩუკს ეს საქმე – ციხეში როცა იყო, თუ როცა განთავისუფლდა. ყოველ შემთხვევაში, ქარსიძის თქმით, ქართველიშვილმა იცოდა ეგზარქოსის მკვლელობის გეგმის შესახებ. 1908 წლის 11 მაისს მეტეხის ციხიდან ტუსაღების დიდი ჯგუფი გაიქცა.

გაზეთი „ცხოვრების სარკე" (1908 წ., №17) მკითხველს გაქცევის ამბავს ატყობინებდა. გაქცეულთა შორის ზაქრო ტურიკიანციც იყო: „...მეტეხის ციხის კარებიდან მისულა ვიღაც უცნობი და ფანჯარაზე დაუკაკუნებია. მეკარე ეგნატე პალჩიკოვიჩმა ფანჯარა გააღო, უცნობმა სთხოვა, რომ მას გამოერთმია ტუსაღ მაისურაძისთვის ცარიელი კალათი, რომლითაც მან მაისურაძეს რამდენიმე ხნის ნინათ სურსათი მიუტანა და მისთვის გადაეცა. პალჩიკოვიჩმა ტუსაღ მაისურაძეს დაუძახა, და როდესაც ეს უკანასკნელი კარებთან მივიდა, ამ დროს საიდანღაც რამდენიმე სროლის ხმა გაისმა. უცებ წაიქცა სამი ტყვიით მძიმეთ დაჭრილი ჯარის კაცი... ამ დროს ზედიზედ ორმა ყუმბარამ იფეთქა, კალათის მომტანმა უცნობმა მაუზერის რევოლვერით სასიკვდილოთ დაჭრა ჯარის კაცი პეტრე დუკმასი და კედლის გარეთ მდგომი გარადავოი. ამ გვარათ, გაინმინდეს თუ არა გზა, ტუსაღები მიანყდენ კარს, ძალით გააღეს და მიიმალენ..."[142]

გაქცევის შემდეგ, 28 მაისს, ნიკონი ზემოთ აღნიშნულმა პირებმა მოკლეს, ხოლო მეორე დღეს, 29 მაისს, მძარცველები (იმერლიშვილი, ტურიკიანცი და სხვები) თავს ´დაესხნენ თბილისის საბაჟოს. მძარცველებმა მოკლეს საბაჟოს მმართველი და კიდევ სამი ადამიანი. „...მოათავეს თუ არა თავისი საქმე..., (მძარცველები) სხვადასხვა მხარეს გაიქცენ. ორი მათგანი იქვე იქნა მოკლული დროზე მოსულ დარაჯების მიერ. მესამე გაიქცა გოგოლის ქუჩით ავჭალის ქუჩისკენ, სადაც ის ჯარისკაცებმა მოკლეს..."[143] მოკლულ მძარცველთა შორის ნიკონის ერთ-ერთი მკვლელი ზაქრო ტურიკიანციც იყო („ოხრანკის" ცნობით, თავდამსხმელებმა სალაროდან 30 179 მანეთი გაიტაცეს. გამოძიების მასალებიდან ირკვევა, რომ მძარცველებს თავისი კაცი ჰყავდათ საბაჟოში, მცველი მათიაშვილი. თურმე ფულის გაყოფის დროს ერთ-ერთმა მძარცველმა ჩუმად 5 ათასი მანეთი მიითვისა, რისთვისაც სიკვდილი გადაუწყვიტეს, მაგრამ მას

---

142 გაქცევის ორგანიზებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ტურა" მაისურაძემ, რომელმაც თუნუქის რძის ჭურჭლით ციხეში ბომბის დასამზადებლად საჭირო კომპონენტები შეაპარა, რისგანაც ტერორისტმა ილიკო იმერლიშვილმა და მისმა ამხანაგებმა ბომბი დაამზადეს. შემდეგ ერთ-ერთი ტერორისტის საშუალებით (ის მეტეხის ციხის კედლებთან განგებ „მარსელიოზას" მღეროდა, რისთვისაც, რასაკვირველია, მაშინვე დააპატიმრეს, მაგრამ რიგიანად არ გაჩხრიკეს) ციხეში ბრაუნინგი შეაპარეს. ორიოდე სიტყვით ილიკო იმერლიშვილის შესახებ: ის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური ბოევიკი და ტერორისტი იყო, 1905 წელს მონაწილეობდა სომეხ-თათართა „დაშოშმინებაში". ის მეგობრობდა გურულ ფირალებთან და ტერორისტებთან, განსაკუთრებით ერასტი ჯორბენაძესთან. ამ უკანასკნელის მოკვლის შემდეგ იმერლიშვილი ისევ განაგრძობდა ტერორისტულ საქმიანობას. 1914 წელს ნაძალადევში პოლიცია თავს დაესხა იმერლიშვილს და ცნობილ ტერორისტს, ქართლელ ვანო ფარესიშვილს. ყაჩაღებმა ცეცხლი გაუხსნეს პოლიციას და მოკლეს ბოქაული, მისი თანაშემწე და დაჭრეს 14 კაცი. ტერორისტებმა პოლიციის დაბნეულობით ისარგებლეს და სახლიდან გამოცვივდნენ. ფარესიშვილი მოკლეს, იმერლიშვილი კი გაიქცა. როდესაც იმერლიშვილის ოჯახი გვამის ამოსაცნობად მიიყვანეს, იმ იმედით, რომ თავს დაანებებდნენ, მათ მოკლული იმერლიშვილად გამოაცხადეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ტერორისტები დიაკვანმა არჩილ იოსებიძემ გასცა. იმერლიშვილმა ის გამოიჭირა და თავი მოაჭრა, მოჭრილი თავი კი ფოსტით სასამართლოში გაგზავნა. ნინა მაისურაძე, შსსსს ფონდი 93, აღნერილობა 2, საქმე 553. ამ შემთხვევის შემდეგ იმერლიშვილმა დატოვა თბილისის მიდამოები და დუშეთის მაზრის ტყეებში მოქმედ წითელ პარტიზნებს შეუერთდა. 1914 წელს ილიკო იმერლიშვილს შემთხვევით ხელში ბომბი აუფეთქდა და გარდაიცვალა.

143 „ნაპერწკალი", 1908 წ.

მომავალმა სიძემ უშველა: თანამოსაქმეებს შეეხვეწა და ქურდი შეინყალეს. გადარჩენილმა მძარცველებმა ამ ფულით რესტორანი „პარიზი" გახსნეს[144]).

იმას, რომ ეგზარქოსი ტურიკიანცის და კუჩუკის მოკლულია, კიდევ ერთი ფაქტი ამყარებს [145]. გაქცეული ქართველიშვილი დაიჭირეს და ისევ მეტეხში დააბრუნეს, სადაც ეგზარქოსის მოკვლის ამბავი გაიგო: ერთხელ მას ამანათი შეუგზავნეს – ჩაი, შაქარი და „ჩუსტი-ფეხსაცმელი", რომლის ქუსლში 25 მანეთი და პატარა ბარათი იდო კუჩუკისაგან: „ჩვენ ის გავაკეთეთ, რასაც გეუბნებოდი", ანუ ნიკონი მოვკალით (ეგზარქოსის მკვლელობას გაგრძელებაც ჰქონდა. ნიკონის საქმის გამომძიებელს კათოლიკეთა ქუჩის კუთხეში ვიღაც უცნობმა სამჯერ ზედიზედ მაუზერიდან ესროლა. გამომძიებელი თავში დაიჭრა, ხოლო მეეტლე – მარცხენა ხელში. თავდამსხმელი მიიმალა).

აღსანიშნავია, რომ მეფის მთავრობა არც სხვა ერების ეკლესიებს ინდობდა: 1903 წლის 12 ივნისს მთავრობის განკარგულებით სომხურ ეკლესიას ქონება ჩამოერთვა და ხაზინას გადაეცა (ცნობისათვის: 1869 წელს ალექსანდრე II-ის ბრძანებით აღმოსავლეთ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ჩამოერთვა ადგილმამულები, 106 ათასი ჰექტარი ტყე და სახნავ-სათესი მიწები და სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა). იქამდე კი დაკეტეს სომხური სკოლები, სომხური წიგნების გამომცემლობა. სომხების მისამართითაც იგივე გაკეთდა, რაც წლების განმავლობაში ქართველობის წინააღმდეგ კეთდებოდა. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა სომხური მოსახლეობის გამოსვლები მთელ რუსეთის იმპერიაში, მოხდა შეტაკებები კაზაკებსა და სომხებს შორის, მათ შორის საქართველოს ქალაქებშიც. 1903 წლის 14 სექტემბერს კოჯრის გზაზე, როდესაც მთავარმართებელი გოლიცინი და მისი მეუღლე ბოტანიკური ბაღიდან ბრუნდებოდნენ, სომხური პარტიის „დაშნაკცუტიუნის" (შემოკლებით დაშნაკები) ნევრები დაესხნენ და გოლიცინი თავსა და ხელში ხანჯლებით დაჭრეს. გოლიცინი თურმე გაფრთხილებული იყო მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ და ამიტომ ჯავშანს ატარებდა. გოლიცინს არ აპატიეს, რაც მან სომხების მისამართით ჩაიდინა: 1901 წელს მან გამოსცა ცირკულარი, რომლის მიხედვითაც თურქეთიდან დევნილი ყველა სომეხი უკან თურქეთში უნდა დაბრუნებულიყო. ამასთან ერთად მან გამოთქვა აზრი, რომ კავკასიის მუზეუმში უნდა შეინახონ სომეხი ქალისა და კაცის თითო ფიტული მომავალი თაობების ჭკუის სასწავლებლად. საინტერესოა ამ თავდასხმის შემდგომი დეტალები: ერთი საათის შემდეგ კაზაკებმა თავდამსხმელები ცოცხლად შეიპყრეს და, მიუხედავად თხოვნა-მუდარისა, იქვე დახოცეს. აღსანიშნავია, რომ კაზაკებს შალითებში თოფების მაგიერ ჯოხები ჰქონდათ. იმ ხანებში გახშირებული თავდასხმებისა და იარაღის წართმევის გამო გამოიცა ბრძანება, რის საფუძველზე, ვისაც იარაღი დაეკარგებოდა, სამსახურიდან დაითხოვდნენ. ამიტომაც „კანვოის" მეთაური, მშვიდად რომ ყოფილიყო, იარაღს კეტავდა. როცა თავდასხმის შესახებ ცნობა მოვიდა, კაზაკებს უბრალოდ დრო არ ჰქონდათ, რომ იარაღი აეღოთ და ამიტომაც დაშნაშავეების დასაჭერად ჯოხების ამარა მოუწიათ გასვლა[146].

სომხების აღმფოთების მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ საეკლესიო ქონების ჩამორთმევით დაშნაკებს ხელიდან ეცლებოდათ შემოსავალი, რომლის დიდ ნაწილს ისინი თურქეთში მოღვაწე თავის თანამემამულეებს აწვდიდნენ. 1897 წელს გაზეთ

---

[144] სცსსა ფონდი 94, აღწერილობა 1, საქმე 125.

[145] მიუხედავად მრავალი მტკიცებულებისა, დღემდე ეგზარქოს ნიკონის მკვლელებისა და დამკვეთების შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს.

[146] Н. А. Бигаев. Последние Наместники Кавказа (в свете личных воспоминаний) (1902—1917).

„Кавказъ"-ის რედაქტორი ველიჩკო წერდა, რომ ის ტერორისტული ქმედებები, რასაც სომხები სჩადიან, ეჩმიაძინის უშუალო ხელმძღვანელობით ხორციელდება. გარეგნულად ეჩმიაძინი ეკლესიაა, სინამდვილეში კი სომხების ნახევრად ფარული ნაციონალური შენობის თავისებური ფორმაა, რომლის მთავარ მიზანს შეადგენს სომხური ავტონომიური სამეფოს შექმნა რუსული ტერიტორიების ფარგლებში.[147]

აღსანიშნავია, რომ დაშნაკები ტერორითა და ექსპროპრიაციებით ფულის შოვნის საუკეთესო საშუალებას ხედავდნენ. ისინი მსოფლიოში მიმოფანტულ მდიდარ სომხებს ფულს სძალავდნენ, ხოლო ვინც ეურჩებოდა, უბრალოდ კლავდნენ. სომხებთან დაკავშირებით დაძაბულობა რომ მოეხსნა, ნიკოლოზ II-მ 1905 წელს გააუქმა ზემოთ ნახსენები კანონი, სომხურ ეკლესიას დაუბრუნდა მთელი ქონება და ის მოგება, რაც ამ ორ წელიწადში მას დააკლდა (საფიქრებელია, სომხებმა მაგრად „იმუშავეს")...

საქართველოში გაბატონებასთან ერთად რუსეთის ხელისუფლებამ დახურა თბილისის ქართული სკოლები და თელავის სემინარია, რომელიც 1782 ნლიდან მოქმედებდა (ცნობისათვის: პირველი სემინარია თბილისში 1752 წელს გაიხსნა). ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ ქვეყანაში მეტი წერა-კითხვის უცოდინარი ყოფილიყო, შესაბამისად ქვეყნის მართვის საქმეში ქართული საზოგადოება მხოლოდ მცირე დოზით მიიღებდა მონაწილეობას, რაც ხელს აძლევდა დამპყრობელს. 1804 წელს რუსებმა სათავადაზნაურო ორკლასიანი სკოლა გახსნეს, ისიც პირველ რიგში რუსი მოხელეების ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა იქ ქართველ თავად-აზნაურთა შვილებსაც შეეძლოთ რუსულ ენაზე სწავლა-განათლების მიღება. აქედან მოყოლებული საქართველოში აქა-იქ იხსნებოდა სკოლები, მაგრამ შეზღუდული რაოდენობით. ჩვენში ისევე, როგორც მთელ ამიერკავკასიაში, არც ერთი უნივერსიტეტი არ არსებობდა. დაწყებითი განათლების მქონე ქართველებს სწავლის გაგრძელება რამდენიმე ათასი კილომეტრით ჩრდილოეთით – ოდესაში ან კიევში უხდებოდათ, რაც აბსოლუტური უმრავლესობისთვის, ძირითადად ეკონომიური სიდუხჭირიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო. ეს უპირატესად სათავადაზნაურო გიმნაზიების კურსდამთავრებულთათვის იყო ხელმისაწვდომი. ამიერკავკასიაში უნივერსიტეტის არარსებობა კარგად გამოხატავდა მეფის რუსეთის დამოკიდებულებას დაპყრობილი კავკასიის მიმართ – უნივერსიტეტის თავისუფალი აზრით გამსჭვალული კავკასიელი „ტუზემეცი", ამ შემთხვევაში ქართველი, უფრო მეტად შეინარჩუნებდა ეროვნულ ნიშნებს, უნივერსიტეტი სეპარატისტული მოძრაობისა და მეამბოხური სულის სამჭედლოდ გადაიქცეოდა და აქედან გამომდინარე, რუსეთის თვითმმართველობას საფრთხეს უფრო შეუქმნიდა. რუსი რეაქციონერები პირდაპირ მოუწოდებდნენ პატარა ერებს ეროვნულ ტრადიციებზე ხელის აღებას და მათი გარუსების აუცილებლობას ყურით მოთრეული და გამოგონილი საბუთებით ამტკიცებდნენ. ამიერკავკასიის ძალდატანებით გარუსების პროექტი ჯერ კიდევ პასკევიჩს ჰქონდა შემუშავებული, სადაც კერძოდ ნათქვამი იყო: „... заставить жителей тамошних говорить, мыслить и чувствовать по-русски" („ვაიძულოთ იქაურები, რომ რუსულად ილაპარაკონ, იფიქრონ და შეიგრძნონ")[148].

1817 წელს დღევანდელი ხელოვნების მუზეუმის შენობაში გაიხსნა თბილისის სასულიერო სემინარია. სასწავლებელი ამზადებდა რელიგიური კულტის მსახურთ, მომავალ ბერებსა და ხუცებს. სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა თავად მღვდელ-დიაკვნების შვილები იყვნენ. გლეხობასთან მიმართებაში სასულიერო ნოდება ზოგიერთ უპირატესობას ინარჩუნებდა – სასულიერო პირი განთავისუფლებული იყო სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან და გლეხისგან განსხვავებით, გაროზ-

---

147 http://vyshka.azeurotel.com/arxiv/2005/17/3.htm

148 ი. სიხარულიძე, გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს, 1956 წ., გვ. 51.

გვას არ ექვემდებარებოდა. თანაც თბილისში წასვლა ხელმოკლე ქართველებისთვის ხშირად პროვინციული ჩამყაყებული გარემოდან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება იყო.

სემინარიაში გაბატონებული იყო აღზრდის მკაცრი სისტემა (რუსულ ენაზე) და სწავლების ნიგნურ-სქოლასტიკური მეთოდი, აკრძალული იყო მოსწავლეთა ზრუნვა თვითგანვითარებაზე და ყველაფერი იქითკენ იყო მიმართული, რომ აღსაზრდელთა გონებრივი მიმართულება მთავრობისათვის სანდო და სასარგებლო ყოფილიყო. სემინარიის საცხოვრებელი პანანინა ოთახები არ ნიავდებოდა და არ თბებოდა, სუფევდა საშინელი ანტისანიტარია, შენობა ინფიცირებული იყო დაავადების გადამტანი მღრღნელებით. ხშირი იყო მოსწავლეების ჭლექით დაავადება და სიკვდილიანობა. უდანაშაულოდ დაპატიმრებული ადამიანის განცდა გვქონდაო, – იგონებდა იოსებ ირემაშვილი[149].

ბევრი კურსდამთავრებული სემინარიას ციხეს ადარებდა. მათ აკრძალული ჰქონდათ გარეთ გასვლა, ეს ნებადართული იყო მხოლოდ კვირადღეს, ისიც 3-5 საათით. სემინარიაში დამკვიდრებული ურთიერთდასმენა, ჯაშუშობა, დასჯის დამამცირებელი მეთოდები მოსწავლეებს არსებული წყობილების წინააღმდეგ განაწყობდა[150].

პარადოქსია, რომ სასწავლებელი, რომლის მიზანი ხელისუფლებისთვის მორჩილი სამღვდელოების კადრების გამოშვება იყო, სრულიად უკუშედეგს იღებდა. საქართველოში მოქმედი არც ერთი სასწავლებელი არ უშვებდა ამდენ ათეისტს, მეამბოხეს და მომავალ რევოლუციონერს (ი. ჯუღაშვილი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. ჯიბლაძე, ნ. ყორდანია და სხვები). მიუხედავად ამისა, თბილისის სასულიერო სემინარია ქართველ საზოგადოებრიობას ინტელიგენტთა შესანიშნავ კადრებს აწვდიდა. აქ მიიღო განათლება ს. დოდაშვილმა, პლ. იოსელიანმა, დ. ბაქრაძემ, გ. ქიქოძემ, ი. გოგებაშვილმა, ნ. ლომოურმა, ლ. არდაზიანმა და მრავალმა სხვა გამოჩენილმა ქართველმა.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში თბილისის სემინარიაში ისევე, როგორც მთელ საქართველოში, რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას მეთაურობდა მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი და მისი ამქრის რეაქციონერი წევრები – სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი და ეგზარქოსი პავლე ლებედევი. ეგზარქოსმა თითქმის ყველა სასულიერო სასწავლებლებიდან დაითხოვა ქართველი მასწავლებლები და რუსებით შეცვალა. თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის სწავლება აკრძალა. ბევრი ცნობილი ქართველი ეკლესიასა და საეკლესიო სკოლებში ქართული ენის აღდგენას და ქართული ენის კათედრის დაარსებას მოითხოვდა, რომელიც უზრუნველყოფდა ქართული გრამატიკის, სასულიერო და საერო ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიის, საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიის შესწავლის კარგად დაყენებას[151]. იაკობ გოგებაშვილი 1883 წელს წერდა: „ახალმა ეგზარქოსმა ისე ცხადად გამოავლინა თავისი ტომობრივი განკერ-

---

[149] ი. ირემაშვილი, სტალინი და საქართველოს ტრაგედია, 2006 წ., გვ. 24-25.

[150] ასევე დამთრგუნველი იყო სემინარიის შინაგანაწესი, რომლისგან ოდნავ გადახრაც სასტიკად ისჯებოდა – დასჯის ერთ-ერთი ფორმა გულისხმობდა საათების განმავლობაში გაუნძრევლად ერთ ადგილზე დგომას, მაგალითად, სასადილო ოთახში, როცა სხვები სადილობდნენ. სოსო ჯუღაშვილი დაიჯავა ამის გამო, რომ თავისუფალი საათის დროს (3-დან 5 საათამდე სტუდენტებს აკრძალული ჰქონდათ შენობაში ყოფნა) სემინარიაში ფანჯრიდან შეიპარა. სოსო აიძულეს, 3 საათის განმავლობაში საპირფარეშოში გაუნძრევლად მდგარიყო, თანაც უნდა ეყურებინა, სხვები როგორ ისაქმებდნენ. Jean-Jacues Marie. Stalin, 2003 წ., გვ. 93.

[151] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970 წ., გვ. 653-654.

ძოება... და მოგვცა ქართველთა ელემენტარული უფლებების მიმართ უპატივცემლობის იმდენი აშკარა საბუთი, რომ გამოინვია ქართველ საზოგადოებაში საყოველთაო განცვიფრება და გულისწყრომა". განსაკუთრებით „აუტანელი მაინც ეროვნული გრძნობისადმი სულიერ მამათა დამცინავი დამოკიდებულება იყო"[152]. სემინარიის მასწავლებელი ვინმე გობტინსკი თურმე სემინარიელებს საყვედურობდა, რომ ისინი ქართულად ფიქრობდნენ, ანუ ქართველად ყოფნა საკუთარ თავთან განმარტოებულ ადამიანებსაც კი ეკრძალებოდათ[153].

ისე უდიერად და თავხედურად, როგორც რუსები, ალბათ, არც ერთი დამპყრობელი არ ექცეოდა ქართულ ენასა და დამწერლობას. რუსები მას ძაღლის ენას უწოდებდნენ და მის ამოძირკვას ცდილობდნენ. ასევე ეპყრობოდნენ ყველაფერ ქართულს: 1882 წელს დავით ერისთავის სპექტაკლში „სამშობლო" სცენაზე ქართული დროშა გამოიტანეს, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მაყურებელში. ამის გამო „მოსკოვსკიე ვედომოსტის" რედაქტორმა კატკოვმა შეურაცხყოფა მიაყენა ქართველებს: „...ქართველებმა თავი უნდა დაანებონ სიზმრებს, ბოდვას და როტვას ქართველთა რაღაც წარსულზე; ურჩევ მათ ეხლა ეს ქართული დროშა გოდფრუას ცირკს ჩააბარონ, იქ ჯამბაზები და ტაკიმასხარები უკეთ გამოიყენებენ". ამ გამოხტომას ილია ჭავჭავაძემ უპასუხა წერილში „კატკოვის პასუხად": „...ეგ დროშა, რომელიც ეგეთის სასოებით და პატივით უტარებია იმოდენა ხანს უწინდელს ქართველს, ეგ დროშა, რომელიც წინ დახვედრია მოზღვავებულს თათრობას და მუსულმანობას და ქრისტეს ჯვარი თამამად წინ წაუმძღვარებია, ძლევამოსილობით ომიდამ გამოუტანია და დაუმკვიდრებია კავკასიაში, ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგამომეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უთხევია მამულისათვის, – დღეს ეგ დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვიღაცა კორესპონდენტმა და ბ-ნმა კატკოვმა ბანი მისცა". მსგავსი ქმედებანი ხდებოდა არა ბნელ შუა საუკუნეებში, არამედ სულ ახლახან, XIX და XX საუკუნეებში.

საქართველოს სახალხო სკოლებიდან ქართული ენის განდევნის შემდეგ რუსები წინადადებას იძლეოდნენ, სამეგრელოს, სვანეთის და აჭარის სკოლებში ქართულის ნაცვლად სწავლება მეგრულად, სვანურად, თურქულად და, რა თქმა უნდა, რუსულად შემოეღოთ[154]. 1885 წელს გამოიცა ბრძანება სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. დაიწყეს რუსულ ანბანზე დაყრდნობით მეგრული დამწერლობის შექმნა. მის ავტორად გამოდიოდა ვინმე თადა აშორდია. კრიტიკოსი და პედაგოგი იპოლიტე ვართაგავა მას ახასიათებს, როგორც უპრინციპო, ქარაფშუტა და თავქარიან კაცს, „რომელიც წიგნს სრულებით არ კითხულობდა, არც რუსულად და მით უმეტეს, არც ქართულად. მთელ თავისუფალ დროს ნარდისა და ქაღალდის თამაშს ანდომებდა"[155]. აშორდია მეგრელებს უმტკიცებდა, რომ ისინი ქართველები არ არიან, რომ ქართველები მათ ყოველთვის ჩაგრავდნენ, წაართვეს საკუთარი ენა და თავს მოახვიეს ქართული. მათი დამცველი მხოლოდ რუსები არიან, რომელთაც დაინახეს ქართველების „ვერაგული" პოლიტიკა და მეგრელებს ეხმარებიან, რათა დაიბრუნონ საკუთარი ენა და დაუბრუნდნენ ფესვებს. 1889 წელს აშორდიამ დაასრულა მეგრული ანბანის შეთხზვა. დაიწყეს საღვთო წიგნების მეგრულ ენაზე გადათარგმნა, მაგრამ ეს თარგმანები ხალხის ყურისთვის იმდენად უცხო და გამოუდ-

---

152 ა. სურგულაძე, ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, 1980 წ., გვ. 243.

153 ა. ხუნდაძე, რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი, 1932 წ., გვ. 6.

154 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970 წ., გვ. 645.

155 ი. ვართაგავა, XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები, 1957 წ., გვ. 20-21.

ეგარი გამოდგა, რომ მსმენელებში მხოლოდ სიცილს იწვევდა. ეს თარგმანები უარყო სამეგრელოს სამღვდელოებამაც და მეგრულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღებას სიცოცხლე არ ენერა.

საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე სახელმწიფოებრიობის იდეა ისე არასდროს ჩამერალა, როგორც ეს მოხდა რუსეთის გაბატონების პერიოდში. „ტერორი, პროვოკაცია, ალერსი და ჯილდო – ყველაფერი იქითკენ იყო მიმართული, რომ ხალხის მონინავე ჯგუფები გაეხრწნათ და მით სახალხო ბრძოლის ხერხემალი გადაეტეხათ"[156]. ამ მეთოდმა შედეგი გამოიღო – ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი (განსაკუთრებით თავადაზნაურობა) წელში გატყდა, მოხდა ერის სრული დემორალიზაცია და დეგრადაცია, ერთგვარი მუტაცია, რის გამოც ეროვნული მუხტი თითქმის სრულიად ჩაქრა (თითქმისო, ვამბობთ, თორემ ქართველები მაინც არ ურიგდებოდნენ დამპყრობლებს, მათ შეძლეს ძალების მოკრება და XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთის მმართველობას რამდენიმე მძლავრი აჯანყებით უპასუხეს. ყველა ეს აჯანყება სისხლში იყო ჩახშობილი ჩინ-მედლებისა და აღზევების მოყვარულ ქართველთა დახმარებითა და მონაწილეობით). ქართველი კოლაბორაციონისტები რუსული მონსტრის სამსახურში ჩადგნენ და დროთა განმავლობაში (ანუ ძალიან სწრაფად) მათი დიდი ნაწილი მშვენივრად მოერგო არსებულ სიტუაციას, მტრის ბანაკში გადავიდა, მასაში კი იძულებითმა კონფორმიზმმა დაისადგურა. ახალ ბატონს ყოველნაირად რომ დამსგავსებოდნენ, ქართულს რუსული ენა ამჯობინეს (იმხანად მაღალი კულტურის მანიშნებელი იყო რუსულად უაქცენტოდ ლაპარაკი) და გვარებიც კი რუსულ ყაიდაზე გადაიკეთეს (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში). რუსია სამსახურში ყოფნა ქართველ ადამიანს საშუალებას აძლევდა, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფილიყო, თავი უცხოდ არ ეგრძნო, ანუ ამ ბუნებრივად უცხო ორგანიზმის განუყოფელი ნაწილი ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ქართველები ახალი „სამშობლოსა" და პატრონის ყველაზე ერთგული და საიმედო დამცველები გახდნენ. როგორც ჩანს, სახელმწიფოებრიობისა და ერის გადარჩენისათვის საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ბრძოლამ ქართველობა ძალ-ღონისაგან დაცალა და მას აღარ შეეძლო მედგარი ნინააღმდეგობა გაეწია რუსებისათვის. როგორც იტყვიან, ჩათრევას ჩაყოლა არჩია...

როგორც შემდეგი თავიდან შევიტყობთ, ქართველების მიერ ჩადენილი პირველი ტერორისტული აქტი ნაწილობრივ სწორედ გათელილი ნაციონალური გრძნობების გამოვლინება იყო.

---

[156] გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, 1995 წ., გვ. 74.

პირველი ტერორისტული აქტი

ეროვნულობის განცდა, დაპყრობილი ერის მიერ დაუმორჩილებლობისა და ნინააღმდეგობის გამოხატვა მეფის რუსეთის თვითმმართველობისთვის მუდმივი შიშის წყარო იყო. ეროვნული თვითშეგნების ჩაკვლა სემინარიის შინაგანაწესის ფარული თუ გამოცხადებული წესრიგის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა. ეროვნული თავმოყვარეობის მიზანდასახული შელახვა კი ახალგაზდული მეაბოხე სულის აფეთქებებით ვლინდებოდა, რომელიც ზოგჯერ სემინარიის მმართველობის მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებაში გამოიხატებოდა.

დაუმორჩილებლობის პირველი მაგალითი, რომელმაც ყველა აალაპარაკა, 1873 წლის 6 დეკემბერს მოხდა. იმ დღეს კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე ალექსანდრეს ბაღში სეირნობდა. გზაში მას შეხვდა სამი ახალგაზრდა, რომლებმაც მეფისნაცვალს საკადრისი სალამი არ მისცეს, მხოლოდ ქუდებზე ხელი ოდნავ მოიკიდეს, ერთმა კი გაიღიმა კიდეც. მეფის ნაცვალი აღშფოთდა. საქმე ის არის, რომ ვინც მეფისნაცვალს შეხვდებოდა, უნდა გაჩერებულიყო, ქუდი მოეხადა და სალამი ისე მიეცა. დიდმა მთავარმა მოიხმო ყმანვილები და გულმოსულა ჰკითხა:
– მიცნობთ მე თუ არა, რატომ ქუდები არ მოიხადეთო.

როცა გაიგო, რომ ისინი სემინარიელები იყვნენ, თავის ადიუტანტს დაავალა, ისინი რექტორთან მიეყვანა და ეს ამბავი გადაეცა. ეს სემინარიელები იყვნენ: დავით კეზელი, შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი, რომელიც სტატიებს „დავით სოსლანის“ და „ზოილის“ ფსევდონიმებით აქვეყნებდა, ალექსანდრე მაჭარაშვილი და სტეფანე ჭრელაშვილი, მომავალი პუბლიცისტი, „სანოს“ ფსევდონიმით ცნობილი. ამ ინციდენტს რომ დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ისიც მონმობს, რომ საქმეში ჩარეული იყო ჟანდარმერია, პოლიცია, პროკურატურა, ხოლო გამოძიების შედეგები თვით ალექსანდრე II-ს წარუდგინეს. სემინარიელები სამ თვეს ჰყავდათ მეტეხის ციხეში გამომწყვდეული. მათ სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯეს, დავით კეზელს კი ესეც არ აკმარეს და როგორც პოლიტიკურად არასაიმედოს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ საქართველოში ცხოვრების უფლება არ მისცეს და რუსეთში გადაასახლეს.

ამ შემთხვევის გამო პეტერბურგიდან სპეციალურად გამოგზავნილი „სამოსწავლო კომიტეტის“ ჩინოსანმა, კერსკიმ, სასულიერო სემინარიის საერთო რევიზია ჩაატარა. რევიზიის შედეგად სასწავლებლიდან დაითხოვეს სემინარიის ინსპექტორი გ. იოსელიანი, მასწავლებლები ტურიევი და ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილმა კი აღარ დაუცადა სინოდის გამოძიებას და თვითონ ჩამოშორდა სემინარიას. ცოტა ხანში რექტორიც გადააყენეს და მის მაგივრად დანიშნეს რეაქციონერი კუშინსკი. რაც მთავარია, ამ ამბების შემდეგ სასწავლებლიდან საერთოდ განიდევნა ქართული ენა.

სასულიერო სემინარიაში გაბატონებული ატმოსფერო მეამბოხე მოსწავლეებს „კანონსაწინააღმდეგო“ ქმედებებისაკენ უბიძგებდა. სემინარიელი თედო სახოკია ასე იხსენებს სოციალისტურ იდეებთან გაცნობას: „შიო დედაბრიშვილიცა (არაგვისპირელი – ი. მ., ლ. ხ.) და იოსებ ლაღიაშვილიცა, როგორც სემინარიაში ჩემზე ერთი ნლით ადრე შესულები და უკვე გაცნობილები „ახალ მიმართულებას“ (სოციალისტობას), ჩემს გასაცნობად ამ მიმართულებასთან მაძლევდნენ „აკრძალულ წიგნებს“... და

ქართულ ჟურნალებს..."[157]

მოსწავლეებში რომ პოპულარული იყო არალეგალური ლიტერატურის კითხვა, ამას მოწმობს 1885 წლის 7 მარტით დათარიღებული ოქმი, სადაც ვკითხულობთ: „...უკანასკნელ ხანებში მოწაფეთა შორის ძალიან გავრცელდა აკრძალული წიგნების კითხვა... ამ გზით მათ (მოსწავლეებს) ეძლევათ არა სწორი მიმართულება. ზოგ მათგანს, განსაკუთრებით, ჯიბლაძეს მივეცი უკანასკნელი გაფრთხილება, მაგრამ... მას გამოსწორება არ ემჩნევა და საჭიროა ასეთი მოწაფეების მიმართ გადამჭრელი ზომების მიღება". ამ ამბიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ მომავალი რევოლუციონერი, მენშევიკი და პუბლიცისტი სილიბისტრო ჯიბლაძე აკრძალული წიგნის (შელგუნოვის) კითხვის გამო სემინარიის უკანასკნელი კურსიდან „მგლის ბილეთით" დაითხოვეს.[158]

იმ დროს ჯიბლაძე ფეხის ტკივილის გამო სემინარიის საავადმყოფოში იწვა. ყოფილ სტუდენტს საავადმყოფოს დატოვება მოსთხოვეს. სილიბისტრო საშინლად გამწარდა – 14 წლის შრომა წყალში ჩამეყარაო, მაგრამ რა უნდა ექნა, აიღო ხელჯოხი და გამოვიდა საავადმყოფოდან. მოულოდნელად კიბეზე რექტორი ჩუდეცკი შეეფეთა. ჯიბლაძეს ბევრი არ უფიქრია, სილა უთავაზა რექტორს, კიბეზე დააგორა და მისი აივნიდან გადაგდებაც მოინდომა, მაგრამ მაშინ ჩუდეცკი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. სილიბისტრო სამი წლით გამოსასწორებელ რაზმში გაგზავნეს[159]. ჯიბლაძის მიერ ჩუდეცკისთვის აგლეჯილი თმა და წვერი სემინარიის მონაფეებმა კონვერტში ჩადეს და რექტორს მიუგდეს.

პოლიტიკური რეაქციისადმი მოსწავლე ახალგაზრდობის დამოკიდებულება კარგად გამოვლინდა „იმ უდიდეს და უპირველეს ტერორისტულ აქტში"[160], რომელიც 1886 წლის მაისში მოხდა. მხედველობაში გვაქვს ჯიბლაძის მიერ ნაცემი რექტორ ჩუდეცკის მკვლელობა, რომელიც ამავე სემინარიიდან გარიცხულმა მესამე კლასის მოსწავლემ იოსებ ლაღიაშვილმა განახორციელა. „გუშინ სემინარიაში ერთი უბედური შემთხვევა მოხდა: ერთ სემინარიიდან გამორიცხულ შეგირდს ლაღიევს, მოდგმით ოსსა, ხანჯალი დაუცია რექტორისათვის და ძალიან მძიმეთ დაუჭრია მუცელში და კისერში. რექტორი ორ-სამ საათის შემდეგ გადაცვლილა"[161]. საგაზეთო სტატიაში

---

157 თ. სახოკია, კრებული, 1969 წ., გვ. 213.

158 სემინარიიდან „მგლის ბილეთით" გარიცხვა ჩვეულებრივი ამბავი იყო. 1894 წელს დემონსტრაციის გამო სასწავლებლიდან სხვა 83 სემინარიელთან ერთად გააგდეს მომავალი სოციალ-დემოკრატი ალექსი გოგოხია, რომელიც შემდეგ ამერიკაში გადაბარგდა. 1897 წელს იგი დაუკავშირდა მოჯირითე ლუკა ჩხარტიშვილს და შეუერთდა ბაფალო ბილის „ველური დასავლეთის" შოუს. ლუკასთან ერთად იგი 1899 წლის სეზონის ბოლომდე მუშაობდა, 1900 წლიდან კი დამოუკიდებლად, საკუთარ ჯგუფთან ერთად დაინყო მუშაობა. მაშინ გადაიკეთა გვარი და გახდა ალექსი ჯორჯიანი, ანუ ქართველი. როგორც ამბობენ, 1903-05 ნლებში ის აკონტროლებდა ყველა გურულ მოჯირითეს და არაბ აკრობატს ამერიკის ტერიტორიაზე. საინტერესოა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და პირადად ნოე ჟორდანიამ ალექსი ჯორჯიანს შესთავაზა საქართველოს ელჩის პოსტი ამერიკაში, მაგრამ მან უარი განაცხადა. ი. მახარაძე, გურული მხედრები ამერიკაში, 2007 წ., გვ. 34. მეფის „ოხრანკის" ერთ დოკუმენტში (1902 ნლის 4 აპრილი) ვკითხულობთ: „...გამოირკვა იმ პირთა ფართო ნრე, რომლებსაც დასაგმობი მინერ-მონერა და ურთიერთობა ჰქონდათ ნოე ჟორდანიასთან... გამორკვეულია აგრეთვე ნოე ჟორდანიას ურთიერთობა ემიგრანტ ალექსი გოგოხიასთან, რომელიც... თანაბბად პოლიციის დეპარტამენტის ცნობებისა, სხვისი პასპორტით ჩამოვიდა 1900 წელს ბათუმში ჩვენი ნიუ-იორკელი და შვეიცარიელი ემიგრანტ-რევოლუციონერების დავალებით და ჩამოიტანა ორი ყუთი რევოლუციონური ლიტერატურა". ნოე ჟორდანია და მეფის „ოხრანკა", 1931 წ., გვ. 46.

159 „რევოლუციის მატიანე", №2-3, 1924 წ., გვ. 147-148.

160 ა. ბუნდაძე, რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი, 1932 წ., გვ. 6.

161 „ივერია", 1886 წ. 25 მაისი.

ლაღიაშვილი რატომღაც ოსად არის მოხსენიებული. ის დაიბადა 1866 წლის 2 იანვარს სამეგრელოში. მამამისი იაკობი ნარმოშობით გორის მაზრიდან იყო და სამეგრელოში სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად მსახურობდა. რამდენიმე წლის შემდეგ იაკობი მღვდლად აკურთხეს და გადაიყვანეს გორის მაზრის სოფელ ხურვალეთში. შვიდი წლისა იოსები დაობლდა. ბებიისა და ბიძების დახმარებით გორის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში შეევიდა. თბილისის საგუბერნიო ჟანდარმების უფროსის თანაშემწის შეკრებილი ცნობების მიხედვით იოსებ ლაღიაშვილი დახასიათებულია, „...როგორც ძლიერ კარგი ყოფაქცევის, ტკბილი ხასიათის, ჩუმი, წყნარი, მორჩილი, პატივის-მცემელი, მომთმენი და არაფერს ცუდში შენიშნული არ ყოფილაო"[162].

როცა სემინარიაში რექტორად დეკანოზი პავლე ჩუდეცკი დანიშნეს, ამ ამბავს ბევრი მიესალმა, რადგან ჩუდეცკი ბერი არ იყო, თანაც ცოლიანი და ყველა ფიქრობდა, რომ ის წინამორბედი ფანატიკოსებივით არ ნაიყვანდა საქმეს, მაგრამ მოტყუვდნენ. ჩუდეცკი იმავე პოლიტიკის გამტარებელი აღმოჩნდა. ამას დაერთო ოჯახური პირობებიც, რამაც რექტორი სემინარიელების წინააღმდეგ უფრო მეტად გააბოროტა. ჩუდეცკის ცოლი მარიამ მანჟელეი საქართველოს ეგზარქოსის პავლე ლებედევის საყვარელი იყო, ჩუდეცკიმ ამ ინტიმური კავშირის შესახებ იცოდა, მაგრამ ვერაფერს აკეთებდა. შიო არაგვისპირელი იხსენებდა: „...რექტორის ცოლი ახალგაზრდა, ლამაზი იყო... თურმე ამავე დროს ეგზარხოსის ცოლიც იყო... როცა ქუჩაში ხმაურობა მისწყდებოდა, ეგზარხოსის კარეტა მოადგებოდა ჩუდეცკის ბინას და ამასაც თავისი ლამაზი ცოლი უნდა ჩაესვა და ეახლებინა ეგზარხოსისთვის... (რექტორი) თავის გულის ვარამს ჩვენ ზურგზედ იქარვებდა... სოსოც დასტანჯა რექტორმა, ჯვარს აცვა და აი, შედეგიც..."[163]

სასამართლოში იოსებ ლაღიაშვილის დამცველმა სემინარიელთა მიერ ხელმონერილი წერილი წარადგინა, სადაც აღწერილი იყო ყველა ის საშინელება, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობას ამ რეჟიმისადმი მტრულად განაწყობდა. გაირკვა, რომ სემინარიის მოსწავლენი ლაღიაშვილის აქტიური მონაწილეობით გამოსცემდნენ ხელნაწერ გაზეთს „ყვავილს". მოსწავლეებს ჰქონდათ საიდუმლო შეკრებანი, ლიტერატურა და შიფრით დაწერილი დღიურები, რომელიც ჩხრეკისას ლაღიაშვილს უპოვნეს.

ჩვენებაში ლაღიაშვილი აცხადებდა, რომ ერთხელ მისი ბინის ჩხრეკის დროს მას აღმოუჩინეს პისემსკის თხზულება და რვეული, რომელშიც ის საკუთარ შთაბეჭდილებებს იწერდა. დღიურის მიცემაზე მან უარი განაცხადა, ამიტომ იოსები სემინარიიდან „მგლის ბილეთით" გარიცხეს, რაც იმას ნიშნავდა რომ ლაღიაშვილს აღარ შეეძლო არც ერთ სასწავლებელში სწავლის გაგრძელება და არც სამსახური რომელიმე კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებაში. იოსებს სახელმწიფო დაფინანსება მოეხსნა და თვეში მხოლოდ 6 მანეთი ეძლეოდა. ამ თანხით მან ოთახი იქირავა და ერთი ფელდფებელის ბავშვებს ამეცადინებდა. „...დამითხოვეს და ყოფაქცევის ნიშნად 4 დამისვეს. ამ ნიშნით მე არსად არ შემძლო შესვლა და ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდი, მით უფრო, რომ ივნისიდან ფელდფებელთან გაკვეთილები აღარ მქონდა და სრულიად უმწეოდ ვრჩებოდი..." – ამბობდა ლაღიაშვილი. ის რამდენჯერმე მივიდა რექტორთან და სთხოვა, ყოფაქცევის ნიშანი 5-ზე გადაესწორებინა, მაგრამ რექტორი ყოველთვის უარით ისტუმრებდა. ასევე არ აძლევდნენ სასწავლებლის დამთავრების მონმობას, რათა რომელიმე სოფლის მასწავლებლად

---

[162] ა. ჯორჯაძე, წერილები, 1989 წ., გვ. 571.

[163] ა. ხუნდაძე, რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი, 1932 წ., გვ. 37.

ნასულიყო. მისი თხოვნა, სადმე მღვდლის ახ დიაკვნის ადგილი მიეცათ, არც ეგზარქოსმა შეიწყალა.

სასამართლოზე ლაღიაშვილმა განაცხადა, რომ მკვლელობის იარაღი – ხანჯალი საკუთარი ფულით ჰქონდა ნაყიდი ვერის ხიდზე ვიღაც ოსისაგან. ხანჯალი მან პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ბალახებში დამალა. მკვლელობის დღეს, დილით, ის წავიდა სასაფლაოზე, აიღო ხანჯალი და ჩამოიკიდა ქამარზე, პალტოს ქვეშ. ერთი შეხედვით ლაღიაშვილმა მკვლელობა პირადი შურისძიების საფუძველზე ჩაიდინა, მაგრამ ვინმე „მონანილის" მოგონების მიხედვით, ეს ტერაქტი კარგად იყო ორგანიზებული და მომზადებული, სადაც ლაღიაშვილი მკვლელობის ბრმა იარაღად გამოიყენეს. აი, ნანყვეტი ამ მოგონებიდან: „...ჩვენ (მიხა ჩოდრიშვილი, მუშა-პოეტი იოსებ დავითაშვილი და სხვები – ი. მ, ლ. ხ.) შევიმუშავეთ ერთნაირი წესრიგი ტერორისათვის. გადაწყდა მოკვლა პირველ რიგში ეგზარხოსი პავლესი, მზრუნველის ივანოვსკისა და რექტორ ჩუდეცკისა... ერთხელ ...ვსცადეთ აგვეფეთქებინა სემინარიის ეკლესიის საკურთხეველი, მაშინ როცა შიგ იქნებოდენ ეგზარხოსი და რექტორი, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან ყუმბარა ცუდი გამოდგა. 1886 წელს მაისში ჩემთან მოვიდა გოლა ჩიტაძე და მითხრა, რომ იპოვნა სანდო პოროვნება, რომელიც ჩვენ განზრახვას შეასრულებს და დაასახელა იოსებ ლაღიაშვილი. ლაღიაშვილი მე მაგონდებოდა სემინარიის 1 და 2 კლასებში. ის და შიო დედაბრიშვილი სანთლებს ყიდდენ ეკლესიაში და ფულებს აგროვებდენ, ემსახურებოდნენ მწირველთ. უწყინარი და მორჩილი ყმანვილები იყვნენ... ჩიტაძის წინადადება ჭკუაში არ მომივიდა და არ დავეთანხმე პირველად. – შენ ძველი ლაღიაშვილი არ გეგონოს, მითხრა გოლამ. ძალიან მაგარი ბიჭი დადგაო და თან გაბრაზებული არის... ამასთან ისიც ჰქონდა მხედველობაში, რომ მცირე წლოვანი არის და ვერ დაახრჩობენ. შენ მხოლოდ ხანჯლების ფული მოგვეცი და დანარჩენი მე ვიცი".

ჩიტაძეს სამი ხანჯლის შესაძენად 12 მანეთი მისცეს. ამ მოგონებიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისინი ტყვიებს ყიდულობდნენ და არა ცივ იარაღს, თითქოს ერთი ხანჯლით სამი კაცის მოკვლა გაუძნელდებოდათ – „მოსაკლავი სამი იყო და ხანჯალიც სამი იყო საჭირო", თანაც თუ გავითვალისწინებით, რომ მკვლელი ერთი უნდა ყოფილიყო და არა სამი. არშემდგარი მკვლელობების შესახებ „მონანილე" ამბობს: „...ორი ხანჯალი მოუხმარებელი დარჩაო"[164].

რექტორის ცოლის მონაყოლით მკვლელობა შემდეგნაირად მოხდა: „...მოგვესმა საშინელი ყვირილი დეკანოზისა... დეკანოზი ჩვენსკენ მოდიოდა გაჩქარებით. ორივე ხელით მუცელი ეჭირა, უკან მოსდევდა მოწაფე ამოღებული ხანჯლით... დეკანოზი შევიყვანეთ კაბინეტში და ჩვენ ორმა დამ სწრაფათ მოვხურეთ კარები სასტუმრო ოთახისა და კარს მხარი მივეცით, რომ ლაღიაშვილი აღარ შემოგვეშვა, მაგრამ გვიანლა იყო. ლაღიაშვილმა მოასწრო ფეხის შემოდგმა კარებში და შემოჰყო აგრეთვე ხელი, რომელშიაც ამოღებული ხანჯალი ეჭირა... დეკანოზმა მოასწრო და კაბინეტიდან მეორე ოთახში გავიდა... ამ ოთახშივე გავიდა ეკატერინე მანუელეი, მოხურა კარები და მოანვა. მე კაბინეტში დავრჩი და სახელოში ნავავლე ხელი ლაღიაშვილსა, მაგრამ ვერ დავამაგრე... ლაღიაშვილი შევარდა სასადილო ოთახში, ორთავე დამ ვსტაცეთ ხელი, ერთმა სახელოში და მეორემ პალტოში, მაგრამ ვერ დავამაგრეთ, გამოეკიდა კიდევ დეკანოზ ჩუდეცკის, დაეწია ბალკონზე და დაკრა ამოღებული ხანჯალი კისერში..."

რექტორისა და მისი ნათესავების წინააღმდეგობის მიუხედავად, აფექტის მდგომარეობაში მყოფმა ლაღიაშვილმა ჩუდეცკი მრავალგზის დაჭრა („...რამდენჯერ შე-

---

[164] „ლომისი", 1922 ნ., № 20.

მოვკარ ხანჯალი ან რა ალაგს, ეს მე არ მახსოვს...“). ხელში დაიჭრნენ ჩუდეცკის ცოლი და მისი დაც. სიკვდილის წინ გამომძიებელს და ექიმებს მომაკვდავმა დეკანოზმა უთხრა: „მე დამჭრა სემინარიიდან გამორიცხულმა მოსწავლე ლაღიაშვილმა შურის ძიების მიზეზით...“ ამის შემდეგ, ცოტა ხანში ჩუდეცკი გარდაიცვალა. ექიმების დასკვნით, რექტორს სასიკვდილო ჭრილობა მუცელში ჰქონდა მიყენებული და ის სისხლისაგან დაიცალა.

სასამართლომ ლაღიაშვილს „ყოველივე ღირსების ჩამორთმევა“ და 20 წლით მაღაროებში მუშაობა მიუსაჯა. მას ეძლეოდა უფლება, ორი კვირის განმავლობაში მეფის სახელზე გაესაჩივრებინა სასამართლოს განაჩენი, რაზეც იოსებმა უარი განაცხადა.

ამ მკვლელობამ ხელისუფლება ფეხზე დააყენა. 1886 წლის 6 ივნისით დათარიღებული ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მოხსენებაში პოლიციის დეპარტამენტისადმი ვკითხულობთ: „...კავკასიის მთავარმართებელი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი ამ საქმეზე შემდეგი შეხედულებისაა: სემინარიის რექტორ ჩუდეცკის მკვლელობა არ არის საქმე მარტო იმ ერთი პირისა, რომელმაც ბოროტმოქმედება ჩაიდინა, არამედ ეს არის გადაწყვეტილება მთელი ჯგუფისა სემინარიის იმ არა-კეთილ საიმედო ყოფილ მონაფეთა, რომელნიც სხვადასხვა დროს გამორიცხული იყვნენ სემინარიიდან ცუდი ყოფა-ქცევის და ამხანაგებზე მავნე გავლენის მოხდენისათვის. გარდა ამისა, მისი ბრწყინვალება ხედავს კავშირს აღნიშნულ ბოროტმოქმედებისა და იმ შეურაცხყოფას შორის, რომელიც მიაყენა რექტორ ჩუდეცკის 1885 წელს მარტის თვეში სემინარიიდან დათხოვნილმა ყოფილმა მონაფე ჯიბლაძემ, რომ ტფილისში მცხოვრებმა სემინარიის ყოფილმა მონაფეებმა შექმნეს საიდუმლო ჯგუფი სოციალისტურ მოძღვრების გასავრცელებლად, ხოლო რექტორ ჩუდეცკის მკვლელობის ფაქტს აძლევს ტერორისტულ აკტის მნიშვნელობას“. სასწავლებლის საეჭვო ელემენტებისაგან გასანმენდად უმკაცრესი ღონისძიებები ჩატარდა. თვალთვალი მოსწავლეთა ქცევაზე კიდევ უფრო გააქტიურდა, მაგრამ ამ ღონისძიებებმა სემინარიის რეაქციული ხელმძღვანელობისთვის სასურველი შედეგები მაინც ვერ გამოიღო. აუტანელმა მდგომარეობამ მოსწავლეთა მოთმინების ფიალა აავსო და საერთო უკმაყოფილებამ რამდენიმე წლის შემდეგ უფრო ფართო მასშტაბით და ორგანიზებულად ამოხეთქა.

იოსებ ლაღიაშვილი გაგზავნეს სახალინზე[165], სადაც თავდაპირველად ფერშლის თანაშემწედ დანიშნეს, შემდეგ პოლიციის სამმართველოში გადამწერლად გადაიყვანეს, ბოლოს კი – ბიბლიოთეკის გამგედ. მაგრამ მას გადაემტერნენ და დააბეზღეს, რის გამოც ზამთარში ტყეში ხეების საჭრელად გაისტუმრეს. 1890 წლის თებერვალში ლაღიაშვილმა ციხის უფროსის ყურადღება დაიმსახურა, რომელმაც ტუსაღი საკუთარი შვილების მასწავლებლად აიყვანა. ყოველთვე, საჭმელ-სასმელისა და ბინის გარდა, მას ექვსი მანეთი ეძლეოდა. უფროსი იმდენად ენდობოდა, რომ ლაღიაშვილს თავისუფლად შეეძლო გადაადგილება. ზოგიერთი ცნობით, იოსებმა შეაგროვა საკმარისი თანხა, შეიძინა სამოქალაქო ტანსაცმელი, რევოლვერი, ერთი თვის საგზალი

---

165 ყველაზე საშიშ დამნაშავეებს, როგორც წესი, აგზავნიდნენ არა ციმბირში, არამედ სახალინზე, რადგან იქიდან გაქცევა უამრავ სიძნელესთან იყო დაკავშირებული და გადასახლებული ხელისუფლებისათვის საშიშროებას აღარ წარმოადგენდა. თუმცა ზოგიერთი რუსი მოხელე ბევრად უფრო რადიკალური ნაბიჯის გადადგმას მოითხოვდა. „სტატს-სეკრეტარი კნიაზი“ დ. ობოლენსკი 1887 წელს იასნაია პოლიანაში ლევ ტოლსტოისთან საუბრისას სერიოზულად უმტკიცებდა მნერალს, რომ დამნაშავეების გაქცევის აღკვეთა შესაძლებელია მათთვის თვალების დათხრით (!), რის გამო ტუსაღს აღარ ექნება ფიზიკური საშუალება გაქცევისა. А. Ф. Кони. Собрание сочинений, т. 2, 1966 წ., გვ. 46.

და ერთ დღეს ოთხ სხვა ტუსაღთან ერთად გაიქცა (1893 წელს ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა დებილმა „საქართველოს თავისუფლების ლიგის"[166] წევრებთან დაკავშირებით იოსებ ლაღიაშვილის საქმის ამოქექვა დაიწყო. ის აღნიშნავდა, რომ შ. დედაბრიშვილს და ორგანიზაციის სხვა წევრებს მიმონერა აქვთ ლაღიაშვილთან. დებილს განსაკუთრებით აინტერესებდა არა მინერ-მონერის შინაარსი, არამედ ის, იყო თუ არა სემინარიის რექტორის მკვლელობა რუსი ერისადმი ქართველი ერის სიძულვილის გამოვლენა. ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოსადმი მიწერილ წერილში (1894 წლის 14 დეკემბერი) პოლკოვნიკი წერდა: „კვლევა-ძიებიდან აღმოჩნდა, რომ ბრალდებულ შიო ზაქარიას ძე დედაბეროვს და თედო ტიმოთეს ძე სახოკიას 1891 წელს ჰქონდათ კავშირი ტფილისის სასულიერო სემინარიის ყოფილ მონაფე იოსებ ლაღიევთან, მას შემდეგ, რაც ლაღიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი და გაიქცა ამერიკაში იმ ფულით, რომელიც მას საქართველოში შეუგროვეს..." სახოკიამ და დედაბრიშვილმა ლაღიაშვილს კატორღაში სახარება გაუგზავნეს, ყდაში ჩამალული ოთხასი მანეთით).

ტყეებსა და ჭაობებში დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ გაქცეულებმა ნავი იშოვეს და მიუხედავად დიდი ღელვისა, ზღვაში შეცურეს. ერთი კვირის შემდეგ მათი ნავი იაპონიის ნაპირებზე გამოირიყა. „...მალე აცნობეს ჩვენს შესახებ ადგილობრივ პოლიციას. მოვიდა ფერშალი, მოიტანა საჭირო წამლები. ჩვენ ზღვაში გაციებულები ვიყავით, ხელები და ფეხები დასიებული გვქონდა. აღმოგვიჩინეს პირველი დახმარება. მეორე დღეს მოვიდა პოლიციელი მოხელე, გვაჩვენა ყველა სახელმწიფო დროშა და ხელით მიგვახვედრა, ვინ და სადაურები ხართ, თქვენი სახელმწიფო დროშა იცანითო. ჩვენ გერმანულ დროშაზე მივუთითეთ და გერმანელებად გავასაღეთ თავი," – ლაღიაშვილის წერილიდან.

რამდენიმე ხნის განმავლობაში ისინი იაპონიაში ცხოვრობდნენ. სულ მალე ერთი მდიდარი ებრაელის დახმარებით ფული შეაგროვეს და 1890 წლის 19 ივლისს გემით ამერიკაში ჩავიდნენ.

ანტონ ჩეხოვი ნაწარმოებში „Остров Сахалин" ასე აღწერს ლაღიაშვილის გაქცევას: „ცნობილი ლაღიევი, ტფილისის სემინარიის რექტორის მკვლელობისთვის გადასახლებული და კორსაკოვსკში მასწავლებლად ნამყოფი, აღდგომის ღამეს, 1890 წელს, მღვდლის შვილთან კატორღელ ნიკოლსკისთან და სამ მაწანწალასთან ერთად გაიქცა... ცოტა ხნის შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ სამოქალაქო ტანსაცმელში გამონყობილი სამი მაწანწალა უნახავთ... მაგრამ ლაღიევი და ნიკოლსკი მათთან ერთად არ იყვნენ; საფიქრებელია, რომ მაწანწალებმა დაიყოლიეს ახალგაზრდა ლაღიევი და მისი ამხანაგი, მათთან ერთად გაქცეულიყვნენ და გზაში ისინი დახოცეს, რათა მათ ფულსა და ტანსაცმელს დაპატრონებოდნენ"[167]. ჩეხოვმა არ იცოდა ლაღიაშვილის შემდგომი ბედი. როცა ის სახალინიდან ბრუნდებოდა, გაზეთმა „Русские ведомости"-მ დაბეჭდა წერილი, სადაც იუწყებოდა, რომ ლაღიევმა „...შეძლო ნავით პატიმრობის ადგილიდან გაქცევა და რომელიღაც უცხოურ გემზე ასვლა მოასწრო, რომელმაც ის ამერიკაში ჩაიყვანა"[168].

„...მივედით ახალ ქვეყანაში – ამერიკაში, ქ. სან-ფრანცისკოში. აქ ჩემი ამხანაგები რაღაცაზე ნამეჩხუბნენ და ჩამომშორდნენ. მე დავბინავდი სასტუმროში. ბინის ქირას

---

[166] ლიგა 1891 წელს ვარშავაში დაარსდა და აერთიანებდა რუსეთის იმპერიის უმაღლესი სასწავლებლების ქართველ სტუდენტებს.

[167] А. Чехов. Остров Сахалин, 1970 б., გვ. 307-308.

[168] „Русские ведомости", 1890, 3 ნოემბერი.

და საჭმელ-სასმელში ვიხდიდი დღე-ღამეში 1,25 ცენტს ...ჩვენი სასტუმროს ახლო სკოლაა. სკოლის წინ დგას რესპუბლიკის პრეზიდენტის აბრამ ლინკოლნის ძეგლი... ინგლისური ენის ცოდნა აუცილებელია. მაგრამ ყველა ეს ჩემთვის უსარგებლოა, მე თითქმის ნახევარმკვდარი ვარ, მე, უსამშობლოს, აღარფერი არ მახარებს"[169]. თავდაპირველად ლაღიაშვილი ერთ ფერმაში მუშაობდა, ინგლისური შეისწავლა და უნივერსიტეტში ლექციებს ისმენდა. მან სახელი და გვარი გამოიცვალა და გახდა თომ კოქსი (სხვა მონაცემებით – ჯოზეფ ლანტე). „...ამერიკაში გრძელი გვარები არ უყვართ, ამიტომ, როგორც სხვა ემიგრანტებმა, მეც გამოვიცვალე გვარი და სახელი", – წერდა ლაღიაშვილი. ცოტა ხანში მან მოქალაქეობაც მიიღო. ამერიკაში ის ცხოვრობდა შემდეგ მისამართზე: Tom Kocks Pavel street 1715 Lagvies San Francisco California USA.

თედო სახოკიას ცნობით, სან-ფრანცისკოში ლაღიაშვილი რუსული გემის ერთ მეზღვაურს, ვინმე ჭავჭავაძეს უნახავს. მისივე თქმით, იოსებ ლაღიაშვილი 1907 ან 1908 წელს გარდაიცვალა[170]. სხვა ვერსიით, ის ბოსტონში ცხოვრობდა, საიდანაც იტყობინებოდა, რომ მას დასაჭერად დასდევდნენ და ამიტომ გადაადგილება ბოსტონის ქუჩებში ღამღამობით უხდებოდა. ასევე ამბობდნენ, რომ ლაღიაშვილს მიწერ-მოწერა ჰქონდა თავის ძმასთან ბაქოში, რომელსაც სავაჭრო ჰქონდა გახსნილი. XX საუკუნის 20-იანი წლებისთვის ის ჯერ კიდევ ცოცხალი უნდა ყოფილიყო[171]. რექტორ ჩუდეცკის მკვლელობას ტრაგიკული გაგრძელება მოჰყვა. მის დასაფლავებაზე ეგზარქოსმა პავლემ წარმოთქვა სიტყვა, რომლის ტექსტი „Кавказъ"-მა კუპიურებით დაბეჭდა, და სწორედ იმ ნაწილის გამოკლებით, რამაც ქართველობა აღაშფოთა. კერძოდ კი, ეგზარქოსმა თქვა: „...დაიწყევლოს სამუდამოდ შენი მკლავიცა და ის ოჯახიცა, რომელმაც შობა იგი, რომელმაც დაბადა და ის ქვეყანა, რომელმაც გამოზარდა შენი მკვლელი"[172].

მის სიტყვას გამოეხმაურა საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე და თავადზნაურობის მარშალი დიმიტრი ყიფიანი. მას კარგად ესმოდა, რომ თავისი მდგომარეობა მეამბოხის როლში გამოსვლის უფლებას არ აძლევდა, რადგან ეს უკვალოდ არ ჩაივლიდა, მაგრამ „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკმა", მაშინ უკვე 72 წლის მოხუცმა, ყველაფერი გვერდზე გადადო და ეგზარქოსს წერილი მისწერა, რომელშიც მას ბოდიშის მოხდას და ქვეყნიდან ნასვლას სთხოვდა. „...თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ შემრაცყოფელი ადამიანი შეურაცყოფილ ქვეყნიდან დაუყონებლივ იქმნას გასული".

ამ წერილმა გადაწყვიტა დიმიტრი ყიფიანის ბედი – ის, როგორც არასაიმედო პირი და დამნაშავე, რუსეთში, კერძოდ კი სტავროპოლში, გადაასახლეს. როგორც არჩილ ჯორჯაძე სამართლიანად მიუთითებს – „არსებული პოლიტიკური წესი თავის წინააღმდეგი იქნებოდა, ასე რომ არ მოქცეულიყო".

ყიფიანის ამ პროტესტს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ბევრი გამოეხმაურა – მოსკოველმა ქართველმა სტუდენტებმა ყიფიანს მხარდამჭერი წერილი გამოუგზავნეს, სადაც ნათქვამი იყო: „...ის ქვეყანა, რომელსაც ჯერ არ გამოჰლევია თქვენისთანა მოხუცი, არ მომკვდარა..." როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, ამ ამბებიდან ცოტა ხნის შემდეგ მცხეთაში, თავად ივანე მუხრან-ბატონის მეუღლის

---

169 „ლიტერატურული გაზეთი", 1960 წ. 18 მარტი.
170 თ. სახოკია, ჩემის საუკუნის ადამიანები, 1984 წ., გვ. 163.
171 „რევოლუციის მატიანე", 1925 წ.
172 ა. ჯორჯაძე, წერილები, 1989 წ., გვ. 573.

დასაფლავებაზე, ეგზარქოსის ქადაგების დროს ქართული საზოგადოების დიდმა ნანილმა მიატოვა ეკლესია და გარეთ გამოვიდა[173].

ავადმყოფი დიმიტრი ყიფიანი იმედს არ კარგავდა, რომ ის გადასახლებიდან საქართველოში მალე დაბრუნდებოდა, თუმცა შეწყალებაზე უარს აცხადებდა. თავისი მეუღლისთვის გამოგზავნილ წერილში ყიფიანი წერდა: „...არსად, არას დროს და არავითარი ლაპარაკი არ უნდა იყოს პატიების შესახებ, რადგან პატიებას – ღმერთისადმი ვედრების გარეშე – მხოლოდ დამნაშავენი ითხოვენ".

ცოტა ხანში ხელისუფლებამ გადაწყვიტა მისი სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ მოხუც პატრიოტს ეს არ დაცალდა. სტავროპოლიდან გამოგზავნილი დეპეშა იტყობინებოდა: „დიმიტრი ყიფიანი მოჰკლეს ღამე 24 ოქტომბერს, მძინარე. თავში დაუცია სასნორის ქვა". „ივერია" (1887 წ., 34) წერდა: „გამოძიება ერთს საოცარ ამბავს მიადგა... დიმიტრისთან ხშირად დაიარებოდა უკანასკნელ დროს ერთი საეჭვო კაცი, ნაცრის ფერის პალტო ეცვა. ეს კაცი გადაეკიდა დიმიტრის და მოსვენებას აღარ აძლევდა მოხუცს". მკვლელობის შემდეგ კი ეს საეჭვო სუბიექტი, როგორც ამბობენ, უნმინდესი სინოდის რუსი ბერი, სადღაც გაქრა.

როდესაც დიმიტრი ყიფიანი თბილისში ჩამოასვენეს, ქალაქი საომრად გამზადებულს ჰგავდა. დედაქალაქში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ყიფიანის დასაფლავება მამადავითის მნერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაწყდა. პროტესტის ნიშნად მისი კუბო გოლოვინის პროსპექტზე, მთავარმართებლის სასახლის ნინ ჩაატარეს. ხელისუფლებამ სცადა, დამკრძალავი პროცესიისთვის ხელი შეეშალა, რომ მას გოლოვინის პროსპექტზე არ გაევლო და მოკლე გზით, ჭავჭავაძის ქუჩით, ასულიყო, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ და სამღვდელოებამ სიმტკიცე გამოიჩინა და არ დაანება – წინ გადამდგარ პოლიციის რაზმს ალექსანდრე ეპისკოპოსმა აღმართული ჯვრით მიმართა: „Дорогу кресту!" („გზა მიეცით ჯვარს!") და პოლიციამ პროცესია მაშინვე გაატარა.

ყიფიანის დასაფლავების მომსწრე არჩილ ჯორჯაძე ასე გადმოგვცემს ამ ნამდვილ ანტირუსულ გამოსვლას: „...ის ზღვა ხალხი, საქართველოს ყველა კუთხიდან შეგროვილი, ეროვნული გრძნობის აპრიალება და საზოგადოებრივ სოლიდარობის გამტკიცება დიდებული, ჯერ კიდევ უნახავი პოლიტიკურ-ეროვნული დემონსტრაცია იყო."[174]

საქართველოს ეგზარქოსი პავლე, რომელსაც ბევრი ბრალს სდებდა დიმიტრი ყიფიანის სიკვდილში, მეფის მთავრობამ ყაზანში გადაიყვანა. ამ ნაბიჯს ქართველობის ნინაშე მობოდიშების ფორმა რომ არ ჰქონოდა, იმპერატორმა ეგზარქოსი ბრილიანტის ჯვრით დაასაჩუქრა. პავლემ ყაზანში თან წაიყვანა თავისი შეყვარებული, ჩუდეცკის ქვრივი, რომელიც საკუთარ ეპარქიაში სასწავლებლის უფროსად დანიშნა.

---

173 ა. ჯორჯაძე, ნერილები, 1989 წ., გვ. 577.

174 იქვე, გვ. 582.

აგრარული ტერორი: თავად დიასამიძის მკვლელობა

„საქართველოში ბატონყმობა კი არ იყო, არამედ პატრონყმობა იყო", – ამბობდა თურმე გრიგოლ ორბელიანი. ფართოდ გავრცელებული მითი ქართველი ბატონისა და ყმის შეხმატკბილებულ და მამაშვილურ დამოკიდებულებაზე, რომელიც მაგალითად მოჰყავდათ რუს ბატონსა და მუჟიკს შორის გააფთრებულ ანატაგონიზმთან შედარებით, რა თქმა უნდა, სიმართლისაგან შორს იდგა, რაზეც ისტორიული დოკუმენტები და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები მეტყველებს. გრიგოლ ორბელიანის ზემოთ მოყვანილი განცხადებაც ზოგიერთი ამერიკელი პლანტატორის მიერ გამოთქმულ მონათმფლობელობის ერთ-ერთ გამამართლებელ „არგუმენტს" წააგავს – შავკანიანი მონა პატარა ბავშვივითაა და გულისხმიერი მეპატრონის მამური მეგზურობა და მოვლა სჭირდებაო.

ბატონისა და ყმის ურთიერთობა საქართველოში დიდად არ განსხვავდებოდა სხვა ბატონყმური წყობილების ქვეყნისაგან, სოციალური ანტაგონიზმი ჩვენშიც ძლიერი იყო და კლასთა შორის ბრძოლა მწვავე ფორმებს იღებდა. საქართველოში ოდითგანვე ყმების გაყიდვა და მათი გადაცვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. „ბატონებს აქ თავის ქვეშევრდომების სიცოცხლესა და ქონებაზე განუზომელი უფლებები აქვთ, როგორც უნდათ ისე ექცევიან მათ. ართმევენ ცოლებს, ბავშვებს; ყიდიან ან სხვაგვარად ბატონობენ მათზე"[175]. ასე აღწერს ფრანგი ჟან შარდენი XVII საუკუნის საქართველოს ბატონყმურ მდგომარეობას. ყმების გაყიდვა საქართველოში მრავალი საუკუნის განმავლობაში ხდებოდა, ეს საკმაოდ სარფიანი ბიზნესი გახლდათ, ტყვეებს ყიდდნენ ყველანი, ვისაც კი არ ეზარებოდა: მეფეები („იყო ესე ალექსანდრე მეფე... (1683-1695 წწ.) ხელად მქცევი, ცუნდრუკი, უღვთო ტყვის მსყიდველი"), მთავრები, თავად-აზნაურები, გლეხები და თვით მღვდელმთავრებიც („გაბრიელ ჭყონდიდელი იყო უღვთო, მეძავ-მემრუშე, სოდომია, და ტყვის მსყიდველი და სავსე ბოროტითა")[176]. თბილისის საროსკიპოები სავსე იყო გაყიდული ყმა გოგოებით, რომ არაფერი ვთქვათ აღმოსავლეთის ბაზრებზე, რომლებიც რეგულარულად ივსებოდა როგორც უცხოელი მოთარეშეების მიერ გატაცებული ადამიანებით, ისე ქართველების მიერ გაყიდული ყმებით. ცოცხალი საქონლით ქართველი მოვაჭრენი სარგებლის მოლოდინში არაფერს ერიდებოდნენ. იტალიელ მისიონერს არქანჯელო ლამბერტის მოჰყავს ერთი ფაქტი, თუ როგორ შეიტყუა ოდიშის დიდებულმა ვინმე ჭილაძემ თორმეტი ქართველი მღვდელი, ბორკილები დაადო, თმა და წვერი გაპარსა და თურქებს მიჰყიდა. მსგავსი ფაქტების მოუყვანა მრავლად შეიძლება. ნოე ჟორდანია იგონებს: „...ხალხი დიდად კმაყოფილი იყო, რომ რუსის ჯარი იცავდა (გურია XIX საუკუნის შუა წლებში ოსმალეთს ემიჯნებოდა, მაშინ აჭარა ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა დაუბრუნა აჭარა საქართველოს – ი. მ., ლ. ხ.)... ხალხი იტანჯებოდა ახირებული ჩვეულებით, ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა ჩოლოქს იქით გატაცებით და იქ გაყიდვით.

---

[175] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, 1975 წ., გვ. 117.

[176] „ჟამი ხსნისა", 2009 წ., გვ 31-32.

განსაკუთრებით იყიდებოდა გოგოები და ფასიც კარგი ქონდა."[177] ტყვეთა გაყიდვის ამ აღმაშფოთებელ ტენდენციას წერტილი მხოლოდ რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დაესვა.

მრავალმხრივ შევიწროებული გლეხები თავის გადასარჩენად და დასაცავად პროტესტისა და ბრძოლის სხვადასხვანაირ ფორმებს მიმართავდნენ, იქნებოდა ეს საჩივარი, საკუთარი მინა-წყლიდან გაქცევა-გადასახლება (იყო შემთხვევები, როცა აუტანელი პირობების გამო ყმა გლეხები ოსმალეთში გარბოდნენ და ნებაყოფლობით ბარდებოდნენ ტყვეებად) თუ პროტესტის უკიდურესი ფორმა: კოლექტიური ან ინდივიდუალური ტერორი, რაც გამოიხატებოდა საყოველთაო აჯანყებაში, ბატონის ავლადიდების დანვა-განადგურებასა და ბატონისა და მემამულის მოკვლაში. XVIII საუკუნის 40-80-იან წლებში კლასობრივი კონფრონტაცია გამწვავებულ ხასიათს იღებს, რაზეც მრავალი საბუთი და ხალხური გადმოცემა მეტყველებს. ერთი საბუთის მიხედვით ბატონ მაჭავარიანის ყმას გაქცევა ჰქონდა განზრახული. ბატონმა ეს გაიგო და მათ შორის ჩხუბი მოხდა, რაც მაჭავარიანის მკვლელობით დასრულდა. მეფის სახელზე მინერილი გიორგი ციციშვილის საჩიერიდან კი ვიგებთ, რომ მისი ყმა კემუხტაშვილი ჩაუსაფრდა მამამისს და მოკლა. შემდეგ გაღმა ქართლში გაიქცა, მაგრამ არც მას ასვენებდა და ერთხელ მოკლა გადაუწყვიტა – „...ბანიდან მომეპარა მეცა, მკლავდა, შეუტყვე და გამექცა..."[178] ხალხურმა მეხსიერებამ შემოინახა აგრეთვე ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ ქალთა სახელები: მაია წყნეთელი, თინა ნავკისელი, თამარ ვაშლოვნელი... XIX საუკუნეშიც ბატონისა და ყმის კონფრონტაციის მრავალი შემთხვევაა აღნერილი. 1810 წელს ყმა გლეხმა ხანჯლით აკუნა თავისი ბატონი, მეფე გიორგის მდივანბეგი ზაალ ბარათაშვილი, პაპა და სეხნია არსენა ოძელაშვილის ბატონისა. თვით არსენას შელაპარაკების ნიადაგზე ერთი მებატონე, გვარად საგინაშვილი ჰყავდა თურმე მოკლული, რის გამოც დიდ სინანულში ჩავარდნილა. მაგრამ ის დაამშვიდეს, საგინაშვილი გლეხების მტერი იყო, ისეთივე, როგორიც ბარათაშვილი და ამიტომ ღირსი იყოო[179].

არსებობს ცნობები, როგორ გაუსწორდნენ ყმები ბარძიმ ამილახვარს, მამამზე ერისთავს, სუმბათაშვილებს და სხვებს. გლეხები უკიდურეს შემთხვევაში იღებდნენ ხელში იარაღს და საკუთარ მნვალებლებს ხოცავდნენ. ასე მოხდა 1830-იან წლებში როცა გლეხებმა თავადი რევაზ ერისთავი ქალის გაუპატიურებისა და სხვა ცოდვების გამო ნაჭერ-ნაჭერ აკუნეს, ხეზე ჩამოკდეს, ასო მოაჭრეს და პირში ჩაუდეს. გვამი სამ დღე-ღამეს ეკიდა თურმე ხეზე. ასეთივე ბედი ენია თავად ამილახვარს, რომელიც დაქირავებული ოსის ხელით შუაზე გადაჭრეს, მასაც მოჭრილი ასო პირში ჩაუდეს, ხოლო მთელი ავლადიდება თან წაიღეს[180]. 1857 წელს სოფელ კარდანახში მოკლეს მებატონე გიორგი ვაჩნაძე, გორში – ამილახვარი; 1858 წელს – იოსებ ჯორჯაძე, ყვარელში – ალექსანდრე არღუთაშვილი, გორის მაზრაში – ერისთავი, ნათიშვილი, თარხნიშვილი. 1863 ნელს გლეხებმა მოკლეს ჯიხაიშელი თავადი ლორთქიფანიძე, ოზურგეთელი გურიელი და ბოჭოიძე, ქართლელი ციციშვილი, მეგრელი გაბუნია... მარტო 1875 ნელს თბილისის გუბერნიაში მემამულეთა სახლ-კარის გადანვის 150,

---

[177] ნ. ჟორდანია, ჩემი ნარსული, 1990 წ., გვ. 14.

[178] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973 წ., გვ. 567.

[179] საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, 1924 წ., ტ. 2-3, გვ. 40-44. ასევე ინუგეშებდა თავს ტერორისტი მიჰეილ ლომაძე, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისში ხიდისთავში (გურია) სიო ბერიძის მაგივრად ბარნაბა ქარციკაძე მოკლა. „ამ სამწუხარო შემთხვევის" შემდეგ ლომაძე თავს იმით ინუგეშებდა, რომ „ქარციკაძე ბერიძეზე ნაკლები ოხერი არ იყოო".

[180] საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, 1924 წ., გვ. 40-44.

1883 წელს კი 155 შემთხვევა დაფიქსირდა. 1877 წელს თბილისის გუბერნიაში მოხდა მემამულეთა და გლეხების ურთიერთმკვლელობის 77 შემთხვევა, 1883 წელს – 107, 1891 წელს – 414[181]. XX საუკუნის დასაწყისშიც მემამულეთა და ბატონთა მოკვლა არ წყდებოდა. ახლად გამოჩეკილი ქართული საბჭოთა პრესა ამის შესახებ წერდა: „...აგრარულ ნიადაგზე ნაწამები გლეხები აქაური თავადების მიერ მოთმინებიდან გამოსული თითო-ოროლა თავადებს ხოცავდნენ... ქართლში მოკლეს... თავადი იასონ ფალავანდიშვილი, და შემდეგ აგრარულ ნიადაგზევე (!) ფეოდალი, ცნობილი საქართველოს გამოჩენილი მგოსანი ილია ჭავჭავაძე...“[182]

1925 წლის ზაფხულში პირველმა ქართულმა საბჭოთა მსროლელმა დივიზიამ აღლუმის დროს გაიარა სოფელი ბრილი, რომელიც იმით იყო გამორჩეული რომ 1897 წელს რამდენიმე გლეხმა მოკლა თავადი ნიკოლოზ დიასამიძე. ამ „შესანიშნავი“ ამბის აღსანიშნავად სპეციალურად გამოყვეს რამდენიმე ამხანაგი, რომლებიც ორკესტრის თანხლებით იქაურ გლეხებთან შესახვედრად წავიდნენ. სტატიის ავტორი თავის სიხარულს ვერ მალავს, თუ „...რა აღტაცება გამოინვია მუსიკამ სოფლელებში, მოგროვდენ გლეხები. შევეკითხეთ იმ ამბის შესახებ, რაც ჩვენ გვაინტერესებდა“. გლეხებმა მოიგონეს მკვლელობის ამბავი; ამ მკვლელობის სამი მოწმე და შემსრულებელი ტატო დევიძე, რომელიც თავადს თურმე თვალში ჰყავდა ამოღებული, ლექსო ჩუბინიძე და გაბო იმერლიშვილი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. მათ გადაუღეს ფოტოები, რის შემდეგ გაიმართა მიტინგი.

როგორც გაირკვა, 1882 წლიდან სოფელი ბრილი თავად დიასამიძის საკუთრებას წარმოადგენდა. მას ჰყავდა დაქირავებული „ჩაჩნების“ 150-კაციანი რაზმი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა და ანიოკებდა გლეხებს, მოსახლეობას წყალს უკეტავდა და ყოველნაირად ავინროებდა. ერთხელ თურმე გლეხები შეკრებილან და საუბარი გაუმართავთ საკუთარ ჭირ-ვარამზე. ამ დროს ტატო დევიძეზე გაბრაზებული დიასამიძე მივარდნილა გლეხებს და ერთი მათგანისთვის თავზე მოვერცხლილი ჯოხი გადაუმტვრევია. მეორე დღეს კი ჯოხის საფასური, 30 მანეთი, იმავე გლეხისთვის გადაუხდევინებია.

ერთხელაც ტატოს ცოლს ძროხა გამოეყვანა თავის ეზოში საძოვრად. ტატო მაშინ სახლში არ იმყოფებოდა. თავადმა ეს დაინახა და „ჩაჩნებს“ ძროხის წართმევა და „მაგ ძაღლების“ დახოცვა უბრძანა. ჩეჩენი ქალს თოფით გამოუდგა, მაგრამ მან მიმალვა მოასწრო, თუმცა ნერვიულობის ნიადაგზე ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა.

იქაურმა გლეხმა ლექსო ჩუბინიძემ კი ერთი პატარა ძირი მუხა მოჭრა და ურმის ხელნისათვის გათალა. ამის გამო „ჩაჩნებმა“ სასტიკად სცემეს ჩუბინიძეს, დედამისს კი წინააღმდეგობის გაწევისათვის მოკვლა დაუპირეს. ჩუბინიძემ მაინც მოახერხა და კეტით ერთი ჩეჩენი მოკლა. ამის გამო თავადმა მას ყველაფერი წაართვა. გაბო იმერლიშვილის მამას კი იმიტომ სცემა, რომ ბატონს ბეგარაზე არ ეახლა, თვითონ გაბოს კი შეუთვალა: „ცოლს რომ შეირთავ, პირველი მე უნდა მომგვაროო“. ამის შიშით გაბოს ქალს არავინ ატანდა. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში პირველი ღამის უფლება დიდი ხნის განმავლობაში იყო გავრცელებული.

სანდრო ქართველიშვილი, რომელიც მოჯამაგირედ ედგა დიასამიძეს, ერთხელ ბატონმა ხეზე მიაბა და კეტით ისე სცემა, რომ ის ლოგინად ჩავარდა. ამას გარდა, დიასამიძემ ბევრი გლეხი საკუთარი მიწა-წყლიდან აყარა და სხვაგან გადაასახლა.

---

[181] ა. ბენდიანიშვილი, გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, 1989 წ., გვ. 191.

[182] „რევოლუციის მატიანე“, 1928 წ., №1, გვ. 72.

გლეხების ერთი ნაწილი მემამულეს დაემორჩილა, სხვები კი, როგორც შეეძლოთ ენინააღმდეგებოდნენ, გადასახადების გადახდაზე უარს ამბობდნენ. სიტუაცია რომ განემუხტა, სოფელში მეფის მთავრობის მოხელე ჩავიდა, მაგრამ მოლაპარაკება ვერ შედგა – გლეხები მიწებითა და ტყით უსასყიდლოდ სარგებლობას მოითხოვდნენ. ვერაფერი რომ ვერ გააწყო დიასამიძემ ძალას მიმართა და მხოლოდ საეგზეკუციო რაზმის დახმარებით შეძლო გადასახადის აკრეფა.

გლეხებს მოთმინების ფიალა აევსოთ და მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. ამ ტერაქტის ჩატარება რამდენიმე ადამიანმა იკისრა. ესენი იყვნენ: ლექსო ჩუბინიძე, გაბო იმერლიშვილი, ბესო იმერლიშვილი და სანდრო ქართველიშვილი. ბესო და სანდრო საჩიტე თოფებით იყვნენ შეიარაღებული, გაბოს ხანჯალი ჰქონდა, ხოლო ლექსოს – რევოლვერი. მათ საკირე ღელის ბოგირი აყარეს და თავადს ჩაუსაფრდნენ.

„თავადი ნ. დ. დიასამიძე 13 მარიამობისთვეს მარტო თურმე გაემგზავრა შარაბნით სად. გომში, სადაც იმ დღეს მისი უფროსი შვილი გრიგოლი უნდა ამოსულიყო. შინ თურმე ურჩევდნენ, თქვენ ნუ წაბრძანდებით, ბიჭი გავგზავნოთო, მაგრამ არა ჰქმნა. საღამოს... მამა-შვილნი გომიდგან ბრილში წავიდნენ კაბრიოლეტით. საღამოს 9 საათი იქნებოდა, რომ დიასამიძენი სოფლის მახლობლად ბოგირს მიადგნენ; ცხენები უცბად შეფრთხნენ და უკან დაიწიეს. თავადმა ნიკომ გადასვლა დააპირა. შვილმა ურჩია თურმე, – მამა, ნუ გადახტები, ქვეიდგან მოუარეო. აქ რაღაცა ამბავი უნდა იყოსო, უთქვამს ნიკოს და გადამხტარა, მაგრამ ბოგირი აყრილი დაჰხვედრია. მაშინ შვილისთვის დაუძახნია, ბოგირი ვიღაცას აუყრია და შვილსაც ჯაგებიდან ვიღაცის ჩურჩული თურმე მოესმა. გრიგოლს უთქვამს: მამა, დავბრუნდეთო, მაგრამ ამის თქმა ვერ დაუმთავრებია, რომ ამ დროს თოფებს უგრიალიათ. ცხენები შეფრთხნენ თურმე და გრიგოლი გაიტაცეს. თითქმის ერთ ვერსამდე ათრიეს. ბოლოს საძნეს ურემი შემოჰხვედროდა და გლეხებს შეეყენებინათ ცხენები, გრიგოლს მაშინვე ეთქვა, არიქათ, მამა მომიკლესო.

მაშინვე ყველანი უკან მიბრუნდნენ თურმე. მაგრამ ამასობაში საათნახევარმა გაიარა. თავ. ნიკო უკვე დაჭრილი და მთლად დაბეგვილი დაჰხვდათ... დაჭრილ ნიკოს, რომელსაც ორი ტყვია მოჰხვედროდა: ერთი მკერდში და მეორე მკლავში, თავპირი ცემით დალურჯებული ჰქონდა. როგორც სჩანს, მკვლელებს იმ შიშით, რომ ვაი თუ სუბუქად იყოს დაჭრილიო, თავპირში უცემიათ კიდევ. დაჭრილს გრძნობა დაკარგული ჰქონდა. როდესაც აიყვანეს სოფელში, გონს მოვიდა და გარს შემოხვეული ხალხი დაინახა, რამდენჯერმე დაიძახა თურმე: „ნუ დამარჩობთო!" სულ ნახევარი საათი იცოცხლა და სული დალია. ახლა ამ საქმის შესახებ უკვე სასტიკი გამოძიება სნარმოებს"[183].

სასამართლომ მკვლელებს 20 წლით კატორღა მიუსაჯა. ჩუბინიძემ კატორღაში 12 წელი გაატარა და შემდეგ რუსეთ-იაპონიის ომში მოხალისედ წავიდა, რისთვისაც მას სასჯელი აპატიეს და ის სახლში 1909 წელს დაბრუნდა. გაბო იმერლიშვილმა კატორღაში 18 წელი დაყო და სამშობლოში 1915 წელს დაბრუნდა. სანდრო ქართველიშვილისა და ბესო იმერლიშვილის ბედი კი დღემდე უცნობია.

მიტინგის დროს წითელარმიელებმა თავადის მკვლელები ხელში აიყვანეს და ხალხში გაატარეს. გაისმა მქუხარე ტაში და შეძახილები: „გაუმარჯოს გმირებს! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!" წამოსვლისას კი წითელარმიელებმა სოფელს სამკითხველო გაუხსნეს[184].

---

183 „ივერია", 1897 წ., №168.

184 „რევოლუციის მატიანე", 1926 წ., №2 (15), გვ. 91-94.

მებატონეებისა და თავადაზნაურობის წინააღმდეგ მიმართული სიძულვილი და აგრესია საკუთარი მიზნებისათვის, ანუ მასებში რევოლუციური სულისკვეთების დანერგვისა და გაღვივებისთვის, რევოლუციონერებმა ბრწყინვალედ გამოიყენეს. საგულისხმოა, რომ მომავალი რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატების დიდი ნაწილი თავადაზნაურული წრიდან იყო – იგივე ჟორდანია, წერეთელი, წულუკიძე, კეცხოველი, მდივანი, გეგეჭკორი, ჩხეიძე – „სდპ-ის ერთი მესამედი თავად-აზნაურობიდან იყო"[185].

თავადაზნაურობისა და მემამულეებისადმი აგრესიული დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებლობის წლებშიც გაგრძელდა და „მემამულეთათვის ანგარიშის გასწორება იყო არსებითად ამ მთავრობის მთავარი მისწრაფება"[186]. „ეროვნულ საბჭოში" ვინმე კონია გვარჯალაძე „დორბლით პირზე კიოდა: თავადაზნაურობა სულ უნდა ამოიჟლიტოსო", დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდალი, ვალიკო ჯუღელი, უკვე ემიგრაციაში სიამაყით წერდა: „სხვას თუ ვერაფერს მივაღწიეთ, თავად-აზნაურობა ხომ გავანადგურეთო"[187].

არსებობდა თავადაზნაურობის ერთი ნაწილიც, რომელიც საკუთარი მიზნებისა და უფლებების დასაცავად XX საუკუნის დასაწყისში „ჩორნაია სოტნიას" – „შავ რაზმს" ჩამოაყალიბებს. გაგახსენებთ, რომ „ჩორნაია სოტნია" „მეფის, მამულის და სარწმუნოების" დასაცავად შეიქმნა, ისიც რევოლუციონერების მსგავსად, ყოველგვარ ეროვნულს აგრესიულად უპირისპირდებოდა და სისხლის ზღვა დააყენა საქართველოში. „შავი რაზმი" ქარელში გიორგი ამილახვრის და ზუბიკო აბდუშელიშვილის მეთაურობით ჩამოყალიბდა, იმერეთში – სოკრატა აბაშიძის და ჯიბო ბარათაშვილის მეთაურობით. გურიაშიც იყო „შავი რაზმის" შექმნის მცდელობა: ოზურგეთში ლომკაც აბაშიძის სახლში შედგა ამის თაობაზე შეხვედრა, მაგრამ რაღაც მიზეზთა გამო ეს გეგმა ვერ განხორციელდა... აბდუშელიშვილს რომ მოვუსმინოთ, ისინი „შავ რაზმს" კი არ ქმნიდნენ, არამედ ეროვნულ ლაშქარს. „...ჩვენი ლაშქარი ჯერჯერობით წესრიგს აღადგენს საქართველოს სოფლებში, ხოლო მოვა დრო, დაჰკრავს საათი და საქართველოს თავისუფალს ნახავთო"[188]. საინტერესოა, ვისგან ან რისგან თავისუფალ საქართველოს გულისხმობდა აბდუშელიშვილი, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხედრო რაზმს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდება ჰქონდა და იარაღითაც მათგან მარაგდებოდა. „ეს რაზმები ეხმარებოდნენ 1905 წლის რევოლუციის შემდეგ დამსჯელ ექსპედიციებს რევოლუციაში მონაწილეების დაჭერა-განყვეტაში და გლეხობას ერთი სამად აზღვევინებდნენ ღალასა და ნადელს, რაც რევოლუციის პერიოდში დააკლდათ", – წერდა ბაჭუა (სამუილ) კუპრაშვილი, თავად ბოლშევიკი ტერორისტი. მისი ეს სიტყვები სხვა ნყაროებითაც დასტურდება. როდესაც მთავრობამ შეატყო, რომ „შავი რაზმები" ვერ აკონტროლებდნენ სიტუაციას, მათ კაზაკებიც მიახმარა. რაზმელებთან ერთად ახლა კაზაკებმაც დაიწყეს ხალხის დანიოკება, თანაც უფრო „...ველურათ: რომელ სოფელსაც ისინი ესტუმრებოდნენ, იქ აღამაჰმად ხანის ამბავი ზღაპრად ეჩვენებოდათ და ზ. აბდუშელიშვილის „განმათავისუფლებელი" რაზმის წყალობით ნამდვილი ჯოჯოხეთის ცეცხლი დაინთო ქართლში"[189].

აგრარული ტერორის შესახებ თხრობა გვინდა დავასრულოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტით: თავად ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული სათავადაზნაურო ბანკი

185 რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, დაბრუნება, ტ. 3, 1992 წ., გვ. 354.
186 ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, 1990 წ., გვ. 8.
187 რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, დაბრუნება, ტ. 3, 1992 წ., გვ. 354.
188 ზ. გურული, მოგონება, 2005 წ., გვ. 63.
189 იქვე, გვ. 65.

წლიურად მოგებულ 500.000 რუსულ ოქროს მანეთს აძლევდა „თავადაზნაურობის საკრებულოს“. ეს უკანასკნელი კი ამ თანხას უკანასკნელ კაპიკამდე ახმარდა ქართულ სკოლებს, თეატრებს, მუზეუმებს, სტიპენდიებს. ეს იყო მცირე, მაგრამ განსაკუთრებით ქართული, ეროვნული „ბიუჯეტი“, როგორც რევაზ გაბაშვილი წერს.

შეუფასებელია ილიას როლი ქართული ცნობიერების განვითარებაში და სწორედ, ეს ადამიანი შეეწირა საბჭოთა მედიის მიერ გაჟღერებულ ე. წ. „აგრარულ“ ტერორს (ნამდვილ მიზეზს ვინ გაამხელდა). უშუალოდ ვინ იყო ამ მკვლელობის დამკვეთი – ბოლშევიკები თუ მენშევიკები, თუ ორივე ერთად, რაც უფრო სარწმუნოა – ალბათ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს[190]. მკვლელი იყო მათ მიერ შექმნილი კლასობრივი დაპირისპირებულობისა და შეუწყნარებლობის გარემო. გარემო, რომელიც იმავდროულად ყოველივე ეროვნულის წინააღმდეგ იყო მიმართული, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რასაც ქადაგებდა და რისთვისაც იღვწოდა ილია ჭავჭავაძე.

---

[190] არსებობს ზეპირი გადმოცემა, რომ ფილიპე მახარაძეს სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე განუცხადებია: „ჩვენ, მესამედასელებმა, კომუნისტებმა, დავადგინეთ ილია ჭავჭავაძის მოკვლა, ვინაიდან ილია იყო ერთადერთი დიდი პიროვნება, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოში მარქსიზმის გავრცელებას. როდესაც ჩვენ ილია ჭავჭავაძის მოკვლა დავადგინეთ, ფრაქციის ყველა წევრმა იცოდა და დაგენილებაზეც ხელი ჰქონდა მოწერილი. ეს იცოდა თვით სტალინმაც, რომელიც მაშინ არაფერს არ ნარმოადგენდა. მან დადგენილებას ხელი მოანერა და ბაქოში წავიდა“. გ. აბაშიძე, ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და ღვანლი, 2005 წ., გვ. 144.

გურული ტერორი, „გურიის, ყვირილისა და სხვა რესპუბლიკები“

საქართველოს ყველა სხვა კუთხისაგან განსხვავებით, მარქსისტულმა მოძღვრებამ ყველაზე ნოყიერი ნიადაგი გურიაში იპოვა. წერილში, რომელიც გრიგოლ რობაქიძემ გურულის დახასიათებას მიუძღვნა, ასეთი სიტყვებია: „...განა გურიამ არ განამტკიცა საქართველოში სოციალისტური სწავლა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება არისტოკრატიული წარჩინების მიდრეკილებას?! და მართლაც: სოციალ-დემოკრატია საქართველოში გურულებმა შექმნეს...“[191] თუ რატომ მაინცდამაინც გურულებმა „დაასწრეს“ ყველას, თავის დროზე ამის ყველაზე მარტივად ახსნა გაზეთმა „დროებამ“ გურულის დახასიათებისას სცადა: „...ბევრი ხალხი არ უნდა მოიძებნებოდეს ქვეყანაზე იმდენად ბუნებით ცოცხალი, მოძრავი, ყველაფერი ახლის და უცხო რამეს ადვილად მიმღები და შემთვისებელი, როგორც გურულები. ყველაფერს ახალს და უცხოს, როგორც კარგს, ისე ავს, გურულები ადვილად ითვისებენ.“[192]

როგორც ცნობილია, „მესამე დასი“ გურულების: ეგნატე ნინოშვილის, ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძის, სილიბისტრო ჯიბლაძისა და სხვათა მეოხებით არის დაფუძნებული. ჯიბლაძის საპროგრამო სიტყვის შემდეგ, რომელიც მან ნინოშვილის დასაფლავებაზე წარმოთქვა, გიორგი წერეთელმა ამ ახალ მიმართულებას „მესამე დასი“ დაარქვა. მაგრამ „...იმის ნაცვლად, რომ ნინოშვილის უმანკო და წრფელ გზას დასდგომოდნენ მისი სიკვდილის შემდეგ მოვლენილნი ხალხის მესვეურნი და... ისე დინჯად გაჰყოლოდნენ ხალხის შეგნება-განვითარების იდეას, იმათ მძლავრი ხელებით შეჰკრეს, შებოჭეს, ერთ ვინრო დოგმატურ ფარგალს ქვეშ მოაქციეს მთელი ამ პატარა ქვეყნის ხალხი. ასი წლის საღათას ძილში დაბრმავებული ხალხი შეაცურეს ისეთ მორევში, საიდანაც გამოსვლა შეუძლებელი იყო...“[193]

ცხრაასიანი წლების დასაწყისში გურიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საბოლოოდ ე. წ. „გურიის რესპუბლიკად“ ჩამოყალიბდა (მის მსგავსად საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში წარმოიშვა ნაძალადევის, გორის, ჭიათურის, ყვირილის, ზუგდიდის და სხვა რესპუბლიკები, რომელთაც სულ მცირე ხნით იარსებეს). ოცნება, რომელსაც რუსული ინტელიგენციისა რამდენიმე თაობა გადაჰყვა, საქართველოში ასრულდა. გლეხთა ფართო მასებში რევოლუციურმა შეგნებამ გაიღვიძა და გურიამ რევოლუცია განახორციელა – ფაქტობრივად მოიშორა მეფის მთავრობის ზეგავლენა. მალევე გლეხთა მოძრაობის საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ აიღო, რომელმაც „გლეხთა მასების რევოლუ-

---

[191] გ. რობაქიძე, გურია და სოციალიზმი, 1917 წ.

[192] „დროება“, 1875 წ., №100.

*უპრიანი იქნება, გავიხსენოთ გურული მოჯირითეების ამბავი, რომლებმაც ასევე არავის დაუთმეს პირველობა და 1892 წელს ამერიკაში გაიჭრნენ. ისინი თითქმის 30 წლის მანძილზე უდიდესი ნარმატებით გამოდიოდნენ ამერიკულ ცირკებსა და შოუებში და დიდი გავლენა იქონიეს ქაუბოების საცხენოსნო ტექნიკის განვითარებაზე.

[193] „სავაჭრო გზა“, 1908 წ., №315.

ციურ რელსებზე გადაყვანა და სოციალიზმის პრინციპების განვითარება" შეძლო[194]. დაარსდა „გლეხთა კომიტეტები", რომლებიც ქმნიდნენ საკუთარ ადმინისტრაციას, სასამართლოებს, იარაღის სახელოსნოებს, სტამბებს, განაგებდნენ სასკოლო განათლებას, ანესებდნენ გადასახადებს, ფასებს და სხვ. მოკლედ რომ ვთქვათ, კომიტეტები აუქმებდნენ სოფლის ადმინისტრაციულ დანესებულებებს და თვითონ იღებდნენ ხელში ხელისუფლების ფუნქციებს. 1904 წელს კავკასიის მეფისნაცვალი პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებაში წერდა: „არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ გურულები არიან ავანგარდი რევოლუციური მოძრაობის განვითარებისა მთელ კავკასიაში. გურულებმა 1904 წლის დასაწყისიდან მიზნად დაისახეს თავიანთი სოციალ-დემოკრატიული კლასთა თანასწორუფლებიანობის იდეების ცხოვრებაში გატარება, კაპიტალიზმის განადგურება და არსებული წესწყობილების შეცვლა დაშინების, ძალმომრეობის და ტერორის სახით"[195]. მოხსენებაში არაფერი იყო გადაჭარბებული, – სიამაყით აცხადებდა ურატაძე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ოზურგეთის მაზრა ერთ-ერთი განათლებული და განვითარებული კუთხე იყო, „საქართველოს საფრანგეთი", როგორც მას ერთმა ჟურნალისტმა უწოდა. სწავლას იქაური გლეხები ძალიან ეტანებოდნენ, მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, არავითარ ძალას არ ზოგავდნენ სკოლების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების გახსნისათვის[196]. იტალიელი ისტორიკოსი, მოგზაური და დიპლომატი ლუიჯი ვილარი, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისში კავკასიაში იმოგზაურა, წერდა: „(გურიაში) ყოველ სოფელს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, სახელმწიფო საფოსტო განყოფილებებიდან ყველაზე დაშორებული სოფლებიც კი ყოველდღიურად ღებულობენ გაზეთებს თბილისიდან, ბათუმიდან და რუსეთიდან".[197] თუმცა განათლებისადმი ამ მისწრაფებამ უკუშედეგიც გამოიღო. 1902 წელს მთავრობამ ყველა ბიბლიოთეკა-სამკითხველო დახურა: „გურულები წიგნის კითხვამ გადარიაო". „რევოლუციური შეგნების ამაღლებაში" დიდი როლი შეასრულა რუსეთში გარე სამუშაოზე გასულმა გურულმა მუშახელმა, რომელიც იჟღინთებოდა „რუსული ამბოხების სულისკვეთებით, ითვისებდა მის სოციალ-პოლიტიკურ აზრებს, პროგრამებს, რევოლუციურ ორგანიზაციების წესებს..."[198] გურიაში რევოლუციური მოძრაობის სწრაფი ტემპებით განვითარებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: 1901 წლის მოუსავლიანობა, სოფლად მინის სიმცირე, დიდი გადასახადები, 1902 წლის ბათუმის მუშათა გამოსვლები, მუშად ქცეული უკმაყოფილო გურული გლეხების სოფლებში დაბრუნება, რამაც „მესამედასელების" დახმარებითაც, უზარმაზარი გავლენა იქონია გურულებს შორის რევოლუციური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

გურიაში მეფისნაცვლის მიერ მეამბოხე და ურჩ გლეხებთან მოსალაპარაკებლად (იქამდე მთავრობამ სამხედრო წესები გამოაცხადა და გურიაში ოთხიათასკაციანი სადამსჯელო რაზმი გაგზავნა გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით. გენერალ ალიხანოვს განსაკუთრებული უფლებები ჰქონდა მინიჭებული, რაც

---

[194] Г. Урагадзе. Воспоминания грузинского социал-демократа, 1968 ნ., გვ. 50.

[195] იქვე, გვ. 88.

[196] ფილიპე მახარაძის ცნობით კი, საქართველოს სხვა კუთხეებში საპირისპირო ამბები ხდებოდა: როცა რევოლუციურმა მოძრაობამ სვანეთამდე მიაღწია, სვანებიც ამოქმედდნენ და პირველი, რაც გააკეთეს – სოფლის კანცელარიები და სკოლები გაანადგურეს. ფ. მახარაძე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, 1932 ნ., გვ. 175.

[197] L. Villari. Fire and Sword in the Caucasus, 1906 ნ., გვ. 84.

[198] დ. ვაჩნაძე, ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი, 1957 ნ., გვ. 37.

საჭიროა ომიანობის დროს[199]. ქართული საზოგადოება წინ აღუდგა კავკასიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას და გურიის დარბევაზე ხელის აღება მოსთხოვა. ერთ-ერთი პირველი, ვინც მთავრობის ამ განზრახვას წინ აღუდგა, ილია ჭავჭავაძე იყო. თუმცა დარბევას გურია და დასავლეთ საქართველო მაინც ვერ გადაურჩა) და საქმის გასარკვევად გაგზავნილი კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი სულთან კრიმ-გირეი აღფრთოვანებული დარჩა არა პროფესიონალური რევოლუციონერების და აგიტატორების, არამედ უბრალო გლეხების მჭევრმეტყველებით, გონებამახვილობით და თავდაჭერილობით, რაც მის წარმოდგენილ პატაკში აისახა. 1905 წლის 23 თებერვალს სოფელ ბახვში გაიმართა შეხვედრა ბახვის საზოგადოების 500-მდე გლეხთან. ბახველებმა კრიმ-გირეის ყველა გურული გლეხის სახელით საგანგებო მოთხოვნები (ბეგარის და სხვადასხვა გადასახადების გაუქმება, მინების გადაცემა გლეხებისთვის, კრების, სიტყვის და პრესის თავისუფლება, უფასო საყოველთაო და სავალდებული სწავლება და სხვ.) გადასცეს, რომელიც „ბახვის მანიფესტის" სახელითაა ცნობილი. მოგვიანებით კრიმ-გირეი თავის მოგონებაში წერდა, რომ „იმათ არამცთუ კონსტიტუცია, საფრანგეთის რესპუბლიკაც კი ვერ დააკმაყოფილებსო". როგორც ჩანს, მთელი დღე კრებებზე დასწრებამ და პოლიტიკური დებატების მოსმენამ (გურიაში კრებების და დებატების მოსაწყობად ყველა სახის პოლიტიკური პარტია ჩადიოდა) თავისი როლი ითამაშა და უბრალო გლეხი მშვენივრად გათვითცნობიერდა სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობებში (თუმცა აბსოლუტური უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულ პლატფორმას იზიარებდა). არათუ გათვითცნობიერდა, არამედ პლეხანოვისა თუ აქსელროდის ნაშრომებიდან ციტატების მოყვანა და მსჯელობაში მარქსისტული დიალექტიკის გამოყენება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. აკადემიკოსი ნიკო მარი წერდა: „...გურიაში რომ ჩავედი, იქ არც პოლიცია დამიხვდა, არც სტრაჟნიკები, არც კაზაკები და არც ჯარისკაცები. გადასახადს არავინ კრებს, არ არის აქციზი, მთავრობის სასამართლოები და სხვა, თუმცა ახლაც ისევე ძველებური გაჭირვება სჩანს ყველგან, გაუგებარ ხალხის გაყვლეფა გაიძვერთაგან, ათასნაირი ცრუმორწმუნეობა, ცხოვრების სიძვირე, თითქმის წინანდელზე ზედმეტი სიძვირე. სამაგიეროდ თავისუფლება სრულია, პრესსის, სიტყვის, სარწმუნოების, წარმოების თავისუფლება. აქ დაუბრკოლებრივ მოსდით და იკთხება ისეთი გამოცემები, რომლის შენახვისთვისაც კი სხვაგან შესამჩნევ სასჯელს აყენებენ... კრება კრებას მოჰყვება და გარეშე კაცი გაოცებული რჩება, როგორ ახერხებენ სოფლელები მთელ დღეობით კრებაზე დასწრებას, როდესაც ყანებში დიდი საშრომელი აქვთ... კრებებს ქალები მამაკაცებთან ერთად ესწრებიან..."[200]

„გურიის რესპუბლიკას" საკუთარი პრეზიდენტიც ჰყავდა – ნასაკირალის ბრძოლის (1905 წლის 20 ოქტომბერს ნასაკირალზე პლასტუნების 120-კაციან რაზმს ლაზარენკოს მეთაურობით გურულები დაესხნენ თავს და ათი კაზაკი მოკლეს) ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბენია ჩხიკვიშვილი. თუმცა რესპუბლიკას ხანგრძლივი არსებობა არ ეწერა: შვიდთვიანი მმართველობის შემდეგ ხელისუფლებამ მას ბოლო მოუღო. 1906 წლის დასაწყისში გურია და მთელი დასავლეთი საქართველო დამსჯელმა ექსპედიციამ ცეცხლის ალში გახვია, ადამიანებს ხოცავდნენ და ანიოკებდნენ, ქალებს აუპატიურებდნენ, არ ინდობდნენ არავის, არც დიდს და არც პატარას. ამ ეგზეკუციის განმხორციელებელი ალიხანოვ-ავარსკი იყო. სოციალ-დემოკრატებმა ალი-

---

199 „მოგზაური", 1905 წ., №6.

*1905 წლის დეკემბრიდან ალიხანოვ-ავარსკი ჯერ თბილისის, შემდეგ კი ქუთაისის გუბერნატორად იყო დანიშნული.

200 „ცნობის ფურცელი", 1905 წ., №2911.

ხანოვ-ავარსკის სასიკვდილო განაჩენი დასავლეთ საქართველოს დარბევის შემდეგ გამოუტანეს. 1906 წელს ქუთაისში მას, როგორც ამბობენ, აფრასიონ მერკვილაძის რაზმელები დაესხნენ, მაგრამ მაშინ ალიხანოვ-ავარსკი მხოლოდ მძიმედ დაიჭრა. აი, რას წერდა ამის შესახებ გაზეთი „ლამპარი" (1906 წ., №23): „...ალიხანოვი ყარსში დანიშნეს კაზაკთა დივიზიის უფროსათ და იქ უნდა წასულიყო. 16 მაისს, საღამოს 9 საათზე, იგი თფილისის ქუჩით სადგურისაკენ გაემართა, თან მიყვებოდა ძმა-აფიცერი და რამდენიმე კაზაკი. სადგურს 500 ნაბიჯის მანძილზე რომ დაუახლოვდა, საიდანღაც ყუმბარა ესროლეს. ყუმბარა გასქდა და ერთი მხლებელი კაზაკი იქავე მოკლა. ამასობაში სხვა კაზაკებმა სროლა ასტეხეს და შემთხვევით გამვლელ-გამომვლელებთაგანი ბევრი მოკლეს და დაჭრეს. როდესაც ეტლი დაუახლოვდა სადგურს, ერთბაშად საიდანღაც 7 ყუმბარა ესროლეს, მაგრამ ამათში ზოგი არ გამსქდარა. ყუმბარის ნატეხით მუცელში მძიმეთ დაჭრილა თვით გენ. ალიხანოვი, მისი ძმა აფიცერი კი მსუბუქათ ფეხში დაშავებულა, ხოლო ორი მხლებელი კაზაკი კი მძიმეთ დაჭრილან. ამას შემდეგ გენერალი მატარებელს მაინც გამოყოლია, მაგრამ გზაზე თავი ცუდათ უგრძვნია და ხაშურში ტელეფონით სურამის ლაზარეთის ექიმი კრივიაკინი დაუბარებია, რომელსაც მისთვის ჭრილობები შეუხვევია..."

საისტორიო წყაროები ირწმუნება, რომ ალიხანოვ-ავარსკი 1907 წლის 3 ივლისს ალექსანდროპოლში (წინათ ლენინაკანი, ახლა გიუმრი) დაშნაკებმა მოკლეს. ტერორისტი ვანო ალიხანაშვილი (გურული) კატეგორიულად უარყოფს დაშნაკების მონაწილეობას ამ ტერაქტში იმ მარტივი მიზეზით, რომ „...ვორონცოვ-დაშკოვი სომხებთან კარგს განწყობილებაში იყო, ხოლო საქართველოს კარგის თვალით არ უცქეროდა, ამიტომ თვით ჩვენმა ტერორისტებმა პოლიტიკური მოსაზრებით გაავრცელეს ხელთნაწერი ფურცლები და ხმები, რომ ალიხანოვ-ავარსკი მოჰკლეს სომხებმა, რაც მათ (სომხებს)... არავითარ საშიშროებას არ უქადდა". ალიხანაშვილის თქმით, მისი და კამოს მოწვევით ავლაბრის ერთ ბინაზე შეიკრიბნენ სხვადასხვა ტერორისტული ჯგუფის წევრები (სულ შვიდი კაცი), სადაც დაიგეგმა ალიხანოვ-ავარსკის მოკვლა. ისინი მაკედონიური სისტემის და კამოს მიერ დამზადებული ყუმბარებით იყვნენ შეიარაღებული. ინფორმაციას ტერორისტებს ალიხანოვ-ავარსკის დაცვის წევრი ბოლშევიკი კაზაკი ანვდიდა. ჯგუფი ალექსანდროპოლში ფეხით ჩავიდა და იქ გენერალს გზაზე ჩაუსაფრდა. 1907 წლის 7 ივლისს, ღამის ორ საათზე, ოფიცერთა კრებიდან მომავალ ალიხანოვს ორი ბომბი ესროლეს. გენერალი, მისი თანმხლები გენერალ გლებოვის ცოლი და მეეტლე დაიღუპნენ, ალიხანოვის ვაჟი და გლებოვის ქალიშვილი დაიჭრნენ.[201] მაგრამ არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვითაც, მკვლელობის ორგანიზატორი ფილიპე მახარაძე იყო (რაც ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია, რადგან ადამიანი, რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობას არ მალავდა, ალიხანოვ-ავარსკის მკვლელობის ორგანიზატორობის ამბავსაც მთელ ქვეყანას მოსდებდა), ხოლო შემსრულებლები ისევ მერკვილაძის რაზმელები იყვნენ.[202]

ახლა ისევ „გურიის რესპუბლიკას" და მის პრეზიდენტს დავუბრუნდეთ. 1908 წელს თბილისში დაიწყო „გურიის რესპუბლიკის" სასამართლო პროცესი, მაგრამ საასამართლოს ნევრებს ამინებდათ, რომ გურული რევოლუციონერები მათზე ტერორისტულ თავდასხმებს მოახდენდნენ და ამიტომ ჩხიკვიშვილის და „მთავრობის" სხვა ნევრების გასამართლება ოდესაში გადაწყდა. გურულების რეპუტაციის გამო სასა-

[201] ვანო ალიხანაშვილი, ბსსსს ფონდი 93, აღწერილობა 2, საქმე 1153.

[202] გ. მჟედლიძე, ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები (1892-1921), 1993 წ., გვ. 275.

მართლოს მდივანი ციხეში 12 რევოლვერშემართული გოროდოვოით მიბრძანდა. მაგრამ, როცა ნახა ინტელიგენტური შესახედაობის, ევროპულად ჩაცმული ადამიანები, გოროდოვოები მაშინვე გაუშვა და გურულებს თავისი განცვიფრება გაუზიარა. საბოლოოდ, ჩხიკვიშვილს 4 წლის კატორღა მიუსაჯეს, რამდენიმე კაცს – სამუდამო გადასახლება, ორი ბრალდებული კი გაათავისუფლეს. მოგვიანებით ბენია ჩხიკვიშვილი მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთ გავლენიან პირად იქცა: ის სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა, არჩეული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად და თბილისის მერად, როგორც აღნიშნავენ, მის დროს დედაქალაქი „საგრძნობლად გაეროვნულდა და წინ წავიდა".[203] იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ქუთაისის გუბერნიასა და აფხაზეთში, ბათუმის ოლქის შემოერთებისას გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. გასაბჭოების შემდეგ ის ემიგრაციაში წავიდა, მაგრამ 1924 წელს აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად უკან ფარულად დაბრუნდა. ის დააპატიმრეს, სხვა ქართველებთან ერთად სუზდალის ციხეში ჩასვეს, ცოტა ხანში კი საქართველოში გამოამგზავრეს და სადღაც რუსეთის ტერიტორიაზე ნოე ხომერიკთან, გოგიტა ფაღავასთან, გიორგი ნინამძღვრიშვილთან და ვასო ნოდიასთან ერთად დახვრიტეს... ისინი, „როგორც ამბობენ, ვაჟკაცურად შეხვდნენ სიკვდილს"[204].

„გურიის ექსპერიმენტის" ფურორზე მთელი რუსული რევოლუციური მოძრაობა ალაპარაკდა. ლევ ტოლსტოიმ გურულებს „რუსული რევოლუციის ავანგარდი" უწოდა. ლენინი კი გურულების „ბუნტს" უმაღლეს შეფასებას აძლევდა და გურია სახალხო აჯანყების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად მიაჩნდა. დაპატიმრებულ გურულ რევოლუციონერებს განსაკუთრებული პატივი და მოწინება ჰქონდათ ციხეებსა და გადასახლებებში. „ყველას აინტერესებდა, რა ხდებოდა. რუსი სოციალ-დემოკრატებისთვის დაუჯერებელი იყო, რომ გლეხებს შეეძლოთ სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის აღქმა და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმა. სოციალ-რევოლუციონერებს მართალია სწამდათ გლეხთა რევოლუციონერობის, მაგრამ ვერ წარმოედგინათ, რომ გლეხობა გაჰყვებოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მუშათა პარტიას".[205]

სტოკჰოლმის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ყრილობაზე სწორედ გურიის გლეხთა მოძრაობამ გამოიწვია მთავარ საკითხად აგრარული (ანუ გლეხთა) საკითხის შეტანა. როლი ითამაშა იმანაც, რომ რუსული სოციალ-დემოკრატიის მამა, პლეხანოვი (მისი ნაწერები ჩვენთვის სახარება იყოო, – წერდა ურატაძე), გურიის დელეგაციას წარმოადგენდა. ყრილობის დამთავრების შემდეგ პლეხანოვი არაოფიციალურ გარემოში შეხვდა გურულებს და დაჰპირდა, რომ ცარიზმის დამხობის შემდეგ პირდაპირ გურიაში გაეშურებოდა. გრიშა ურატაძის მისამართით პლეხანოვმა იხუმრა კიდევაც: „გურულებმა სატანაც („სატანა" ურატაძის მეტსახელი იყო – ი. მ., ლ. ხ.) კი დაიმორჩილეს და თავიანთ სამსახურში ჩააყენესო"[206].

გურულებმა „სატანასთან" ერთად გურიის მთელი მოსახლეობა დაიმორჩილეს (მათ მაგალითს შემდეგ საქართველოს ყველა კუთხემ მიბაძა), რომელიც შიშით ზედმეტი სიტყვის თქმას ვერ ბედავდა. მოხდა უცნაური აღრევა, ერთი მხრივ, სიტყვის აბსოლუტური თავისუფლებისა და მეორე მხრივ, ტოტალიტარული სახელმწიფოს კანონების დანერგვის: გურიის კომიტეტს დაქვემდებარებული „სამხედრო შტა-

---

203 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, 1993 წ., ტ. II, გვ. 110-111.
204 გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, 2005 წ., გვ. 65.
205 Г. Уратадзе. Воспоминания грузинского социал-демократа, 1968 წ., გვ. 73.
206 იქვე, 1968 წ., გვ. 167.

ბი" განაგებდა ტერორისტების ჯგუფს, რომელიც ასრულებდა კომიტეტის გადაწყვეტილებას – დაეშინებინა და გაენადგურებინა არა მარტო ჯაშუშები და მთავრობის მოხელეები, არამედ ურჩი მოსახლეობაც. მეზობელს პირადი მიზეზების გამო შეეძლო მეზობელი დაებეზღებინა, დაბეზღებულისთვის კომიტეტს სიკვდილის განაჩენი გამოეტანა და ეს განაჩენი ტერორისტულ ჯგუფს სისრულეში მოეყვანა. ტერაქტების შესრულებისათვის ჯგუფის წევრებს განსაკუთრებული გასამრჯელო ეძლეოდათ. კომიტეტის შტაბის გადაწყვეტილებით, გურიიდან მებრძოლი ძალები იგზავნებოდნენ ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში რევოლუციური მოძრაობის გასაძლიერებლად. გურიის სხვადასხვა რაიონებში გლეხები ირჩევდნენ ათისთავებს, ასისთავებს და ა. შ., რომლებიც ხელმძღვანელობდნენ შეიარაღებულ რაზმებს. „ამ პერიოდში სოფლებში ხალხი არ ემორჩილებოდა მეფის მამასახლისებს და ირჩევდნენ ათისთავებს... ხალხი აღელვებული იყო მთავრობის მიერ უდიერი მოქცევით, რის გამოც ჩვენს სოფელში... თავს იყრიდნენ იმ დროს ყაჩაღად წოდებული შევარდნაძე, თეოფილე მუხაშავრია, კიკიე მამულაიშვილი, სიმონა დოლიძე და სხვები და წყვეტდნენ ხალხისადმი საჭირო საკითხებს – უსნორდებოდნენ ჯაშუშებსა და შპიონებს"[207].

შემონახულია გურიის მოსახლეობისადმი მიმართული კომიტეტის მოწოდების დედანი, რომელიც მოუწოდებს ყველას, სამარცხვინო ბოძზე გააკრან და მოღალატის ხარისხი მიანიჭონ სინდისის გამყიდველებს. მოწოდებას თან სდევს „გურიის ჯაშუშთა სია", რომელიც შედგებოდა სოფლის მწერლების, მღვდლების, გლეხების, აზნაურების ორივე სქესის წარმომადგენლებისაგან. მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ სიაში მოხსენიებული ბევრი ადამიანი სრულიად უდანაშაულო იყო, რაც გვაფიქრებინებს, რომ იქ ისინი პირადი ანგარიშსწორების საფუძველზე იყვნენ შეყვანილი. სოციალისტ-ფედერალისტების მიერ გამოშვებულ ბროშურაში ამ სიიდან მითითებული იყო ინიციალები რ. შ., ჩვენი ვარაუდით, რაფიელ შარაშიძე, რომელიც თურმე რამდენიმე თვეში „პირველი სოციალ-დემოკრატი" და წითელი რაზმის ერთ-ერთი მეთაური გამხდარა (გურიაში მოგზაურობისას კრიმ-გირეის სწორედ ჩაქურაში გამონყობილი და შეიარაღებული რაფიელ შარაშიძე ახლდა. აპოლონ ნულაძესთან კერძო საუბარში კრიმ-გირეიმ შარაშიძეზე მიუთითა და ხუმრობით უთხრა: Согласен на народную милицию, если такие молодцы будут[208]). ფედერალისტები იმასაც წერდნენ, რომ საკმარისი იყო ჯაშუშად გამოცხადებულ პირს ორგანიზაციის სალაროში რამდენიმე თუმანი შეეტანა, რომ მას „ჯაშუშის" იარლიყი მოეხსნებოდა და ის პარტიის ნევრიც ხდებოდა[209]. ვისაც ამის გაკეთება არ შეეძლო ან შეგნებულად არ აკეთებდა, გურიის რესპუბლიკის დროინდელი ეს „სინდისის გამყიდველი," განსხვავებით თანამედროვე „სირცხვილის დერეფნებისა", კომიტეტს დაქვემდებარებული მკვლელების ხელით სიცოცხლეს გამოეთხოვებოდა. აღწერილია შემთხვევები, როგორ კლავდნენ მთელი სოფლის თვალწინ „ჯაშუშებს" – ასე საჯაროდ, ნამებით მოკლა

---

207 „საბალბო განათლება", 1990 წ., 22 თებერვალი.

208 „თანაცმა ვარ სახალბო მილიციაზე, თუ ასეთი ვაუკაცები იქნებიან". თ. ულენტი, 1905 წელი გურიაში, 1924 წ., გვ. 70.

209 სოც.-დემოკრატიული უტიფრობა და საზიზღარი ცილის წამება, გვ. 6.

210 კიკია მამულაიშვილი, სიმონა დოლიძის, ერასტი ჯორბენაძის, დათიკო შევარდნაძის და სხვათა მაგვარად, ძირითადად ტყეში გავარდნილ ფირალს წარმოადგენდა. ფირალების დაქირავება სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ (ალბათ, სხვებიც არ ჩამორჩებოდნენ) გავრცელებული მოვლენა იყო, ცნობილია, რომ სოც.-დეკების დაკვეთით სიმონა დოლიძემ და სხვებმა არაერთი რუსული ბანკი და მატარებელი გაძარცვეს.

გამცემი ქალი კიკია მამულაიშვილმა[210]. კომიტეტის მიერ მოკლული „ჯაშუშების“ დასაფლავებაც კი პრობლემატური ხდებოდა: შიშის გამო მეკუბოვეები სასახლის გაკეთებაზე უარს აცხადებდნენ, მღვდლები – წირვაზე, მეეტლეები – სასაფლაოზე წასვენებაზე და ა. შ. ურიადნიკი ლევან გურიელი ბათუმში მოკლეს, გურიაში მის წამოსასვენებლად ვერც კუბო და ვერც ფაეტონი ვერ იშოვეს. ერთხელ ვინმე ჯაშუში ბერიძე მოკლეს, მის დასაფლავებაზე მოსულ ხალხს კი სროლა აუტეხეს და ათი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. „ცნობილი ჯაშუშის“ ტიფო ნაკაშიძის მკვლელი ლუკა ღლონტი იხსენებდა: „ოზურგეთში არ აღმოჩნდა მეკუბოვე, რომელიც რაიმე თანხაზე დათანხმებულიყო კუბოს გასაკეთებლად, ერთ-ერთმა მეეტლემ არ წაიყვანა თავისი ეტლით მისი (ნაკაშიძის – ი. მ., ლ. ხ.) ნათესავები. ხოლო ხალხის შიშით პანაშვიდზე მიპატიჟებული სამ მღვდელიდან მხოლოდ ერთი გამოცხადდა დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, მაგრამ ბოლოს იგიც იძულებული გახდა მიეტოვებინა ცერემონია“[211]. შეიარაღებულმა ტერორისტებმა (მათ შორის იყო მეორე მსოფლიო ომის გმირის, გენერალ ლესელიძის მამაც) სასაფლაოზე მისულ კაზაკებს არ მისცეს ტიფო ნაკაშიძისთვის საფლავის გათხრის საშუალება და იქიდან გააძევეს, ეს მხოლოდ კაზაკთა ასეულის ჩარევის შემდეგ მოხერხდა.

გურიის კომიტეტი პოლიციას და ხელისუფლებას შიშის ზარს სცემდა და ამის გამო ბევრი მათგანი თავს ანებებდა სამსახურს. „ხმა დადის, ოზურგეთის მაზრის მთელი პოლიცია მუშაობას თავს ანებებსო. უკვე წასულა სამსახურიდან სუფსის ბოქაული ქავთარაძე. სამ თებერვალს ბოქაულის კვაშალის სახლს ბერდენები დაუშინეს“[212]. ბათუმის პოლიციის უფროსმა ჩხიკვაძემ წერილობითი თხოვნაც კი შეიტანა კომიტეტში, რომ არ მოეკლათ, სამაგიეროდ დაიფიცა, რომ ამიერიდან პოლიტიკურებს ხელს არ ახლებდა. პოლიციის მოხელე ყიფიანმა მოლაპარაკება გამართა ახალთაობის ხალხთან და პირობა მისცა, რომ, როცა ის ქუთაისის ციხის უფროსად დაინიშნებოდა, ტუსაღებს არ შეავინროებდა. მართლაც, მისი უფროსობის პერიოდი თავისუფლებითა და ლოიალობით გამოირჩეოდა – ციხეში ღვინის შეტანაც კი იყო შესაძლებელი[213].

1905 წელს კომიტეტმა გაავრცელა დავალება, რომ ისეთი ხალხი მოეძებნათ, რომლებიც ტერორისტული აქტების შესრულებას შეძლებდნენ. იწყება გურული ტერორის ექსპანსია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ. ტერორისტული აქტების მონყობაში, ბანკების, ფოსტებისა და მატარებლების ძარცვაში გურულებს ბადალი არა ჰყავდათ. ტერორისტ ლუკა ღლონტის მოგონებით, ის სხვა ტერორისტებთან ერთად სოჭში იყო მივლინებული „ხაზინის ფულის გამოსატაცებლად“. ეს ვერ მოახერხეს, ამიტომ თავს დაესხნენ ვინმე მემამულე ზოლოტარიოვის აგარაკს და იქიდან 30 ათასი მანეთი გაიტაცეს. საყოველთაოდ ცნობილია შემოქმედელი ნესტორ კალანდარიშვილის, იგივე „ციმბირელი პაპას“, სახელი. ის ციმბირელ პარტიზანებს შორის ისეთივე პოპულარობით სარგებლობდა, როგორითაც ნესტორ მახნო უკრაინელ აჯანყებულებში. კალანდარიშვილი ნაღდი ბოევიკი იყო, რომელიც თავგამოდებით ებრძოდა „რევოლუციის მტრებს“ და რუსულ თვითმპყრობელობას. მას არაერთი ბრწყინვალე ოპერაცია აქვს ჩატარებული; ტერორისტულ და ექსპროპრიაციულ საქმეებში კალანდარიშვილს კამოს ადარებდნენ.

გურული გლეხი და რევოლუციონერი მიხეილ როინიშვილი იხსენებდა: „ათას ცხრაასი რომ შესრულდა, რაცხამ ტანში არ დამაყენა... წავედი ბათომში... დავიწყე

---

211 ლუკა ღლონტი, შსსს ფონდი 8, აღნერილობა 2, ნანილი II, საქმე 652, გვ. 12.

212 „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., №2739.

213 თ. ჟღენტი, 1905 წელი გურიაში, გვ. 121-122.

როტშილდის ნავთის ზავოდში მუშაობა. მე დამაყენეს ათის თავად. დამავალეს მოსაკლავ კაცებზე ფულის მოხეკა. ფული იკრიბებოდა თვეში ორჯერ... ერთი სომეხი დაგვრჩა მოსაკლავი. მივეცით მოკრეფილი ფული თათარს. ესროლა სომეხს. მოსტეხა ბარკალი. მერე აღარ გაუვლია ზავოდში"[214].

რაღა თქმა უნდა, ტერორისტად გახდომის სურვილი გურულ ახალგაზრდებს მასობრივად „არ აყენებდა ტანში". შემორჩენილია „მეტად ახალგაზრდა და ნამეტნავად გამბედავი" დიმიტრი ჩიგოგიძის ამბავი, რომელიც ჭიათურაში სამუშაოდ წავიდა (იგულისხმება – ტერორის ჩასადენად), სადაც შუადღისას მოკლა „გამოუსწორებელი ხულიგანი, ბესარაბიის მეექვსე როტის კომანდირი ტარასოვი". კაცთა კვლის ასეთი სიხშირე გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან შეიარაღებული მოზარდები, რომელთაც „რევოლუცია ჩილიკაობა და ბურთის გაკვრა ეგონათ", გაფაციცებით ეძებდნენ კომიტეტის მოღალატეებსა და რევოლუციის მტრებს და გახელებულები აქეთ-იქით ისროდნენ.

გურულ ტერორისტებს კავშირი ჰქონდათ გაბმული საქართველოში არსებულ თითქმის ყველა ტერორისტულ ჯგუფთან თუ ცნობილი ტერორისტებთან. განთქმული კამო ხშირად იყო სტუმრად გურულ ტერორისტებთან. არსებობს მოსაზრება, რომ ბახვის საიდუმლო კრებაზე, სადაც თითქოსდა გადაწყდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, მონაწილეობდა ერთი სომეხი ტერორისტი და რომ ეს სომეხი კამოა[215]. იმასაც ამბობენ, რომ სხვადასხვა გვარებზე გამოწერილი პასპორტები, რომლითაც კამო სარგებლობდა, გურულების მიერ იყო დამზადებული. ცნობილია, რომ ბარონ (ბართლომე) ბიბინეიშვილი პასპორტების დამზადების ოსტატი იყო და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფირალი და ტერორისტი დათიკო შევარდნაძე თავის თანამოაზრეებს ყალბი პასპორტებით ამარაგებდა, არაფერი არ უნდა იყოს გასაკვირი.

გურიაში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობაში საკმაოდ დიდი წელილი მიუძღვის გუბერნატორ ვლადიმერ სტაროსელსკის, საქარის (ზესტაფონი) სანერგის ყოფილ აგრონომს. ლუიჯი ვილარი სტაროსელსკის შესახებ წერს: „პოპულარულობა რომ მოეხვეჭა, მხარის გუბერნატორი საკუთარ თავს სოციალ-დემოკრატს ეძახდა. რევოლუციის ალით მოდებული ტერიტორიების რუს ხელისუფალთ შორის ეს ერთგვარ მოდად იქცა, რათა თავი დემოკრატიული პრინციპების გამტარებლებად გაესაღებინათ, რადგან იმ მომენტში იმ ტერიტორიაზე არ იყო არც საკმარისი ჯარი და არც ჟანდარმები".[216] სტაროსელსკის ყველა გადაწყვეტილება სოციალ-დემოკრატებთან იყო შეთანხმებული და მათი ნებართვის გარეშე ის ნაბიჯსაც არ დგამდა. გარეგნულადაც რომ რევოლუციონერებს დამსგავსებოდა, მათთან შეხვედრისას ის ნითელ პერანგს იცვამდა (გურული წითელრაზმელები წითელ ჟილეტებს ატარებდნენ. ოდითგანვე წითელი ფერის ბაირაღის აფრიალება ბრძოლის დაწყებას ნიშნავდა, კომუნიზმის სიმბოლოდ წითელი დროშა 1871 წელს პარიზის კომუნის შემდეგ იქცა). თავის მოხსენებაში ოზურგეთის მაზრის უფროსი ლაზარენკო აღნიშნავდა: „...(სტაროსელსკის) თან ახლდნენ რევოლუციონერები წითელი დროშებით, (რევოლუციონერები) ისხდნენ იმ ცხენებზე, რომლებიც წაართვეს კაზაკებს 20 ოქტომბერს თავდასხმისას. შემდეგ სტაროსელსკიმ ჩაიცვა გუბერნატორის ფორმა და გაემგზავრა ნაგომარში შეკრებაზე..." სტაროსელსკი ამარაგებდა ტერორისტებს და რევოლუციონერებს იარაღით, მეგობრობდა ბევრ ცნობილ ტერორისტთან (განსა-

---

[214] „სახალხო განათლება", 1990 წ. 15 მარტი.

[215] იქვე, 22 თებერვალი.

[216] L. Villari. Fire and Sword in the Caucasus, 1906 წ., გვ. 97.

კუთრებით კიკია მამულაიშვილთან), დაჭერილებს ციხიდან ათავისუფლებდა, არასასურველ თანამდებობის პირებს, ვინც კი მათ რევოლუციურ-ტერორისტულ საქმიანობაში ხელს უშლიდა, სამსახურს ატოვებინებდა. როცა ალიხანოვ-ავარსკი 1906 წლის იანვარში გურიაში შევიდა, მან პირველ რიგში გუბერნატორი სტაროსელსკი და მისი მოადგილე ფედერალისტი ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) დააპატიმრა და თბილისში გაგზავნა. ციხეს ისინი ვორონცოვ-დაშკოვმა გადაარჩინა, რომელმაც საკმარისად მიიჩნია მათი თანამდებობიდან განთავისუფლება და „შესაძლებლად ცნო საქმის წარმოების შეწყვეტა"[217]. საქართველოდან წასვლის შემდეგ (ამბობენ, რომ ის გურიაში არალეგალურად კიდევ რამდენჯერმე ჩამოვიდა და გურულებს ტერორისტული ჯგუფების შექმნაში ეხმარებოდა) საიდუმლო პოლიციამ ეკატერინოდარში დააპატიმრა კონსპირაციული კრების მონაწილენი, რომელსაც სტაროსელსკი თავმჯდომარეობდა. საინტერესოა, რომ კრებაზე განსახილველი ერთ-ერთი საკითხი „ტერორი და პროფესიონალური კავშირები" იყო. მას სამი თვის ციხე მიუსაჯეს, მაგრამ ის მიიმალა, საზღვარგარეთ გაიქცა და პარიზში სიღარიბეში გარდაიცვალა.

ცნობილ ბოლშევიკს თენგიზ ჟღენტს წიგნში „1905 წელი გურიაში" ბევრი გურული ტერორისტი ჰყავს დასახელებული, მაგრამ საგანგებოდ ჰყავს გამოყოფილი უბადლო ჩუბინი დათიკო შევარდნაძე, რომლის შესახებ ერთ ეპიზოდს იხსენებს: სოფელ ბასილეთში შევარდნაძეზე უშედეგო თავდასხმის შემდეგ პოლიციის სამმართველოში, სადაც ჟღენტს ჩვენებას ართმევდნენ, შემოვარდა ვინმე ქავჟარაძე და ხმამაღლა დაილაპარაკა: „შევარდნაძისთანა რომ ხუთი კაცი გვყავდეს, ყველა სოციალ-დემოკრატებს გავანადგურებდითო"[218].

ტერორისტებში ბევრი იყო „მარტოხელა მგელი". ერთ-ერთი მათგანია ვალოდია გოგუაძე – „ფესვმაგარი, მტკიცე, ურყევი, უდრეკი, უტეხი, უშიშარი: როგორც თავგამოდებული მებრძოლი თავისუფლებისათვის სამშობლოისა", – ასე ახასიათებს მას მწერალი გრიგოლ რობაქიძე[219]. თუმცა, სანამ სამშობლოს თავისუფლებისათვის ჯავშნოსანი მატარებლით საქართველოს მტრებს მუსრს გაავლებდა (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს) და საარაკო გმირობებს ჩაიდენდა, მარქსისტული იდეებისათვის უამრავი ადამიანი ჰყავს საიქიოს გასტუმრებული. „ტერორისტულ აქტებზე მეტ წილად მარტო მივდიოდი, რადგან მიყვარდა თავისუფალი მოქმედება. ამას გარდა, ხშირად თან მყოლი ამხანაგები იბნეოდნენ ხოლმე და მეც ხიფათში მაგდებდნენ", – წერდა გოგუაძე მოგონებებში[220]. არცთუ იშვიათად ტერორისტები კომიტეტისაგან დამოუკიდებლად იღებდნენ გადაწყვეტილებებს და საკუთარი შეხედულებისამებრ აწყობდნენ ტერაქტებს. ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა 1906 წელს, როცა გრიგოლ კინწურაშვილმა მოკლა ოფიცერი ივანოვი და მისი თანმხლები პირი ბეგი შერვაშიძე. კომიტეტმა მას უსაყვედურა, რაც მან პირად შეურაცხყოფად მიიღო და ბათუმის სასაფლაოზე თავი მოიკლა[221]. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ნამდვილ ყაჩაღებად და გამომძალველებლად გადაიქცნენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ყაჩაღსა და „ტერორისტს" და რევოლუციონერს შორის გავლებული ზღვარი ხშირად საკმაოდ ბუნდოვანია... ასე იყო პროკოფი დოლიძის მაგალითზე. ის, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი რევოლუციონერი, ორჯერ იჯდა ქუთაისის ციხეში. გათავისუფლების შემდეგ შეუერთდა ყაჩაღების ჯგუფს,

---

217 გ. მჭედლიძე, ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები (1892-1921), 1993 წ., გვ. 269.

218 თ. ჟღენტი, 1905 წელი გურიაში, 1924 წ., გვ 48-49.

219 დაბრუნება, ტ. 3, 1992 წ., გვ 454.

220 ვ. გოგუაძე, მოგონებანი, დაბრუნება, ტ. 3, 1992 წ., გვ. 405.

221 „სახალხო განათლება", 1990 წ.

რომელმაც 1908 წელს ბათუმში მოიტაცა და მოკლა ექიმი ტრიანდაფილიდისი. ამ საქმეს უზარმაზარი რეზონანსი მოჰყვა. სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა როგორც კი გაიგო, რომ დოლიძე „ამ სამარცხვინო საქმეში ერია, გასცა განკარგულება, ხელი შეეწყოთ მთავრობისათვის ბოროტმოქმედის შეპყრობაში". დოლიძე, რომელიც იმხანად ლანჩხუთში იმალებოდა, პოლიციას გადასცეს და სასამართლოს განაჩენით, სხვა თანამონაწილეებთან ერთად ჩამოახრჩვეს. ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი თბილისში სწერდა, რომ ექიმის მოტაცების ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა სახელმწიფო სათათბიროს წევრი კარლო ჩხეიძე, რომელსაც ბათუმში საავადმყოფოში მუშაობისას ერთ-ერთ გამტაცებელთან, ფერშალ ვიქტორ რამიშვილთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ჩხეიძესთან დაკავშირებული ეს ჭორები ბერძნულმა და თურქულმა დიასპორებმა გაავრცელეს, რომლებიც „იმ დროს მტრულად იყვნენ განწყობილნი ქართული მოსახლეობის მიმართ"[222].

გურიის იმჟამინდელ მდგომარეობის აღწერას ჟურნალ-გაზეთები დიდ ადგილს უთმობდნენ. ჟურნალი „მოგზაური" მეოცე საუკუნის დასაწყისის მდგომარეობის დახასიათებისას აღნიშნავდა, რომ 1903 წელი გურიაში სხვებთან შედარებით ყველაზე მშვიდი აღმოჩნდა, მაგრამ 1905-ში ყველაფერი თავდაყირა დადგა: „...მკვლელობა და ცარცვა-გლეჯა საშინლათ გახშირდა, ისეთი დღე და ღამე იშვიათი იყო, რომ ვინმე არ გაეცარცვათ, მკვლელობა მართლა ბევრი მოხდა, აქვე ჩამოვთვლით მოკლულთა ვინაობას, თუმცა ყველა არ დაგვამახსოვდა: ს. გურიანთის საზოგადოებაში მოკლეს – აზნ. ქარცივაძე, გლეხი თ. აროშიძე, მიხ. ჟოჟინაიშვილი, მ. მოქია, მახარაძე; სადგ. ნატანების გზაზე – გ. მესხია..."[223] ძარცვა-გლეჯა და კაცის კვლა თავიდან რომ აეცილებინათ, ოზურგეთის ადმინისტრაციამ „ორიგინალური" ბრძანება გამოსცა: ოზურგეთიდან ნატანებამდე გზის ორივე ნაწილი ყოველგვარი მცენარეულობისაგან უნდა განმენდილიყო, რათა არავის არ ჰქონოდა ჩასაფრების საშუალება. ასე „მახვილგონივრულად" ცდილობდნენ ისინი ამ პრობლემის მოგვარებას.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გურიას მაზრის უფროსად მიავლინეს კაპიტანი ერმოლოვი, ნამდვილი კრიმინალი, რომელმაც ბაქოში მსახურობისას სომეხ-თათართა ჟლეტის დროს დიდი ფული იშოვნა. ერთხელ ბაქოში ის ვალოდია გოგუაძეს შეხვდა და ხაზინის დაყაჩაღება შესთავაზა, რაზეც გოგუაძემ უარი განუცხადა. მეორე შეხვედრის დროს აჩვენა გურიაში გამოცემული პროკლამაციები, სადაც ენერა: „გურიაში მოდის მაზრის უფროსად მეფის ჯალათი ერმოლოვი..." და გულისტკივილით აღნიშნა, „ჯერ არ ჩავსულვარ და რა ეპითეტებით მამკობენო". შემდეგ კი რჩევა ჰკითხა გოგუაძეს, როგორ მოვიქცეო. ხალხს წესიერად მოეპყარი და არაფერს დაგიშავებენო, – ურჩია გოგუაძემ, მაგრამ ერმოლოვმა მისი რჩევა ყურად არ ილო. რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად ის ყველა ხერხს მიმართავდა, წვავდა და ანადგურებდა ეჭვმიტანილთა სახლებს, მათ ქონებას. ერმოლოვმა „...გააბა კავშირი ტყეში გავარდნილ ქურდებთან და მთელი გურია აანიოკა – გაძარცვა ...ხალხი და მრავალი ციხე-ციმბირს გაგზავნა... ნაძარცვში თვითონ წილს იღებდა და ხალხს სჯიდა ვითომდა ყაჩაღების შენახვისათვის"[224]. ბათუმის კომიტეტმა მას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. ტერორისტული აქტი გურიის ფარგლებს გარეთ უნდა განხორციელებულიყო, რათა მოსახლეობისათვის ეგზეკუცია და დარბევა აეცილებინათ.

---

222 სცსსა ფონდი 94, აღწერილობა 1, საქმე 87.

223 „მოგზაური", 1905 წ., №5.

224 ვ. გოგუაძე, მოგონებანი, დაბრუნება, ტ. 3, 1992 წ., გვ. 387, 407.

1907 წლის 5 აგვისტოს კაპიტანი ერმოლოვი ვითომდა გუბერნატორის მიერ გაგზავნილი ყალბი დეპეშით გაწვეულ იქნა ბათუმში, სადაც ტერორისტებმა დათა ქადეიშვილმა და ვარდენ თიკანაძემ მას ბომბი ესროლეს. ერმოლოვი დაიჭრა, ხოლო ხანგრძლივი ურთიერთსროლის შედეგად ხელში დაჭრილი „სივაუკაცით და პატიოსნობით"[225] განთქმული მენშევიკი თიკანაძე კაზაკებმა შეიპყრეს[226].

დაჭრილმა ერმოლოვმა ფოტოს მეშვეობით დათა ქადეიშვილი ამოიცნო. სოციალ-დემოკრატი, ნასაკირალის ბრძოლის მონაწილე ქადეიშვილი ცნობილი ტერორისტი და პარტიის სასარგებლოდ ფულის შემგროვებელი რეკეტირი იყო, მას ხელისუფლება მრავალ დანაშაულში სდებდა ბრალს, მათ შორის სოხუმში პრისტავ სკორიკოვისა და ქალაქისთავის მოადგილის კორციცის მკვლელობაში (სხვა მონაცემებით, ეს ანარქისტმა ალექსანდრე მირონოვმა ჩაიდინა), მატარებლის გაძარცვასა და სხვა ტერორისტულ აქტებში (ქადეიშვილის ერთ-ერთი მთავარი „დამსახურება" სურების წმინდა გიორგის ეკლესიაში დასვენებული ლომისკარელის ხატის განადგურებაა (თუმცა ამ „საგმირო საქმეს" სხვა რევოლუციონერებიც იბრალებდნენ). ეს ხატი, რომელსაც ყველა გურული ეთაყვანებოდა და მასზე დაფიცებული ტყუილის თქმას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაბედავდა, ხელისუფლებას ეხმარებოდა რევოლუციონერების გამოტეხასა და სიმართლის თქმაში. ამიტომაც გურულმა რევოლუციონერებმა თვალში ამოიღეს ლომისკარელის ხატი და მისი მოპარვა და განადგურება გადაწყვიტეს. ამ საქმის მოსაწყობად ტერორისტები გაიგზავნენ, მაგრამ მათში იმდენად ძლიერი იყო ხატის შიში და თაყვანისცემა, რომ მოპარვის მაგიერ სანთლები დაუნთეს, პირჯვარიც გადაიწერეს და ხელცარიელი დაბრუნდნენ. საბოლოოდ „ბათუმის კომიტეტმა, დათას (ქადეიშვილს), ელისო კუტალაშვილს და დომენტი მესხიშვილის დაავალა... მოეტაცა ხატი... დავალებაზე ნავედით და დავალება შევასრულეთ", – იხსენებდა სიმონ ქადეიშვილი[227]. პოლიციამ ქადეიშვილი 1907 წელს დააპატიმრა და ის 27 წლის ასაკში სოხუმის ციხეში დახვრიტეს).

ცოტა ხანში კაპიტანი ერმოლოვი, რომელიც მთავრობამ აზიაში სამსახუროდ გადაიყვანა, რკინიგზის სახაზინო ფულის გატაცებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს. საქმის ვითარება კი ასეთი იყო: 1909 წლის 10 იანვარს ბაქოდან ქალაქ კრასნოვოდსკში მატარებლით მილიონი ქაღალდის მანეთი მიჰქონდათ. ვაგონს ყოველი მხრიდან გაძლიერებული დაცვა იცავდა. აშხაბადამდე ვაგონის კარი მხოლოდ ერთხელ გააღეს. როცა მატარებელი აშხაბადში ჩავიდა, აღმოაჩინეს, რომ ვაგონის კედელი გახვრეტილი იყო და ფულის ტყავის ტომარაც გაჭრილი. დათვლისას გამოირკვა, რომ ვაგონიდან 469 500 მანეთი დაიკარგა. პოლიციას მოუვიდა შეტყობინება, რომ ფულის გამტაცებლები თბილისში იმყოფებოდნენ. დაადგინეს მათი ვინაობა და

---

225 ბაჭუა კუპრაშვილი, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, ნაწილი 1, საქმე 28, გვ. 24.

226 მსგავსი უშედეგო თავდასხმები ტერორისტული აქტების თანამდევი და განუყოფელი ნაწილი იყო. ოზურგეთელ პოლიციელზე დიმიტრი მგელაძეზე რამდენიმე თავდასხმა მოაწყვეს ოზურგეთსა და ბათუმში, მაგრამ ის ყოველთვის ცოცხალი რჩებოდა და მათ დევნას აგრძელებდა. ცნობილ პრისტავ ლოლაძეს ხუთჯერ დაესხნენ თავს. ერთხელ დღევანდელ მიხეილ ჯავახიშვილის დაღმართზე ფაეტონით მიმავალს ყუმბარა ესროლეს, რომელმაც მხოლოდ ეტლი დააზიანა. ლოლაძე გაქანებული ეტლიდან ჩამოხტა და ტერორისტებს გამოუდგა... „...ერთმა გაასწრო სადღაც და მეორეს დაენია, წაავლო კისერში ხელი და თითქმის ჰაერში აყვანილი (თითონ მაღალი ტანისა იყო, ტერორისტები – დაბალის), მიათრია, ჩაადგო ფაიტონში... და „გოლოვინისაკენ" წაიყვანა. არა მგონია, ბევრი „ტერორისტი" მოქცეულიყო ასე ვაუკაცურად, ბომბა... რომ მისთვის ესროლათ". რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, დაბრუნება, ტ. 3, 1992 წ., გვ. 73-74. 1907 წლის 26 იანვარს ტერორისტებმა საწადელს მაინც მიაღწიეს: ლოლაძეს თითქმის ოცი ტყვია ესროლეს და მოკლეს.

227 გურია, 2001 წ., კრებული III, გვ. 152.

14 კაცი დააპატიმრეს, მათ შორის კაპიტანი ერმოლოვიც. საინტერესოა, რომ, სხვა დაპატიმრებულებისაგან განსხვავებით, მთავრობის წინაშე დამსახურებების გამო ერმოლოვი პრივილეგიებით სარგებლობდა – მას მხოლოდ უიარაღო ჯარისკაცი დაჰყვებოდა, გარეთაც თავისუფლად დასეირნობდა და როგორც ამბობდნენ, კაპიტანს დიდი იმედი ჰქონდა, რომ გაამართლებდნენ. გაზეთი „მნათობი" (1911 წ., №61) წერდა: „გუშინ... ოლქის სასამართლომ თავისი განაჩენი გამოაცხადა ასხაბადში გატაცებული ფულის შესახებ. დამნაშავეთ იქნენ ცნობილი... კაპიტანი ერმოლოვი და პორუჩიკი ოთხმეზური. მათ სასამართლომ ღირსების აყრა და ოთხ-ოთხი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა..."

რაც შეეხება ერმოლოვზე თავდასხმაში ზემოთ ნახსენებ მეორე მონაწილეს, ვარდენ თიკანაძეს, მან მოახერხა ბათუმის ციხიდან გაქცევა. ის სპარსეთში გაემგზავრა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში. 1908 წელს ბათუმში დაბრუნდა, რათა სპარსეთში იარაღი და დამხმარე ძალები გაეგზავნა. უკან დაბრუნებისას თიკანაძე ბაქოში დააპატიმრეს. ხანგრძლივმა გამოძიებამ ვერ დაადგინა მისი ვინაობა და ის ასტრახანის ციხეში გადაიყვანეს. მისდა საუბედუროდ, იმავე ციხეში იჯდა კაპიტანი ერმოლოვი, რომელმაც მაშინვე იცნო თავდამსხმელი თიკანაძე და ციხის ადმინისტრაციას შეატყობინა. თიკანაძე სასწრაფოდ ბათუმში გადაიყვანეს. 1910 წლის დეკემბერში, როდესაც თიკანაძე სასამართლოში მიჰყავდათ, ის ბადრაგს გაექცა, მაგრამ ტუსაღის სამოსში გამონყობილმა დამალვა ვერ მოახერხა. მას ბრალი ნაუყენეს მრავალი ტერორისტული აქტის ჩადენაში, ერმოლოვზე თავდასხმასა და სპარსეთის რევოლუციაში მონაწილეობაში და მიუსაჯეს ჩამოხრჩობა, რომელიც სისრულეში მოიყვანეს 1911 წლის 15 იანვარს.

გურიაში „რესპუბლიკის" არსებობისას შეიქმნა ზემოთ ნახსენები ე. წ. „წითელი რაზმები" – ბოევიკებისაგან დაკომპლექტებული, თავით ფეხებამდე შეიარაღებული მტკიცე დისციპლინის მქონე ტერორისტული ორგანიზაციები. „ყველა საასისთავოში მონყობილი იყო ნითელი რაზმები და მფრინავი რაზმები, ტერორისტული რაზმები კი გურიის კომიტეტის განკარგულებაში იყო, რომლების საშვალებით მუსრი ევლებოდა ჯაშუშებს (შპიონებს)"[228].

მათ მონინავე ავანგარდს მაუზერისტები და ბომბისტები წარმოადგენდნენ. 1906 წლის 9 იანვარს სისხლიანი კვირის წლისთავის აღსანიშნავად ოზურგეთში მთავარ მოედანზე თავი მოიყარა გურიის თითქმის ყველა წითელრაზმელმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ, დაახლოებით 10 000-ზე მეტმა კაცმა. დემონსტრანტები „ბერდენკის" სისტემის შაშხანებით, „სმიტ ვესონითა" და თვითნაკეთი ბომბებით იყვნენ შეიარაღებული. მათ დროშებით და რევოლუციური სიმღერებით მთელი ქალაქი შემოიარეს, ხელისუფლებიდან კი ვერავინ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა. წითელი რაზმელების ბრძოლისუნარიანობაზე ისიც მეტყველებს, რომ მათ შეეძლოთ, რეგულარული არმიის ნაწილებისთვისაც კი გაემართათ ბრძოლა.

რაზმელთა მხრიდან ძარცვა-გლეჯის ფაქტები რომ აღმოეფხვრათ და მტკიცე დისციპლინა შეენარჩუნებინათ, რევოლუციურმა სამხედრო შტაბმა გამოსცა ბრძანება: „...ზოგიერთი მებრძოლი ჯგუფი გარეშე პირებთან ერთად ხშირად პირდაპირ ხულიგნურად იქცევა და იტაცებს, რაც კი ხელში მოხვდება. ამიტომ სამხედრო შტაბი

---

228 უცნობი ავტორი, შსსსს ფონდი 8, საქმე 242, აღწერილობა 2, ნაწილი II, გვ. 5.

*„კახელი ნითელრაზმელი კოტე გურგენაშვილი იგონებდა: „...ჩვენი ნითელი რაზმები ნითლად უპასუხებდნენ კლასიური მტრის შავ ტერორს... ტყეში გასული ნითელი რაზმელები შიშის ზარსა სცემდენ მეფის თავრობის მოხელეებს, პოლიციას და კაზაკებს. ტერორის ქვეშ ვაყენებდით ყველა კლასიურ მონინააღმდეგეებს..." კოტე გურგენაშვილი, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, ნაწილი I, საქმე 11, ფურცელი 108.

აცხადებს: 1. სასტიკად აკრძალულია ასეთი მოქმედება. 2. სასტიკად აკრძალულია კერძო პირთა მიერ ოზურგეთში იარაღის ტარება. 3. აკრძალულია ვაჭრობა ან გაცვლა-გამოცვლა სამხედრო იარაღისა შტაბის ნება დაურთველათ. 4. სამხედრო შტაბი ქ. ოზურგეთში წესიერებისთვის ნიშნავს პატრულებს. 5. ვინც ამ განკარგულებას დაარღვევს, სამხედრო სამართალში იქნება მიცემული"[229].

თუ გურიაში წითელი რაზმი გურიის კომიტეტს ემორჩილებოდა და მის ბრძანებებს ასრულებდა, მეზობელ რაიონში იყვნენ ისეთები, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ასეთი იყო ცნობილი წითელრაზმელი, თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი მონაფე აფრასიონ მერკვილაძე, რომელსაც ზოგი „ყაჩაღს" უწოდებდა, ბევრისთვის „იდეური" მებრძოლი იყო, მაგრამ ის არც ბოლშევიკებს სწყალობდა და არც მაინცდამაინც მენშევიკებს. მერკვილაძე საკუთარ შეიარაღებულ ჯგუფთან (ერთ ასეულზე მეტი კაცი) ერთად იმერეთში მოქმედებდა. მერკვილაძის რაზმში სხვადასხვა ასაკის ადამიანები შედიოდნენ: „...შიგ ნახავდი 60 წლის მოხუცებულიდგან 15 წლის ბავშვამდის რაზმელებს, მაგრამ ყველას ერთი სულით და იდეით გამსჭვალულთ და გატაცებულ გმირებს"[230].

მისი დამსახურებაა, რომ შორაპნის მაზრა დამოუკიდებელ, ე. წ. „ყვირილის რესპუბლიკად" გამოცხადდა. ასევე მისი დამსახურებაა, რომ 1904-06 წლებში იქაურ გლეხებს „სალდათში" ვეღარ იწვევდნენ – „რუსის მეფეს თავისი ხალხიც ბევრი ჰყავს. ნიკოიას (ნიკოლოზ II – ი. მ., ლ. ხ.) რაში სჭირდება ქართველი კაცის „სალდათობა", – ამბობდა თურმე მერკვილაძე. ის კომიტეტის გადაწყვეტილებებს არას დაგიდევდა და დამოუკიდებლად მოქმედებდა, რაც, რა თქმა უნდა, კომიტეტის გაღიზიანებას იწვევდა. „...მისი უბედურება მხოლოდ ის იყო, რომ მეტათ გაზვიადებული ნარმოდგენა ქონდა თავის თავზე, რაიონში ყველაზე მაღლა ის იდგა, ამავე დროს, როცა ზესტაფონელი ამხანაგები წინადადებას აძლევდნენ, აქ ჩამოდი და რაიონულ კომიტეტის მუშაობაში მიიღე მონაწილეობაო, უარსყოფდა"[231]. ერთხელ მისი რაზმის განიარაღების ცდაც იყო, ის თბილისშიც კი გაიწვიეს მოლაპარაკებაზე, მაგრამ უკან დაბრუნებულმა საჯარო გასამართლება მოითხოვა. საბოლოოდ, ათიოდე კაცის გარდა, ყველა აფრასიონს გაჰყვა. ამის შემდეგ მერკვილაძემ კავშირი გაწყვიტა ორგანიზაციასთან, მხოლოდ იმ შემთხვევების გარდა, როცა პოლიციაზე ან ჯარზე ერთობლივი თავდასხმა იყო საჭირო.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მერკვილაძე დათანხმდა პარტიის (სოც.-დეკების) შემოთავაზებულ წინადადებაზე, მებრძოლი კადრების შენარჩუნების მიზნით რაზმი დაეშალა. კოტე ცინცაძე წერდა: „...პარტიული ცენტრის დადგენილების თანახმად ბრძოლა შენყვეტილ იქნა, იარაღი გადამალული მომავალი ბრძოლებისათვის... ჩვენ მიერ იარაღის გადამალვამ უბრალოდ დამორჩილების ხასიათი მიიღო... როცა მთავრობა უძლური იყო, ჩვენ ურტყამდით თავში, და როცა კი ის მოღონიერდა, პარტია მიიმალა. ამან ბევრ ამხანაგებში გამოინვია ერთნაირი უიმედობა მომავალზე, გულის გატეხა და პერსონალური თავის გამოჩენის, გმირობის მიმართულება (აფრასიონ მერკვილაძე, დათიკო შევარდნაძე და სხვები მრავალნი)"[232].

მერკვილაძე რამდენიმე ერთგულ თანამებრძოლთან ერთად ბათუმში წავიდა. იქ არალეგალურად ყოფნისას მას მოსდიოდა ცნობები, რომ ხალხს აწიოკებდნენ, ყოფილ რაზმელებს იჭერდნენ და ხვრეტდნენ. ამის გამო მერკვილაძე უკან დაბრუნ-

---

229 თ. ულენტი, 1905 წელი გურიაში, გვ. 116.
230 „რევოლუციის მატიანე", გვ. 65.
231 ზ. გურული, მოგონება, 2005 ნ., გვ. 44.
232 „რევოლუციის მატიანე", გვ. 87.

და. გადარჩენილი რაზმელები შეაგროვა, შეიარაღა და ტერორი გააჩაღა პოლიციის მოხელეების, თავადაზნაურობის წარმომადგენლებისა და ჯაშუშების წინააღმდეგ. 1906 წლის თებერვალ-მარტში მისმა რაზმმა სიცოცხლეს გამოასალმა ივანე მემანიშვილი, ნიკო და ტრიფონ ჭაჭიაშვილები, გალაქტიონ ლოლაძე, მღვდელი გიორგი ფერაძე, პოლიციის აგენტი ეფრემ შალამბერიძე, თავად-აზნაურთა მარშალი ნესტორ ხიდირბეგიშვილი და სხვები.

მერკვილაძეზე ნადირობდა (უკეთესია თუ ვიტყვით, რომ ისინი ერთმანეთზე ნადირობდნენ) ცნობილი ბოქაული ლავრენტი მახარაძე. „მახარაძე უბრალო პრისტავი იყო და ერთი „უჩასტკა" ებარა. ეს იყო თვით ზესტაფონის „უჩასტკა", მაგრამ ის მთელ მაზრაში დაძრწოდა და ამის თაობაზე მას და მის „ამხანაგებს" სხვა პრისტავებს უსიამოვნებაც კი შეუდგათ, მაგრამ პრისტავი მახარაძე მაინც თავისას არ იშლიდა. ის სულ ჯარს დაუძღოდა, სოფლებში გლეხების სახლებს ცეცხლს უკიდებდა, ხალხს კლავდა, აწიოკებდა, ქონებას მათსას ანადგურებდა"[233]. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა მახარაძის განადგურება გადანყვიტა და მერკვილაძეს და მის თანარაზმელ პორფილე პაიჭაძეს შესთავაზა მისი მოკვლა. აი, რუსულ ენაზე შედგენილი ეს მოთხოვნა: „Исполнительная комиссия комитета Кутаисской губер. этим извещает тов. Апрасиона Мерквиладзе и Порфирия Панчадзе. что она по товарищески объязывает их убить пристава Махарадзе и Колю Немсадзе"[234].

რაზმელებმა ერთხელ სცადეს, მახარაძე წინასწარ დანაღმულ მღვდლის სახლში შეეტყუებინათ, თითქოს იქ თბილისიდან ჩამოტანილი სტამბა იყო, მაგრამ გამოცდილი მახარაძე დაეჭვდა – აქ რაღაც „ნომერიაო" და სახლის ის ოთახი, სადაც ბომბი იყო, შორიდან სროლით ააფეთქებინა...

1907 წლის თებერვალში მახარაძემ ხელში ჩაიგდო მერკვილაძის რაზმელი ცერცვაძე, რომელსაც წამების შემდეგ ყველაფერი ათქმევინა. მახარაძის რაზმმა ალყა შემოარტყა სოფელ სვერში ერთი გლეხის სახლს, სადაც, ცერცვაძის ცნობით, მერკვილაძე უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმ დღეს ის მეზობელ სახლში ათევდა ღამეს. დილით ადრე აფრასიონს და მის ორ რაზმელს, დუგლაძეს და გაჩეჩილაძეს, ხმაური შემოესმათ, ისინი იარაღასხმულები გარეთ გამოცვივდნენ. რაზმელებმა ახლომდებარე სახლის ეზოში მახარაძეს და მაზრის უფროსს მოჰკრეს თვალი. თავის დაუძინებელი მტრის დანახვაზე მერკვილაძემ მისი მოკვლა გადაწყვიტა. ამხანაგებმა სცადეს, მისთვის გადაეთქმევინათ – შორსაა და ვერ მოარტყამო, მაგრამ აფრასიონმა არ დაიშალა და ესროლა. სროლის ხმაზე მახარაძემ ბრძანა, ცეცხლი გაეხსნათ. რაზმელები გაიქცნენ, მაგრამ გაჩეჩილაძე ბარძაყში დაიჭრა. მერკვილაძემ ის არაფრის დიდებით არ დატოვა, აიკიდა ეს დიდი ტანის კაცი, რომლის ტარება თურმე ცხენსაც კი უჭირდა და სროლით იკვლევდა გზას. ერთი გლეხის ოჯახში სთხოვდნენ, ქვევრში დაგმალავთო, მაგრამ მან უარი განაცხადა – თუ გაგიგეს, დაგანიოკებენო, არც დაჭრილის დატოვებაზე დათანხმდა და როგორც ამბობდნენ, „გადაყვა დაჟინებულ რაინდობას". ერთ ხევში ისინი დიდ ქვებს ამოეფარნენ, ტყვიითა და ბომბე-

233 ჯ. საყვარელიძე, შეიარაღებული აჯანყება შორაპნის მაზრაში 1905 წ., 1933 წ., გვ. 30.

234 „ქუთაისის გუბერნიის კომიტეტის აღმასრულებელი კომისია ამით აუწყებს ამხ. აფრასიონ მერკვილაძეს და პორფილე პაიჭაძეს, რომ ის ამხანაგურად ავალდებულებს, მოკლან პრისტავი მახარაძე და კოლია ნემსაძე". ეს უკანასკნელი ცნობილი ბოქაული იყო, რომლის შესახებ გაზეთი „ისარი" (1907 წ. 7 თებერვალი) წერდა: „...სად გამოიჩენს თავს პოლიციელი, თუ არა მერკვილაძის დევნაში. კ. ნემსაძემ, რომელსაც არა თუ ბოქაულობა, სტრაუნიკობაც კი ენატრებოდა, მერკვილაძის და მის რაზმის დევნაში ბოქაულობა გამოიკრა და ...დღე ისე არ გავა თურმე, რომ მადლობით არ მოიხსენოს მერკვილაძის მოღვაწეობა შორაპნის მაზრაში..."

ბით დიდხანს იგერიებდნენ მომხდურებს, მაგრამ ბოლოს ორმა სტრაჟნიკმა შორიდან შემოუარა და სამივე სიცოცხლეს გამოასალმა. მოკლულები სოფელ ცხრუკვეთის ძველი ეკლესიის ეზოში დამარხეს. პოლიციამ მერკვილაძის ჩანთაში სამგზავრო ბიბლიოთეკა აღმოაჩინა: მარქსის „კაპიტალი", „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში", ლენინის „მოხსენება სოციალ-დემოკრატთა გაერთიანებულ ყრილობაზე", პლეხანოვის „ჩვენი უთანხმოებანი" და სხვა, ასევე მისი სისხლით მოთხვრილი ანდერძი, სადაც ის სთხოვს ნითელრაზმელებს, რომ ისინი მძარცველებად არ გადაიქცნენ. ამას გარდა, ნახეს უბნის წიგნაკი, სადაც აღწერილი იყო მაზრაში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტები და მონაწილეთა (მათ შორის ყოფილი რაზმელების) ინიციალები წარნერით: „გადაეცეს შემდეგში გამარჯვებულ ხალხის სასამართლოს"[235].

მერკვილაძის სიკვდილის შემდეგ რაზმს სათავეში „მეორე მერკვილაძე" – პორფილე პაიჭაძე ჩაუდგა. ის აფრასიონს ძლიერ უყვარდა და მის რჩევას ანგარიშს უნევდა. პაიჭაძემ კავშირი აღადგინა მაზრაში გაფანტულ ყოფილ რაზმელებთან და ისევ ერთ ჯგუფში გააერთიანა. პაიჭაძის რაზმში აფრასიონის დები ალექსანდრა და მინადორაც კი გაერთიანდნენ. მთავრობას ეგონა, მერკვილაძის ლიკვიდაციის შემდეგ მაზრაში სიწყნარე დაისადგურებდა, მაგრამ მწარედ შეცდა. სტოლიპინი ვორონცოვ-დაშკოვისადმი მიწერილ ბარათში ქუთაისის მთავრობის სისუსტედ სწორედ ტერორისტ პაიჭაძის „გმირობებს" მიიჩნევს, რომელიც ორი წლის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა მთელ გუბერნიას. 1905 წლის მაისიდან მან მრავალი თავხედური მკვლელობა ჩაიდინა, ზოგჯერ ბომბებითაც, გაძარცვა ფოსტა, ჰქონდა ბომბების საწყობი და ერთხელ „ჯოჯოხეთის მანქანით" (ასაფეთქებელი მოწყობილობა) კინაღამ მაზრის პოლიციის ყველა მაღალჩინოსანი შეიწირა. პაიჭაძე ერთხელ დაიჭირეს და, აშკარა სამხილების მიუხედავად სასამართლომ ის გაამართლა, ის ისევ დაიჭირეს და კატორღა მიუსაჯეს, მაგრამ პაიჭაძე გამოიქცა, დამნაშავეთა ჯგუფი შეკრიბა და ორი წლის განმავლობაში ძარცვავდა, კლავდა და ანადგურებდა ყველას, ვინც მას არ თანაუგრძნობდა. საბოლოოდ ის 1907 წლის 28 აგვისტოს დააპატიმრეს[236]. რევოლუციურ მოღვაწეობამდე პაიჭაძე რკინიგზის ვაგონების დამლაგებელი იყო და ერთხელ, როცა ის თბილისში აპირებდა წასვლას და „...მატარებლის ნასვლის მოლოდინში... არხეინად დასეირნობდა თურმე სადგურის პლატფორმაზე ...სწორედ ამ დროს უცვნია ჟანდარმს, მიჰპარვია და შეუპყრია..."[237] უმონყალოდ ნაცემი პაიჭაძე ციხეში გაძლიერებული ბადრაგით მიიყვანეს, ფეხებსა და ხელებზე ბორკილები დაადეს და ცალკე საკანში მოათავსეს. სასამართლომ თითქმის ხუთ წელს გასტანა და პაიჭაძესთან ერთად კიდევ ხუთი რაზმელი (ტრიფონ არაბიძე, კოლია ლორთქიფანიძე, ალექსანდრე სვანიძე, ისმაილ და სერაპიონ ჭუმბურიძეები) გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. 1911 წლის 18 ნოემბერს ისინი ქუთაისის ციხის „ჩორნი დვორში" ჩამოახრჩვეს.

რეაქციის პერიოდში ნითელი რაზმები დაიშალა და პატარ-პატარა პარტიზანულ-ტერორისტულ ჯგუფებად გადაკეთდა, რომლებიც „ღვთის-ანაბარათ"

---

235 აფრასიონ მერკვილაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ლექსი შეიქმნა:
„აფრასიონ მერკვილაძეს თავი უკვდავი ეგონა,
ოცი ტყვია მკერდში მოხვდა – თხილის კაკალი ეგონა,
მინაში რომ ჩაასვენეს – თავის გარემო ეგონა,
გულზე მინა დააყარეს – თბილი საბანი ეგონა,
სასაფლაოს მიაბარეს – თავი სიზმარში ეგონა..."

236 Письма П.А. Столыпина. Письмо графу И.И. Воронцову-Дашкову 1908 г. www.hrono.info/libris/stolypin/stpn_dashk.html.

237 „ისარი", 1907 წ., 29 აგვისტო.

იყვნენ მიტოვებული პარტიისაგან და საბოლოოდ ისინი უბრალო მძარცველებად და ყაჩაღებად გადაიქცნენ. „ზოგიერთი იმათგანი, ვინც ერთ დროს ნითელ-რაზმში იღებდნენ მონაწილეობას, – წერდა გაზეთი „ისარი" (1907 წ. 3 ივლისი), – და ვითომდა სარევოლუციო აზრებით იყვნენ გატაცებულნი, დღეს პირდაპირ ყაჩაღობის გზას დასდგომიან და მშვიდობიან მცხოვრებლებს იკლებენ". 1907 წელს ფულის გამოძალვამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ თბილისის გუბერნიაში ქაშაყის მწარმოებელთა საქმიანობას, რომელთაც რევოლუციონერები ყოველწლიურად 40-80 ათასს ახდევინებდნენ, საშიშროება დაემუქრა. იმავე წლის მაისში მძარცველთა და გამომძალველებისაგან თავდასაცავად კომერსანტთა კავშირი შეიქმნა. მაგრამ, სანამ კავშირი საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა, მათ მაღაზიებსა და საცხოვრებელ სახლებს „დაშნაკცუტიუნის" პარტიის წარმომადგენლები იცავდნენ, ანუ ერთ-ერთი ის პარტია, რომელიც მათ ფულს სძალავდა. ყოფილა შემთხვევები, როცა მოსახლეობას მოთმინების ფიალა ევსებოდა და გამომძალველებს თვითონვე უსწორდებოდა: „ენკენისთვის პირველ რიცხვებში სოფ. წყნეთში სოფლელებს მოუკლავთ შანტაჟისტი, ეგრედ წოდებული „გარსო". ეს ვაუბატონი სოც.-ფედ. პარტიის სახელით სოფლელებს ფულს ართმევდა და სტანჯავდა. სოფლელებს გამოუკითხავთ და რა გაუგიათ ამ ვაუბატონის ვინაობა, მოუკლავთ"[238]. მდგომარეობის გამოსასწორებლად თბილისის გუბერნატორმა სათათბიროდ დაიბარა ქალაქისთავი, დეპუტატები, ვაჭრები და სახლის პატრონები, რათა მოელაპარაკათ, როგორ ებრძოლათ ძარცვა-გლეჯისა და შანტაჟისტების წინააღმდეგ. გამოითქვა აზრი, რომ პოლიცია გაეძლიერებინათ, ამისთვის გოროდოვოების შტატს უნდა მიმატებოდა კიდევ 500 კაცი, ხოლო მათი შესანახი თანხა – 150 000 მანეთი – ქალაქის მცხოვრებლებს უნდა გადაეხადათ. ამის წინააღმდეგ კი ვაჭრები და სახლის პატრონები წავიდნენ. მათი განმარტებით, ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან გადასახადს ვერავინ გადაიხდიდა. შემოიტანეს წინადადება, მეეზოვები შეეიარაღებინათ და ისე დაეცვათ თავი. როგორც ისტორიამ დაგვანახვა, მთავრობამ მხოლოდ სასტიკი რეპრესიებით შეძლო შეენელებინა (მაგრამ ვერ აღმოფხვრა) ეს სიტუაცია.

ხშირ შემთხვევებში მთავრობა ყოფილ ნითელრაზმელებს ვერაფერს ვნებდა, სამაგიეროდ დასჯის მთელი სიმკაცრე და სიმძიმე უბრალო მოსახლეობის მხრებზე გადადიოდა. ამიტომ პარტიის წარმომადგენლები ცდილობდნენ, საკუთარი ძალებით აელაგმათ ყაჩაღები და მძარცველები. 1910 წელს ამ მხრივ ძალზე დაძაბული სიტუაცია სუფევდა გურიაში. საქმის მოსაგვარებლად და „გასაჩარხად" იქ გაიგზავნა ცნობილი ვალოდია გოგუაძე, რომელსაც ბაქოში „მოღვანეობისას" მსგავს საქმეში კარგი შედეგები ჰქონდა მიღებული. „1910 წ. 17 ნოემბერს მე ყაჩაღები დავიბარე სოფელ გუთურში, – წერდა გოგუაძე მემუარებში, – ...დანიშნულ ალაგას მოვიდა 97 (ოთხმოცდაჩვიდმეტი) ყაჩაღი. ყველა იყო შეიარაღებული კარაბინით. ამათში იყო შვიდი კაცი, პარტიული ამხანაგი – კიკია მამულაიშვილი, სერგო მათითაიშვილი, თეოფილე მუხაშავრია, რაჟდენ ხომერიკი და სხვ. შეიარაღებულ პირებს მივმართე, ნესრიგისათვის თავმჯდომარე აერჩიათ. დამასახელეს მე, მაგრამ მე მათ განვუცხადე, რომ ზნეობრივად არ შემიძლია მათი თავმჯდომარეობა. ისინი გაჯავრდნენ და იარაღზე გაიკრეს ხელი. მე ...მაგრად შევყვირე: თუ რამეს გაბედავენ, ათგირვანქიან ბომბით გაგიმასპინძლდებით-მეთქი. ისინი მოლბნენ. ...მათ გადავეცი კომიტეტის უკანასკნელი გაფრთხილება. გაფრთხილებამ უშედეგოდ ჩაიარა. ყაჩაღები ძველებურად ისევ თარეშობდნენ..." მაშინ გურიის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა დაადგინა, მათ წინააღმდეგ იარაღით ებრძოლა. გოგუაძის მეთაურობით ბევრი ყა-

---

238 „ისარი", 1907 წ., 29 აგვისტო

ჩაღი გაიგზავნა საიქიოს, ბევრი დაიჭირეს და იარაღი აპყარეს. „...ჩვენი ზომებით ყაჩაღები დაშინდნენ და უმრავლესობამ გურია მიატოვა“[239]. მსგავსი შემთხვევა აქვს მოყოლილი „ტურა“ მაისურაძესაც: მათ სილიბისტრო ჯიბლაძისაგან მიიღეს შეტყობინება, რომ ნითელი რაზმი დროებით დაშლილიყო (ეს დირექტივა რუსეთიდან მოდიოდა, რასაკვირველია). მაისურაძემ ბრძანება შეასრულა, მაგრამ ერთმა პატარა ჯგუფმა დაშლაზე უარი განაცხადა და გლეხებისა და სხვადასხვა პარტიელების ძარცვა-გლეჯას და ხოცვას განაგრძობდა. ისინი ბავშვებსაც არ ინდობდნენ – ერთხელ საგარეჯოელ მოსწავლეებს ცეცხლიც კი გაუხსნეს. სხვა გზა აღარ იყო და ამიტომ ეს ჯგუფი განადგურებულ იქნა.

კოტე ცინცაძის მტკიცებით ბოლშევიკური ფრაქციიდან ამ გზას არავინ დასდგომია, რამდენიმე პირის გარდა, „...იმიტომ, რომ ჩვენი ფრაქცია თავიდანვე სათავეში ჩაუდგა ასეთ ამხანაგებს და ცუდ გზას ააცილა... თანაც ფრაქციაც მატერიალურად გამაგრდა წელში“[240]. ბაჭუა კუპრაშვილი კი აცხადებდა: „...არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ რომელიმე ჩვენ ორგანიზაციის წევრს, თუ გინდ თავის გადასარჩენად, რომ კერძო ფული გაეტაცებიოს... ჩვენი სამხედრო ჯგუფის წევრები ისეთივე და ხშირად უფრო უარეს მატერიალურ მდგომარეობაში იყვენ, როგორც სხვა პარტიული პროფესიონალები“[241]. მიუხედავად ცინცაძისა და კუპრაშვილის მიერ გამოხატული ასეთი პათოსისა, ცნობილია, რომ ბოლშევიკები პარტიის სასარგებლოდ (ეს იმ საწევროების გარდა, რასაც ყოველი წევრი იხდიდა – თითოეული მანეთიდან ორ კაპიკს, ანუ მთელი ჯამაგირის 2%-ს) არათუ კერძო ფულს, არამედ ლურსმანსაც იპარავდნენ, რომელიც სტალინთან მოჰქონდათ და ყიდდნენ. ეს სტალინს შეახსენეს, როცა ის 1922 წელს თბილისში ჩამოვიდა და დეპოში მიტინგი გამართა, სადაც ყველამ ძახილი დაუწყო – „შე ლურსმნის ქურდო!“[242]

გურიიდან და იმერეთიდან რეაქციას გამოქცეული შეიარაღებული ბოევიკები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს აფარებდნენ თავს და, რასაკვირველია, დიდ გავლენას ახდენდნენ ადგილობრივ რევოლუციურ ჯგუფებზე. კახეთიც არ იყო გამონაკლისი. 1904 წლიდან 1910 წლის ჩათვლით თელავის მაზრის რაზმელებმა, რომელთა შორის იყვნენ ცნობილი ხარება ჯიბუტი და გოგია კენკიშვილი, მოახდინეს ორმოცდათხუთმეტი ტერორისტული აქტი, რომელთა უმრავლესობა მსხვერპლის სიკვდილით დასრულდა[243]. სამეგრელოშიც, ქართლშიც და სხვა რეგიონებშიც, ამ მხრივ, სრული განუკითხაობა სუფევდა, რის დამადასტურებელია ის მრავალრიცხოვანი შემთხვევები, რომლებსაც ჟურნალ-გაზეთები აღწერდნენ. ხელისუფლება ჩვეულებისამებრ ყველაფერში გურულებს სდებდა ბრალს. „მთავრობას მოძრაობის დამწყებათ, დამნაშავეთ, გურულები გამოჰყავდა – იყო ის დამნაშავე თუ არა, მინც მას სდებდა ბრალს, რადგან რევოლუციონური მოძრაობა პირველად გურიაში გაჩაღდა და თავზარი დასცა მთავრობას, ამიტომ მოძრაობის ბელადათ არამც თუ საქართველოში, არამედ – მთელ კავკასიაში გურიას თვლიდენ.“[244]

ტერორისტული აქტების ასეთი თავბრუდამხვევი სიხშირე და გავრცელება, ტერორისტების სიმამაცე და შეუპოვრობა ბადებს ერთ ბუნებრივ კითხვას, რომელიც რევაზ გაბაშვილმა დასვა თავის მოგონებებში: „სად იყვნენ „მოწინაეე“

239 ვ. გოგუაძე, მოგონებანი, დაბრუნება, 1992 წ., გვ. 408-409.

240 „რევოლუციის მატიანე“, 1923 წ., №4, გვ. 59.

241 ბაჭუა კუპრაშვილი, შსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, ნაწილი 1, საქმე 28, გვ. 24-25.

242 სტალინი ისტორიასა და ისტორიკოსთა შეფასებებში, 2002 წ., გვ. 8.

243 კოტე გურგენაშვილი, შსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, ნაწილი 1, საქმე 11, გვ. 109-111.

244 თ. ულენტი, რევოლუციონური მოძრაობა სამეგრელოში, 1929 წ., გვ. 17.

ფირალები, თავზეხელაღებული ტერორისტები, როცა თოფის გაუსროლელად, წინააღმდეგობის გაუწევლად ...მთელი დასავლეთ საქართველო ჩაბარდა მტერს? (იგულისხმება ნითელი არმია – ი. მ., ლ. ხ.)"[245]. ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი, ცალსახა პასუხის გაცემა ძალზე ძნელია. მართლაც, თვალი რომ გადავავლოთ ისტორიის ამ მცირე, მაგრამ ბობოქარ მონაკვეთს (XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს გასაბჭოებამდე), შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება დავინახოთ, რომ სოციალ-დემოკრატებს, ასევე სხვა პარტიებსაც, შეიარაღებული ადამიანების საკმაო რაოდენობა შეეძლოთ გამოეყვანათ. თავის მოგონებებში გრიშა ურატაძე წერს, რომ გურიის ნითელმა რაზმმა რამდენიმე ასეული მებრძოლი გააგზავნა თბილისში სომეხ-თათართა ცნობილი ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცილებლად. ერთმანეთის პირისპირ იარაღით მდგომი სომეხ-თათრების შუაში სულ ცოტა ხუთასამდე ქართველი (ვორონცოვ-დამკოვის მიერ დარიგებული თოფების რაოდენობის მიხედვით) ჩადგა და ზოგადად სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამსახურებაა, რომ დიდი სისხლისღვრა თბილისში თავიდან იქნა აცილებული. 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, საქართველოს დედაქალაქი ანარქიამ მოიცვა, თბილისის მუშათა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თხოვნით მიმართა გურულებს დახმარებისათვის, რასაც „გურია აღფრთოვანებით შეხვდა". პირველი შეიარაღებული რაზმი სულ მალე ჩავიდა დედაქალაქში, მათ საჩხერიდან და ხაშურ-სურამიდან 1000 კაცი შეუერთდა, ცოტა ხანში კი გარე კახეთიდან 300 ბოევიკი დაემატა. „შიშიანობა და ანარქია შენელდა..." – წერდა ურატაძე[246]. 1918 წელს, როცა თურქეთის არმიამ ოზურგეთი და გურიის ნანილი დაიკავა, ინტერვენტებს რეგულარულ ჯართან ერთად ძველი ფირალები და ტერორისტებიც ებრძოდნენ, მათ შორის გურიაში ჩასიძებული გიორგი ალშიბაია,[247] მელქისედეკ გუნთაიშვილი და დიდი ზარალიც მიაყენეს.

ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ მენშევიკებს სულ მცირე ორი ათასამდე ბოევიკის მობილიზაცია და თავის სამსახურში ჩაყენება შეეძლოთ. მართლაც, რამდენიმე ასეული კაციც კი რაოდენ დიდი შენამატი იქნებოდა ნითელი ურდოების წინააღმდეგ მებრძოლი იუნკრებისთვის და არა მარტო მათთვის. თუ რატომ არ მოხდა ასე, ამ გარემოებას, ჩვენი აზრით, შემდეგი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: ბევრი ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ტერორისტი დაილუპა პოლიციასთან შეტაკებებში, მეფის ციხეებსა და გადასახლებებში, ბევრი ქვეყნიდან გაიქცა, ვინც გადარჩა, დამოუკიდებლობის პერიოდში მენშევიკების მთავრობამ სახელისუფლებო თანამდებობებზე დანიშნა. ძალაუფლებამიღებული „გაქსუებული" ყოფილი ტერორისტი კი სიკვდილის ხიფათს მოერიდებოდა, მით უმეტეს ერთი რევოლუციური პარტიის (მენშევიკები) მეორეთი (ბოლშევიკები) ჩანაცვლების დროს – რუსული

---

245 რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, დაბრუნება, ტ. 3, 1992 წ., გვ. 343.

246 გ. ურატაძე, საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821-1921, 1939 წ., გვ. 53.

247 ალშიბაიას ტერორისტული საქმიანობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ალიხანოვ-ავარსკის ბრძანებით მისი ომა, ცნობილი რევოლუციონერი ვასო დახერიტეს. ალშიბაიას ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ბევრი ცნობილი ტერაქტი მოხდა, მათ შორის „რევოლუციონერების ინკვიზიტორის" როტმისტრ რუნიჩის მკვლელობა, რომელიც მან ვასია მალაკნელის, მუშების – იაშას და სერიოჟას დახმარებით განახორციელა. გაზეთი „ისარი" (1908 წ. 27 თებერვალი) წერდა: „25 თებერვალს, საღამოს 8 საათსა და 45 წუთზე, ვერის დაღმართზე უცნობებმა მოჰკლეს ტფ. ჟანდარმთა საგუბერნიო სამართველოს უფროსის თანაშემნე როტმისტრი ელადიმერ რუნიჩი. ...ვაგონში მჯდარა რუნიჩი. ხალხიც ბლომად ყოფილა. როდესაც ვაგონი ვერის ხიდს გაცილებია, კურცხალიას შეშის საწყობთან ვაგონში ვიღაც უცნობს რუნიჩისათვის სამჯერ კეფაში დაუხლია რევოლვერი... ორ ტყვიას ტვინში გაუვლია და მარჯვენა და მარცხენა თვალში გამოვარდნილა. მესამე ტყვია ყბაში გავარდნილა. ვაგონი შეუჩერებიათ და მოულოდნელის სროლით დამფრთხალი ხალხი იქით-აქეთ გაქცეულა..."

ინტერვენციის ამგვარი რაციონალიზაცია ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ტერორისტული საქმიანობა ბევრ მათგანს მხოლოდ მას შემდეგ გაახსენდა, რაც ბოლშევიკებმა სამსახურიც დააკარგვინეს და ციხეებშიც გამოამწყვდიეს. ტერორისტთა ძველი „გვარდიიდან" მხოლოდ ერთეულები ებრძოდნენ ახალ ნესნყობილებას. 1921 წლიდან ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ ყოფილი ბოევიკები – ბოლშევიკი საშა ობოლაძე (მის შესახებ წიგნის ბოლო თავში ვისაუბრებთ) და მენშევიკები – სერგო მათითაიშვილი, თეოფილე მუხამავრია, ალფეს გოგუაძე (ვალოდიას ძმა) და სხვები... გასაბჭოებისას და მის შემდეგ ერთმანეთს არა მხოლოდ ძველი ტერორისტები დაუპირისპირდნენ, არამედ ღვიძლი ძმები და ნათესავებიც. დავით ვაჩნაძე ამ სიტუაციას „უცნაურ ქართულ რებუსს" უწოდებს და მაგალითებად მოჰყავს ბუდუ მდივანი, რომელიც თურქეთში საბჭოთა რუსეთს წარმოადგენდა, მისი ძმა სვიმონი კი – საქართველოს რესპუბლიკას; ევგენი გეგეჭკორი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, მისი ნათესავი საშა გეგეჭკორი კი რუსებს მიუძღოდა წინ საკუთარი ქვეყნის დასაპყრობად... [248]

[248] დ. ვაჩნაძე, ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი, 2004 წ., გვ. 72-73.

დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია

რევოლუციის ციებ-ცხელებით შეპყრობილ რუსეთის იმპერიაში ძარცვა-გლეჯა და ექსპროპრიაციები ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. მხოლოდ 1906 წელს რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე 362 „ექსი" მოხდა[249], ანუ ძარცვა-ყაჩაღობა ყოველდღე ხდებოდა. საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენდა, უფრო მეტიც, საქართველო ყველანაირი ტერორის მებაირახტრედ იყო გადაქცეული და ყველაზე გახმაურებული ექსპროპრიაციებიც სწორედ აქ ხდებოდა.

საქართველოში პირველი ცნობილი „ექსი" 1905 წლის 30 დეკემბერს ყვირილაში მოხდა, როცა ხაზინიდან 200 ათასი მანეთი გაიტაცეს. „30 დეკემბერს, დაახლოებით 3-4 საათზე, დაბა ყვირილაში, – ვკითხულობთ „შორაპნის რესპუბლიკის" საქმის საბრალმდებო ოქმში, – მოახდინეს შეიარაღებული თავდასხმა იქ მდგარ მე-77 ქვეითი პოლკის მე-12 ასეულის ჯარისკაცებზე განიარაღების მიზნით... სროლის დროს დაიჭრა 7 ჯარისკაცი (ერთი სასიკვდილოთ). ასეული განაიარაღეს. ამასთან აჯანყებულებმა გაიტაცეს 57 თოფი... და სხვა და სხვა ქონება... ამავე დღეს, დაახლოებით ღამის თორმეტ საათზე თავს დაეცენ ყვირილის ხაზინას და გაიტაცეს 201 639 მანეთი და 56 კაპეიკი და 17 პასპორტის ნიგნაკი". ეს თავდასხმა „გაერთიანებული" მენშევიკ-ბოლშევიკური ძალისხმევის შედეგი იყო. ასეთი „გაერთიანება", მიუხედავად იდეური დაპირისპირებულობისა, ხშირი იყო, როცა საქმე რაიმე ტერორისტული აქტის განხორციელებას შეეხებოდა. ყვირილის ხაზინიდან გატაცებული ფულით კამამ, სხვებთან ერთად, უცხოეთში იარაღი შეიძინა. თუმცა იარაღმა საქართველომდე ვერ ჩამოაღწია: როცა ნაყიდი იახტით შავ ზღვაში მიცურავდნენ, ქარიშხალი ამოვარდა და იარაღით დატვირთული იახტა რუმინეთის ნაპირებთან ჩაიძირა.

ყვირილის ხაზინის ექსპროპრიაცია რევოლუციური ბრძოლების პიკს დაემთხვა, ამიტომ საზოგადოებისა და ხელისუფლების მხრიდან ნაკლები ყურადღება დაიმსახურა. მომდევნო წელს დუშეთში ჩატარებულმა ექსპროპრიაციამ კი ყველას თავზარი დასცა.

„ქ. დუშეთიდან გვატყობინებენ, რომ იქ 12 აპრილს რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დასხმია დუშეთის სამაზრო ხაზინას და გაუძარცვავთ. თავდამსხმელები ბერდანის თოფებით და რევოლვერებით ყოფილან შეიარაღებულნი, დუშეთში მყოფ ასლანდუზის პოლკის ჯარისკაცთა ფორმაში ყოფილან გადაცმულნი. თავდასხმა ღამის 2 საათზე მომხდარა. წაუღიათ 315 ათასს მანეთამდე"[250]. ეს ძარცვა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის სამხედრო ორგანიზაციის წევრებმა მოახდინეს. ფედერალისტების პარტია, სხვა სოციალისტური პარტიების მსგავსად, მეფის ხელისუფლების დამხობისთვის იბრძოდა. მაგრამ, სხვებისაგან განსხვავებით, ნინა პლანზე ჰქონდა ნამონეული ეროვნული, ქართული ინტერესები, რომლებიც დემოკრატიული, თავისუფალი და სოციალისტური რუსეთის შემადგენლობაში ქართული ავტონომიის სახით უნდა განხორციელებულიყო. ნაციონალური ინტე-

---

249 gurnal.ru oct/oct_krusanov.htm

250 „ელვა", 1906 წ., №26.

რესების გამოყოფით „...ისინი ჩადიოდნენ დანაშაულს საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ...“, თვლიდნენ სოციალ-დემოკრატები[251], რომლებიც ყოველნაირად აკნინებდნენ ამ პარტიის მნიშვნელობას ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ფილიპე მახარაძე იმასაც აცხადებდა, რომ ფედერალისტებს მთელი საქართველოს მასშტაბით მხარდაჭერა არასოდეს ჰქონიათ, ისინი პოპულარულები იყვნენ მხოლოდ სამეგრელოში, გურიაში კი სოციალისტ-ფედერალისტი სალანძღავი სიტყვა იყოო[252]. უდავოდ, თავისი პოპულარობით ის სოც.-დეკებს ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ფედერალისტების პარტიის მთავარი დამსახურება ის არის, რომ „...ისინი მივიდნენ ქართულ საზოგადოებასთან, დარაზმეს, აამოძრავეს და საქართველოს ეროვნული ავტონომიის იდეის დაუღალავი ქადაგებით ეროვნული დროშის ქვეშ მის კონსოლიდაციას მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს“[253].

ფედერალისტების პარტიის დაფუძნებაში (რომელიც ჟენევაში 1904 წელს მოხდა) დიდი როლი შეასრულეს არჩილ ჯორჯაძემ, კომანდო გოგელიამ, ვარლამ ჩერქეზიშვილმა, მიხაკო წერეთელმა და სხვებმა. ახალი პარტია ევროპული ყაიდის სოციალისტური (არამარქსისტული) პარტია იყო, რომლის მიზანი ეროვნულ-პოლიტიკური ძალებისა და მიმდინარეობების შეერთება-კონსოლიდაცია გახლდათ ბლოკისტური პარტიის წიაღში, საქართველოს ავტონომიის მოსაპოვებლად. მათ პარტიაში მოღვაწეობდნენ ანარქისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ეროვნულ-დემოკრატები... გასაგები მიზეზების გამო ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ფედერალისტებს არ შეუერთდა, სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო.

ისევე, როგორც სხვა პარტიები, ფედერალისტებიც არ თაკილობდნენ ტერორისტულ საქმიანობას და ფულის სხვადასხვა მეთოდებით შოვნას. პოლიციის დეპარტამენტი ფედერალისტთა სამხედრო ორგანიზაციის შესახებ იტყობინებოდა, რომ მან მოახდინა „წვრილი ხულიგნური თავდასხმების მთელი რიგი“. სერიოზული ტერორისტული აქტებიდან გამოყოფილი იყო 1907 წლის 15 მარტს გორის მაზრის უფროსის გუგუშვილის მკვლელობა[254]. ასევე ცნობილია ფედერალისტების უშედეგო ტერაქტი თბილისის პოლიცმეისტერ გიორგი კოვალიოვზე, რომელიც 1905 წლის 12 ივლისს დილით მოხდა. კოვალიოვის მოკვლის სურვილი ფედერალისტების სამხედრო ჯგუფის უკლებლივ ყველა ნევრმა გამოთქვა, ამიტომ კენჭისყრა მოუნიათ[255]. ქუდში ჩაყრილი ფურცლებიდან ერთი, ლევან ხერხეულიძის სახელით, ამოიღო შალვა ამირეჯიბმა. ჯგუფის მეთაურმა (სხვა წყაროებით, მეთაურის თანაშემწემ) იოსებ დავრიშევმა, მონანილეობა მიიღო ტერაქტის დაგეგმვაში და თავდასხმას შორიდან ადევნებდა თვალს. ხერხეულიძის მიერ ნასროლი ყუმბარის ნატეხებით პოლიცმეის-

---

251 Г. Уратадзе, Воспоминания Грузинского Социал-Демократа, 1968 ნ., გვ. 101.

252 ფ. მახარაძე, 1905 წელი ამიერ-კავკასიაში, 1932 ნ.

253 დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები, 1993 ნ., გვ. 310.

254 იქვე, გვ. 229.

255 აღსანიშნავია, რომ ეს ტერაქტი პარტიის თბილისის კომიტეტმა დაგეგმა, რის შესახებაც მთავარი კომიტეტისთვის არაფერი უცნობებია, ამიტომ კომიტეტმა „...გადასწყვიტა ამ საქმის მონესრიგება. ყველა ორგანიზაციას გაეგზავნა ცირკულარები, რომ ყოველგვარ ტერორისტული აქტის შესახებ, გარდა ისეთებისა, რომელიც თავდაცვის საჭიროებით არის გამონვეული, მთავარ კომიტეტს უნდა ეცნობოს წინასწარ და წარედგინოს მას ტერორის აღსრულების გეგმა. მხოლოდ მთავარი კომიტეტისაგან გეგმის მონონების და დასტურის შემდეგ შეიძლებოდა ტერორისტული აქტის მოხდენა. ამ დადგენილებას ორგანიზაციები მტკიცედ არ ასრულებდნენ...“ – გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1992 ნ., გვ. 184.

ტერმა რამდენიმე ჭრილობა მიიღო, მეეტლე და რამდენიმე გამვლელი მსუბუქად დაიჭრა. გაზეთი „Русское слово“ (1905 წ. 12 ივლისი) წერდა: „...როდესაც ტფილისის პოლიცმეისტერი კოვალევი მიემგზავრებოდა მეფის ნაცვალთან ჩვეულებრივი პატაკით, ოლღას ქუჩაზე (დღევანდელი კოსტავას ქუჩა) მის ეტლს ესროლეს ყუმბარა, რომლის ნამსხვრევით იგი ფეხებში დაიჭრა. ბოროტმოქმედს სურდა მიმალულიყო, მაგრამ იგი მალე შეიპყრეს ბაღ „ბელ-ვიუს“ მახლობლად, სადაც მას სურდა თავი შეეფარებინა. პოლიციელებმა და მზვერავებმა მას სასტიკად სცემეს, რის შემდეგაც იგი მიხეილის საავადმყოფოში გაიგზავნა“. მეორე დღეს იგივე გაზეთი ამცნობდა მკითხველს, რომ პოლიცმეისტერზე თავდასხმისათვის შეპყრობილი თავადი ხერხეულიძე ხმლებით მიყენებული ჭრილობებისაგან საავადმყოფოში გარდაიცვალა. როცა კოვალიოვი მომჯობინდა, მეფისნაცვალმა ის დააწინაურა და განჯის გუბერნატორად გადაიყვანა.

ფედერალისტების წევრები ტერორისტულ აქტებთან და ექსპროპრიაციებთან დამოკიდებულებაში ორიგინალურობით არ გამოირჩეოდნენ: ისინი საჯაროდ გმობდნენ ხოლმე ამ აქტებს, მაგრამ ამ მეთოდებით მიღებულ სარგებელს მშვენივრად იყენებდნენ. ასე მიიღეს მათ პარტიის საჭიროებისათვის სტამბა, რომელიც დუშეთის ხაზინიდან გატაცებული ფულით შეიძინეს. გიორგი ლასხიშვილი იგონებდა: „სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის სამხედრო ორგანიზაციამ პარტიის მთავარ კომიტეტში ნინადადება შეიტანა დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციის შესახებ. კომიტეტმა განიხილა ეს ნინადადება და მის განხორციელებაზე უარი განაცხადა. „...იყო მაგალითები, რომ ამგვარ ექსპროპრიაციებს იმ დროში უნესოება და დეზორგანიზაცია შეჰქონდა უფრო მეტ დისციპლინის მქონე პარტიებში, ვიდრე ჩვენი პარტია იყო. მაგალითად, პოლონეთის პ. პ. ს.-ის პარტიაში ერთმა ექსპროპრიაციამ მთელი არზაური და არევ-დარევა გამოინვია. გარდა ამისა, იყო შემთხვევა, როცა ხაზინიდან წაღებული ფული მთავრობამ ადგილობრივ მოსახლეობას გადაახდევინა. კომიტეტის უარის შემდეგ ჩვენმა სამხედრო ორგანიზაციამ მაინც მოაწყო დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია. კერძოდ, თავის ნებითა და პასუხისმგებლობით“[256]. მართალია, მთავარმა კომიტეტმა „ექსზე“ უარი განაცხადა, მაგრამ სამხედრო ორგანიზაციისათვის ხელი არ შეუშლია: ფედერალისტები მომავალი სარგებლის მოლოდინში ყველაფერზე თვალს ხუჭავდნენ.

მომავალი ექსპროპრიატორები დიდხანს ბჭობდნენ, რა გზით ჩაეგდოთ ფული. ხაზინაზე ყაჩაღური დაცემა დიდი მსხვერპლის მეტს არაფერს მოიტანდა, იქვე ახლოს ჯარისკაცების პოლკი იდგა, ამიტომ ზოგი სთავაზობდა სასმელის მოწამლვას და მცველი-ჯარისკაცების დათრობას, ზოგი მათ მოსყიდვას... ბოლოს გადაწყდა, ყალბი დოკუმენტი შეედგინათ. იმ დროს „ექსის“ ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იოსებ გედევანიშვილი[257] ნოვობაიაზეთის პოლკში ასეულს მეთაურობდა და აქედან გამომდინარე საკმაოდ კარგად იცნობდა პოლკის ოფიცრობას და პოლკის მეთაურს, ხანში შესულ ბიუროკრატ დიკს. გედევანიშვილმა ზედმიწევნით კარგად შეისწავლა შტაბის საქმისნარმოება, წერილების დაგზავნის წესი, სტილი და ფორმა. მან შეადგინა

---

256 გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1992 წ., გვ. 198.

257 მის შესახებ რევაზ გაბაშვილი წერს: „...ეს ის სოსო გედევანიშვილი ბრძანდებოდა, რომელმაც „დუშეთის ხაზინის“ გაცარცვაში მონაწილეობის საშუალებით, თითონ სახლი აიშენა მცხეთაში ...და დამოუკიდებლობის დროს მენშევიკებმა „ლენერლად“ გახადეს...“ რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, დაბრუნება, ტ. 3, 1992 წ., გვ. 120. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი კი გედევანიშვილს ასე ახასიათებს: „...(გედევანიშვილს) პირადათ მე დიდს პატივს ვცემ და ღირსეულად ვაფასებ. მან მიიღო უმაღლესი განათლება. მაგრამ... პოლიტიკური მიზეზების გამო 12 წელიწადი სამხედრო საქმეს დაშორებული იყო. ჩვენ ვშიშობდით, რომ ის ვერ გაუძღვებოდა ისეთ რთულ საქმეს, როგორიც იყო ცალკე კორპუსში შტაბის უფროსის თანამდებობა“. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, 1990 წ., გვ. 13.

„საიდუმლო“ მინერილობა-განკარგულება ოლქის შტაბის უფროსის პოლკოვნიკ დიკის სახელზე, სადაც ნათქვამი იყო: „...რადგანაც სამხედრო ნაწილებს ამჟამად დიდი ჯაფა ანევთ რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში... რაც ხელს უშლის და აბრკოლებს ჯარის ნაწილთა სამხედრო მომზადებას და სწავლას, ამიტომ კაკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსმა გადანყვიტა, დროებით გაათავისუფლოს ჯარის ნაწილები არასამხედრო დანესებულებების დარაჯობისაგან... წინადადება გეძლევათ, ამ განკარგულების მიღებისთანავე მოხსნათ სამხედრო სადარაჯო დუშეთის ხაზინიდან. წინადადება მიეცით ხაზინის უფროსს, საკუთარი საშუალებით დაიცვას ხაზინა, ვიდრე ახალ განკარგულებამდე...“

ამ ყალბი ბრძანების ტექსტი ტასო ვახვახიშვილმა დაბეჭდა, მისამართი ხელით გიორგი კერესელიძემ წააწერა. ახლა საჭირო იყო ამ განკარგულების გადაგზავნა. ამის გაკეთება ფოსტით არ შეიძლებოდა, რადგან ასეთი საიდუმლო მიმონერისათვის განსაკუთრებული წესი არსებობდა. საჭირო გახდა მეორე წერილის შედგენა მცხეთის ბოქაულის სახელზე. ამ წერილში საოლქო შტაბის უფროსი სწერდა მცხეთის ბოქაულს, ასევე „ფრიად საიდუმლოდ“, რომ პოლკოვნიკ დიკის სახელზე გამოგზავნილია საიდუმლო პაკეტი და ის შიკრიკმა სასწრაფოდ უნდა ჩააბაროს დანიშნულებისამებრ.

1906 წლის ერთ დღეს მცხეთის ბოქაულს გაბო სულხანიშვილს გამოეცხადა საოლქო შტაბის ფორმაში გამოწყობილი „ჯარისკაცი“, ამხანაგი კოლა ყორღანოვი. ყველაფერი წესისამებრ შესრულდა – პაკეტის მიღების შემდეგ ბოქაულმა ყორღანოვს ხელწერილი მისცა. ეს „ფრიად საიდუმლო“ პაკეტი იმავე დღეს ჩაბარდა პოლკოვნიკ დიკს. ამ უკანასკნელმა კი დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება, მოეხსნათ დარაჯები ხაზინიდან. ამის შესახებ ხაზინის გამგეს შესაბამისი შინაარსის წერილიც გაეგზავნა. დუშეთის ხაზინიდან დარაჯები გაიწვიეს. მთავარი დაბრკოლება მოიხსნა. საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა საკუთრივ ოპერაციის მომზადებას: საჭირო იყო სანდო ხალხის შერჩევა, ასევე ეტლის, იარაღის და სამხედრო ტანსაცმლის შოვნა. მხოლოდ აპრილისთვის მოხერხდა ექვსი ადამიანის მომზადება, რომლებიც სათანადო ამუნიციით, ფორმით, იარაღით და თუჯის ბურთით (რომელიც ყუმბარის როლს ასრულებდა) იყვნენ შეიარაღებული. 12 აპრილს, საღამო ხანს, თბილისიდან დუშეთისაკენ გეზი აიღო ეტლმა, რომელშიც ისხდნენ ივანე და ილია თაქთაქიშვილები, ლეო კერესელიძე, კორნელი კასრაძე, კოლა ალავიძე, დათუნაშვილი და ეტლის პატრონი ვიქტორ ყიფიანი.

გვიან ღამით „ჯარისკაცები“ დუშეთში შევიდნენ და მწყობრი ნაბიჯით გაემართნენ ხაზინისაკენ. იმ დღეს ხაზინაში ფედერალისტების პარტიის ნევრი მაზიტაშვილი მორიგეობდა, რომელმაც ფსევდოჯარისკაცებს კარი გაუღო. ჯარისკაცებმა ყველანი განაიარაღეს, მაზიტაშვილმა უჩვენა, სად ინახებოდა თანხა.

„...შეკრულები ერთ ალაგას მოათავსეს და თან მოტანილ რკინის ჯოხით დაუწყეს ფულის საკუჭნაო ოთახის კარებს მტვრევა. როცა კარები შეამტვრიეს, სამორიგეო ოთახიდან პატარა ლამპა მოიტანეს, ყუთი გასტეხეს, სადაც ინახებოდა... 315 000 მანეთი. ფული პარკში ჩაალაგეს... ბოროტ-განმზარხველთ მოინადინეს შეეტყოთ, თუ რა ინახებოდა ცეცხლისაგან უზრუნველ კასაში და როცა შეიტყეს, რომ იქ 2000 მანეთი ოქროაო, ხელი არ ახლეს. ხელი არ ახლეს აგრეთვე ვერცხლის ფულს, რომელიც პარკებში იყო ჩალაგებული“[258].

საქმეს რომ მორჩნენ, მძარცველებმა ხელფეხშეკრულები, მათ შორის მაზიტაშვილიც (ალიბის გამო), იატაკზე დაანვინეს და ფეხებთან თუჯის ბურთი დაუდეს. „თუ გაინძრევით, გასკდება და მტვრად იქცევით! ერთი საათის განმავლობაში კრინტი არ დასძრათო“ – გააფრთხილეს. გამოვიდნენ, ჩასხდნენ ეტლში და სწრაფად მოწყდნენ

258 „ისარი“, 1907 წ. 27 ნოემბერი.

ადგილს. „...ერთი უცნობი ხელ-ფეხ შეკრულებთან დარაჯად დარჩა... დარჩენილი უცნობი ერთი საათის განმავლობაში დადიოდა ოთახში და თან... ემუქრებოდა: „არ გაინძრეთ, კრინტი არ დასძრათ, თორემ აი რევოლვერი და ყუმბარაო". ერთი საათის შემდეგ მან ფრხილათ დასდო მაზიტოვის (მაზიტაშვილი) ფეხთით ერთი ყუმბარა და... თან დაუბარა ყველას, ცოტა რამ შენძრევა საკმაოა, რომ ყუმბარა აფეთქდეს და ამიტომ დილამდე ადგილიდან არ დაიძრათო"[259].

ერთი საათის შემდეგ თავდამსხმელები უკვე მცხეთაში იყვნენ. ფული გედევანიშვილის ოჯახში დამალეს, რადგან თბილისში ჩატანა საშიში იყო. 12 აპრილს, ძარცვის დროს. გედევანიშვილი საკუთარ ასეულთან ერთად სოფელ ძალისში იმყოფებოდა და ხაზინის გაძარცვის ამბავი იქ მიუტანეს. მან მაშინვე გაგზავნა წერილი დუშეთში პოლკის უფროსთან: „რადგანაც გავიგე დუშეთის ხაზინის გაძარცვა, მივდივარ რამდენიმე ჯარისკაცის თანხლებით სამხედრო გზის დასათვალიერებლად, იქნებ რაიმე კვალს მივაგნო. ჩავალ მცხეთამდე და საღამოს ან ხვალ დილით ადრე დავბრუნდები". გედევანიშვილი მცხეთაში გაემგზავრა, ჯარისკაცი ერთ დუქანში დატოვა, თვითონ მატარებელში ჩაჯდა, თბილისში ჩავიდა და იქიდან კავკასიის მსროლელთა მეოთხე ბატალიონის ოფიცერი ლადო ცაგარელი წამოიყვანა. ფული ჩაალაგეს ტყავის ჩემოდანში, რომელიც ცაგარელმა თბილისში ჩაიტანა...

ასე, ყოველნაირი მსხვერპლის გარეშე, დასრულდა ეს უდიდესი ექსპროპრიაცია, რამაც ნამდვილი სენსაცია და შოკი გამოიწვია, როგორც საზოგადოებაში, ისე მთავრობაში. ფეხზე დადგა მთელი თბილისის გუბერნიის პოლიცია, მთავრობამ ჯილდოდ ათი ათასი მანეთი დააწესა, აამოქმედა ჯაშუშები და აგენტები...

პირველ რიგში პოლიციამ ხაზინის დარაჯები და მაზიტაშვილი დააპატიმრა. ბევრი წვალება-ნამების მიუხედავად შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს – „მაზიტაშვილი მაგარი ამბანაგი იყო..." რა თქმა უნდა, მიადგნენ პოლკოვნიკ დიკსაც, რომელმაც წარუდგინა ოლქის შტაბის უფროსისაგან მიღებული განკარგულება. „ოლქის შტაბმა მიწერილობა... ყალბად სცნო და თანაც აღნიშნა, რომ განკარგულება ისეთი შრიფტით არის დაბეჭდილი, რომელიც არ უდგება არც ერთ საბეჭდ მანქანას, რომელიც კი შტაბის ხმარებაშია. თვით გადაგზავნის წესიც არა ჩვეულებრივია და ეწინააღმდეგება შტაბში... მიღებულ წესს..." მოგვიანებით ეს დოკუმენტები ექსპერტებმა გიორგი კერესელიძის ხელს შეადარეს და დაამტკიცეს, რომ წარწერა მისი ხელით არის დაწერილი.

გამოძიებამ მაშინვე აიღო ეჭვი გედევანიშვილზე. გამოცდილი გამომძიებლის, ჟანდარმთა პოლკოვნიკის, პოლიცმეისტერ პეტრე მარტინოვის აზრით, საქმეში აუცილებლად სამხედრო პირი იყო გარეული, თანაც ეს ოფიცერი ქართველი უნდა ყოფილიყო, რომელიც კარგად იცნობდა ადგილობრივ სიტუაციას. აქედან გამომდინარე, მისი ძებნა ნოვობაიაზეთის პოლკის შემადგენლობაში დაიწყეს. ამ პოლკში კი ერთადერთი ქართველი გედევანიშვილი იყო. საკუთარი ვერსია გამომძიებლებმა გამცემის მეშვეობითაც გაამყარეს.

„...1906 წელს მაისის პირველ რიცხვებში პოლიცმეისტერმა მარტინოვმა და ბოქაულის თანაშემწემ მონასტირსკიმ... საიდუმლო ცნობა მიიღეს, რომ დუშეთის ხაზინა ნოვობაიაზეთის პოლკის კაპიტნის იოსებ გედევანიშვილისა და კავკასიის მსროლელთა მეოთხე ბატალიონის პორუჩიკის ვლადიმერ ცაგარელის ხელმძღვანელობით გაქურდეს სტუდენტებმა ძმებმა ლეო და გიორგი (იგივე გოგია) კერესელიძეებმა, იოსებ დავრიშევმა... ძმებმა ილია და ივანე თაქთაქიშვილებმა და ვიღაც ნიკოლოზ ალავიძემაო..."[260]

---

259 „ისარი", 1907 წ. 27 ნოემბერი.

260 „ისარი", 1907 წ. 28 ნოემბერი.

რამდენიმე სიტყვით უნდა შეეჩერდეთ იოსებ დავრიშევის, ანუ დავრიშვილის, პერსონაზე. კათოლიკე ქართველმა სოსო დავრიშევმა, გორის პოლიცმეისტერ დამიან დავრიშევის შვილმა, სიცოცხლის ბოლოს დაწერილ ავტობიოგრაფიაში განაცხადა, რომ სტალინი მისი ნახევარძმა იყო. ეს სინამდვილეა თუ არა, ამის გარკვევა შეუძლებელია. სტალინის დედას, კეკეს, მართლაც ჰქონდა ახლო კავშირი დამიან დავრიშევთან – როგორც ჩანს, პოლიციის უფროსს ხშირად უნევდა „გიჟ ბესოდ" ცნობილი სტალინის მამის, ბესო ჯუღაშვილის, აგრესიისაგან კეკეს დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ სტალინისა და დავრიშევის პოლიტიკური გზები გაიყარა, მას თბილისში „მოღვაწეობისას" ხშირი შეხება ჰქონდა ბავშვობის მეგობრებთან, სტალინთან და კამოსთან.

დავრიშევი აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ საქმიანობაში, ის, როგორც ამბობენ, ბრწყინვალე ორატორი ყოფილა[261], 1906 წლიდან კი ფედერალისტთა საბრძოლო ჯგუფშია. დუშეთის ხაზინის გაძარცვის შემდეგ დავრიშევი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, საიდანაც 1906 წლის ოქტომბერში გაქცევა მოახერხა და შვეიცარიაში ამოყო თავი. გაქცევის შესახებ იუწყებოდა გაზეთი „მეგობარი": „გუშინ, 30 ოქტომბერს, ტფილისის მეტეხის ციხეში დილით აღმოჩნდა, რომ 25 პატიმარი აღარ იყო საპატიმროში. გამოძიებით გამორკვეულა, რომ პატიმრებს გამოუნგრევიათ საპყრობილის სტამბის კედელი და იქიდან გაპარულან. უმრავლესობა გაქცეულთა პოლიტიკური და ჩვეულებრივი ტუსაღები არიან"[262]. ერთი წლის შემდეგ, 1907 წელს, შვეიცარიის პოლიციამ დააპატიმრა ქართველთა ჯგუფი, რომელთაც ბაქოელი მეწარმისთვის ფულის გამოძალვაში ედებოდათ ბრალი. დაპატიმრებულთა შორის დავრიშევიც იყო. ჩხრეკის დროს, სხვა ნივთებთან ერთად, ჯგუფის წევრების სახლებში 87 რევოლვერი აღმოაჩინეს. სასამართლო პროცესზე დავრიშევი გაამართლეს, თუმცა შვეიცარიიდან გააძევეს. ის პარიზში გადასახლდა, სახელი და გვარი გამოიცვალა და იწოდებოდა ხან როგორც დავრიშერი, ხან – ჯოზეფ დე დავრიშევი, მოგვიანებით კი – ჯოზეფ ჟაკ დავრიშევი. საფრანგეთში მან საფრენი სკოლა დაამთავრა. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში საფრანგეთის არმიაში ჩაეწერა, მონაწილეობდა საომარ გაფრენებში, მიიღო ავიაციის სერჟანტის წოდება. მაგრამ ვარჯიშზე მიღებული ტრავმის შედეგად დათხოვნილ იქნა არმიიდან. ცოტა ხანში მან ლებურჟეს აეროპორტში დაიწყო მუშაობა. მალე დავრიშევს ყურადღება რუსულმა დაზვერვამ მიაქცია და გორელმა ბოევიკმა მათთან დაიწყო თანამშრომლობა, ამავე დროს თურმე ფრანგებთანაც მუშაობდა, თანაც ძალზე ნაყოფიერად. ზოგიერთი მონაცემით, ის საყოველთაოდ ცნობილი მატა ჰარის საყვარელი იყო. მეორე „მატა ჰარად" წოდებული, არანაკლებ განთქმული ქალი-ჯაშუში მარტა რიჩარდსი, ჯაშუშობას სწორედ სოსო დავრიშევმა აზიარა[263]. 30-იან წლებში სტალინმა დავრიშევს საბჭოთა კავშირში დაბრუნება შესთავაზა, მაგრამ მან ეს წინადადება უარყო. იოსებ დავრიშვილი 1975 წელს 92 წლის ასაკში გარადაიცვალა[264].

რაც შეეხება ძარცვას, „...ამ კარგად განზრახულსა და აღსრულებულ საქმეს ბოლო მაინც ცუდი აღმოაჩნდა: ადმინისტრაციამ კვალს მიაგნო და ...დააპატიმრეს ამ საქმის ორგანიზატორები შტაბს-კაპიტანი იოსებ გედევანიშვილი და ოფიცერი ლადო ცაგარელი. დააპატიმრეს აგრეთვე ექსპროპრიაციის უშუალო მონაწილენი, პარტიის

---

261 მოგონებებში გიორგი ლასხიშვილს მოჰყავს ეპიზოდი, თუ როგორ შეაწყვეტინეს ახალგაზრდა დავრიშევს ერთ შეკრებაზე გამოსვლა. გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1992 წ., გვ. 171.

262 „მეგობარი", 1906 წ. 31 ოქტომბერი.

263 F. Kupferman, Mata Hari, 2006 წ. გვ. 80.

264 „Военно-исторический журнал", 4, 2008 წ.

ნევრები ვ. თაქთაქიშვილი, ივ. ციმაკურიძე და სხვები, რამდენიმე კაცმა თავს უშველა საზღვარგარეთ გაქცევით, მათ შორის ძმებმა კერესელიძეებმა..."[265] საქმის ერთ-ერთი მონანილის, აზატოვის (მასზე ეჭვობდნენ, რომ ის პოლიციასთან იყო შეკრული) ჩვენებიდან გაირკვა, რომ ხაზინის გაძარცვის შემდეგ ის გოგი კერესელიძის ბინაში მივიდა და საკუთარი გულისნყრომა გამოუცხადა ასეთი სამარცხვინო საქმის ჩადენისთვის[266], რამაც პარტიას სახელი გაუტეხა (სინამდვილეში ის ფულის წასართმევად მივიდა). კერესელიძემ განუცხადა, რომ მან ეს საქმე ჩაიდინა არა როგორც პარტიის წევრმა, არამედ როგორც კერძო პირმა. მიუხედავად საკუთარი „გულისწყრომისა", აზატოვმა კერესელიძისაგან ფული აიღო იმ პირობით, რომ მას არ გასცემდნენ: „...მართლაც, მე, აზატოვს, მომცა 500 მანეთი, ამდენივე კიკნაძეს, ციმაკურიძეს და ჩიქოვანს. მაღალაშვილს მისცა 3500 მანეთი, ალავიძეს 2000 მანეთი. გარდა ამისა, ისიც ვიცოდი, რომ ფულის გაყოფის დროს გოგია კერესელიძეს ერგო 116 ათასი მანეთი. აქედან დაარიგა მხოლოდ 75 000 მანეთი, ივ. და ილ. თაქთაქიშვილებს 35 000, ერთ ციციშვილს – 1500 მ., მეორეს – 3500 მ., თაქთაქიშვილების დედ-მამას – 300 მანეთი; გედევანიშვილმა მიიღო 114 ათასი მანეთი, დანარჩენ 85 000 მანეთის შესახებ კერესელიძემ მითხრა, აღრზაურის დროს დაიკარგაო (ამასვე ადასტურებს ლასხიშვილი – ი. მ., ლ. ხ.). გედევანიშვილი კი ამტკიცებდა, რომ ის ფული გოგია კერესელიძემ ნაიღო..."[267] დუშეთის „ექსის" ბევრი მონანილე უკმაყოფილო იყო მიღებული თანხით და ერთ-ერთმა მათგანმა საქმე „გაყიდა" კიდევაც. გედევანიშვილის მოგონების მიხედვით, ეს გამცემი ვინმე ნ. მ. იყო, რომელმაც შემდეგ პოლიციმეისტერის კანცელარიაში საზღვარგარეთული პასპორტი მიიღო და ქვეყნის ფარგლები დატოვა.

როგორც საგაზეთო პუბლიკაციებიდან იკვეთება, ძმებმა კერესელიძეებმა, რომლებიც ჟენევის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სწავლობდნენ, უბრალოდ „გადააგდეს" საკუთარი თანამეინახენი და ხაზინის გაძარცვის შემდეგ, ძალიან მალე, ყალბი პასპორტით შვიცარიაში გაიქცნენ. ძმები კერესელიძეები თურმე იქამდეც იყვნენ შემჩნეული პარტიის სახელით ფულის წაგლეჯაში. რევაზ გაბაშვილი იხსენებდა, როგორ შეხვდნენ მას ერთხელ თბილისში ფედერალისტების „სამხედრო რაზმის" ნევრები – ნაბადწამოსხმული, ქამარხანჯლიანი და ფაფახიანი ლეო კერესელიძე და მიხეილ ყანჩელი. გაბაშვილს ეს „მასკარადი" გაუკვირდა, რადგან ისინი ყოველთვის ევროპულად იცვამდნენ. გაირკვა, რომ კერესელიძე და ყანჩელი კომიტეტის მიერ ვაჭრებისაგან გადასახადების ასაკრეფად იყვნენ გაგზავნილი. მასაც შესთავაზეს ნამოსვლა, რაზეც გაბაშვილმა მოუცლელობის გამო უარი განუცხადა.

– ეგ მოესწრება, ჩვენთან წამოდი... და მეტი დამაჯერებლობისათვის... ფულით გატენილი ჯიბეები მაჩვენეს... – აი, რამდენი შევაგროვეთ, „მიხაილოვის პროსპექტზე" ერთი მდიდარი სომეხი ვაჭარია და ეხლა იქ მივდივართ, წამოდი, შენც გექნებაო..."[268]

---

265 გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1992 წ., გვ. 198-199.

266 ბაჭუა კუპრაშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: „...ფედერალისტებმა გაიტაცეს დუშეთის ხაზინა, ნაიღეს ფული, რომლის უმთავრესი ნანილი საქმის მონანილეებმა გაფლანგეს ვერის და ორთაჭალის ბაღლები და შემდეგ ჟენევის და პარიზის კაფეებში". ბაჭუა კუპრაშვილი, შსსსს ფონდი 8, აღნერილობა 2, ნანილი 1, საქმე 28, გვ. 24-25.

267 „ისარი", 1907 წ. 29 ნოემბერი.

268 რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, დაბრუნება, ტ. 3, 1992 წ., გვ. 75.

*ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მიხაკო წერეთელი ლეო კერესელიძეს ხოტბას ასხამდა და ამტკიცებდა, რომ „...ბოროტ ადამიანთა ენამ მას საზიზღარი ცილი დასწამა, თითქოს იგი ამ საქმითგან წმიდად არ გამოსულიყოს. ...ვაცხადებ აქ საჯაროდ... რომ ლეო კერესელიძეს მაშინ გარდა გმირობისა, არა ჩაუდენია რა. რასაც მას სწამებენ, იგი სხვებმა ჩაიდინეს...". გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, 1993 წ., ტ. III, გვ. 132.

ჟენევაში კერესელიძეები გაერთიანდნენ პეტრე სურგულაძის მიერ დაარსებულ „საქართველოს დამოუკიდებლობის ჯგუფში“ და თანამშრომლობდნენ ჯგუფის მიერ გამოცემულ ჟურნალში (პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს, საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მეთხებით და გერმანელთა დახმარებით, ლეო კერესელიძის მეთაურობით შეიქმნა ლეგიონი, რომელიც ოსმალეთის ფრონტზე რუსეთის არმიას ებრძოდა. ლეო კერესელიძე 1943 წელს ბერლინის დაბომბვისას დაიღუპა).

რუსეთის მთავრობამ შვეიცარიას კერესელიძეების გაცემა მოსთხოვა. მაშინ ფედერალისტებმა შვეიცარიის სასამართლოს გაუგზავნეს წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია პოლიტიკური მიზნით იყო ჩადენილი „...და შვეიცარიის მთავრობამ უარჰყო რუსეთის შუამდგომლობა კერესელიძეების გაცემის შეახებ“[269]. მიხაკო ნერეთლის მოგონებებიდან ვიგებთ, რომ შვეიცარიის მთავრობამ ძმები კერესელიძეების საქმე გასარჩევად სასამართლოს გადასცა. რათა გაერკვია, „...თუ რამდენად სამართლიანი იყო რუსეთის მთავრობის მოთხოვნა, სასამართლო შეეკითხა, ერთ უდიდეს ავტორიტეტს საერთაშორისო სამართლისა ბელგიელ მეცნიერს ერნესტ ნისს, და მან შემდეგი მსჯავრი დასდვა საქმეს: რუსეთი მოტყუებით დადებული და დამტკიცებული 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევით გაბატონდა საქართველოში. მისი ბატონობა უკანონოა და წინააღმდეგი საერთაშორისო სამართლისა. ამიტომ ყოველი მოქმედება ქართველთა ქვეყნის განთავისუფლებისათვის უკანონო უცხო ბატონობისაგან პოლიტიკური აქტია...“. საინტერესოა, რომ ან უცოდინარობის, ან ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ან სავარაუდოდ, უფრო მეტად რომ გაემწარებინათ მეფის რუსეთის ხელისუფლება, რუსეთის იმპერიიდან გაქცეული ყველა რევოლუციონერი ევროპაში თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლ გმირად იყო მიჩნეული და ყველანაირი პრივილეგიით სარგებლობდა მანამდე, სანამ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას არ ჩაიდენდა.

„...გამოძიებამ წელიწად ნახევარი გასტანა და ახალი კი ვერაფერი აღმოაჩინა... ზოგი დაპატიმრებული სრულიად გაანთავისუფლა, და მე და ცაგარელი, ქართველიშვილი თავდების ქვეშ გამოგვიშვა. დაპატიმრებულები დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვისაც... ერთი და იმავე სერიის ფულის ნიშნები აღმოაჩნდა: აზატოვი კომპანიით და ვანო თაქთაქიშვილი, ილია თაქთაქიშვილი, ამაზე უწინ სხვა რამდენიმე ტუსაღთან ერთად გაიქცა ციხიდან...“ – იოსებ გედევანიშვილის მოგონებიდან. სასამართლომ გედევანიშვილს და ცაგარელს ჩამოართვა „სამხედრო ღირსება“ და ორ-ორი წლით ციხე მიუსაჯა. რამდენიმე მონაწილე გადაასახლეს. როგორც აღვნიშნეთ, ნაძარცვი ფულით ფედერალისტურმა პარტიამაც იხეირა – მთავარმა კომიტეტმა საკუთარი სტამბა შეიძინა, სადაც გაზეთები და პარტიის სხვადასხვა გამოცემები იბეჭდებოდა.

დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციის პერიპეტიები ამით არ დასრულებულა. სულ ცოტა ხანში ამ საქმის გამხსნელ პოლიცმეისტერ მარტინოვზე თავდასხმა განხორციელდა (მარტინოვზე პირველი ტერაქტი 1905 წლის 19 დეკემბერს თბილისის ცენტრში, სასამართლოს შენობის წინ, სამმა ტერორისტმა – დავრიშევმა, ყანჩელმა და ანჯაფარიძემ – მოახდინა. როგორც ჩანს, ფედერალისტებს პოლიციის უფროსებთან ბედი არ სწყალობდათ – მარტინოვს სამი ტყვია მოხვდა, მაგრამ იმის გამო, რომ ტყვიაგაუმტარი ჟილეტი ეცვა, გადარჩა. თანაც გაქცეულ ტერორისტებს იქით დაუშინა იარაღი). 1906 წლის 4 ივლისს ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის ერთი ფანჯრიდან სოციალისტ-რევოლუციონერებმა (ესერებმა) მარტინოვს ბომბი

[269] გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1992 წ., გვ. 198-199.

ესროლეს[270]. მარტინოვზე ტერაქტის შემსრულებლები იყვნენ გიორგი ალშიბაია, პლატონ მიქაბერიძე, ანდრეი რომანოვი, სერიოჟა მასხარაშვილი და ვლადიმერ ხუდადოვი[271] (საინტერესოა, რომ თავდასხმის შემდეგ ტერორისტები ცნობილი მწერლის, დავით კლდიაშვილის, ბინაში იმალებოდნენ).

დაჭრილი მარტინოვი სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ ქვაფენილზე მწოლიარემ შეძლო ბომბისტებისთვის ცეცხლი გაეხსნა, რითაც ხელი შეუშალა მეორე, გამზადებული ბომბის გადმოგდებას. რამდენიმე წუთში მოსულმა ჯარმა სათავადაზნაურო გიმნაზიას ალყა შემოარტყა და შენობაში შეიჭრა. გიმნაზიაში საშინელი ამბავი დატრიალდა. კაზაკებმა იქაურობა დაარბიეს და მოკლეს სრულიად უდანაშაულო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ფედერალისტი შიო ჩიტაძე, რამდენიმე პედაგოგს კი სცემეს, დაჭრეს და დააპატიმრეს. ჩიტაძის სიკვდილს ჩვენთვის ცნობილი ოფიცერი ბიგაევი, რომელიც საკუთარი კაზაკებისაგან გამოსროლილ ტყვიებს სასწაულებრივად გადაურჩა, შემდეგნაირად აღწერს: მის ოთახში შევიდა „ყველაზე უწყინარი და ღვთისმოსავი“ კაზაკი, ამ დროს კარებთან დახვდა ჩიტაძე, რომელმაც ინსტინქტურად ხელი მოჰკიდა თოფის ლულას, კაზაკმაც შიშისაგან სასხლეტს გამოჰკრა ხელი. ჩიტაძეს ტყვია თავში მოხვდა. მკვლელი კაზაკი მეფისნაცვალმა შეინყალა, ხოლო შემდგომმა გამოძიებამ ამ საქმეში ფედერალისტების უდანაშაულობა დაამტკიცა[272].

ამ ტერაქტს წინ უძღოდა იმავე წლის 14 მაისს გენერალ გუბერნატორ ტიმოფეევზე თავდასხმა, რომლის დროსაც გასროლილ იქნა ბომბი და დაიღუპა ერთი კაზაკი, ორი კაცი კი დაიჭრა. პოლიცმეისტერი მარტინოვი გუბერნატორს ფაეტონით უკან მისდევდა, ის გადმოხტა და მსროლელებს გაეკიდა. მეორე ტერორისტმა მარტინოვს ბომბი ესროლა, რომელიც არ გასკდა. მარტინოვმა ბომბისტს ესროლა და დაჭრა. ის ქვაფენილზე დაეცა, ხოლო კაზაკმა მას ბოლო მოუღო. მოკლული რევოლუციონერი მათე ფრუიძე აღმოჩნდა. მონმეთა ჩვენებით, მეორე ბომბისტიც დაიჭრა, რადგან თურმე სროლის დროს რამდენჯერმე წაქცეულა[273].

რაც შეეხება ექსპროპრიაციის მთავარ მონაწილეს, იოსებ გედევანიშვილს, გასაბჭოების შემდეგ ის რუსებს მიემხრო და ერთ-ერთი პირველი ქართველი წითელი გენერალი გახდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მუშაობდა სხვადასხვა ადგილას – ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, წერდა პიესებსა და მოთხრობებს. ის 1939 წელს გარდაიცვალა მცხეთაში და იქვეა დაკრძალული. ციხიდან გამოსულ ლადო ცაგარელს კი თურმე სამსახურში არ ღებულობდნენ, მასთან ურთიერთობას გაურბოდნენ, როგორც ხელმნიფის ტახტის ორგულსა და მოღალატეს. მოგვიანებით მან ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი და პირველმა ქართულ ენაზე მცირე ფორმატის სამხედრო ლექსიკონი გამოუშვა. ლადო ცაგარელი 1942 წელს გარდაიცვალა თბილისში.

---

270 საისტორიო არქივში ინახება ცნობა, რომ ესერები თავიანთ ნათესავებს და ახლობლებს მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ აფრთხილებდნენ და მოუწოდებდნენ, იმ დღეს გოლოვინის პროსპექტზე არ გასულიყვნენ.

271 ეს უკანასკნელი, სოსო დავრიშევის ახლო მეგობარი, ცნობილი საზოგადო მოღვაწის და ექიმის, ქალაქის სათათბიროს ხმოსნის (დეპუტატის) ნიკო ხუდადოვის შვილი იყო. 1907 წლის 14 იანვარს ნიკო ხუდადოვი „ჭეშმარიტ რუსთა პარტიის წევრმა“ რევოლვერიდან ორი გასროლით მოკლა. არ არის გამორიცხული, რომ ეს მკვლელობა მისი შვილის მიერ მარტინოვზე თავდასხმის საპასუხოდ მომხდარიყო.

272 Н. А. Бигаев. Последние Наместники Кавказа (в свете личных воспоминаний) (1902–1917).

273 სცსსა ფონდი 83, აღნერილობა 1, საქმე 3/2.

გენერალ გრიაზნოვის მკვლელობა

„...1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. ალიხანოვ-ავარსკის და სხვა დამამშვიდებლების დამსჯელმა ექსპედიციებმა სისხლის ღვარი დააყენეს მთელ საქართველოში. რაიმე მასიურ მუშაობაზეც კი ოცნება შეუძლებელი იყო. რევოლუციონერებს არ შეეძლოთ იმ ადგილებში დარჩენა, სადაც მათი მუშაობა ყველას თვალწინ იშლებოდა. მათ მოელოდათ მძიმე სასჯელი, ბევრ შემთხვევაში დაღუპვაც კი. და აი, რევოლუციონერები ტოვებენ პროვინციებს და გადადიან ქალაქებში, უმთავრესად ტფილისში, სადაც შედარებით უფრო ადვილი იყო დამალვა.

ტფილისი მაშინ წარმოადგენდა ნამდვილ ალყაშემორტყმულ ქალაქს. იქ გამოცხადებული იყო სამხედრო წესები. ხელისუფლების წარმომადგენლები გამძვინვარებულები ნადირობდენ რევოლუციონერებზე. პარტიას ფარულად, იატაკქვეშ უნდა შეენახა ძალიან ბევრი ამხანაგი, რომელთაც მოელოდათ სიკვდილი ან უვადო კატორღა. ამისთვის საჭირო იყო თანხა. ზოგ ამხანაგებს ესაჭიროებოდათ არალეგალური ბინები, ზოგნიც უფრო საიმედო, მიუწვდომელ ადგილებში უნდა გაგზავნილიყვნენ. მიუხედავად განადგურებისა, პარტიზანული ბრძოლა გრძელდებოდა“[274]. ასე აღწერდა იმდროინდელ სიტუაციას თვალსაჩინო რევოლუციონერი ბარონ ბიბინეიშვილი. დამარცხებული რევოლუციონერები ყველანაირი მეთოდებით ცდილობდნენ ჩამქრალი რევოლუციური ცეცხლის ხელახლა გაღვივებას. მოქმედების მთავარ მეთოდად ისევ ტერორისტული აქტები რჩებოდა, ამჯერად ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლების წინააღმდეგ (სოციალ-დემოკრატიული პარტია და სხვებიც, მიუხედავად მათთვის არახელსაყრელი მდგომარეობისა, ყოველთვის ცდილობდნენ მოსახლეობასა და ჯარს შორის დაპირისპირების პროვოცირებას და სიტუაციის გამწვავებას. მაგალითისათვის 1902 წლის ბათუმის მოვლენებიც საკმარისია, როცა სოსო ჯუღაშვილისა და სხვათა მეთაურობით მუშებსა და ჯარს შორის შეტაკება მოხდა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა. ამ დაპირისპირებამდე ცოტა ხნით ადრე გაფიცული მუშები დააპატიმრეს და ყაზარმაში გამოკეტეს, თუმცა მეორე დღეს გამოშვებას დაჰპირდნენ. მიუხედავად ამისა, ჯუღაშვილი მუშების ძალით გათავისუფლებისკენ მოუწოდებდა. ზოგიერთი ამხანაგი, მათ შორის დომენტი ვადაჭკორია, უარზე დადგა, ეს სისხლისღვრას გამოიწვევსო. კობა-სტალინმა მას თურმე მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა: – შენ არ ხარ რევოლუციონერიო[275]).

რევოლუციური კერები მთლიანად რომ მოესპო, 1905 წლის ბოლოს ხელისუფლებამ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა – ფართომასშტაბიანი და დაუნდობელი ტერორი გამოუცხადა მონინააღმდეგეს. მაშინ გაჟღერდა პირველად სლოგანი: Патронов не жалеть! („ვაზნებს ნუ დაიშურებთ!“ – ეს სიტყვები ეკუთვნის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, გენერალ ტრეპოვს)[276].

---

[274] ბ. ბიბინეიშვილი, კამო, 1935 წ., გვ. 94-95.

[275] დომენტი ვადაჭკორია, შსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, ნანილი 1, საქმე 7.

[276] ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა მეფისნაცვალს 1906 წლის აპრილში მიმართავდა: „ჩვენ... აზიელები ვართ, არ შეიძლება ჩვენი მმართველობა ჰუმანურობით, ჰუმანურობა კარგია

კავკასიაში მთელი ხელისუფლება ჯარს გადაეცა, მათი მეთაურობა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს ფიოდორ გრიაზნოვს ჩაბარდა. გენერალი ხელმძღვანელობდა „თბილისის რუსულ პატრიოტულ საზოგადოებას", ასევე მისი ინიციატივით შეიქმნა კავკასიის შტაბის ოფიცერთა რეაქციული დაჯგუფება, რომელმაც ფაქტობრივად ხელთ იგდო ხელისუფლების სადავეები[277]. შავრაზმული ნიგნი „Книга русской скорби" ასე ახასიათებდა გრიაზნოვს: „კავკასიაში გრიაზნოვი მოვიდა 1905 წელს, როდესაც მდაბლათ შთავარდნილ მთავრობას ამიერ-კავკასია აჯანყებულთ ხელში ჩაეგდო, რომელნიც უმოწყალოდ ხოცავდენ ხალხს. მეფის მოადგილის ახლოს მდგომ მაღალი თანამდებობის პირიდან მხოლოდ გრიაზნოვი შერჩა თავის მოვალეობას ერთგულად და მტკიცედ. უკეთუ ამიერ-კავკასია არ გადაიქცა ფინლანდიათ და არ ჩამოშორდა რუსეთს – ეს მიეწერება გრიაზნოვის სიმტკიცეს და იმ გავლენას, რომელსაც ის ახდენდა მეფის მოადგილეზე, აღვივებდა რა ხელისუფლების მიმქრალ ენერგიას"[278]. „ჰუმანური და კეთილი ბუნების ადამიანი, შტაბის ბრწყინვალე" უფროსი გენერალი გრიაზნოვი კავკასიელი „კრამოლნიკების"[279] წინააღმდეგ განსაკუთრებული სიძულვილით გამოირჩეოდა. ის ღიად მოუწოდებდა, რომ „პირისაგან მინისა აღგვილიყო მეამბოხეთა სოფლები და სახლები, მუშები კი ჩამოეხრჩოთ"[280]. განსაკუთრებით ვერ იტანდა ქართველებს, რომლებსაც მეფის ხელისუფლებისადმი მიმართული ყველანაირი დანაშაულის ორგანიზატორებად მიიჩნევდა[281].

სნორედ გრიაზნოვის „მოღვანეობისას", 1905 წლის 29 აგვისტოს, დახოცეს უდანაშაულო ხალხი ქალაქის გამგეობის შენობასა და მიმდებარე ქუჩებში, 100-მდე ადამიანი დაიღუპა და 300-მდე დაიჭრა; 22 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზე დაარბიეს ხალხი, როცა სილიბისტრო ჯიბლაძე თავის ცნობილ სიტყვებს „იმენემ მარქსა..." გაჰყვიროდა. მაშინ 43 ადამიანი დაიღუპა, 88 დაიჭრა; 19 დეკემბერს ნაძალადევში რევოლუციური გამოსვლების დროს კაზაკებსა და შეიარაღებულ მუშებს შორის მოხდა შეტაკება, როდესაც ცხრა მუშა მოკლეს (მაშინ კამო შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს, თუმცა კაზაკებმა ის სასტიკად ანამეს).

ამდენი „დამსახურების" გამო სოციალ-დემოკრატებმა გადაწყვიტეს, მოეკლათ გენერალი გრიაზნოვი და როგორც ყოველთვის, ეს თავდაცვის აქტად უნდა ჩათვლილიყო. ამ საქმის შესრულება მიანდეს სილიბისტრო ჯიბლაძეს. 1906 წლის ერთ საღამოს მან გაზეთ „სხივის"[282] რედაქციაში, კოჭლი ბაგრატას მეშვეობით, გამოიძახა ცნობილი ტერორისტი არშაკ მეგრაბიანცი. მეგრაბიანცი ბათუმში ხუთწლიანი გადასახლების შემდეგ თბილისში 1905 წელს ჩამოვიდა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ავლაბრის მეოთხე რაიონის ტერორისტულ რაზმში ჩაირიცხა. „...მე-4

ცივილიზებული ხალხისათვის და არა მხეცებისათვის. ჩვენ შიშის ზარი გვესაჭიროება... თუ არა შიში, შეგვიძლია დაგარწმუნოთ, რომ ახლო მომავალში საქართველო იმაზე მეტ უსიამოვნებას და უბედურობას მიაყენებს რუსებს, ვიდრე ბურებმა ინგლისელებს". გ. მჭედლიძე, ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები (1892-1921), 1993 წ., გვ. 277.

277 დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები, 1993 წ., გვ. 170.

278 „რევოლუციის მატიანე", 1925 წ., №3, გვ. 171.

279 Крамольник — (რუს.) მეამბოხე.

280 Н. А. Бигаев. Последние Наместники Кавказа (в свете личных воспоминаний) (1902—1917).

281 Г. Ураталзе. Воспоминания грузинского социал-демократа, 1968 წ., გვ. 130.

282 სოციალ-დემოკრატების პირველი ლეგალური ორგანო, გამოდიოდა 1905-06 წლებში.

რაიონს ყავდა დაახლოებით 25 კაცამდე პარტიულ ამხანაგებიდან შედგენილი ტერორისტები. 1905 წელს, როდესაც რეაქციამ გაიმარჯვა, ვიქენი არჩეული ტერორისტების ხელმძღვანელად. ამის გამო მე როგორც ნარმომადგენელი გამოვცხადდი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელ სილიბისტრო ჯიბლაძესთან და მოვახსენე ყოველივე ეს. ამის შემდეგ მოვახდინეთ სხვა და სხვა ტერორი მე-4 რაიონის დავალებით", – იხსენებდა მეგრაბიანცი.

სილიბისტრო ჯიბლაძემ მეგრაბიანცს დაავალა, შეერჩია ტერორისტები, რაც მან შეასრულა. ესენი იყვნენ: არსენ ჯორჯიაშვილი, შაქრო პუშკინა, ბათუა, ხუნხუზა და იაკოფა ღარიბოვი. ჯიბლაძემ აუხსნა საქმის ვითარება და უთხრა: „...მკვლელობის სისრულეში მოყვანა გევალებათ თქვენ და ეს უნდა აღასრულოთ, თუ გინდ სიცოცხლის ფასად დაგიჯდეთ"[283]. შეთანხმების შემდეგ ამხანაგმა მიხო ლომთათიძემ ტერორისტებს გენერალი უჩვენა. ნოე ჟორდანია სხვანაირად აღწერს ამ ამბავს: „...(ჯიბლაძემ ტერორისტები) დააყენა თავის ადგილას, გრიაზნოვის სადგომის წინ, ხოლო თვითონ დადგა გოლოვინის პროსპექტზე, საიდანაც ხელსახოცის ამოღებით უნდა ეცნობებია გრიაზნოვის გამოსვლა შტაბიდან. უცებ გრიაზნოვმა მართლაც გამოიარა ეტლით, სილვამ ნიშანი არ მისცა, რატომ? მას გვერდში ქალი ეჯდა და არ სურდა მისი დაღუპვა. სამაგიეროდ ტერორისტებმა კარგად დაინახეს გრიაზნოვის სახე და დაიმახსოვრეს. სილვა შემოვიდა ჩემთან რედაქციაში და მიამბო თავგადასავალი და დაამატა: ხვალ ვერ გამექცევაო"[284]. ბომბების დამზადება სილიბისტრო ჯიბლაძემ ვლასა მგელაძეს დაავალა: „ხომ გაქვს ისეთი ბომბი, რომ არ უმტყუნებს? შენი ხელით გააკეთე, კარგად გასინჯე!"[285]

სხვადასხვა მიზეზის გამო (ზოგიერთი ტერორისტი შეშინდა და გაიპარა, ზოგი ავად გახდა...) ექვსკაციანი ჯგუფიდან დარჩნენ მხოლოდ არსენ ჯორჯიაშვილი და არშაკ მეგრაბიანცი. ბომბის სროლა არსენა ჯორჯიაშვილს მოუწია. „...აგერ სდგას სახე დაფიქრებული, დიდრონი ნარბებით, ღრმა შავი თვალებით, მუდამ დინჯი, ახალგაზრდისათვის უჩვეულო სახის სიმტკიცით არსენ ჯორჯიაშვილი. თავის დიდ გმირულ საქმისთვის ბომბს თხოულობს..."[286] ტერორისტ-ბომბისტის ეს სიტყვიერი პორტრეტი ვლასა მგელაძემ დაგვიტოვა.

ჯორჯიაშვილი 1881 წლის 7 აპრილს სახაზინო ღარიბი გლეხის ექვსშვილიან ოჯახში დაიბადა. არსენა უფროსი ვაჟი იყო. 1900 წელს მამამისმა მეცხვარეობას თავი დაანება და მთელი ოჯახით თბილისში გადასახლდა, სადაც კერძო ბინათმშენებლებისთვის მტკვრის ნაპირიდან ურმით ქვიშას ეზიდებოდა. სიღარიბის გამო არსენას არავითარი განათლება არ მიუღია. 14 წლის ასაკიდან ის უკვე საკუთარ ოჯახს ეხმარებოდა. 1905 წლის რევოლუციის დროს ჯორჯიაშვილი თბილისის რკინიგზის სახელოსნოში მუშაობდა. მალე გაფიცვაში მონაწილეობისთვის ის სამსახურიდან დაითხოვეს. ამ ხნიდან ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1905 წელს პროკლამაციების გავრცელებისათვის არსენა პოლიციამ დააპატიმრა, მაგრამ სამხილის უკმარისობის გამო მალევე გაათავისუფლა, თუმცა ჯორჯიაშვილს პოლიციის ზედამხედველობა დაუნიშნეს. თბილისის ჟანდარმერიის დოკუმენტებში ჯორჯიაშვილი მოხსენიებულია, როგორც წითელი რევოლუციონერი და ტერორისტთა მეთაური. რაზმის წევრები არსენას მამის ნაქირავები სახლის სხვენში იკრიბებოდნენ, იქვე მზადდებოდა „ავჭალური" ყუმბარები. ჯორჯიაშვილი აქტიურად მონაწილეობდა პოლიცი-

---

283 „რევოლუციის მატიანე", 1923 წ., №4, გვ. 203-204.
284 ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, 1990 წ., გვ. 50-51.
285 ვ. მგელაძე, მოგონებები, 1972 წ., გვ. 89-90.
286 იქვე, გვ. 89.

ის მოხელეებსა და ჯარის ნაწილებზე შეიარაღებულ თავდასხმაში: 1905 წლის 25 სექტემბერს ტერორისტებმა თბილისის სხვადასხვა უბანში 11 ყუმბარა ისროლეს. ყუმბარა შეაგდეს ორთაჭალაში განლაგებულ კაზაკთა პოლტავის პოლკის ასეულის ყაზარმაში, რის შედეგად ათამდე ჯარისკაცი დაიღუპა. ამ თავდასხმის დროს დაიჭრა ნითელრაზმელი უსეინაშვილი, რომელიც არსენამ სამშვიდობოს გაიყვანა. იმავე დღეს იმავე პოლკის მეორე ასეულის ყაზარმას რამდენიმე ყუმბარა ესროლეს, 25-მდე კაზაკი დაიჭრა"[287].

კოტე ცინცაძე იხსენებდა: „...ამხ. არსენა ჯორჯიაშვილს მინდობილი ჰქონდა გენერალ გრიაზნოვის მოკვლა. აქტის სისრულეში მოყვანა ამხ. ჯორჯიაშვილს დააგვიანდა. დამიძახა კობამ (დღეს სტალინმა) და მითხრა: მოამზადე რამოდენიმე ყოჩაღი ბიჭები და ერთ კვირაში თუ ჯორჯიაშვილმა ვერ შეასრულა, შემდეგ შენ მოგანდობთო. მე ძალიან გამეხარდა. დავამზადე კიდევ ორი ამხანაგი და ველოდებით ერთ კვირას. ამხანაგმა ჯორჯიაშვილმა ჩინებულად შეასრულა თავის მინდობილობა და მე კი დამტოვა პირლია"[288]. ცინცაძის საპირისპიროდ, ლევ ტროცკი აღნიშნავს, რომ კობა-სტალინის უშუალო მონაწილეობა გრიაზნოვის მოკვლაში გამონაგონია. ის ანონიმ ავტორს ეყრდნობა და იმ ცნობილ ფაქტს ამყარებს, რომ ეს ტერაქტი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) დადგენილებით სპეციალურად დანიშნულმა პარტიულმა ტერორისტებმა მოახდინეს. „სტალინს ისევე, როგორც ბოლშევიკებს, საქართველოში საერთოდ არავითარი გავლენა არ ჰქონია და ამ საქმეში არანაირი მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული", – წერდა ტროცკი. ძალზე საეჭვო მტკიცებულებაა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკები რაოდენობრივად მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდნენ მენშევიკებს, როგორც შემდეგ თავებში დავინახავთ, მათი როლი განხორციელებულ ტერორისტულ აქტებში თუ არ ჭარბობდა, მენშევიკებისას უტოლდებოდა, სტალინის როლიც ტერორისტული აქტების მომზადებასა და განხორციელებაში, როგორც სხვადასხვა მასალებით მტკიცდება, მნიშვნელოვანი იყო.

გრიშა ურატაძის თქმით, როცა საჭირო გახდა სტალინის ფიგურის განდიდება, ბოლშევიკებმა გრიაზნოვის მკვლელობის დაგეგმვა და შესრულება მთლიანად იოსებ სტალინს მიანერეს, მაგრამ „...მათ დაავიწყდათ, რომ გენერალ გრიაზნოვის მკვლელობა დეტალურად იყო აღწერილი მათ (ბოლშევიკების) ჟურნალშივე ამ აქტის ხელმძღვანელის მეგრაბიანცის მიერ". ურატაძეს მხედველობაში აქვს „რევოლუციის მატიანე" (1923 წ., 4), სადაც ეს ამბავი იყო მოთხრობილი და რომელიც, მისი თქმით, ჩეკას მიერ გაყიდვიდან და ბიბლიოთეკებიდან იყო ამოღებული. ურატაძეს მეგრაბიანცის „გაუჩინარებული" სტატიიდან დიდი ნაწყვეტი აქვს საკუთარ წიგნში გამოყენებული და ბოლოს მოჰყავს ციტატა, რომელიც ამ სტატიაში საერთოდ არ არის (ცნობისათვის: ჟურნალის სხვადასხვა ეგზემპლარები გადავამოწმეთ და ყველგან ერთი და იგივე ტექსტია დაბეჭდილი – ი. მ., ლ. ხ.): „...მის ფაეტონს ბომბი ესროლა ჯორჯიაშვილმა; ამ ბომბით იქნა მოკლული გრიაზნოვი, მაგრამ ბომბის ნამსხვრევებით დაიჭრა თვითონ ჯორჯიაშვილი. დაჭრილი იქვე დააპატიმრეს და მეორე დღესვე დახვრიტეს (ეს სიმართლეს არ შეეფერება – ი. მ., ლ. ხ.)... საქართველოს დაპყრობის შემდეგ ბოლშევიკებმა ეს საკმაოდ პოპულარული აქტი ჯერ მიისაკუთრეს, შემდეგ კი თვით ჯორჯიაშვილი ბოლშევიკად გამოაცხადეს და ბოლოს, როცა ეს საჭირო გახდა სტალინის განსადიდებლად, ავტორობა და განხორციელება მას მიანერეს"[289].

---

287 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, 1972 წ., გვ. 214.

288 „რევოლუციის მატიანე", 1923 წ., №4, გვ. 56.

289 Г. Уратадзе. Воспоминания грузинского социал-демократа, 1968 г., გვ. 131-132.

როგორც ხედავთ, დეზინფორმაციას და მონინააღდეგის დამცირება-დაკნინების მცდელობას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრაქცია წარმატებით იყენებდა, ამ შემთხვევაში ეს სჭირდებოდა დამარცხებულ მხარეს – მენშვიკებს: ეს წიგნი საფრანგეთში დაიწერა და აშშ-ში გამოქვეყნდა 1968 წელს. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ არშაკ მეგრაბიანცის მოგონებებში სათაურით „ჩემი მოგონებები დიდ სტალინზე", რომელიც 1935 წელს არის დანერილი[290], ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი გენერალ გრიაზნოვის მკვლელობის ამბავზე, მით უმეტეს ამ საქმეში სტალინის როლზე.

დადგა 1906 წლის 16 იანვარი. ტერორისტებმა ადგილი შეარჩიეს და ცდა დაიწყეს. სანამ გრიაზნოვის გამოვლას ელოდებოდა, ჯორჯიაშვილი ბაღის გასასვლელ კართან გრძელ სკამზე ჩამოჯდა. იქვე ერთი მოქალაქე ორ ჯარისკაცს საათს ევაჭრებოდა. ამ ჯარისკაცებს შეეძლოთ ტერაქტის ჩატარებაში ხელი შეეშალათ, ამიტომ არსენამ სამი მანეთი ამოიღო და ჯარისკაცს გაუწოდა – საათს მე ვყიდულობო. ჯარისკაცმა გამოართვა ფული, ჯიბეში ჩაიდო, ხოლო საათი იმ მოქალაქეს მისცა და წავიდა... არსენა აღშფოთდა და უნდოდა ჯარისკაცს დასდევნებოდა, მაგრამ ზუსტად ამ დროს ბარიატინსკის (ყოფილი ჯორჯიაშვილის, დღევანდელი გია ჭანტურიას) ქუჩიდან ეტლი გამოჩნდა. იქვე ქუჩაზე ქალი გადადიოდა ორი ბავშვით.

არშაკ მეგრაბიანცის მონაყოლის მიხედვით: „...დაახლოვებით დილის 9 საათზე დავინახეთ, რომ გრიაზნოვი გამოდის ქუჩაში. მე ამოვიღე კალათიდან ბომბი (მეგრაბიანცი „სემიჩკის" გამყიდველად იყო გადაცმული, მზესუმზირით სავსე კალათაში კი „ავჭალური" ბომბები ენყო – ი. მ., ლ. ხ.) თავისი ქაღალდის პარკით და გადავეცი არსენას, არსენას კაპსულა უბეში ჰქონდა. სწორეთ მაშინ, როცა საინჟინერო მმართველობის მწერლები გარეთ იდგნენ, ბაასობდნენ, გრიაზნოვის ეტლმაც ამ დროს ამოიარა და ისინი სალამის მისაცემათ ჩაენყვენ. არსენა მძიმედ, ფრთხილად მიუახლოვდა ეტლს, გადაუგდო ბომბი და ჩანვა იქავე. ბომბი აფეთქდა. გრიაზნოვი თავის მეეტლით და ერთი ყაზახით განადგურდა. საინჟინრო მმართველობის მწერლებმა რომ დაინახეს ეს, მორთეს ყვირილი: „დერჟი, დერჟიო" და შამოარტყეს ალყა არსენას, სანამ ის მოასნრებდა ადგომას. მე ბაღის კარებით შევარდი ბაღში და გავიპარე"[291].

ბომბის აფეთქებისას ბავშვებიანი ქალბატონი ფეხში დაიჭრა, ბავშვები უვნებლად გადარჩნენ. ამ ამბის თვითმხილველი ვინმე კარასევი წერდა: „...გენერალი უძრავად იჯდა იმავე პოზაში. მე ვთქვი, რომ საჭიროა მისი წაყვანა მიხეილის საავადმყოფოში, რადგან შეიძლება მხოლოდ დაჭრილია და უგრძნობ მდგომარეობაშია... მეეტლემ განაცხადა – ნასვლა არ შემიძლია, დაჭრილი ვარ და ძალ-ღონეს ვკარგავო. მართლაც, მისი წინსაფარი სისხლიანი იყო. რათა არ დაკარგულიყო ძვირფასი დრო, კოფოზე დავსვი ვიღაც ჯუჯა ჯარისკაცი... მე გენერლის გვერდით დავჯექი და მიხეილის საავადმყოფოში წავიყვანე. ეტლში შემოხტა გენერალ გრიაზნოვის სახლის შვეიცარი. გზაზე, ვორონცოვის ხიდზე შევნიშნე, როგორ გაუყვითლდა სახე გენერალს და როცა საავადმყოფოში მივიყვანე, უკვე მკვდარი იყო".

არსენამ გაქცევა სცადა, მაგრამ ბაღში მყოფმა ორმა ჯარისკაცმა, რომლებსაც მან სამი მანეთი მისცა, ფეხი დაუდო და წააქცია. თვალის დახამხამებაში გაჩენილმა კაზაკთა ჯგუფმა ტერორისტი ცემით ლამის სიკვდილის პირას მიიყვანა. ნაცემი ჯორჯიაშვილი საკომენდანტო სამმართველოში (ამჟამინდელი კინოთეატრ „რუსთაველის" შენობა) გადაიყვანეს. ნაცნობმა პოლიციელმა არსენას მამას სახლში მიაკითხა და სამმართველოში შვილის სანახავად მიიყვანა. მამას უნდოდა, გა-

---

290 არშაკ მეგრაბიანცი, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, ნანილი 1, საქმე 32.

291 „რევოლუციის მატიანე", 1923 წ., №4, გვ. 25.

სისხლიანებული შვილისთვის თავქვეშ ქუდი ამოედო, მაგრამ არ დაანებეს – ძაღლი ძაღლივით უნდა მოკვდესო.

გრიაზნოვის სიკვდილის გამო თბილისის შტაბში მიტინგიც კი ჩატარდა და მეფისნაცვალი ვორონცოვი რომ არა, ქალაქში დიდი სისხლისღვრა მოხდებოდა, ისე იყო აღშფოთებული გარნიზონი გენერლის მკვლელობით. სოციალ-დემოკრატებმა კი ჯარისკაცებისთვის რუსულ ენაზე შედგენილი პროკლამაცია გამოსცეს, სადაც ჩამოთვლილი იყო ყველა მიზეზი, თუ რატომ იყო საჭირო მისი მოკვლა („ის დიდათ ავინროებდა ხალხს"), ასევე უარყოფილი იყო „პატრიოტთა კავშირის" მტკიცება, რომ „გრიაზნოვი მხოლოდ იმიტომ მოჰკლეს, რომ ის რუსია... ქართველებს კი არ უნდათ, რომ აქ იყოს რუსის მთავრობა და რომ გრიაზნოვი იყო მეტად კარგი კაცი". პროკლამაცია „პატრიოტთა კავშირს" ტყუილში ადანაშაულებდა და შეახსენებდა რუსეთში რუსების მიერ მოკლულ მაღალჩინოსანთა გვარებს.

სამმართველოდან გონებადაკარგული ჯორჯიაშვილი თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს და საპატიმრო განყოფილების პალატაში მოათავსეს. მას დღე-ღამის განმავლობაში ორი შეიარაღებული ჯარისკაცი დარაჯობდა. თვით მეფისნაცვალი იყო დაინტერესებული ტერორისტის ჯანმრთელობით, მას ჰოსპიტალიდან ყოველდღე ეგზავნებოდა ოპერატიული ცნობა. ნაცემი ჯორჯიაშვილი რამდენიმე დღის განმავლობაში კომაში იმყოფებოდა, ის ხელოვნურ კვებაზე იყო გადაყვანილი.

ამონარიდი იმდროინდელი გაზეთიდან „Русское слово" (1906 წ. 21 იანვარი): „ჯორჯიაშვილის საქმის გარჩევა, რომელსაც ბრალი ედება გრიაზნოვის მკვლელობაში, გადადებულია. ბრალდებული ჯერ კიდევ უგონოდ არის".

ჯორჯიაშვილი გონს 23 იანვარს მოვიდა, ხოლო პირველი დაკითხვა 27 იანვარს შედგა. პატიმარს ხმა წართმეული ჰქონდა, ის ჩურჩულით აძლევდა ჩვენებას და ყველაფერს უარყოფდა. არსენას დის ელენეს მოგონებით, როცა ის სულ პატარა ძმის სანახავად მიიყვანეს, ჯორჯიაშვილს ფეხებზე ბორკილები ედო, ხოლო პალატაში ჯარისკაცები იდგნენ, რის გამოც ის ძლიერ შეშინდა, მაგრამ ძმამ დააწყნარა.

სასამართლოში ჯორჯიაშვილს იცავდა ცნობილი ქართველი იურისტი სოსიკო ბარათაშვილი. მაგრამ ბრალდებულს ამან ვერ უშველა და ტერორისტს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. სილიბისტრო ჯიბლაძემ „...მოახერხა ტყვესთან კავშირის გაბმა ციხის ეკლესიის ქართველი მღვდლის საშვალებით... ჯორჯიაშვილი მოკვდა მამაცურათ, სილვა არ გაუცია"[292].

ჯორჯიაშვილი ისე იყო დასუსტებული, რომ სიარული არ შეეძლო, ამიტომ დასჯის დღეს ის ციხის „კოიკიდან" სახრჩობელამდე ხელით მიიყვანეს. 1907 წლის 1 მარტს დილის 7 საათზე ჯორჯიაშვილი საგუბერნიო ციხის ეზოში ჩამოახრჩვეს და იქვე დამარხეს.

ჩამოხრჩობიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მგელაძის ნაამბობით, სილიბისტრო ჯიბლაძე არსენას მამას შეხვდა. ისინი, თვალცრემლიანები, ერთმანეთს გადაეხვივნენ. „იცი, რა შვილი გამოუზარდე შენ ქვეყანას? ეხლა ამის გაგება შენ არ შეგიძლია. მას მომავალი დააფასებს – უკვდავების ძეგლს დაუდგამენ, – ეუბნებოდა სილვა არსენას მამას"[293]. ჯორჯიაშვილის სიკვდილის შემდეგ მის პატივსაცემად შეიქმნა ე. წ. „ჯორჯიაშვილის მარში", სადაც ასეთი სიტყვებია:

დედავ, ნუ სტირი, მამავ, ნუ სჩივი,

---

[292] ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, 1990 წ., გვ. 51.

[293] ვ. მგელაძე, მოგონებები, 1972 წ., გვ. 89.

ხომ მოვაშორე ქვეყანას ჭირი,
მე მიყვარს ხელში წითელი ვაშლი,
მისი გორება, მისი გრიალი...

1921 წელს საქართველოს კინოეკრანებზე გამოვიდა პირველი ქართული საბჭოთა მხატვრული ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი" (სხვა სათაურია „გენერალ გრიაზნოვის მოკვლა"), რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა განთქმული რეჟისორი და მსახიობი მიხეილ ჭიაურელი. ფილმის გამოსვლის დროს ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ არსენას მშობლები, მეგობრები და ამბის უშუალო მონაწილენი. სურათმა იმ დროისთვის ჩვენების რეკორდი მოხსნა – მარტო თბილისში მოკლე ხნის განმავლობაში ის 155-ჯერ უჩვენეს. ასეთივე წარმატება ჰქონდა ფილმს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

ექსპროპრიაცია ერივანსკის მოედანზე – ჯუღაშვილი და მისი რაზმი

კაცისკვლა, ძარცვა-გლეჯა და გამოძალვა საქართველოში ისეთ მასშტაბებს აღნევდა, რომ რევოლუციური პარტიების ხელმძღვანელობაც კი შიშობდა მოსახლეობაში აღძრული უკურეაქციის გამო. დროებით მაინც რომ შეეჩერებინათ ტერორი და ექსპროპრიაციები, პარტიების ცენტრალური კომიტეტები ამკრძალავ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, მაგრამ ადგილობრივი კომიტეტები (როგორც დუშეთის ხაზინის მაგალითზე ვიხილეთ) ხშირად უგულებელყოფდნენ ამ დადგენილებებს და საქმიანობას განგრძობდნენ. „...კომიტეტს არავინ ეკითხებოდა და თუ კი დარწმუნდებოდენ ვინმეს გამცემლობაში, იმაზე ბევრ გამოძიებას არ ნიშნავდენ და თვითონ უსნორდებოდენ. ასეთმა მასიურმა ტერორმა გასტანა თითქმის 1909 წლამდის..."[294] ტერორისტი ვანო („ტურა") მაისურაძე იგონებდა, რომ, როცა იოსებ იმედაშვილის მოკვლა გადაწყვიტეს, ნებართვისთვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო ორგანიზაციას მიმართეს. მათი პასუხი ასეთი იყო: „ეგეც ხომ გრიაზნოვი არ არის, რომ ჩვენთან მორბიხართ, მოაშორეთო"[295]. ამის შემდეგ განხორციელდა იმედაშვილზე თავდასხმა, რის შედეგად ის მძიმედ დაიჭრა, მაგრამ თავდამსხმელები არ გასცა.

კოტე ცინცაძის მოგონებაში ვკითხულობთ: „შემაერთებელი ყრილობის გათავების შემდეგ (იგულისხმება რსდმპ-ს V კონგრესი სტოკჰოლმში 1906 წლის აპრილ-მაისში, სადაც მენშევიკ-ბოლშევიკური პარტიების ფორმალური გაერთიანება მოხდა – ი. მ., ლ. ხ.), რომელზედაც ექსპროპრიაცია მენშევიკების წყალობით დაგმობილი იყო, მე შევეკითხე ამხ. ბანურიანს (ექსპროპრიატორთა ჯგუფის ხელმძღვანელი – ი. მ., ლ. ხ.): შეგვიძლია თუ არა ანი „ექსების" გაკეთება, რას ამბობს ამის შესახებ ნოე ჟორდანია... მან მიპასუხა სიტყვა სიტყვით შემდეგი: „თუმცა ყრილობამ ოფიციალურად უარყო, მაგრამ შინაურულად ადგილობრივ ორგანიზაციებს მიანდო, სადაც შესაძლებელი იქნება, შეიძლება „ექსები"-ს გაკეთებაო, ნოე ჟორდანიაც ამ აზრისაა და თანახმაა ჩვენი მუშაობის გაგრძელებისო"[296]. 1906 წლის სექტემბერში ლენინი წერდა, რომ რუსეთში შეიარაღებული ბრძოლა მოცემულ დროის პერიოდში მიმართულია პირველ რიგში სამხედრო-საპოლიციო სამსაბურის უფროსებისა და ხელქვეითების წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი – მთავრობისაგან და კერძო პირებისაგან ფულადი სახსრების კონფისკაციისკენ. რევოლუციური რაზმების მიერ ექსპროპირებული ეს თანხები იარაღის შესაძენად და აჯანყების მოსანყობად იყო საჭირო. ნ. ჟორდანია ერთგან სინანულით აღნიშნავდა: „...ამ მხრით ყველაზე უფრო მდიდარი გამოდგა ლენინი. მისი აგენტები (სტალინი

---

[294] „რევოლუციის მატიანე", 1924 წ., №4-5, გვ. 122-123.

[295] გ. იმედაშვილი, იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზებზე, 1984 წ., გვ. 88.

[296] „რევოლუციის მატიანე", 1923 წ., №4, გვ. 56.

*1905 წლის დასაწყისში რსდმპ თბილისის მენშევიკურმა კომიტეტმა საბრძოლო რაზმების შეიარაღების ორგანიზაციის მიზნით სამხედრო-ტექნიკური კომისია შექმნა, ხელმძღვანელად ნოე რამიშვილი დაინიშნა.

და სხვები) ახდენდენ ექსებს, მას აძლევდა დახმარებას მდიდარი ფაბრიკანტი მოროზოვი და სხვა. მათ ჩაიგდეს ხელში ყვირილის ხაზინიდან ნაღებული ფული. ერთი სიტყვით არ გავდენ დასანყლებულ მენშევიკებს..."[297] თუმცა „დასანყლებული" მენშევიკები ყრილობაზე ერთს ამბობდნენ და ექსპროპრიაციებს დიდი ენთუზიაზმით ახდენდნენ. მაგალითად, 1906 წელს ყარსის გზაზე ფული გაიტაცეს, რომლის დროს მოკლეს მენშევიკი კარპეზ ჯიბლაძე. 1907 წელს სადგურ ლაშეში საფოსტო მატარებელს დაესხნენ, რაშიც მონაწილეობას იღებდნენ ვლასა მგელაძე და არჩილ თვარელიძე. თავდასხმისას მოკლეს მენშევიკი მუშები ცინცაძე, ხოფერია და არაბიძე. არჩილ თვარელიძემ ფულის დიდი ნაწილი მიითვისა და საზღვარგარეთ გაიქცა (ფულის მითვისებაზე ეჭვი ვლასა მგელაძეზეც ჰქონდათ). მიუხედავად უთანხმოებისა, ბოლშევიკები და მენშევიკები ხშირად ხმაშეწყობილად მოქმედებდნენ, ძარცვა იქნებოდა ეს თუ ტუსაღების გათავისუფლება. ამის ნათელი დასტურია ქუთაისის ციხის ქვეშ გვირაბის გაყვანა და პატიმრების გაქცევა, ასევე მრავალი ერთად ორგანიზებული, მაგრამ ვერ განხორციელებული „ექსი".

ბაჭუა კუპრაშვილი სტალინის განსაკუთრებულ როლზე ექსპროპრიაციების საკითხში წერდა: „სტალინის ინიციატივით და განკარგულებით 1906 წლის პირველ ნახევარში კავკასიის ბოლშევიკთა ბიუროსთან შექმნილ იქნა ბოლშევიკური სამხედრო ჯგუფი (Боевая дружина), რომელსაც დაევალა: აჯანყების შემდეგ ხალხში გაფანტული იარაღის მოკრება და მოვლა, ქალაქათ და სოფლათ იარაღ ქვეშ გავარდნილ ხალხის პატრონობა, მათ პარტიზანულ მოქმედებაში რევოლუციონურ ბოლშევიკური სისტემის შეტანა, მათგან საუკეთესოების გამორჩევა და ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან დაკავშირება. ციხეებიდან ჩვენი მონინავე ამხანაგების გამოქცევის მოწყობა, მთავრობის იარაღის საწყობებიდან იარაღის გატაცება, სახაზინო ფულის ექსპროპრიაცია, პროვოკატორების ალაგმვა, შავი რაზმის განადგურება"[298].

ჯგუფთან სტალინის ურთიერთობა საიდუმლოების ბურუსით არის მოცული. კუპრაშვილის მიერ ოცდაათიანი წლების დასანყისში დაწერილი მემუარების გარდა, არსებობს ჯგუფის სხვა მეთაურთაგანის, კოტე ცინცაძის, ასევე ვრცელი მემუარები, სადაც ისიც ლაპარაკობს სტალინის როლზე ჯგუფის ჩამოყალიბებაში, მაგრამ არა ისეთი დაჯერებული ტონით, როგორითაც ბაჭუა. ცინცაძე წერს, რომ ბანისიანი კარგი ორგანიზატორი ვერ გამოდგა და „მენშევიკ-ბოლშევიკურმა ჯგუფმა თავი ვერ გაართვა დასახულ ამოცანას, ამიტომ ცინცაძემ გადაწყვიტა შეექმნა „წმინდა ბოლშევიკური ჯგუფი". ყველა მონინავე ბოლშევიკი ამხანაგი დაეთანხმა ამ აზრს, „...განსაკუთრებით კობა (სტალინი)"[299]. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სტალინი ჯგუფის დაარსების ინიციატორი და სულისჩამდგმელი კი არ იყო, როგორც კუპრაშვილის მოგონებების ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი გულისხმობს, არამედ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ჯგუფის შექმნას მხარს უჭერდა.

„ბოევაია დრუჟინასთან" სტალინის ასოცირებისას რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი. პირველი ის, რომ ცნობილ ერევნის მოედანზე (სწორია ერივანსკის მოედანი[300]) ძარცვის შემდეგ ჯგუფთან მისი პირდაპირი დაკავშირება სახარბიელო

---

297 ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, 1990 წ., გვ. 55.

298 ბაჭუა კუპრაშვილი, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, ნანილი 1, საქმე 28, გვ. 3.

299 „რევოლუციის მატიანე", 1923 წ., №4, გვ. 57.

300 1829 წელს რუსი ჯარის მიერ თურქეთის ომში ერევნის ციხე-ქალაქთან გამარჯვების აღსანიშნავად ჯარის სარდალს პასკევიჩს ერევნის გრაფის (გრაფ ერივანსკი) წოდება უბოძეს, ხოლო თბილისის მოედანს „პასკევიჩ-ერივანსკის" სახელი უწოდეს. შემდგომში ის შეამოკლეს და მოედანს „ერივანსკის" სახელიღა შერჩა. თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახელებანი, 1985 წ., გვ. 35.

აღარ იყო თავად სტალინისთვის. საქმე ის არის, რომ ძარცვამდე რამდენიმე თვით ადრე, უკვე ლონდონის V სოციალ-დემოკრატების გაერთიანებულმა ყრილობამ, საბოლოოდ აკრძალა ტერორისტული აქტების მოწყობა. ამ ყრილობას ჯუღაშვილიც დაესწრო და როგორც ირკვევა, ყრილობის მიმდინარეობისასვე ლენინთან ტერორისტული აქტებით ბოლშევიკური სალაროს შევსების გეგმის გაგრძელება შეათანხმა. ბოლშევიკური პარტიის დისკრედიტაცია რომ არ მოეხდინა, ჯგუფი ფორმალურად მას გამოეყო, სინამდვილეში კი პარტიის ცენტრის განკარგულებებს ასრულებდა.

მაგრამ როგორი იყო სტალინის მონაწილეობის ხარისხი ბანდის საქმიანობაში, გარდა მისი შექმნის ინიციატორობისა? დღემდე ბევრს დაობენ იმაზე, იღებდა თუ არა სტალინი ექსებში მონაწილეობას. პირადად, ალბათ, არასოდეს, ამდენი ჭკუა იოსებ ჯუღაშვილს კი ჰქონდა, რომ ამგვარ საქმეებში არ გამოჩენილიყო, მაგრამ ის რომ ამ აქტების სულისჩამდგმელი და „ლოკომოტივი" იყო, ეს „ბოევაია დრუჟინას" წევრთა მოგონებებით და სხვა მასალებითაც დასტურდება. ბარონ ბიბინეიშვილი წერდა, რომ „გამოჩენილი ლენინელი ამხ. სტალინი მკაცრად აკონტროლებდა ამ ჯგუფის ყოველ ნაბიჯს და განსაკუთრებით კამოს..."[301] „სინამდვილეში ვინ მონაწილეობდა ამ საქმეში? – წერდა იოსებ დავრიშევი, – ძნელი სათქმელია. თუმცა კამო ტერ-პეტროსიანთან საუბარზე დაყრდნობით, მე დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს „ექსი" (ერივანსკის მოედანზე) სტალინის დაგეგმილი იყო"[302].

ასევე საინტერესოა ვანო ალიხანაშვილის 1934 წელს დაწერილი მოგონებანი, სადაც მოყვანილია 1904 წელს თბილისში გამართულ ერთ-ერთ კრებაზე სტალინის მიერ ნათქვამი სიტყვები: „...რუსეთის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტია უნდა შეუდგეს ქალაქის მუშებისაგან შეიარაღებული დრუჟინების შედგენას, ხოლო სოფლათ რევოლუციონურ გლეხკაცობაში... ნითელი რაზმების შედგენა მონყობას..."[303]. ჯგუფის კიდევ ერთი „მემუარისტის", საშა დარახველიძის ორფურცლიან მოგონებებში, რომელიც 1957 წელს დაიწერა, ჯგუფის ინიციატორად და ხელმძღვანელად საერთოდ კამოა მოხსენიებული, არც ერთი სიტყვა სტალინზე. ასევე ბევრ მოგონებაში (ბაღდო მეზურნოვი, ბარონ ბიბინეიშვილი, ანეტა სულაქველიძე, ტატიანა ვულიხი[304]) ექსპროპრიატორთა ჯგუფის ხელმძღვანელად და სულისჩამდგმელად კამო არის დასახელებული. ამ ფაქტს არ იზიარებს ბაჭუა კუპრაშვილი: „...ჩვენ სამხედრო ორგანიზაცია რატომღაც კამოს ჯგუფს უძახიან, ეს არ არის მართალი. კამო ჯგუფში მივიღეთ ერთი წლის შემდეგ რაც ცენტრის მიერ ჯგუფი იყო შემდგარი. მან მხოლოთ ერთ საქმეში მიიღო მონაწილეობა და ყოველივე კი მას მიაწერეს. მე მგონი ეს იმით აიხსნება, რომ კამო როგორც კი დაიჭირეს ბერლინში, მაშინვე გამოტყდა რომ ამა და ამ საქმის მონაწილე ვარო და მთელ დედამიწაზე გაუვარდა სახელი. თვით ჯგუფის შემადგენლობა როგორც იყო კოტე, ვანო ინნკირველი, ელისე ლომინაძე, დათიკო ჭიაბრიშვილი და სხვები არც სამხედრო ჯგუფში მოსვლამდე და არც შემდეგ არ იყვენ კამოზე ნაკლები მომუშავენი, თუ არა უკეთესი და მათზე რამე გავლენა და ხელმძღვანელობა კამოსი ვერ გავრცელებულა. გარდა ამისა, სამხედრო ჯგუფში კამოს არც ერთი მთავარი ჯგუფის მონაწილე არ მოუყვანია და თუ როდისმე ამ სამხედრო ჯგუფმა რამე სახელოვანი საქმე ჩაიდინა, ამის მთავარი მიზეზი იყო არა კამო

---

301 ბ. ბიბინეიშვილი, კამო, გვ. 348.

302 J. Davrichewy. Ah! Ce qu'on rigolait bien avec mon copain Staline, 1979 ნ., გვ. 237.

303 ვანო ალიხანაშვილი, შსსს ფონდი 93, აღწერილობა 2, საქმე 1153, ფურცელი 5.

304 რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრს ვულიხს „დრუჟინის" წევრებთან მეგობრობა აკავშირებდა. XX საუკუნის 20-იან წლებში ის საბჭოთა კავშირიდან გაიქცა.

და რომელიმე ჯგუფის წევრი, არამედ ის მტკიცე ორგანიზაციული ფორმა ბოლშევიკურ მუშაობის ამიერკავკასიაში, რომელსაც იმ დროს ჩვენი ხელმძღვანელობა ატარებდა"[305]. არ შეიძლება, არ აღინიშნოს კუპრაშვილის ღვაწლი ამ ჯგუფის საქმიანობაში, განსაკუთრებით ერივანსკის მოედანზე ძარცვაში. მან ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მაგრამ საკუთარ მოგონებებში ამის შესახებ სიტყვა არა აქვს ნათქვამი, თითქოს ამ ოპერაციის მეორეხარისხოვანი მონაწილე ყოფილიყოს.

ხარიტონ შავიშვილი, ცნობილი მენშევიკი, სოც.-დეკების ზემო ეშელონის ხელმძღვანელებში მიღებული პიროვნება, რომლის გზები სტალინთან გადაიკვეთა 1905-6 წლებში ჭიათურაში, მაშინ, როცა ჯგუფის, როგორც სამხედრო ერთეულის, ჩამოყალიბება საწყის სტადიაში იყო, აღწერს შეკრულ, დისციპლინირებულ ჯგუფს, საკუთარი შინაგანაწესით და ხელმძღვანელისადმი (კობა-სტალინი) უსიტყვო მორჩილებით. სტალინის ჯგუფს ირონიულად „მფრინავ ციხესიმაგრეს" ეძახდნენ, ასეთი სახელი მან „მოულოდნელი გადაწყვეტილებების და სწრაფი გადაადგილებების" გამო დაიმსახურა. ხალხთან არ ითქვიფებოდნენ, მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ და ასევე მოულოდნელად უჩინარდებოდნენ. მოძრაობდენენ ან მცირე ჯგუფებად, ან ყველა ერთად. არასოდეს ცალ-ცალკე... ისინი საკუთარ პრობლემებს შეძლებისდაგვარად თვითონვე წყვეტდნენ, საკუთარ „სამზარეულოში" არავის ახედებდნენ, რათა ინფორმაცია ამ საიდუმლო დაჯგუფების შესახებ გარეთ არ გაჟონილიყო[306].

ასეთი სამხედრო ორგანიზაციები ავტონომიური სტრუქტურები იყო, რომლებიც საკუთარ საქმიანობას ხშირად პარტიას არ უთანხმებდნენ. ჩამოყალიბების შემდეგ სტალინი 1907 წელს ბაქოში გადავიდა და იქაც, სავარაუდოდ, მსგავსი „დრუჟინა" შექმნა. „ოხრანკაში" ბაქოს სამხედრო ჯგუფის შესახებ შეგროვილი ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას, პარალელები გავავლოთ თბილისურ „დრუჟინასთან" და მისი საქმიანობის სპეციფიკასთან. ბაქოს „დრუჟინას" საკუთარი წესდება ჰქონდა, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთზე გავამახვილებთ ყურადღებას. ბაქოს „ოხრანკის" მასალების მიხედვით, ყოველი წევრი უსიტყვოდ ემორჩილებოდა ხელმძღვანელობას. წევრი ისჯებოდა, თუ არ შეასრულებდა უფროსის ბრძანებას, არ შეინახავდა საიდუმლოებას, არ დაიცავდა „დრუჟინის" წესდებას და პარტიის პროგრამას, ისჯებოდა აგრეთვე ის, ვინც ნაშოვნ ფულს გაფლანგავდა და შემჩნეული იქნებოდა ლოთობაში. სამხედრო ორგანიზაციიდან გამოსვლა ყოველი წევრისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა. თუ კი ვინმე მაინც დააპირებდა ჯგუფიდან ნასვლას, მას უნდა დაეცვა საიდუმლოება, ხოლო ვინც ენაზე კბილის დაჭერას ვერ მოახერხებდა, სიკვდილი ელოდა. ასე რომ, „დრუჟინის" ყოველი წევრი ასჯერ ანონ-დანონიდა, სანამ ორგანიზაციის დატოვებას გადაწყვეტდა[307].

---

[305] ბაჭუა კუპრაშვილი, ШШШ ფონდი 8, აღწერილობა 2, ნაწილი 1, საქმე 28, გვ. 25.

[306] K. Chavichvily. Patrie. prisons. exil, 1946 წ. გვ. 115.

[307] www.ruthenia.ru/logos/number/56/10.pdf

*იყო შემთხვევები, როცა სამხედრო ჯგუფები თვითლიკვიდაციას ახდენდნენ ანდა წევრებს ითხოვდნენ. ამის გამო ბოევიკები და დაქირავებული ტერორისტები ქუჩაში რჩებოდნენ. უსაქმოდ დარჩენილები კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მაღალჩინოსნებს დახმარებას სთხოვდნენ. ტერორისტმა ვლადიმერ მანჯგალაძემ, მას შემდეგ, რაც ის ელისავეტოპოლის ორგანიზაციამ დაითხოვა, სილიბისტრო ჯიბლაძეს მიმართა დახმარების თხოვნით, რადგან ის კუთვნილ ჯამაგირს – 30 მანეთს ვერ ღებულობდა, პოლიცია კი მას როტმისტრ რიტჩერის მკვლელობისა და სხვა საქმეების გამო კუდში დასდევდა. მანჯგალაძეს ვერაფერი მოუხერხეს. თბილისში სამთვიანი ცხოვრების შემდეგ, თავი რომ შეენახა, მან ძარცვა-გლეჯას მიჰყო ხელი და გოროდოვოიც დაჭრა. ძარცვისა და შანატაჟისთვის პარტიამ ის საკუთარი რიგებიდან გარიცხა და ყოველნაირი პასუხისმგებლობა მოიხსნა. www.intelros.ru/pdf/logos_05_2006/cdelman_137-153_logos.pdf

„თბილისური“ ბოლშევიკური „დრუჟინის“ პირველი ნევრები იყვნენ ვანო კალანდაძე და ელისე ლომინაძე – სტალინის მიერ ბათუმის დემონსტრაციების დროს (1901-02 ნლები) აღზრდილი მუშები. ჭიათურაში კობამ ასევე შემოიერთა და „გააბოლშევიკა“ ახალგაზრდები – კოტე ცინცაძე, ბაჭუა კუპრაშვილი და ივანე (სტეპკო) ინნკირველი. სულ მალე ჯგუფი 19 ნევრით შეივსო, აქედან 4 ქალი იყო: მარო ბოჭორიძე[308], ანეტა სულაქველიძე, ფაცია გალდავა და საშა დარახველიძე. ასევე ჰყავდათ სამი „დამხმარე“ ქალი, რომლებიც უშუალოდ ტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობას არ იღებდნენ: კატია და ლუბა გოცირიძეები და ლუბა ბრეგვაძე. ხარიტონ შავიშვილის თქმით, ბოლშევიკები ყოველთვის გამოირჩეოდნენ იმით, რომ სამხედრო ჯგუფებში ქალები ჰყავდათ. და კიდევ ერთი დეტალი „დრუჟინის“ შიდა სამზარეულოდან: ფაცია გალდავა და ანეტა სულაქველიძე თურმე თავდავიწყებით იყვნენ შეყვარებული სტეპკო ინნკირველსა და კოტე ცინცაძეზე. ეს „ორი მწველი, შოლტივით მოქნილი, ქართველი ახალგაზრდა ქალი, მჩქეფარე შავი თვალებით“ გამბედაობით და რისკიან საქმეებში მონაწილეობით თავიანთ თანაჯგუფელ მამაკაცებს არ ჩამოუვარდებოდნენ, „კობას და მისი ლეიტენანტებისთვის ცეცხლში ჩავარდებოდნენ“[309]. „დრუჟინის“ „დამხმარედ“ შეიძლება ასევე ჩაითვალოს საბჭოთა საქართველოს მომავალი პრემიერ-მინისტრი ბუდუ მდივანი, პოპულარული თავისი ორატორული ნიჭით და ყველასთან გაშინაურებული თამადა და მომლხენი[310].

კუპრაშვილის თანახმად, „დრუჟინას“ ხელმძღვანელობდა აღმასრულებელი სამეული, რომელსაც ტერორისტული აქტების დაგეგმვა და ორგანიზება ევალებოდა. ტერაქტების დამუშავება-დაგეგმვაზე უკვე ჩამოყალიბებული ჯგუფი მუშაობდა და ნაკლებად დასაშვებია, რომ უშუალოდ სტალინი ხელმძღვანელობდა თითოეულ ტერორისტულ აქტს. ამის აუცილებლობა არ არსებობდა – ჯგუფის ხელმძღვანელობას ყველანაირი რესურსი და ძალა ჰქონდა, რომ სტალინის გადაჭარბებული ჩარევის გარეშე ნებისმიერი „ექსი“ თავიდან ბოლომდე დაემუშავებინა და შეესრულებინა. ამ სამეულის შემადგენლობაში დროგამოშვებით (შემადგენლობა, ალბათ, იცვლებოდა მისი ნევრების დაპატიმრების მიხედვით) შედიოდნენ ვანო კალანდაძე, კოტე ცინცაძე, ბაჭუა კუპრაშვილი, დათიკო ჭიაბრიშვილი და კამო. ეს უკანასკნელი ჯგუფს 1907 ნლის გაზაფხულში შეუერთდა.

მოგვიანებით მათ შეისწავლეს ქალაქში თუ სოფლად მოქმედი „მოანარქისტო“ ჯგუფების შემადგენლობა და დირექტივის თანახმად საუკეთესონი საკუთარ ჯგუფში გადაიყვანეს: აფრასიონ მერკვილაძის რაზმიდან – თომა ჩუბინიძე, ისმაილ ჭუმბურიძე, ამბაკო სამანიშვილი[311]; მთაწმინდის ჯგუფიდან – დათიკო ჭიაბრიშვილი, არკადი ელბაქიძე (აგორდია), სამსონ ტომარაძე და ჩიქოვანი[312]. ჯგუფს შეემატა ქუთაისელი

---

308 მოგონებებში ბოჭორიძეები: მიხო, მარო, ბაბე და ნინო ხანდახან შეცდომით მოხსენიებული არიან, როგორც ბოჭორიშვილები.

309 Chavichvily patrie. prisons. exil, 1946 ნ. გვ. 116.

310 ჯგუფში არსებული მეგობრული და ახლობლური ატმოსფეროს საპირისპიროდ, მისი წევრები პარტიისა და მისი ინტერესების მტრების მიმართ სასტიკი ულმობლობით გამოირჩეოდნენ. ასე მაგალითად, ერთხელ ფულის ქურდობაში ეჭვმიტანილი გლეხი ელისე ლომინაძემ მთელ ღამეს აწამა, თუმცა საბოლოოდ გაირკვა, რომ ის არაფერ შუაში იყო. როცა უთხრეს, დაანებე თავი, ბოლოს და ბოლოს თვითონ მოიბმაროს ეს ფულიო, გაკვირვებულმა ლომინაძემ წამოიძახა – ეს ხომ პარტიის ფულიაო!

311 ისინი ბათუმში გაამწესეს, მაგრამ პროვოკატორის მეშვეობით სამივე დაიჭირეს (თუმცა სამივე ციხიდან გაიქცა).

312 ტომარაძე მალე დაიჭირეს, ჩიქოვანი კი დაშნაკებმა მოკლეს.

ბოლშევიკი აკაკი დალაქიშვილი და თეოფილე კაკრიაშვილი, იაკოფა, მარტია დოლა-ძე... ჯგუფის წევრების დიდი ნაწილი დასავლეთ საქართველოდან იყო და ერთმანეთს ყმანვილობიდან იცნობდა, ნაწილი კი გორიდან იყო.

ჯგუფის წევრები შეიარაღებული იყვნენ მაუზერებით და კამოს მიერ უცხოეთი-დან ჩამოტანილი „მარსის" სისტემის რევოლვერებით, მათ მრავლად მოეპოვებოდათ ასაფეთქებელი მასალები და ბომბები: კამომ პეტერბურგიდან ჩამოიტანა ე. წ. „სტო-ლიპინის სისტემის" დინამიტი[313].

ტერაქტების, ექსების, არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვის, გადატანისა და გავრცელებისაგან თავისუფალ დროს ჯგუფის წევრები იარაღიდან სროლასა და ბომბე-ბის ტყორცნაში ვარჯიშობდნენ. ეს უმთავრესად კუს ტბის მიდამოებში ხდებოდა.

ახლად შექმნილმა „დრუჟინამ" თავდაპირველად იარაღის შეგროვება დაიწყო, ჭიათურის ახლოს, სოფელ სვერში და ხარაგაულის სოფლებში ვანსა და ფარცხანაში კი იარაღის სანყობი მოანყო. მაგრამ სანყობებში მხოლოდ შაშხანები იყო, „ქალაქში გამოსადეგი იარაღი ცოტა გვქონდა – ერთი ბრაუნინგი და რამოდენიმე ნაგანი". ცოტა „წელში რომ გასნორებულიყვნენ", პატარა ექსპროპრიაცია მოანყვეს. დღევანდელი თავისუფლების მოედანზე, ქალაქის აღმასკომის (ყოფილი მერიის შენობის) ქვეშ ქალაქის ლომბარდი იყო განთავსებული. ამ ლომბარდის დაყაჩაღება რამდენჯერმე სცადეს მენშევიკებმა, მაგრამ ამაოდ. კოტე ცინცაძის თქმით: „...ჩვენ გადავწყვიტეთ ჩაგვედინა გიჟური საქმე..." მაშინ თბილისის ქუჩები ჯარით და პოლიციელებით იყო სავსე და ლომბარდის დაყაჩაღება მართლა „გიჟური" საქციელი იყო.

ეს საქმე ჯგუფის სამმა წევრმა – კოტე ცინცაძემ, ვანო კალანდაძემ და ელისე ლომი-ნაძემ ჩაატარა... დილის ათ საათზე ისინი ლომბარდში შევიდნენ და მისაღებ ოთახში დაი-წყეს ცდა. ნახევარ საათში შემოიტანეს ფულით სავსე ყუთი, თავდამსხმელები მიცვივდ-ნენ და თანამშრომლებს ყუთი ხელიდან გამოსტაცეს. გარეთ გასვლა რომ მოინდომეს, კარი გარედან ჩაკეტილი დაუხვდათ. მაშინ მათ ველიამინოვის (დადიანის) ქუჩის მხარეს ფანჯრები ჩაამტვრიეს და ქუჩაში გადახტნენ. ერივანსკის მოედნის მხრიდან პოლიციამ სროლა აუტეხა, მათ საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს, ისარგებლეს არეულ-დარეულობით, ხალხის პანიკით და მიიმალნენ. ყუთში სულ ორ-ნახევარი ათასი აღმოჩნდა (უფრო მეტს მოელოდნენ). „...ამ ფულების ნაწილი გადავეცით ფრაქციას... ნაწილი ფულის ფონდათ გადავდევით კიდევ უფრო სერიოზული „ექსის" მოსახდენათ..."[314]

ამ „ექსის" შემდეგ ბორჯომ-ახალციხის გზაზე საფოსტო ეტლზე თავდასხმა მოეწყო, ამ საქმეში ბორჯომის მენშევიკებიც იღებდნენ მონანილეობას, რადგან ფოსტაში თავისი ხალხი ჰყავდათ. „...ჩვენ იძულებულები გავხდით, მათთან ერთად გაგვეკეთებია ეს საქმე". ისინი შეიარაღდნენ და ბორჯომთან ახლოს ეტლს დახედნენ. ურთიერთსროლაში ურიადნიკი მოკლეს, ფოსტის დამცველი კაზაკები განაიარაღეს,

---

313 ეს დინამიტი პირველად ესერებმა 1906 წლის 12 აგვისტოს რუსეთის პრემიერ-მინისტრზე პეტრე სტოლიპინზე თავდასხმისას გამოიყენეს. მაშინ 100-ზე მეტი კაცი დაზარალდა: 27 ადგილზე დაიღუ-პა, 33 მძიმედ დაიჭრა, რომელთაგან ზოგიერთი მოგვიანებით გარდაიცვალა. აქედან მიიღო ამ დი-ნამიტმა ეს სახელწოდება. საინტერესოა, რომ ამ ტერაქტისთვის ბომბები მაქსიმ გორკის მოსკოვის ბინაში მზადდებოდა კრასინის „სამხედრო ტექნიკური ჯგუფის" მიერ, ხოლო სახელოსნოს დაცვა კამოს ევალებოდა.

314 „რევოლუციის მატიანე", 1923 წ., №4, გვ. 57.

*ამ ლომბარდთან და ერივანსკის მოედანთან დაკავშირებულია ერთი შემთხვევა. 1907 წლის 9 აგვის-ტოს დღის ორ საათზე ვიღაც უცნობმა რამდენჯერმე ესროლა მოედანზე ერთ ხილის დუქნის პატ-რონს და გაიქცა. მას ცხენოსანი სტრაჟნიკი დაენია. უცნობმა ცხენი დაჭრა, ამასობაში იქ გამოჩე-ნილმა პატრულმა თავდამსხმელი მოკლა. მოედანზე მყოფი შიშისაგან თავზარდაცემული ხალხი ლომბარდში შეცვივდა. ყარაულს ეგონა, ეს ლომბარდზე მორიგი თავდასხმაა და სროლა ატეხა.

მაგრამ ფული ვერ წაიღეს, რადგან დაჭრილმა და დაფეთებულმა ცხენებმა ფულიანი „ტარანტასი“ გაიტაცეს. „დავრჩით პირში ჩალა-გამოვლებულები. ...იარაღი ისევ იქაურ საწყობში შევინახეთ. მე, კოტე და ვანო კალანდაძე წავედით ჭიათურლებთან ერთად ჭიათურაში, არ გვინდოდა ხელცარიელი დავბრუნებულიყავით ტფილისში. უფროსი ამხანაგებისა გვრცხვენოდა“, – იხსენებდა კუპრაშვილი.

ჭიათურაში გადანყვიტეს თავდასხმა საფოსტო მატარებელზე, რომელსაც პარასკეობით შორაპნიდან ფული მიჰქონდა. პირველი ცდა უშედეგოდ დასრულდა. მომდევნო პარასკევს ისევ დახვდნენ მატარებელს. პატარა ხიდი წინდაწინ რელსებით გადახერგეს. როცა მატარებელი გამოჩნდა, „...ვაჩვენეთ წითელი ფარანი, გაჩერების მაგივრად უფრო უმატა სვლას, დაეტაკა ჩვენს ამოხირგულ ხიდს, რელსები მილეწმოლენა და უვნებლათ გადალახა ეს დაბრკოლება, თანაც მატარებლიდან სროლა აგვიტეხეს. წინა კვირის თავდასხმის გამო მცველები გაუძლიერებიათ – ფოსტის ვაგონს თან ახლდა ცალკე ვაგონი სალდათებით სავსე... ეს მეორედ მიგვდის ხელიდან მატარებელი“. ბაჭუა გამოუდგა მატარებელს, შეხტა ორთქლმავალზე და გააჩერებინა. შეშინებული მცველები ვაგონებში ჩაიკეტნენ და იქიდან განაგრძეს სროლა. ჯარისკაცები შეტევაზე რომ ნამოსულიყვნენ, რიცხვობრივი უპირატესობის გამო თავდამსხმელებს იოლად მოიგერიებდნენ. თუმცა ასე არ მოხდა, ვაგონში ჩაკეტილი დაცვა ორი საათის განმავლობაში ისროდა, საბოლოოდ თავდამსხმელებმა მოაბერხეს სალდათების განიარაღება, ოფიცერი გაპარულიყო. რომ მოგვენდომებია ყველა ჯარისკაცს ამოვნყვეტდით, მაგრამ ზედმეტ მსხვერპლს ვერიდებოდითო, – იხსენებდა კუპრაშვილი. ორმხრივი სროლისას ერთი ჯარისკაცი და ერთი ჩაფარი დაიღუპა. ნადავლმა ოცდაათი ათასი შეადგინა, რომელიც ცენტრს ჩააბარეს უკლებლივ. ბევრი სხვა პარტიის სამხედრო დაჯგუფებებისგან განსხვავებით, ეს ჯგუფი ნადავლს თითქმის უკანასკნელ კაპიკამდე აბარებდა ცენტრს. მოპოვებული თანხის მცირე ნაწილს, რომელსაც ჯგუფი იტოვებდა, ერთადერთი დანიშნულება ჰქონდა – შემდეგი ტერორისტული აქტის ან „ექსის“ მომზადება. ჯგუფის წევრები რომ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდნენ და ნაძარცვ ფულს ხელს არ ახლებდნენ, ამის შესახებ ბევრს უწერია. ტატიანა ვულიხი იხსენებს, როგორ მივიდა ერთხელ „დრუჟინის“ კონსპირაციულ ბინაზე, სადაც ელისე ლომინაძე სანოლში დახვდა. შეკითხვაზე, ავად ხომ არ ხარო, ლომინაძემ უპასუხა, რომ მისი შარვალი იმდენად გაცვეთილია, რომ კაპიტალურად შეკეთება სჭირდება, ამიტომაც იძულებელია სანოლში იწვეს[315].

შემდეგი ტერორისტული აქტი კი ქუთაისი ხაზინის გაძარცვას ითვალისწინებდა. თავდასხმამდე ცოტა ხნით ადრე ციხეცაძე დაიჭირეს, რომელიც საბოლოოდ ციმბირში გადაასახლეს. იქიდან გამოქცევას რამდენიმე თვე დასჭირდა. კოტეს ადგილი დაიჭირა კამომ, რომელსაც პეტერბურგში გაეგო ჯგუფის არსებობის შესახებ და მას თავდასხმის წინა დღეს შეუერთდა. ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კამოს სტალინმა გაუწია რეკომენდაცია.

კოტეს დაპატიმრება არ ყოფილა მთავარი დაბრკოლება. აღმოჩნდა, რომ ხაზინაში ქაღალდის ფული საკმარისად არ იყო. ეწყო მილიონამდის ოქრო, რომელიც 252 ფუთს ინონიდა, ასეთი სიმძიმის წაღება კი შეუძლებელი იყო. მათ ხაზინაში თავისი კაცი ჰყავდათ და გადანყვიტეს, დაეცადათ, სანამ თანხა მილიონამდე შეგროვდებოდა. ასი და ორასი ათასის გულისათვის არ აპირებდნენ თავდასხმის მოწყობას. ქუთაისის ძარცვის დაჩქარება „ცენტრის“ მოთხოვნა იყო – მზადდებოდა ლონდონის სოციალ-დემოკრატთა კონგრესი და ლენინმა პირადად დაავალა კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციას კონგრესის დასაფინანსებლად „ექსის“ მოხდენა.

---

315 ჟურნალი „Власть“, №28, 2002 წ.

„...ჩვენი ჯგუფის არსებობა უკვე იცოდა ლენინმა. ასეთივე ჯგუფები მოწყობილი იყო რუსეთის სხვადასხვა ადგილას ვარშავაში, ურალზე, მაგრამ არ გამოდგენ. პირველი „ექსი" კი მოახდინეს და დაიშალენ, ფულიც მგონი თვითონ საქმის მონაწილეებმა დაიყვეს. როგორც ვიცი, ლენინმა აცნობა ამიერკავკასიის ცენტრს, რომ თუ ამ უკანასკნელს ეშოვებოდა ფული, გადაეცათ ცენტრისთვის ყრილობის საჭიროებისათვის"[316].

მათ „დიდ საქმეს" აღარ დაუცადეს და ქუთაისში საფოსტო ეტლს თავს დაესხნენ. „ლინეიკას", რომელსაც ფული მოჰქონდა, ბაჭუა კუპრაშვილმა ბომბი ესროლა, რასაც მეეტლე და ცხენი ემსხვერპლა, ხოლო მოლარე მსუბუქად დაიჭრა. გაიტაცეს 15 ათასი მანეთი და პეტერბურგში გაგზავნეს. ალექსანდრა (საშა) დარახველიძის მოგონებებში ვკითხულობთ: „ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ ქუთაისის ბანკის ექსპროპრიაციაში. ჩვენ ვიცოდით, თუ როდის უნდა წამოეღოთ ბანკიდან ფული ეტლით. ნინასწარ შედგენილი გვქონდა გეგმა. როგორც კი ეტლი დავინახეთ, ვანო კალანდაძემ გაისროლა რევოლვერი, ყუთი, რომელშიც იყო 15 000 მანეთი, ჩავიგდეთ ხელში, ვანო კალანდაძემ გადაიცვა სხვა ტანსაცმელი და გაიქცა, ფული კი მე და ანეტამ ტანზე შემოვიკარით და გორაზე დანიშნულ ადგილზე ცაცხვებში, დიაკვნის სახლში მივიტანეთ. იქ მოვიდნენ კამო და ბარონ ბიბინეიშვილი და ის ფული მათ ჩავაბარეთ".

1907 წელს ჯგუფმა „დიდი ექსპოპრიაციისთვის" დაიწყო მზადება, რაზეც მათ პრინციპული თანხმობა ბოლშევიკების ბიუროსაგან და თვით ლენინისაგან ჰქონდათ მიღებული. ვინაიდან პარტიული ყრილობის დადგენილებით ექსპროპრიაცია აკრძალული იყო, ჯგუფი, როგორც აღვნიშნეთ, ფორმალურად გამოყოფილი იყო პარტიისგან, ფაქტობრივად კი არასოდეს გაუწყვეტია კავშირი პარტასთან და ყოველი ექსპროპრიაციისა თუ ძარცვა-გლეჯის შემწეობით შეძენილი ფული უკლებლივ პარტიას გადაეცემოდა.

„ექსი" დიდი რაოდენობით თანხის (მილიონ მანეთზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო) მოპოვებას ითვალისწინებდა და ეს უფრო შესაძლებელი თბილისში იყო. ჯგუფმაც იქ მოიყარა თავი და დაიწყო თავდასხმის ობიექტების შერჩევა. ჯგუფის წევრები კომუნის პრინციპით ცხოვრობდნენ – რაც გააჩნდათ, ყველასი იყო. „ეს ხალხი იყვნენ უმუშევრები და განიცდიდნენ მატერიალურ გაჭირვებას, მეტი მათგანი თავს იყრიდა ბოჭორიძის ბინაზე ჩუღურეთში, გონჩარნის ქუჩაზე 25 და საწყალ ბაბეს და მაროს უხდებოდათ მათი გამოკვება, თუმცა თვითონაც ცხოვრობდნენ დიდი გაჭირვებით. ინნკირველი (სტეპკო) ოპერაციის შემდეგ ლოგინად იწვა, ვერ მონაწილეობდა საქმეებში, ამიტომ შემოიკრიბა მუშური ნრე და მათ ამეცადინებდა."[317]

„ობიექტის" შერჩევა ადვილი არ იყო, „დრუჟინა" ბოლშევიკური ცენტრის ზოგად დირექტივას ემორჩილებოდა, თუ ვისი გაძარცვა იყო შესაძლებელი – კერძო ბანკების „დატერორება" აკრძალული იყო, თუმცა ასეთ ბანკებში, როგორიც იყო „ვოლჟსკო-კამსკი", „აზოვო-დონსკოი", „კომერჩესკი", ხშირად ინახებოდა დიდი რაოდენობის თანხა და ამ ბანკებზე თავდასხმაც უფრო ადვილი იყო, ვიდრე სახელმწიფო ბანკებზეო, – წერდა ბაჭუა კუპრაშვილი. ამასთან არსებობდა პარტიათაშორის რაღაც შეთანხმება ერთმანეთის გავლენის სფეროში ჩაურევლობის შესახებ[318].

---

316 ბაჭუა კუპრაშვილი, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, ნაწილი 1, საქმე 28, გვ. 4-10.

317 იქვე, გვ. 62

318 როგორც წესი, ყოველ რევოლუციურ პარტიას საზოგადოების ყველა ფენაში (ხელისუფლებაშიც) საკუთარი თანამგრძნობები ჰყავდა, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, დაკისრებულ გადასახადს იხდიდნენ. ცნობილია, რომ „ვოლჟსკო-კამსკის" ბანკის დირექტორი სტეფანე მაზმანოვი თავისი ხელით აძლევდა გარკვეულ თანხას კამოს და მის ამქრებს, რათა მისთვის თავი დაენებებინათ, ელენე მაზმანოვის მოგონებიდან. სოციალ-დემოკრატებს მომხრეები ქალაქის „დუმაშიც" რომ ჰყავდათ, ამას ადასტურებს თბილისის „ოხრანკის" განყოფილებიდან გაგზავნილი პატაკი პეტერ-

იმავდროულად დიდი საქმისთვის, რაც ჩაფიქრებული ჰქონდათ, განსაკუთრებული იარაღი იყო საჭირო, ამიტომ კამო პეტერბურგში გაემგზავრა მის ჩამოსატანად, რომელიც კრასინს უკვე მომზადებული ჰქონდა. ფინეთში „...ამხ. ლენინმა გააცნო კამოს ამხ. ნიკიტსკი (კრასინი) რომელიც კამოს სიტყვით იყო ხიმიკი, რომელთანაც შეისწავლა ყუმბარების (ბომბების) გაკეთება და სხვა და სხვა ასაფეთქებელი მასალების მოხმარება...“[319] 1907 წლის გაზაფხულზე კამომ ფინეთიდან ჩამოიტანა ასაფეთქებელი მასალები, დინამიტი და „მარსის“ სისტემის რამდენიმე რევოლვერი. „...კამო ძალიან კმაყოფილი იყო, რადგან უყვარდა მონინავე ამხანაგების წინაშე თავის გამოჩენა და ცოტათი ნატრაბახება“. ჩამოტანილი იარაღისათვის წინდაწინ მოამზადეს ორი სანყობი. ერთი განალაგებული იყო მიხაილოვის ქუჩაზე მდებარე ბინაში, სადაც ბაჭუა და ვანო კალანადაძე ცხოვრობდნენ, „როგორც კნიაზები“, მეორე კი – აბასაბადის მოედანთან (დღევანდელი ლ. გუდიაშვილის მოედანი), ბაღდოსთან[320]. სხვათა შორის, საქმეში ჩართული იყო კამოს 12 წლის გიმნაზიელი და არუსიაკა, რომელსაც ყუმბარები და სხვა ასაფეთქებელი ნივთიერებები სასკოლო ჩანთით გადაჰქონდა, „...და უკეთუ დაიჭერდენ, უნდა ეთქვა, რომ ქუჩაში ვიპოვნე და არ ვიცი რა არისო“[321]. მოგვიანებით არუსიაკა კოტე ცინცაძის მეუღლე გახდა. ამ უკანასკნელმა „დიდ ექსში“ მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან ციხეში იჯდა.

დანვრილებით რომ სცოდნოდათ, როდის და რამდენი თანხა მოძრაობდა, საჭირო იყო საკუთარი კაცი ჰყოლოდათ ფოსტაში. ასეთი კაცი მალევე იპოვნეს – გიგო კასრაძე, იოსებ ჯუღაშვილის გორელი მეგობარი. ერთ დღეს ჯუღაშვილმა კასრაძეს სახლში მიაკითხა. „...1907 წ. თვე და რიცხვი კარგად არ მახსოვს, ჩემს ბინაზე მოდის დიდი ბნის უნახავი ძვირფასი ამახანაგი სოსო ჯუღაშვილი... მოკითხვის შემდეგ მითხრა, რომ შენ ხვალ დილით 9 საათზე მოხვალ „სევერნი ნომრების“ ქვეშ ადამიას საჩაიეში, სადაც გაგაცნობ საუკეთესო მებრძოლ ამხანაგებს და მათთან ერთად იმუშავებო... დილით, დაპირებისამებრ მივაშურე ადამიას საჩაიეს. ამხანაგი სოსო იქ დამხვდა, მიუსხედით მრგვალ მაგიდას, ამხანაგმა სოსომ მოითხოვა ორი ჭიქა ჩაი, არ გაიარა ხუთმა წუთმა ჩვენს მაგიდას შემოუსხდნენ ორი უცნობი (ერთი მათგანი კამო იყო – ი. მ., ლ. ხ.), მათ მოითხოვეს მანონი და რძე, ამხანაგმა სოსომ პირველად დაარღვია მყუდროება და შემოსწრებულ უცნობთ უთხრა: „აი, ეს ის გიგო კასრაძეა, რომელზედაც თქვენთან ბევრჯერ მქონია სჯა-ბაასი და თქვენთან იმუშავებსო, მე კი ამაღამ მივდივარო...“[322]

კასრაძემ ზედმიწევნით შეისწავლა ფულის გადაზიდვის მარშრუტები და ინფორმაციას ჯგუფს აწვდიდა: მან მიიღო ცნობა, რომ ერივანსკის მოედანზე შვიდასი ათასი მანეთის ოდენობის ფულს წაიღებენ ბანკში. ჯგუფის უმრავლესობა თავდასხმის ნინააღმდეგ ნავიდა, რადგან მილიონი არ იყო... მეორე ცნობით, ქალაქ ჯულფისაკენ მატარებლით მილიონ ასი ათასი მიჰქონდათ. მათ მაშინვე დაიწყეს მზადება. მაგრამ

ბურგის პოლიციის დეპარტამენტში, სადაც ნათქვამია, რომ 1905 წლის 23 იანვრის თბილისის დემონსტრაციის შემდეგ ქალაქის სათათბიროს ხმოსნების (დეპუტატების) მიერ წამონეული იყო საკითხი, ქალაქის ბიუჯეტიდან გაელოთ ორი ათასი მანეთი უნესრიგობის დროს დაშავებულთათვის. საკითხი სამჯერ გადაიდო, ამის გამო ხმოსნებმა თვითონ შეაგროვეს 107 მანეთი და თანხა მელანია ჩოდრიშვილის საშუალებით სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გადასცეს. დროთა განმავლობაში პარტიების მიერ ჩადენილი ადამიანთა მკვლელობისა და ძარცვა-გლეჯის ფაქტები საგრძნობლად ამცირებდა რევოლუციის მხარდამჭერთა რიცხვს.

[319] ბაღდასარ (ბაღდო) მეზურნოვი, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 3, საქმე 797, გვ. 2.

[320] ბაჭუა კუპრაშვილი, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, ნანილი 1, საქმე 28, გვ. 12.

[321] „რევოლუციის მატიანე“, 1924 წ., №2-3, გვ. 18.

[322] გიგო კასრაძე, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, საქმე 22, გვ. 33-34.

მზადების დროს ბაღდო მეზურნოვის ბინაზე მცხოვრებ კამოს ხელში კაფსულა აუფეთქდა და თვალი დაუზიანდა. ამის გამო მან მატარებლის გასვლამდე ყუმბარების დამზადება ვეღარ შეძლო... ცოტა ხანში კიდევ მიიღეს ცნობა, რომ ბათუმისაკენ მილიონ სამასი ათასი მიჰქონდათ, მაგრამ ეს საქმეც ჩაიშალა. „...ერთ მშვენიერ შაბათის საღამოს... პეტერბურგიდან მივიღეთ „მონეტნი დვორიდან" ტფილისის ბანკის სახელზედ ორი ტილოს პარკი დალუქული, ერთი 100 000 მანეთის, მეორე 150 000 მან. სულ ორივე 250 000..."[323] კასრაძემ ეს ამბავი მაშინვე კამოს გააგებინა. ჯგუფისათვის ეს პატარა თანხა იყო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, პარტიას ფული სჭირდებოდა და თანაც დროთა განმავლობაში დინამიტი უფუჭდებოდათ. ალექსანდრა დარახველიძის ცნობით, ექსპროპრიაციის გეგმა სტეპკო ინნკირველმა, ბაჭუა კუპრაშვილმა, კამომ და ვანო კალანდაძემ შეადგინეს.

საყურადღებოა, რომ მომავალი ექსპროპრიაციის შესახებ ქალაქში ხმები იყო გავრცელებული. დანამდვილებით ასახელებდნენ ექსპროპრიაციის ადგილსაც და დროსაც. ამის შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა დაწერილებითი მასალები წარუდგინა იუსტიციის მინისტრს. ამ უკანასკნელმა ის დაამშვიდა და დაარწმუნა, „რომ ეს ხმები უსაფუძვლოა, რომ მას არ მოეპოვება ამის შესახებ აგენტურის არავითარი ცნობები"[324]. ვორონცოვ-დაშკოვისადმი მიწერილ წერილში სტოლიპინიც ამბობს, ბანკების მოსალოდნელი ძარცვის შესახებ ხმები დადიოდაო. სახელმწიფო ბანკის მმართველი პოლიცმეისტერს და პოლიციას სთხოვდა, გამაფრთხილებელი ზომები მიეღოთ, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. სტოლიპინი საგამოძიებო მასალებზე დაყრდნობით იმ ფაქტზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ 13 ივნისს, დილით, ფულის ტრანსპორტის გავლის წინ, მოედანზე საეჭვო პირები გამოჩნდნენ, რომლებიც იქ მყოფ ხალხს მოედნის დატოვებას ურჩევდნენ, ამის მიუხედავად, იქვე მყოფ პოლიციელთა და კაზაკთა პატრულს არაფერი შეუმჩნევიაო. გადმოცემით, „ერთ-ერთი პირი" ოფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი კამო იყო, რომელიც ყველას აფრთხილებდა, მოედანზე არ შეჯგუფებულიყვნენ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს, რა არეულობა სუფევდა იმ დროს მთლიანად სახელისუფლებო სისტემაში, რა დაუსჯელობის სინდრომი არსებობდა და როგორ თავხედურად და გამომწვევად იქცეოდნენ რევოლუციონერები: დღისით-მზისით, ჯარისა და პოლიციის ცხვირწინ, მძარცველები ყველას მოსალოდნელი ყაჩაღობის შესახებ აფრთხილებდნენ, თითქოს საქეიფოდ ეპატიჟებოდნენ.

1907 წლის 13 ივლისის დილას სახელმწიფო ბანკის მოლარემ და მოანგარიშემ ხუთი კაზაკისა და ორი ეტლის თანხლებით ფოსტიდან 250 000 მანეთი მიიღეს და ბანკში ბრუნდებოდნენ. ბაღდო მეზურნოვი (მოგონებებში ის წერს, „ამხანაგმა სტალინმა არ მირჩია საბრძოლო ჯგუფში შესვლაო", მაგრამ მიზეზს არ ასახელებს) იხსენებდა: „...7 ივლისს ორშაბათ დღეს... გამოვედით ერევნის მოედანზე და ყველამ დავიკავეთ თავის დანიშნული ადგილები. რვა ყუმბარა იყო გამზადებული რომლებიც უნდა გადაეგდოთ ეტლზე და ეტლზე მჯდომს კაზახებზე და კიდევ ცხენოსან კაზახებზე რომლებიც აცილებდნენ ეტლს. მე ამ დროს ვიდექი ამიერკავკასიის შტაფის პირდაპირ ბაევოი ყუმბარით, რომელიც მე უნდა გადამეგდო იმ შემთხვევაში თუ რომ ამ დროს შტაფის კარებიდან გამოსულიყვნენ ჯარისკაცები. როდესაც ეტლი გამოჩნდა პუშკინის სკვერთან... კამო და მარო ბოჭორიშვილი... იდგნენ ქალაქის სამართველოს მარცხენა მხარეს შესავალ ქუჩის დასაწყისში, სადაც დამზადებული

---

[323] გიგო კასრაძე, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, საქმე 22, გვ. 36-37.

[324] „რევოლუციის მატიანე", 1924 წ., №2-3, გვ. 274-277.

ეტლი იდგა, რომელიც ეკუთვნოდა ზახარა ზალინოვს, მეეტლეთ იყო ამხანაგი დოდე, რომელმაც იცოდა თავისი მოვალეობა"[325]. ექსპროპრიაციის ერთ-ერთი მონაწილე, „ძველის" ფსევდონიმით ცნობილი, დაწვრილებით აღწერს ამ ამბავს: „ფოსტას უნდა გამოევლო ლორის-მელიქოვის (დღევანდელი გუდიაშვილის) ქუჩა, ერევნის მოედანი და მოსულიყო ფრეიილინის (სულხან-საბა ორბელიანის) ქუჩაზე. ერევნის მოედანს თავდასხმისთვის ყველა მოხერხებულ პუნქტად ვთვლიდით, მიუხედავად იმისა, რომ იგი განსაკუთრებული გულმოდგინებით იყო დაცული. მოედანზე გამუდმებით იდგა რამდენიმე ბოქაული მათი თანაშემწეებით და დაბალი ჩინის პოლიციელებით. ქალაქის გამგეობის შენობის წინ იდგა შვიდი კაზაკი. ყოველი ქუჩის თავში იდგა თითო პოლიციელი და ორ-ორი კაზაკი. მოედანზედ და მახლობელ ქუჩებში დადიოდნენ კაზაკთა პატრულები. ტფილისში იმ დროს სამხედრო წესები იყო გამოცხადებული და არა თუ კაზაკები, უბრალო პოლიციელებიც კი შაშხანებით იყვნენ შეიარაღებული. ერევნის მოედნიდან ყველა ქუჩის გასასვლელში იდგა გარადავოი ორი პლასტუნით, შუა მოედანზე კი გარადავოი ბოქაულთან ერთად.

ფული მოჰქონდათ შემდეგი წესით: წინ მიდიოდა სამი ცხენოსანი კაზაკი, მათ მისდევდა ეტლი (ყველა ეტლი დაქირავებული იყო – ი. მ., ლ. ხ.), რომელშიც ხუთი ჯარისკაცი იჯდა, შემდეგ ეტლი სავსე ტომრებით, სადაც იყვნენ ფოსტის მოლარე ვასილ კურდიუმოვი და ერთი ყარაული; ბოლოს მოდიოდა მესამე ეტლი ისევ ხუთი ჯარისკაცით. მოლარე კურდიუმოვს სულ მიჰქონდა 270 780 ათასი მანეთი და 25 კაპიკი (ანუ „საშუალო, ჩვეულებრივი ფულადი გზავნილი". კურდიუმოვს ჯიბეში ჰქონდა 450 მანეთი, რომელიც გატაცებას გადაურჩა – ი. მ., ლ. ხ.).

მსვლელობა მთავრდებოდა სამი ცხენოსანი კაზაკით. თვითეულ ეტლის გვერდით იქით-აქეთ მონავარდობდნენ აგრეთვე კაზაკები. ჩვენ ისე გვქონდა გამოანგარიშებული, რომ როდესაც წინ მომავალი კაზაკები შეუხვევდნენ სოლოლაკის ქუჩაზე, ფულიანი ეტლი დაახლოებით კავკასიის ოლქის შტაბის შესასვლელთან უნდა ყოფილიყო. პუშკინის ბაღის ახლოს მუდამ უნდა მდგარიყო ამხ. ფაცია გალდავა. მას უნდა ენიშნებია კაზაკების მოახლოვება ბაღში მყოფ ამხ. სტეპკო ინნკირველისთვის, რომელსაც ნინათ მიღებული ჭრილობის გამო არ შეეძლო უშუალოდ შეიარაღებული მონაწილეობა მიეღო საქმეში.

ამხ. ინნკირველს თავის მხრივ უნდა ეცნობებია შტაბის შენობის წინ მოსიარულე ამხ. ანეტა სულაქველიძესთვის. უკანასკნელი შეატყობინებდა ამხანაგებს, რომლებიც მახლობელ რესტორან „ტილიპუჭურში"[326] იმყოფებოდნენ (კუპრაშვილი, ჭაჭიაშვილი და ჭიაბრიშვილი მაგიდას უსხდნენ და ღვინოს სვამდნენ – ი. მ., ლ. ხ.). ამის შემდეგ ამხ. ბაჭუა კუპრაშვილს გაშლილი გაზეთით ხელში უნდა შემოეევლო

---

[325] ბაღდასარ (ბაღდო) მეზურნოვი, შსსსს ფონდი 8, აღნერილობა 3, საქმე 797, გვ. 6.

[326] რესტორანი „ტილიპუჭურა" იყო ყოფილ თამამშევის ქარვასლაში (ქვემოთ). „ტილიპუჭურა" წარმოდგება სომხური სიტყვიდან „თელიპუჭურ" (პატარა ძაფი). ამ ქარვასლაში წინათ მკერავთა მთელი დასტა იყო და ერთმანეთს შორის ძაფის თხოვნით იყვნენ განთქმული: „პატარა ძაფი მომეცი" (თელ პუჭურ). რუსებს „თ" არა აქვთ და გამოვიდა „ტ" (ტელ – თელ – ტილ), აქედან „ტილიპუჭურა". ეს რესტორანი პირველად არტემ ქამალოვს ეკუთვნოდა. რესტორანი პირველად 1877 წელს გაიხსნა. ზამთარში ქარვასლის ქვემო სართულში იყო, ზაფხულში – ვერის ბაღში. ძალიან კარგი რესტორანი იყო. ამ რესტორანმა რამდენიმე პატრონი გამოიცვალა: ავეტიქა, ქამალოვი, ქეშიშოვი, მაჩკალოვი და სხვები. მამაჩემი იტყოდა: „ვისაც ტილიპუჭურაში პური არ უჭამია, სჩანს, კავკასიაში არ ყოფილაო". ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, 1997 წ., გვ. 204. 1902 წელს ამ რესტორანში ჩატარდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონფერენცია ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, სადაც მთავარი საკითხი კომიტეტის არჩევა და პარტიული კომიტეტის პროგრამის შექმნა იყო.

მოედანი იმის ნიშნად, რომ ამხანაგებს დანიშნული ადგილი დაეკავებიათ.

დათიკო ჭიაბრიშვილი, არკადი ელბაქიძე, ვანო შიშმანოვი, ვანო კალანდაძე, ილიკო ჭაჭიაშვილი და ილიკო ებრალიძე უნდა დასცემოდენ კაზაკებს და ფოსტას. კაზაკების თვითოეულ ჯგუფისა და ეტლისთვის თითო კაცი იყო დანიშნული, ერთს ფული უნდა ნაეღო. აკაკი დალაქიშვილი და თეოფილე კაკრიაშვილი უნდა დასხმოდენ თავს ქალაქის გამგეობის შენობის წინ მდგომ რაზმს. ელისო ლომინაძე და სერაფიონ ლომინაძე იდგენ ველიამინოვის ქუჩის ახლოს, კაზაკთა სადარაჯოს პირდაპირ, თავდამსხმელები ამ მიმართულებით უნდა გაქცეულიყვნენ. ამხ. კამოს ჰქონდა ნაკისრი ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო ამოცანა – ფულის წაღება. ის ოფიცრის ფორმაში იყო გამოწყობილი, აფეთქების დროს ის ეტლით უნდა მივარდნილიყო განოვის ქუჩის (დღევანდელი გ. ტაბიძის ქუჩა) მხრიდან...“

კასრაძის მოგონებიდან: „...მთელი ღამე არ მძინავს, ვფიქრობ, რამდენი უდანაშაულო სისხლი უნდა დაიღვაროს. გამითენდა არაჩვეულებრივი ორშაბათი. მივაშურე ფოსტას, დავიწყე მუშაობა, ვინახულე ფულები, მოვტრიალდი, კამოს ვხედავ სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილს, გვერდით „სტეპკო“ სიგნალისტი...“[327]

თავდამსხმელებმა წინასწარ არჩეული ადგილები დაიკავეს. გამოჩდნენ კაზაკები. ყუმბარები ისე უნდა გადაესროლათ, რომ სხვადასხვა ადგილას ერთსა და იმავე დროს აფეთქებულიყო. წინა კაზაკებმა სოლოლაკისაკენ შეუხვიეს.

დათიკო ჭიაბრიშვილმა წინ ნადგა ნაბიჯი, ეს იყო ნიშანი ოპერაციის დაწყებისა.

გაზეთ „ისრის“ მონაცემებით, ბომბები ესროლეს ორივე ეტლს, ისროლეს ასევე ქალაქის თვითმმართველობის სახლის კუთხეში, ქარვასლასთან და კიდევ ოთხი ბომბი სხვადასხვა ადგილას. მეეტლე ფედოროვის ჩვენებით: „როდესაც ლორის-მელიქოვის ქუჩას ავცდით, საკომერციო ბანკთან შევნიშნე ყმაწვილი, რომელიც ქვაფენილით მარჯვენა მხარეს ფეხდაფეხ მისდევდა ჩვენს ეტლებს. საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ზემოთ ყმანვილი ჩემს ეტლს გაუთანასწორდა, შეჩერდა და ეტლისკენ რაღაც ბურთის მსგავსი ნივთი გადმოაგდო, რაც საშინელი ხმით აფეთქდა“. ამას მოჰყვა ზედიზედ შვიდი აფეთქება. ფედოროვი პირველი ყუმბარის აფეთქების დროს დაიჭრა, მაგრამ არ დაიბნეულა, დაფეთებული ცხენებისთვის თავი არ დაუნებებია და პუშკინის ქუჩით ლორის-მელიქოვის ქუჩისკენ გაქანდა. იქ, სისხლში მოთხვრილს, შემთხვევით შვილი შეხვედრია, რომელმაც საავადმყოფოში წაიყვანა. ფედოროვის თქმით, აფეთქების დროს მან ცოტა ხნით გონება დაკარგა, არ ახსოვდა, როგორ შემოხტნენ მის ეტლში და როგორ გაიტაცეს ფული. ვასილ კურდიუმოვი თავის ჩვენებებში წერდა, რომ სოლოლაკის ქუჩაზე (გ. ლეონიძის ქუჩა) შეხვევას რომ აპირებდნენ, წინ მიმავალ კაზაკს ბომბი ესროლეს, რომელიც შუა ქუჩაში გასკდა და კაზაკის ცხენი დაჭრა. ვინ და საიდან ისროლა ბომბი, მან ვერ შეამჩნია. აფეთქების ტალღამ ის ეტლიდან გადმოაგდო და ქვაფენილზე დაანარცხა. ამის შემდეგ კიდევ ორი აფეთქების ხმა გაისმა, რის გამოც მან გონება დაკარგა. აზრზე რომ მოვიდა, პირველი, რაც დაინახა, იყო დაჭრილი ცხენი, გაზეთების კიოსკთან მოკლული კაზაკი და ერთი დაჭრილი ქალაქის გამგეობასთან. მოედანი ცარიელი იყო და მხოლოდ

---

327 გიგო კასრაძე, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, საქმე 22, გვ. 36-37. სტალინის ცოლისდა ა. სვანიძე-მონასელიძე იგონებდა, რომ კამოს მისთვის მამისეული ჩერქეზული ხმალი გამოურთმევია: „კაზაკების ოფიცერი“ უნდა გავხდეო... თავდასხმის დღეს კი ყუმბარების გრიალით შეშინებულებს სტალინმა აუხსნა, რომ კამომ და მისმა ამხანაგებმა ფული გაიტაცეს. „...მარტო მაშინ მივხვდი, თუ რისთვის სჭირდებოდა კამოს ჩვენგან ნამოღებული მამაჩემის ჩერქეზული ხმალი“. ა. სვანიძე-მონასელიძე, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, ნაწილი 1, საქმე 43, გვ. 142.

გასროლის ხმები ისმოდა. ის ფეხზე წამოდგა და პუშკინის ქუჩის მიმართულებით გაიქცა, რათა ფულიან ეტლს გამოკიდებოდა, მაგრამ ის ვერსად შენიშნა[328].

მეორე მეეტლის, კურაგინის, ცხენები დაიჭრნენ, ეტლში მყოფი დაჭრილი მცველები ერივანსკის მოედანზე გადმოცვივდნენ, გაშმაგებული პირუტყვები კი შუა ბაზარში შეცვივდნენ (შუა, ანუ სომხის, ბაზარი კოჯრის კართან იწყებოდა და დღევანდელი ლესელიძის ქუჩის ხაზს გასდევდა. ის ლესელიძისა და ერეკლეს ქუჩების შესაყარზე მთავრდებოდა).

საოლქო სასამართლოს პროკურორის მოხსენება სასამართლო პალატის პროკურორს და იუსტიციის მინისტრს: „...ერევნის მოედანზე, სადაც მრავლად იყრის ხალხი თავს და დარაჯობს ყაზახთა პატრული, „კანვოის"... ესროლეს ორი ყუმბარა, რომელიც გასქდა დიდის სიძლიერით და დაიჭრენ ყაზახები, მოსამსახურე ჟილიაევი, ორივე ჯარისკაცი; ...კურდიუმოვი და გოლოვნია ეტლიდან ჩამოვარდნენ. ამ დროს ქალაქის თვითმართველობის წინ მდგომი... ყაზახები შეეცადენ ცხენებზე შესხდომას და იქით ნასვლას, სადაც ყუმბარები გავარდა, მაგრამ აქაც გადაგდებულ იქნა ორი ყუმბარა, რომლითაც დაიჭრა სამი ყაზახი. და ბოლოს, მოედნის ორ ალაგას კიდევ გადაგდებულ იქნა სამი თუ ოთხი ყუმბარა. აფეთქება ისეთი ძლიერი იყო, ისეთმა პანიკამ მოიცო მთელი მოედანი, რომ დამსწრეთაგან ვერავინ შესძლო იმის გამორკვევა, თუ რამდენი იყო თავდამსხმელი, ან საიდან გაისროლეს ყუმბარები, ან საით მიიმალენ ბოროტმომქმედნი. მაგრამ დამსწრეთა უმრავლესობის ჩვენებიდან ირკვევა, რომ ყუმბარები გადმოგდებულია ქალაქის თვითმართველობის მახლობლად მდებარე სახლების ფანჯრებიდან და სახურავებიდან, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ამ სახლებში მოხდენილ ჩხრეკას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. მოედანზე მყოფმა გადარჩენილ სამხედრო პირსა და პოლიციელთაგან მხოლოდ ერთმა ჯარისკაცმა მოასწრო უშედეგო გასროლა, ვინაიდან ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოასწრო ბოროტმომქმედის დანახვა..."[329]

ამ ამბის თვითმხილველი ქალბატონი მარიამ მესხიშვილი იხსენებდა, რომ საშინელი აფეთქების ტალღამ ფანჯრის შუშები ერთიანად ჩაამტვრია ფურცელაძის ქუჩის (ყოფილი ბარონსკაია, ლორის-მელიქოვის ქუჩის კუთხე) მხარეს. სუყველა იატაკზე ვინექითო, – ამბობდა ის. აფეთქებებისაგან ფანჯრები სულ ერთიანად ჩაილეწა თამამშევის ქარვასლაში, ახლომდებარე მაღაზიებსა და სახლებში, ქალაქის თვითმმართველობის შენობაში. ყუმბარების ნამსხვრევები ქალაქისთავის კაბინეტშიც კი აღმოაჩინეს. იმ დროს ქუჩებში უამრავი ხალხი ირეოდა და აფეთქებებმა სრული პანიკა გამოინვია („ექსის" ზოგიერთი მონაწილე მოგვიანებით აღნიშნავდა, მოედანზე ცოტა ხალხი იყოო. ამით უნდოდათ დაერწმუნებინათ ყველანი, რომ ოპერაციამ უმსხვერპლოდ ჩაიარა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება). ბევრი დაჭრილი და შოკირებული ადამიანი გამგეობის დარბაზში შევარდა. გამგეობის შესავლელი და მისაღები დარბაზის იატაკი სისხლით იყო მოთხვრილი. აი, რას წერდა კასრაძე: „...მთელ ქალაქს გააქვს ზანზარი. იმსხვერპლა ქარვასლის და მის გარშემო მაღაზიის შუშები. ხალხი გარბის უგზო-უკვლოდ, ბევრმა ნანილმა ფოსტის კანტორას მიაშურა... წყდება მავთულები, აქა-იქ ცეცხლის ნაპერწკლები ღვივა. კანტორა (ფოსტის შენობა) აივსო ხალხით, არავის უშვებდენ, მაგრამ ხალხი ტირილით, გოდებით და ზოგი ძალით შემოდის. მთელი ერევნის მოედანი ცეცხლის ალშია გახვეული..."[330]

---

328 ბ. ბიბინეიშვილი, კამო, 1935 ნ., გვ. 128.

329 „რევოლუციის მატიანე", 1924 ნ., №2-3, გვ. 274-277.

330 გიგო კასრაძე, შსსს ფონდი 8, აღნერილობა 2, საქმე 22, გვ. 37.

ილიკო ჭაჭიაშვილმა, ილიკო ებრალიძემ და ვანო კალანდაძემ მოედანზე მდგარ პოლიციელებს შეუტიეს და მაუზერების გაძლიერებული ცეცხლით გააქციეს ისინი. ყველაფერი თითქოს გეგმის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ აქ მოხდა „იაღლიში“: ფულიანი ეტლი უვნებელი დარჩა. დამფრთხალი ცხენები მოედანზე სომხის ბაზრისკენ გაქანდნენ. ბაჭუა კუპრაშვილი არ დაიბნა და ეტლს მოედნის ბოლოში დაეწია. მან ცხენებს ყუმბარა ესროლა, მაგრამ აფეთქების ტალღამ თვით ბაჭუა ააგდო ჰაერში და ის გონებადაკარგული მინაზე დაეწარცხა. „ამხ. ჭიაბრიშვილმა, რომელიც აგრეთვე მისდევდა ეტლს, მოასწრო იმ წუთს, როდესაც ეტლი სქელ კვამლში იყო გახვეული, მან წაავლო ხელი ფულიან ტომარას და გავარდა ველიამინოვის ქუჩაზე.“[331] მოედანზე მათ შეხვდათ განოვის ქუჩიდან ეტლით მომავალი კამო და მარო ბოჭორიძე, რომელთაც დათიკო ჭიაბრიშვილმა ფულით სავსე ტომრები გადასცა. „კამო გამოწყობილი იყო ოფიცრის ტანისამოსში და მარო ბოჭორიძე კიდენ დიდი კნიაგინის ტანისამოსში დიდი შლაპით. ეს მეშოკი ფულით დადეს ეტლში მუხლების ქვეშ, ზემოდან მუხლებზე გადაიფარეს დიდი შალი მითომ თათრის მოედნამდის მიდიოდნენ აბანოში ამ ეტლით. ამ გზით ეს ფული უვნებლათ იქნა მიტანილი გონჩარის ქუჩაზე, სადაც ცხოვრობდნენ ბაბე და მარო ბოჭორიძე“[332]. სხვა ვერსიით, მოედნიდან ნამოსული კამო მარო ბოჭორიძეს აბასაბადის მოედანზე შეხვდა. ელისე ლომინაძე პოლიციას მასწავლებლის ფორმაში ჩაცმული გაუსხლტა ხელიდან: ძარცვის შემდეგ ის სასულიერო სემინარიაში შევარდა, სადაც მასწავლებელთა ყრილობა მიმდინარეობდა, საკიდიდან პალტო და ქუდი ჩამოხსნა, გადაიცვა, შენობიდან გამოვიდა და წყნარად გაუდგა გზას.

სხვადასხვა მონაცემებით, ძარცვის დროს მოკლული იყო სამი ადამიანი: კაზაკი, გოროდოვი და ერთი უცნობი პირი. დაჭრილთა რიცხვი 20-დან 40 კაცამდე მერყეობდა. თუმცა თვითონ თავდამსხმელები აცხადებდნენ, რომ არავინ დაღუპულა. „...ამ აქტმა მთელი ევროპა აალაპარაკა, რუსეთში ხომ სასიქადულო გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ყუმბარებით მთელი ტფილისი შევარყიეთ, მსხვერპლი არ ყოფილა და ამან აუწია სახელი ამ საქმეს“[333].

კასრაძის მოგონებით, ამ ექსპროპრიაციამ კამო ხუმრობის ხასიათზეც კი დააყენა. „...ბევრი ოხუნჯობის შემდეგ გავიგე, რომ მან ფული დააბინავა. ყველა ამხანაგები უვნებლად გადარჩნენ. მხოლოდ თავი დაგირჩეს გიგო, ერთი მარცხი მოგვივიდაო. მე გული ამიკანკალდა, შვეკითხე თუ რა მოუხდა. მან მიპასუხა: ერთი ცხენი სასიკვდილოთ დავჭერითო. კიდევ აგვიტყდა სიცილი“[334].

იმავე დღეს მტკვარზე, ბორნის ახლოს, მუხრანის ქუჩაზე, თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის კუთვნილი სახლის პირველ სართულზე, მეჩექმე გიორგი კასრაძის

---

331 ბ. ბიბინეიშვილი, კამო, 1935 წ., გვ. 117.

332 ბაღდასარ (ბაღდო) მეზურნოვი, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 3, საქმე 797, გვ. 6.

333 ბაჭუა კუპრაშვილი, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, ნანილი 1, საქმე 28, გვ. 66.

334 გიგო კასრაძე, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, საქმე 22, გვ. 41.

*იმ ნლებში გადატანილი პერმანენტული შოკის შემდეგ ხალხი ბომბების აფეთქების შესახებ, როგორც ჩვეულებრივ ყოველდღიურ ამბებზე, ისე ლაპარაკობდა. საგულისხმოა ერივანსკის „ექსთან“ დაკავშირებული ერთი საფოსტო ბარათი, რომელსაც თბილისელი მოქალაქე კოტე თავის ნათესავს ლიზას უგზავნიდა ავსტრიაში: „...13 ივნისის აფეთქებებმა ქალაქში აურზაური გამოინვია, მაგრამ მხოლოდ ერთი დღით. მიუხედავად იმისა, რომ გასროლილი იყო 7 ბომბი, მხოლოდ ერთს ჰქონდა სასიკვდილო მუხტი. ამის გამო დაიღუპა 2 და 9 მძიმედაა დაჭრილი. ინტელიგენტებიდან თითქმის არავინ დაშავებულა. ლაპარაკობენ ექსპროპრიაციებთან დაკავშირებულ ვიღაც ჩამოსულ გასტროლიორებზე. დიდი დაპატიმრებები მიდის...“

სახელოსნოში ბომბი აფეთქდა. სახელოსნოში, სადაც „ტუზემცურ“ ფეხსაცმელს კერავდნენ, 9 კაცი მუშაობდა. ექვსი მათგანი საღამოს ექვს საათამდე წავიდა, ხოლო სამნი დარჩნენ. შვიდი საათის დასაწყისში კასრაძის შვიდი წლის ბიჭმა, როგორც ვარაუდობენ, ნაგავში ნახა ვილაცის მიერ დაგდებული მრგვალი მეტალის ბურთი (როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ეს ბომბი იყო) და სახელოსნოში შეიტანა. იქ ბავშვს ბომბი შემთხვევით ხელიდან გაუვარდა და აფეთქდა. აფეთქების გამო თითქმის მთლიანად დაინგრა სახელოსნო, ხოლო სახლს ცეცხლი ნაეკიდა. გამოძახებულ იქნა სახანძრო მანქანა. ნანგრევებიდან ამოიყვანეს დაჭრილი იოსებ ჯანიევი და სამი დანანევრებულ-დასახიჩრებული გვამი, რომელთაგან ერთს თავი ჰქონდა მოწყვეტილი. მოკლულები იყვნენ სახელოსნოს მფლობელის ძმა, შვილი და შეგირდი. დაიჭრა კასრაძის მეუღლეც. საღამოს სახელოსნოში დაბრუნდა ნასვამი კასრაძე, რომელიც პოლიციამ მეუღლესთან ერთად დააპატიმრა. გამოძიებამ გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს ბომბი თავიდან მოიშორეს ერივანსკის მოედანზე ძარცვის მონაწილეებმა, რომლებიც ბორნის საშუალებით გადავიდნენ მტკვრის მარცხენა მხარეს.

„ყუმბარის მოხმარება არ დამჭირდა, – იხსენებდა ბაღდო, – წამოველი მუხრანის ქუჩით და გადავედი პარომით ტკვრის მარცხენა მხარეს საიდანაც მიველი ბოჭორიშვილის ბინაზედ სადაც ფული იყო მიტანილი. ყუმბარა კიდევ პარომიდან ჩავაგდე ტკვარში...“[335] საფიქრებელია, რომ ბაღდო თავის მართლების მიზნით ტყუის და მან ბომბი მტკვარში კი არა, ნაგავში გადააგდო. აქედან გამომდინარე, ერივანსკის ექსპროპრიაციის მსხვერპლთა რიცხვმა, ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ექვსს მიაღწია. თუმცა ხარიტონ შავიშვილს თუ დავუჯერებთ, ოპერაციის დროს თურმე 14 კაცი მომკვდარა და 50-ზე მეტი დაჭრილა.

„ექსის“ შემდეგ ამხანაგები მიხა ბოჭორიძის ბინაზე შეიკრიბენ. მათ მხოლოდ ბაჭუა კუპრაშვილი აკლდათ. ჭიაბრიშვილმა დაინახა, როგორ დაეცა აფეთქების შემდეგ ბაჭუა, მისი აზრით, ის მკვდარი უნდა ყოფილიყო. „კამო საშინლად ღელავდა. – რა ეშმაკად გინდოდა ფული – უკეთესი იყო ამხანაგისთვის გეშველა! როგორ დატოვე ის ასე დაუხმარებლად? – უსაყვედურებდა კამო ჭიაბრიშვილს. მაგრამ სწორედ ამ დროს გამოჩნდა კარებში მრავალ ადგილას დაჭრილი ბაჭუა. კამომ აღარ იცოდა რა ექნა მეტისმეტი სიხარულისაგან – ხომ ხედავ ბიჭო, ჩვენ სიკვდილიც ვერაფერს გვაკლებს! როგორც კატები, ყოველი სიმაღლიდან ვვარდებით და არ ვიღუპებით!“[336]

კუპრაშვილი აღნიშნავდა, რომ ამ საქმეში ყველა სათანადო სიმაღლეზე იდგა, „გარდა სამი კაცისა (მათ გვარებს არ ასახელებს – ი. მ., ლ. ხ.), რომელთაც სუსტი ნერვები აღმოაჩნდათ და საქმის დაწყებამდე დასტოვეს პოსტები“[337].

პოლიცია და ჯარი ფეხზე დადგა. ისინი მთელი დღე ეძებდნენ მძარცველებს. საღამოს ერთ-ერთ გოროდოვოის აცნობეს, რომ მსროლელთა პირველი ბატალიონის ყაზარმების უკან რამდენიმე საეჭვო პირია შეკრებილი და ისინი თითქოს რაღაცას

---

335 ბაღდასარ (ბაღდო) მეზურნოვი, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 3, საქმე 797, გვ. 7.

336 ბ. ბიბინეიშვილი, კამო, 1935 წ., გვ. 118.

337 ბაჭუა კუპრაშვილი, შსსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, ნანილი 1, საქმე 28, გვ. 16. ამ ოპერაციაში თურმე „ტურა“ მაისურაძეც მონაწილეობდა, თუმცა ის ძალიან ბუნდოვნად წერს საკუთარ როლზე: „...თბილისში ერევნის მოედანზე ფოსტაზე თავდასხმის საქმეზე პასიური დახმარება გაუნიე 100 მანეთით. დათიკო ჭიაბეროვის ხელით ჩამოუტანეთ პურის მოედანზე სიმონა საპოჟნიკის სახელოსნოში. ეს ფული იყო ჩემ მიერ გაყიდული გერმანულ მაუზერის საფასური, რომელიც გავყიდე სოფელ მუღანლოში ხიდურაზე, რომელმაც გვაცნობა ყაზუმას შავრაზმელის საიდუმლოება...“ ვანო („ტურა“) მაისურაძე, შსსსს ფონდი 93, აღწერილობა 2, საქმე 555, ფურცელი 26. მოგვიანებით ყაზუმა შავრაზმელი ავლაბარში ტერორისტმა არტო მიქელოვმა მოკლა.

იყოფენ. გოროდოვოი მაშინვე იქით გაეშურა. მის დანახვაზე უცნობები სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ. დათვალიერების შემდეგ პოლიციელმა იპოვა ერთი ფიტილიანი ბომბი, ორი ტომარა ბეჭდით და წარწერებით: ერთზე – „150 000 მანეთი“, მეორეზე კი – „90 000 მანეთი“. „ბოლოს დანამდვილებით გავიგე ფულის ტილოები თავის ლუქებით მას (კამოს) მიეტანა ყაზარმასთან დაეყარა, ფული კი დანიშნულ ალაგას ნაეღო...“[338] იმავე დღეს ერთ-ერთი მეეტლის სახლში, რომელსაც ფული გადაჰქონდა, აღმოაჩინეს 9 900 მანეთის საკრედიტო ბილეთები.

პოლიციამ უამრავი ადამიანი დააპატიმრა, მათ შორის სულით ავადმყოფი ქალი ადელინა მეუებოვსკაია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ბომბი მისი ნასროლია. ის მეტეხის ციხეში გამოამწყვდიეს, თუმცა მისი გასინჯვისა და ოჯახის წევრთა დაკითხვის შემდეგ დადგინდა, რომ ქალი ჭკუიდან ყოფილა გადასული.

ქალაქში ჩხრეკა და დაპატიმრებები დიდხანს გაგრძელდა, „ექსიდან“ ერთ თვეში დაკავებულ ეჭვმიტანილთა საქმემ 185 ფურცელი შეადგინა. გატაცებული ფულის ადგილსამყოფელის ჩვენებისათვის პოლიციამ 25 ათასი მანეთი დაანესა. პეტერბურგიდან პოლიციის დეპარტამენტმა საქმის გამოსაძიებლად ორი მაღალჩინოსანიც კი გამოგზავნა.

არსებობს მოსაზრება, თითქოს ექსპროპრიაცია ერივანსკის მოედანზე მოახდინეს არა სოციალ-დემოკრატმა ბოლშევიკებმა, არამედ სოციალისტ-რევოლუციონერებმა. საქმეში[339] მითითებულია „ექსის“ ვითომდა შემსრულებელთა რამდენიმე გვარი: სარქის ოთაროვი[340], ვასილ პილეცკი და სხვები. თითქოს ესერებმა ვერ მოახერხეს ნაძარცვი ფულის ქალაქიდან გატანა, რისთვისაც მიმართეს კამოს, რომელმაც ისინი „გადააგდო“ და მთელი ფული ლენინს ჩაუტანა. გამოდის, რომ „ბოევაია დრუჟინას“ მიერ ჩატარებულ „ექსთან“ დაკავშირებული ყველა ის მოგონება და საბუთები შეთხზული და ყალბია. ზემოთ დასახელებული პიროვნებებიც არ მონაწილეობდნენ ამ საქმეში და ყველაფერი მოიგონეს. ან კიდევ რატომღაც სოციალ-დემოკრატების „დრუჟინამ“ ეს ექსპროპრიაცია ესერების ხელმძღვანელობით მოახდინა, რაც ზღაპარს უფრო ჰგავს. ესერების ვითომდა მონაწილეობას უფრო პროვოკაციის სუნი ასდის ან კიდევ გზა-კვალის აბნევის მიზნით არის მოგონილი.

ესერების გარდა, ამ ოპერაციის ჩატარებას უკლებლივ ყველა პარტიას აბრალებდნენ – ანარქისტებს, დაშნაკებს... აგრეთვე „ჩინოვნიკებს“. ალბათ, მხედველობაში ჰყავდათ ფოსტაში მომუშავე პერსონალი. პატარა ეჭვისა და დასმენის საფუძველზე განურჩევლად ყველას აპატიმრებდნენ. კავკასიის ცენტრში თავხედური თავდასხმით აღშფოთებულმა მეფისნაცვალმა პოლიცმეისტერ ბალაბანსკის უბრძანა, 24 საათში აღმოეჩინა მძარცველები. ზოგიერთ ავტორს (ლ. შაუმიანი, ი. დუბინსკი-მუხაძე) მოყვანილი აქვს ცნობა, თითქოს კამოს, რომელსაც ეტლით ნაძარცვი ფული მიჰქონდა, მთავარმართებლის სასახლესთან ცხენზე ამხედრებული ბალაბანსკი შეხვდა და კამომ მას შესძახა – ფული გადარჩენილია, გაეშურეთ მოედნისკენ! მსგავსი ეპიზოდი, რამდენადაც ვიცით, არც კამოს მთავარ ბიოგრაფს და მის მეგობარს, ბარონ ბიბინეიშვილს, არც „ექსის“ არც ერთ მონაწილეს საკუთარ მოგონებებში არა აქვს მოხსენიებული; თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე კი – კამომ თავხედურად მოატყუა

---

338 გიგო კასრაძე, შსსსს ფონდი 8, აღნერილობა 2, საქმე 22, გვ. 41.

339 სცსსა ფონდი 95, აღნერილობა 1, საქმე 82.

340 საინტერესო დამთხვევაა, რომ ავლაბრის არალეგალური სტამბის აღმოჩენის შემდეგ სტალინის ჯგუფის წევრი, ცნობილი რევოლუციონერი, არალეგალური სტამბების ორგანიზატორი მიხო ბოჭორიძე ოთაროვის გვარით დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, საიდანაც ის 1906 წლის ოქტომბერში „დრუჟინის“ დახმარებით გაიქცა.

თბილისის პოლიცმეისტერი – აუცილებლად იქნებოდა გაჟღერებული.

მიუხედავად უამრავი ეჭვმიტანილისა, ბალაბანსკიმ 24 საათში ნამდვილ მძარცველს ვერ მიაკვლია. 19 ივლისს გენერალ-გუბერნატორთან მძიმე საუბრის შემდეგ პოლიცმეისტერი ინგუში სტრაჟნიკის თანხლებით კუკიის სასაფლაოზე ავიდა, „... იქ ორდენები მოუხსნია, მცველისთვის გადაუცია და უბრძანებია, ეტლთან დარჩენილიყო, თანაც დაუმატებია – დედის საფლავზე სალოცავად მივდივარო. არ გასულა დიდი დრო, რომ მცველს რევოლვერის ხმა გაუგონია. თითონაც რევოლვერი ამოუღია და გაქანებულა იქით... როდესაც მცველი მისულა, დაუნახავს, რომ პოლიცმეისტერი, მარჯვენა ხელში რევოლვერით, ხოლო მარცხენა ხელით სასაფლაოს რკინის მოაჯირზე მიყრდნობილი, ძირს ეშვებოდა. რევოლვერი უსროლია საფეთქელში. ტყვიას ტვინში გაევლო და მეორე მხარეს გავარდნილიყო. პოლიცმეისტერი იქვე გარდაიცვალა“[341].

ნაძარცვი ფულის გადასატანად „დრუჟინას“ ჰქონდა ორი „კუშეტკა“ ორმაგი ძირით, რომლებიც მიხო ჩოდრიშვილის სახელოსნოში იყო დამზადებული. გატაცებული ფული მოათავსეს „კუშეტკებში“, მოიყვანეს ორი კურტნიანი მუშა, რომლებსაც აჰკიდეს ეს „კუშეტკები“, ზემოდან დაადეს ლოგინი... მუშებს „უნყინარ მეშჩანკის სახით“ მარო ბოჭორიძე გაჰყვა. მათ გაიარეს პოლიციის ცხვირწინ, რომელიც გატაცებული ფულის ძებნის გამო სრულიად დაბნეული იყო. ამ გზით მიიტანეს მიხაილოვის ეუჩაზე თბილისის ობსერვატორიაში, სადაც ქვემო სართულში ცხოვრობდა ამ ობსერვატორის ჩინოვნიკი, კამოს ახლო ნაცნობი გავალოვი. ბაღდო მეზურნოვის თქმით, გატაცებული ფულის ადგილსამყოფელის შესახებ მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა: კამომ, მარო ბოჭორიძემ, ჭიაბრიშვილმა და ბაღდომ.

ფული ამ ბინაზე თითქმის შემოდგომამდე ინახებოდა. „...ვიყიდეთ ორი ტიკჭორა გადმოვაბრუნეთ რო კუპრიანი მხარე ზემოთ ყოფილიყო და გადავკერეთ ოთხათ. ფული კიდევ შევკარით ოთხ ნაწილათ ყველა თითო ნაწილი შევფუთეთ ამ გაკუპრული ტიკჭორების ტყავში ისე რომ სუფთა მხარე მოვაქციეთ შიგნით...“ ეს ნაწილები გადაკერეს, რათა შიგნით სისველე არ შესულიყო. შემდეგ გააკეთებინეს ორი ახალი კასრი, ჩაანყვეს შიგ ფული და ზევიდან წითელი ღვინო დაასხეს. დაალაგეს ეს კასრები ჩქარ მატარებელზე „დანიშნულებით გელსინგფორმდის. „ამის შემდეგ ამბ. კამომ შეაკერინა თავისთვინ სამხედრო ოფიცრის ტანისამოსი და... განათლებული კნიაზის გვარით გაემგზავრა ფინლანდიაში“[342].

მიუხედავად წარმატებული ექსპროპრიაციისა, პარტიამ ეს ფული მხოლოდ ნანილობრივ გამოიყენა, რადგან 500-მანეთიანი ბანკნოტების ნომრები უკვე მსოფლიოს ყველა ბანკში იყო გადაგზავნილი და ფულის გადახურდავების დროს ევროპის სხვადასხვა ქალაქში პარტიის ბევრი აქტივისტი დაიჭირეს. 1909 წელს მენშევიკების მოთხოვნით გადანყვიტეს, დარჩენილი ფული გაენადგურებინათ. „ბოლშევიკური ჯგუფის ამ „ყველაზე ბრნყინვალე აქტმა“ დიდი გამოხმაურება პოვა მთელ მსოფლიოში. მთელი ევროპა ერივანსკის მოედნის ექსპროპრიაციაზე ალაპარაკდა. ნყნარ და ნეიტრალურ ჟენევაშიც კი 500-მანეთიანი ბანკნოტები და შიშის მომგვრელი კავკასიელი „ექსისტები“ საუბრის მთავარი თემა იყო. საინტერესოა, რომ ამ ოპერაციას თავისი განხორციელებით და დრამატიზმით სრულყოფილების შედეგრს უნოდებს ხარიტონ შავიშვილი. ის დაუფარავი აღტაცებით ჰყვება მის შესახებ. ერივანსკის „ექსი“, შავიშვილის განცხადებით, გაცილებით სრულყოფილი იყო, ვიდრე

---

[341] „ისარი“, 1907 ნ. 20 ივნისი.

[342] ბაღდასარ (ბაღდო) მეზურნოვი, შსსს ფონდი 8, აღწერილობა 3, საქმე 797, გვ. 8.

პილსუდსკის (პოლონეთის მომავალი პრეზიდენტი – ი. მ., ლ. ხ.) 1908 წლის 27 სექტემბრის აქტი, როცა პილსუდსკიმ და მისმა ბანდამ ვარშავიდან მოსკოვში მიმავალი რუსული სამხედრო მატარებელი გაძარცვა.

„...გავარდა ხმა მთელ ევროპაში, რომ რუსეთის სოც.-დემოკრატები არიან ბანდიტები, მცარცველები... ინტერნაციონალიც შეშფოთდა: ასეთ ხალხს ჩვენთან რა უნდათო.... ბოლშევიკები ლენინის მეთაურობით შეშინდენ, ყველა მოთხოვნილებაზე თანხმობა განაცხადეს, ამათ შორის მთავარი იყო თფილისის ასიგნაციების წარმოდგენა და დაწვა. ამას ხელი მოაწერეს, მაგრამ... ფული არ წარმოადგინეს, არ დაწვეს და ჩუმ-ჩუმათ ასაღებდენ..., – იხსენებდა ნოე ჟორდანია, – ...პლეხანოვი დამხვდა ძალიან გულმოსული ბოლშევიკებზე, ისინი პარტიიდან გამოსარიცხავი არიან, მაგენი ყაჩაღებია, ქურდებია, მიუხედავად ლონდონის კონგრესის გადაწყვეტილებისა, ისინი განაგრძობენ ექსების მოწყობასა...“[343]

ასე რომ, პარტიის გადაწყვეტილების წინააღმდეგ წასვლა ბოლშევიკებს პარტიიდან გარიცხვით ემუქრებოდა. მენშევიკებისთვის შემსრულებლების ვინაობის გაგება სიძნელეს არ წარმოადგენდა, მათთან ჯუღაშვილის დაკავშირება ადვილი უნდა ყოფილიყო. ჟორდანიამ პირადად დაკითხა საქმის მიმცემი ბანკის თანამშრომელი გიგო კასრაძე. ის ბელინსკის ქუჩაზე იურისტ კოწია ჯაფარიძის სახლში დაიბარეს. სანამ დანიშნულ ადგილზე მივიდოდა, კასრაძემ კამო ინახულა. „...კამო მეუბნება: არაფერი არ დამალო... ყველაფერი უამბე, ვიცი ჩემზედაც გკითხავენ და უთხარი, რომ კამო თქვენზე ძალიან გაჯავრებულია და გემუქრებათ თქო“.

მეორე დღეს ის ერთ „საუცხოო ევროპიულ ტანისამოსში გამოწყობილ“ უცნობს და ნოე ჟორდანიას შეხვდა. „...დამიწყეს შეკითხვები... ბოლოს მეკითხებიან, იყავით თუ არა თქვენ აქტიური მონაწილე ერევნის მოედანზე ფულის ექსპროპრიაციაშიო. როცა თანხმობის პასუხი მიიღეს, მკითხეს ვინ წაიღო ფულიო. კამომ. სად გაგზავნეს ფული? პარტიისათვის მეთქი. ცენტრში.

– რისთვის? ან რა საჭირო საქმისთვის?

აკი მოგახსენეთ პარტიულ საქმისთვის მეთქი.

ვინ გაგაცნო კამო?

ამხანაგმა სტალინმა. ვპასუხობ მე (მეტსახელი „სტალინი“ სოსომ პირველად 1910 წელს გამოიყენა, ზემოთ მოყვანილ ეპიზოდს კასრაძე ოცდაათიან წლებში აღწერს, აქედან გასაგებია, რატომ „ამხანაგი სტალინი“ და არა „კობა“, ანუ მეტსახელი, რომელსაც მაშინ ხმარობდა – ი. მ., ლ. ხ.).

საიდან იცნობდი მას?

გორის სკოლის ამახანაგია...

კიდევ რა იცით მასზე? მე მესმის ჩემი ამხანაგებისაგან, რომ ამხანაგი სტალინი უანგარო, შეუდარებელი ამხანაგია... ბევრი ასეთი კითხვების შემდეგ წამიკითხეს ჩვენება და ხელი მომაწერინეს... დღესაც არ ვიცი სად წაიღეს ჩემი ჩვენება და რა შედეგი ენია მას. რამდენიმე დღის შემდეგ მიველ კამოსთან. კამომ ბევრი ილანძღა, იგინა, ეგ ლაქიები ვიცი რისთვისაც დაგკითხეს, მათ არც შნო აქვთ და ხელსაც გვიშლიანო.“[344] სავარაუდოდ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, სტალინს უშუალო კავშირი „ექსთან“ ვერ დაუმტკიცეს. იგივე საკითხი წამოტივტივდა 1919-20-იან წლებში ტროცკისა და სტალინს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლის პროცესში. ტროცკი პარტიული დისციპლინის დარღვევას ედავებოდა სტალინს და მაგალითად „ერევნის მოედნის ძარცვის ორგანიზება მოყავდა“. აქედანაც არაფერი არ გამოვიდა.

---

[343] ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, 1990 წ., გვ. 62-63.

[344] გიგო კასრაძე, შსსს ფონდი 8, აღწერილობა 2, საქმე 22, გვ. 43-44.

ამგვარად. პარტიიდან გარიცხვის ან პარტიული დისციპლინის დარღვევის საბაბად ქცეული, სტოკჰოლმის ყრილობის შემდგომი ტერაქტებისა და „ექსების" ორგანიზება სტალინისთვის სახარბიელო არ უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს „დიდი ბელადის" მითის შექმნის პროცესში ტერორისტებთან ზედმეტად მჭიდრო კავშირი მითს ზიანის მეტს ვერაფერს მოუტანდა. პარტიულ სასამართლოზე გაყვანაც კი, პარტიიდან გარიცხვის განაჩენის გარეშე, ერთგვარ სიმბოლურ სიკვდილს უდრიდა, რაც შემდგომში აუცილებლად ძალაუფლებისკენ მისი სვლის შემაფერხებელი მიზეზი გახდებოდა.

მეორე მომენტია კოტე ცინცაძის მოგონებები, რომელიც 1922-23 წლებში დაინერა. იმ დროს მოგონებების ავტორი საბჭოთა საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსის პოსტზე იმყოფებოდა და უკვე დაპირისპირებაში იყო კავკასიის სოვნარკომის თავმჯდომარე სერგო ორჯონიკიძესა და მის ხელმძღვანელ სტალინთან. სამი-ოთხი წლის შემდეგ კოტეს, სტალინის ბრძანებით, განჯაში გადაასახლებენ, სადაც ის ჭლექისაგან გარდაიცვლება. მემუარებში საეჭვოდ მწირად არის მოხსენიებული სტალინი, რაც, უკვე მოყვანილი მიზეზის გარდა (პარტიული დისციპლინის დარღვევის დაბრალების შიშით ფაქტების დამალვა, რასაც სავარაუდოდ სტალინი ცდილობდა), პიროვნული დაპირისპირების მანიშნებელიც უნდა იყოს.

არსებობს მესამე მიზეზიც – ფართოდ გავრცელებული აზრი „მოწმეების მოშორების" შესახებ. კამო ტრაგიკულად დაიღუპა ან მოკლეს და მისი მოგონებების მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი. თითქოს „დაკარგულ" ან „განადგურებულ" მოგონებებში ის ჰყვებოდა სტალინის როლზე ძარცვის დაგეგმვაში (თუმცა ადვილი დასაშვებია, რომ მან უბრალოდ ვერ მოასწრო „მოგონებების" კარნახის დასრულება), რომ თითქოს ბერიამ თავის დროზე გაანადგურა კოტე ცინცაძის მოგონებების სრული ტექსტი სტალინის „ბრალეულობის" სრული მტკიცებით. თავის დროზე ნადეჟდა კრუპსკაია აღნიშნავდა, რომ რევოლუციამდელი ლიტერატურა, რომელიც ობიექტურად აღნერდა რევოლუციურ პროცესებს, განადგურებულ იქნა. რევოლუციურ-ტერორისტული მოძრაობის ახლებური ისტორია კი ახალი ხელისუფლების მიერ ინერებოდა პოლიტიკური საჭიროებისა და მოთხოვნის კარნახით, ისე, რომ რევოლუციონერ-ტერორისტის სახე რომანტიკული შარავანდედით შემოსილიყო. ტერორისტის სახე კი მსოფლიოს ბელადის ხატში, რა თქმა უნდა, ვერ ჩაჯდებოდა. სრული სიმართლის დადგენა სტალინის ამ „ექსში" (და სხვა საქმეებში) მონაწილეობის ხარისხის შესახებ ამჯერად ჭირს. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ ჯგუფის ძირითადი ბირთვი სტალინმა შექმნა, მისი გავლენა ჯგუფზე განუზომლად დიდი იყო, და რომ „საქმის მიმცემი" კასრაძე სნორედ მან დააკავშირა ტერორისტებთან.

მაგრამ პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობას ხელი არ შეუშლია სტალინის ბანდიტური იმიჯის შექმნისთვის: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რუზველტმა ერთხელ აღნიშნა, რომ ის საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურში ჯენტლმენის ნახვას ელოდა, სამაგიეროდ კრემლში მან ყოფილი კავკასიელი ბანდიტი აღმოაჩინა[345].

---

345 А. Гейфман. Революционный террор в России 1894-1917, 1997 б., გვ. 354.

ერივანსკის „ექსის“ შემდეგ

ერივანსკის მოედნის „ექსის“ შემდეგ ჯგუფს ვიატკის გუბერნიიდან გამოქცეული კოტე ცინცაძე შეუერთდა. კოტე ციმბირში გადასახლებამდე ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა (შეგახსენებთ, რომ ცინცაძე ქუთაისის ხაზინაზე თავდასხმის მომზადების მომენტში დააპატიმრეს). აქვე შეჰპირდა ციხეში მყოფ ამხანაგებს გაქცევის მონყობას, განსაკუთრებით თომა ჩუბინიძის და ისმაილ ჭუმბურიძის გათავისუფლება იყო აუცილებელი, რადგან მათ ჩადენილი დანაშაულებისათვის სიკვდილით ჰქონდათ მისჯილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფის ტაქტიკა დაპატიმრებული წევრებისადმი ცალმხრივად პროაქტიული იყო – როგორი დაცული და „გაუტეხელიც“ უნდა ყოფილიყო საპყრობილე, ჯგუფის მთელი ძალისხმევა და ენერგია დაკავებული ამხანაგის გამოხსნისაკენ იყო მიმართული. ციხეებიდან გამოქცევა მაშინ შედარებით გაადვილებული საქმე იყო მოძველებული შენობების, სუსტი ზედამხედველობის, ცუდი აღჭურვილობისა და კორუფციის გამო.

ქუთაისის ციხის ქვეშ გვირაბის გათხრა და პატიმრების მასობრივი გაქცევა გამჭრიახობის, თავზეხელაღებულობისა და კარგად დაგეგმილი და შესრულებული უაღრესად სარისკო ოპერაციის კიდევ ერთი მაგალითია... იქამდე ამ ციხიდან „თავხედური“ გაქცევის კიდევ ორი შემთხვევა იყო: პირველად, „ნახვის დღეს“ მენშევიკი ზაქარია გურული საჭმლისა და საცვლების გადასაცემად ამოჭრილ პატარა სარკმელში გააძვრინეს; მცველი, რომელსაც გადაცემების გასინჯვა ევალებოდა, მოსყიდული იყო. მეორედ, აფრასიონ მერკვილაძის ახალგაზრდა რაზმელი ამბაკო სამანიშვილი კოტე ცინცაძემ ეტაპში გაიყოლა ციხის საავადმყოფოში მყოფი სხვა პატიმრის მაგიერ.

ქუთაისის ციხის ქვეშ გვირაბი მოპირდაპირე მხარეზე დაქირავებული სახლის სარდაფიდან ითხრებოდა. სახლის დამქირავებლად ჯგუფის აქტიური წევრი მარო ბოჭორიძე შეირჩა. ის თითქოსდა წინდების საქსოვი ცეხის გახსნას აპირებდა („ჩულქის“ საქსოვი მანქანა ბარონ ბიბინეიშვილის ცოლმა მისცა). გვირაბის გასათხრელად სპეციალურად ჭიათურიდან ჩამოიყვანეს მარგანეცის მადნის საბადოებში განაფული მუშები. ზაქარია გურული, კოტე ცინცაძე და ბაჭუა კუპრაშვილი პირადად ხელმძღვანელობენ ოცმეტრიანი გვირაბის გაყვანას.

ქუთაისის ციხის გატეხის ეს ეპიზოდი საკსეა მოულოდნელი საფრთხეებით და ექსტრემალური სიტუაციებით, სადაც ჯგუფის მახვილგონიერულობა და სნრაფად რეაგირების უნარი ვლინდება; სახლის პატრონი ფანცხავა ეჭვს იღებს გვირაბის თხრაზე და მოულოდნელი ვიზიტით ეწვევა კონსპირატორებს. ამ ვიზიტის შემდეგ მისი ეჭვები უფრო ძლიერდება და პოლიციაში წასვლას გეგმავს. ჯგუფი ოპერატიულად უკავშირდება ყოფილ „ხალხოსანს“ გიორგი ზდანოვიჩს და მენშევიკ გრიგოლ ლორთქიფანიძეს. ამ ბატონების ზენოლით და პირდაპირი მოქრთამვით (მას 3 ათასი მანეთი მისცეს) ფანცხავა დასმენას გადაიფიქრებს. საგულისხმო ფაქტია, რომ ფანცხავას ცოლმა იცოდა გვირაბის გათხრის ამბავი, მაგრამ საიდუმლო შეინახა. ბოლშევიკებმა ეს არ დაივინყეს და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას პერსონალური პენსია დაუნიშნეს.

ციხის ტერიტორიაზე ხვრელის შეყვანის შემდეგ შეიქმნა საშიშროება, რომ ციხის დარაჯი, რომელიც გვირაბის თავზე დადიოდა, ხმაურს გაიგებდა. მთხრელებისა და ციხის პატიმრების კოორდინირებული მოქმედებით სამუშაოს გაგრძელება მოხერხდა – გარედან პატიმრებს სხვადასხვა ნიშნებით ატყობინებდნენ, როდის უნდა აეტეხათ „ხმაურობა და ბრაგუნი, რომ მიწაში გუგუნი არ გაეგო ჯარისკაცს". საბოლოოდ ერთ-ერთ საკანში ხვრელი ამოიყვანეს და 1907 წლის 26 სექტემბერს 36-ზე მეტი პატიმარი ციხიდან გაიქცა. გაქცევის წინ სიაში აღნიშნულ ტუსაღებს გასამხნევებლად კონიაკს ასმევდნენ.

არანაკლებ კოორდინაციას და სინქრონულ მოქმედებას ითხოვდა გამოქცეული პატიმრების კონსპირაციულ ბინებზე გადაყვანა, მათი გრიმირება, ყალბი პასპორტებით უზრუნველყოფა და ქალაქიდან გაყვანა. მხოლოდ ხუთი გამოქცეული[346] დაპატიმრეს მეორე დღეს და ისიც „პროვოკატორის" გამო. ციხიდან, პირველ რიგში, გამოვიდნენ ჯგუფის წევრები, თომა ჩუბინიძე და ისმაილა ჭუმბურიძე, „დანარჩენი პატიმრების უმრავლესობა მენშევიკები იყვნენ, მაგრამ მენშევიკურ პარტიას თითი თითზე არ დაუკარებია მათ მოსავლელადო" – წერს ცინცაძე. ის, რა თქმა უნდა, სცოდავს, რადგან ეს ოპერაცია მენშევიკებისა და ბოლშევიკების ერთობლივი საქმე იყო და რომ არ „ჩაიფუშა", იმავე ლორთქიფანიძეს, მენშევიკს, უნდა უმადლოდეს. ზაქარია გურული საკუთარ მოგონებებში იმ ფაქტს ამყარებს, რომ ეს საქმე მენშევიკების დაწყებული იყო. გვირაბის გათხრის სამუშაო უკვე გაჩაღებული ჰქონდათ, „...როცა კ. ცინცაძე ჩამოვიდა რუსეთიდან (ქუთაისის ციხიდან იყო გაგზავნილი ადმინისტრაციულათ), მასაც ეს საქმე ქონია მიზნათ და გთხოვს შეერთებასო. სანინააღმდეგო რა უნდა მქონოდა, მით უმეტეს მუშა ხელის მომატება საჭირო იყო"[347] (ქუთაისის ციხიდან გაქცევის ამბავმა ქართულ საბჭოთა ლიტერატურასა და კინოში პოვა ასახვა: ერთ-ერთმა გამოქცეულმა პატიმარმა, მომავალმა ცნობილმა მწერალმა ლეო ქიაჩელმა გამოაქვეყნა რომანი „სისხლი" (1927 წ.), 1975 წელს კი გადაიღეს ფილმი „გაქცევა განთიადისას" (რეჟისორი სიკო დოლიძე)).

რამდენიმე დღეში მოხერხდა პროვოკატორის გამოვლენა. ის აღმოჩნდა ვინმე მუსერიძე, რომელიც დაგებულ ხაფანგში გაება და თავისი მოქმედებებით დაამტკიცა, რომ გამყიდველი იყო (როგორც შემდეგ გამოირკვა, მაზრის უფროსი სამტრედიის ბოქაულის ადგილს შეჰპირებია). ის ასევე ოპერატიულად მოკლეს. მიუხედავად იმისა, რომ მუსერიძეს დღედაღამე რამდენიმე სტრაჟნიკი და პოლიციის აგენტი

---

346 მათ შორის ტერორისტი გედენია კაჭარავა, რომელიც თავზარს სცემდა მთელ სამეგრელოს. საინტერესოა, რომ, როცა სასამართლომ კაჭარავას ჩამოხრჩობა მიუსაჯა, სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ფოთელმა მუშებმა დეპეშა გაუგზავნეს, რათა მათ ეშუამდგომლათ კაჭარავასთვის სიკვდილის სასჯელის შეცვლის თაობაზე. მართლაც, სიკვდილის განაჩენი კაჭარავას 15-წლიანი კატორღით შეუცვალეს. ციხეში კაჭარავას სისხლის სამართლის დამნაშავეებმა მოკვლა მოუნდომეს. საქმე ის არის, რომ თავის დროზე მან პარტიის დავალებით სიცოცხლეს გამოასალმა რამდენიმე საშიში ბანდიტი, რომლებიც არც ბავშვებს ინდობდნენ და არც ქალებს. კაჭარავა პოლიტიკურმა ტუსაღებმა დაიცვეს. ციხეში გაიმართა სასამართლო, სოც.-დეკებმა გედენია კაჭარავას დაცვა იკისრეს და სისხლის სამართლის დამნაშავეებს განუცხადეს: „გედენია კაჭარავა არის იარაღი სოც.-დემოკრატიული პარტიის, მან შეასრულა ის, რაც უკარნახა ორგანიზაციამ. კაჭარავას წინააღმდეგ წასვლა იქნება ნასვლა პარტიის წინააღმდეგ". რევოლუციონური მოძრაობა სამეგრელოში 1905 წ., 1929 წ., გვ. 46-47. კაჭარავას რუსეთის საკატორღო ციხეშიც უპირებდნენ მოკვლას, მაგრამ მან იქაც მოახერხა თავის გადარჩენა. როგორც ხედავთ, „პოლიტიკურებსა" და სისხლის სამართლის დამნაშავეების შორის დაპირისპირება რუსეთის იმპერიის ციხეებში იმთავითვე არსებობდა და ეს კომუნისტების მიერ ინსპირირებული არ ყოფილა, არამედ შეთვისებულ-გაუმჯობესებული, რაც საბჭოთა წყობილების დროს ქურდული ინსტიტუტების შექმნაში აისახა.

347 ზ. გურული, მოგონება, 2005 წ., გვ. 23.

იცავდა, ის ქალაქის ცენტრში ბაჭუა კუპრაშვილის მიერ ორგანიზებული თავდასხმის შედეგად გამოასალმეს სიცოცხლეს.

ქუთაისის ოპერაციის შემდეგ ჯგუფი ბაქოში გადავიდა (მათ ერივანსკის მოედნის მსგავსი ძარცვის მოხდენა სურდათ), რადგან ამიერკავკასიაში მხოლოდ ბაქოს სახელმწიფო ბანკში იყო ყოველდღიურად დიდი რაოდენობით ქაღალდის ფული. 1905 წლის რევოლუციის შემდგომი პერიოდის ბაქოში ტერორის აღმავლობა აღინიშნებოდა. მხოლოდ 1907-08 წლებში ბაქოში ათასზე მეტი მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა მოხდა. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტერაქტი დაშნაკების მიერ ბაქოს გუბერნატორის, მიხეილ ნაკაშიძის, მკვლელობა იყო. დაშნაკები ნაკაშიძეს სომეხ-თათართა ჟლეტის მთავარ ინიციატორად თვლიდნენ. ბაქოს ქართული საზოგადოება კი ამტკიცებდა, რომ ნაკაშიძეს არავითარი ბრალი არ მიუძღოდა სომხების წინაშე და რომ ის არც წამქეზებელი ყოფილა, არც გამამწვავებელი ამ დაპირისპირებისა.

ბაქოში პირველად კუპრაშვილი, ინნკირველი და ჭიაბრიშვილი ჩავიდნენ[348]. დაიქირავეს ორი ბინა გიმნაზიისა და თათრის (აზიატსკაიას) ქუჩებზე. ნელ-ნელა მათ სხვა ამხანაგებიც შეუერთდნენ. სახელმწიფო ბანკში საჭირო ხალხი მოძებნეს და დაიწყეს მზადება. თვალის სამკურნალოდ წასულ კამოს იარაღი უნდა ჩამოეტანა, მაგრამ „თავის გაუფრთხილებლობით კამო ბერლინში დაიჭირეს". მოგვიანებით იარაღი ვანო ბოლქვაძემ და ლადო დუმბაძემ ჩამოიტანეს. მაგრამ დინამიტი ყინვების გამო გზაში გაფუჭდა.

ბაქო პატარა ქალაქი იყო და დიდი ჯგუფის შენახვა პოლიციისაგან შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. მიუხედავად ამისა, 1907 წლის ბოლოდან 1908 წლის ივნისამდე მთელი ჯგუფი იარაღის მოლოდინში ბაქოში იმყოფებოდა. ბოლოს და ბოლოს, იარაღი ჩამოიტანეს და საწყობი მოანყვეს შვედეთის ქვეშევრდომ დიურფელდის ბინაში, სადაც სტეპკო ინნკირველი და თომა ჩუბინიძე ცხოვრობდნენ[349].

დანიშნეს ბანკზე თავდასხმის დღეც. მაგრამ მოულოდნელად 1908 წ. 20 მაისს პოლიციამ საწყობის კვალს მიაგნო, დღისით თავს დაესხა და სტეპკო ინნკირველი მოკლა. სანამ ამ თავდასხმის დეტალებს გაგაცნობდეთ, ორიოდე სიტყვით სტეპკოს პიროვნებაზე უნდა შევჩერდეთ. ივანე ინნკირველი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლიდან რევოლუციური პროპაგანდისთვის იყო გარიცხული. კოტესა და ბაჭუასთან ერთად ის ბანდის ერთ-ერთი პირველი წევრი იყო. როგორც ჩანს, ინნკირველი განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა. 1904-05 წლის რევოლუციური

---

348 კოტე ცინცაძე მოგონებებში წერდა, რომ, როცა მათი ჯგუფი სამუშაოდ ბაქოში გადავიდა, „...მენშევიკებმა, ბათუმის ორგანიზაციამ, ერთი კაცი მოგვცა – ვარდენ თიკანაძე. რომელიც მონაწილეობას მიიღებდა ჩვენთან ერთად და ერთ წილს მენშევიკების სასარგებლოდ ნაიღებდა". „რევოლუციის მატიანე", 1923 წ., გვ. 60.

349 სტალინის ბაქოსდროინდელ მოღვაწეობაზე არაფერს წერს არც კოტე ცინცაძე და არც ბაჭუა კუპრაშვილი. ზოგიერთი ავტორის მიხედვით, კობა იყო ბოლშევიკური ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ბაქოში გავრცელებული ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა (ძირითადად ბავშვების) გამტაცებელი, საფოსტო გემის მძარცველი, კომერციული და სახელმწიფო დაწესებულებების „დამყადაღებელი" და სხვა კრიმინალური ქმედებების მთავარი ორგანიზატორი. იგივე ავტორები აღნიშნავენ, რომ სტალინი ამ საქმეებში აქტიურად იყენებდა თბილისურ „ბოევაია დრუჟინას". სტალინი 1908 წლის 25 მარტს დაეპატიმრეს (საბოლოოდ ციმბირში გადაასახლეს), მაშინ, როცა ჯგუფი რამდენიმე კვირის ჩასული იყო ბაქოში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ხნის განმავლობაში თბილისურ „დრუჟინას" ამდენი კრიმინალური აქტის მონაწილეობა მოესწრო და ამაზე „ემუარისტებს" არაფერი დაეწერათ. სავარაუდოდ, სტალინმა, რომელიც ბაქოში 1907 წლის ზაფხულში, ერივანსკის „ექსის" შემდეგ ნავიდა, მსგავსი ჯგუფი შექმნა, რომლის კრიმინალური აქტივობა „თბილისურ" ჯგუფს არ უკავშირდებოდა. ეს უკანასკნელი „ერთი დიდი ექსის" გასაკეთებლად ჩავიდა ბაქოში და ზემოთ დასახელებულ სტალინის „მოღვაწეობასთან" შეხება არ ჰქონია.

არეულობების დროს 17-18 წლის სტეპკო თავის თანანლოვან კოტე ცინცაძესთან ერთად ჭიათურის (რომელიც განსაკუთრებულად მღელვარებდა) ხუთნევრიან რევოლუციურ კომიტეტში შედიოდა. პირადად მონაწილეობდა „სტრაჟნიკების“ პოსტებსა და ტენგინის ჯარის ნაწილებზე თავდასხმასა და მათ განიარაღებაში. რამდენიმე თვის განმავლობაში ჭიათურის მაზრა „კომიტეტის“ ხელში იყო: პოლიციის ნაწილები განიარაღებული იყო, მაზრაში განლაგებული სამხედრო პოლკი – ბრძოლაში დამარცხებული და იარაღაყრილი.

გარდა „პრაქტიკული“ მუშაობისა, სტეპკო თეორეტიკოსობასაც იჩემებდა, ჩამოყალიბებული ჰქონდა და ასწავლიდა რამდენიმე რევოლუციურ წრეს. ზაქარია გურული ჭიათურის ამბების გახსენებისას წერდა: „...გაფიცვა დაიწყო 23 იანვარს გრანდიოზული მიტინგით და დემონსტრაციით. მიტინგზე ვ. ინნკირველის მიერ პირველათ საჯაროთ ითქვა სოც.-დემ. პროგრამა“[350]. უნდა ვიგულისხმოთ, რომ „ინტელექტუალის“ და თავზეხელაღებული „პრაქტიკოსის“ სახე მის გავლენას ბანდაზე განსაკუთრებით აძლიერებდა. გადმოცემით, სტეპკო იოსებ ჯუღაშვილს თავის მშობლიურ სოფელ ფამფალეთში, ერთი მწყემსის ქოხში მალავდა.

სტეპკო ინნკირველი ბაქოში „უკანასკნელი დიდი საქმის გასაკეთებლად“ გაემგზავრა, შემდეგ თეორიულ სამუშაოზე გადასვლას გეგმავდა. თურმე ბევრჯერ ჰქონია ნათქვამი მეგობრებისთვის, იარაღს ცოცხალი თავით არავის დავანებებო. ბევრჯერ შეკამათებულან ამ საკითხზე. სხვებისთვის გამოუვალ სიტუაციაში იარაღის დაყრა კეთილგონიერი ქმედება იქნებოდა, მაგრამ არა ინნკირველისთვის. კოტე ცინცაძის განმარტებით, სტეპკოს „...სიკვდილის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ მას თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რა პირობებშიაც არ უნდა ჩავარდნილიყო, წინააღმდეგობა გაეწია. მას რომ წინააღმდეგობა არ გაეწია, ის ალბათ, დღესაც ცოცხალი იქნებოდა: ციხიდან შეიძლებოდა მისი განთავისუფლება, ანდა სასჯელის მოხდა, რადგან ის ძლიერ ახალგაზრდა იყო“[351].

იმ დღეს პოლიციელები ბინაში ისე შევიდნენ, ტერორისტებმა ვერც კი შეამჩნიეს – სტეპკო და თომა ჩაის სვამდნენ. პოლიციელებმა მათ პასპორტები მოსთხოვეს. სტეპკო ვითომდა პასპორტის ასაღებად ადგა და განჯინისაკენ გაქანდა, სადაც რევოლვერი ჰქონდა შენახული. ამოიღო რევოლვერი და ორი პოლიციელი მოკლა. ამასობაში პოლიციელებმა თომას თავში იარაღი ჩაარტყეს და უკვე მოსაზღვრე ოთახიდან ინნკირველს ტყვიები დაუშინეს. სტეპკოს დის, მინიკას ცნობით, ის ვინმე ვალოდია ესაძემ მოკლა. „...მიცვალებულს გადაართვენ სურათი (ფოტო – ი. მ., ლ. ხ.) ისე დამახინჯებულად და დაასაფლავეს ბაქოში ახალ საზოგადო სასაფლაოზე“[352]. მძიმედ დაჭრილი თომა ჩუბინიძე ბაილოვის ციხეში მოათავსეს, იარაღის მთელი სა-

---

350 ზ. გურული, მოგონება, 2005 წ., გვ. 12-13.

351 „რევოლუციის მატიანე“, გვ. 113.

352 „რევოლუციის მატიანე“, 1923 წ., №1, 2, გვ. 175.

* გურიაში ინნკირველის პატივსაცემად ხალხური ლექსი შეიქმნა:
ვინც საქმე ჰქმნა საკვირველი,
მოვიგონოთ ის პირველი.
ბრძოლის ცეცხლში დაფერფლილი
ჩვენი სტეპკო ინნკირველი.
მოგიზგიზე და უმანკო
გული დანვა, როგორც დანკომ,
მტარვალებმა როცა მოკლეს,
დაიკვნესა მთელმა ბაქომ.
ც. ნიკოლაიშვილი, შ. თავართქილაძე, სოფელი ბახვი, 2003 წ., გვ. 168.

ნყობი კი პოლიციას ჩაუვარდა ხელში.

ამ ამბებმა ძალზე დამთრგუნველად იმოქმედა ჯგუფის წევრებზე: თეოფილე კაკრიაშვილმა აიჩემა, სტეპკოს დაღუპისთვის ბაქოს პოლიციაზე შური უნდა ვიძიოო, მას აჰყვნენ აკაკი დალაქიშვილი და ვანო შიშმანოვი. მიუხედავად ამხანაგების შეგონებისა და თხოვნისა, მათ დაარღვიეს დისციპლინა და ჯგუფიდან წავიდნენ. ნასულებს არც ფული მისცეს და არც იარაღი. მათ იარაღი იშოვეს და ფულის საშოვნელად ვიღაც „არტელჩიკს" დაესხნენ თავს. ურთიერთსროლის დროს კაკრიაშვილი დაჭრეს და დაიჭირეს, ერთ კვირაში გაასამართლეს და ჩამოახრჩვეს.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ (ბაქოში მხოლოდ ხუთი კაცი დარჩა), 1908 წლის ზაფხულში, თომა ჩუბინიძის ციხიდან გამოსახსნელი თანხის მოპოვების მიზნით „ბოევაია დრუჟინამ" თბილის-მანგლისის ფოსტაზე მოაწყო თავდასხმა. ოთხცხენიან ფოსტის ეტლს სამი ყუმბარა ესროლეს. აფეთქების ძალამ ცხენები და მცველები ხრამში გადააგდო. ცხენოსანი ჩაფრები გაიფანტნენ და ხრამიდან დაუნყეს თავდამსხმელებს სროლა, თუმცა სროლა დიდხანს არ გაგრძელებულა – ერთი ჩაფარი მოკვდა, დანარჩენებმა იარაღი დაყარეს. ნადავლი 21 000 მანეთი იყო. ძარცვის შემდეგ თავდამსხმელები ფულით ხელში ოქროყანის ფერდობებით ფუნიკულიორისაკენ გაემართნენ. მათ წამოენიათ მანევრებზე მიმავალი კაზაკთა ასეული, ატყდა სროლა, მოკლეს კოლია ბრეგვაძე, რომელიც ავად იყო და აღმართში სირბილი ვერ შეძლო[353] და დაჭრეს დათიკო ჭიაბრიშვილი, რომელიც უგონო მდგომარეობაში ეგდო ფუნიკულიორის ერთ ხევში და პოლიციამ იქ მიაგნო.

კოჯრის გზაზე ძარცვიდან წამოღებული ფულიდან 10 000 მანეთი ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის სახელზე გადაეცა შაუმიანს, დანარჩენი თომა ჩუბინიძის ბაილოვის ციხიდან გამოპარვის ორგანიზაციას მოხმარდა. ამავე ციხეში იმავე დროს იჯდა კობა-სტალინი. მის გამოხსნაზე არავის უფიქრია უბრალო მიზეზის გამო: თომას სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა, კობას კი – ციმბირში გადასახლება, საიდანაც გამოპარვა მაინცდამაინც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. თომას ციხიდან გამოხსნის ამბავი, ამ კრიმინალური დრამის თითოეული დეტალი უდიდესი რისკის შემცველი და იმავდროულად უაღრესად გამომგონებლური მოქმედებებით ხასიათდება. ჯერ ამოარჩიეს თომას საკნის ზედამხედველი, ვინმე ილია, რომელსაც კოტე ცინცაძე სახლში ესტუმრა და პირდაპირ გამოუტყდა საუბარში, რომ ბოლშევიკი იყო და თანაპარტიელი მეგობრის გამოხსნას გეგმავდა. მეორეჯერ ილიასთან ბუდუ მდივანი მიიყვანა. ბუდუმ თავისი მჭევრმეტყველებით ზედამხედველი თომას განთავისუფლების სურვილით აანთო. რამდენიმე კვირის შემდეგ ილიას ეს საქმე თავის საქმედ მიაჩნდა.

საჭირო იყო ისეთი გეგმის შედგენა, რომ გაქცევა ილიას მორიგეობის დროს მომხდარიყო. ფორმალურად ისე უნდა მოეწყოთ, თითქოს გაქცევა შემცველი ზედამხედველის მორიგეობის დროს მოხდა („ის მეორე მორიგე ყოვლად საძაგელი ადამიანი იყო, პატიმრებს სასტიკად ეპყრობოდაო", – წერს ცინცაძე).

ციხეში ყოველ დილით პატიმრებს თვლიდნენ. ყოველი გადათვლის დროს, გეგმის მიხედვით, თომა საპირფარეშოში უნდა მჯდარიყო. კუჭი მართლა აშლილი რომ

---

353 ბრეგვაძე ანარქისტების პარტიის წევრი იყო და „ბოევაია დრუჟინაში" შესვლა სურდა. იმ დროს სოციალ-დემოკრატებმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ქუთაისის ციხის უფროსს აბშილავას. ბრეგვაძეს „...ასეთი პირობა დავუდეთ: თუ მიიღებდა და აღიარებდა ბალშევიკურ იდეას და თან აბშილავას მოკლავდა, ჯგუფში მიეიღებდით", – წერდა ცინცაძე. ორშაბათობით აბშილავა გუბერნატორთან დადიოდა მოხსენების გასაკეთებლად. მას დაუდარაჯდნენ, „შეუხტენ ეტლში, მოჰკლეს აბშილავა, ორი მცველი სასიკვდილოთ დასჭრეს (აგრეთვე დაიჭრა ქუჩაში მიმავალი ბავშვი – ი.მ., ლ. ხ.) და მიიმალენ უგზო-უკელოდ". „რევოლუციის მატიანე", გვ. 112.

ჰქონოდა, ის მთელი ერთი თვის განმავლობაში საფაღარათო წამალს სვამდა. ციხის ადმინისტრაცია ისე შეეჩვია თომას საპირფარეშოში ყოფნას, რომ გადათვლის დროს საპირფარეშოს გაუსინჯავად ინიშნავდნენ მის ციხეში ყოფნას. საჭირო იყო ბორკილების გადახერხვა. ეს პატიმარმა ილიას მორიგეობის დღეს მოახერხა. გადახერხილი რგოლი ხელოვნურით შეცვალეს, ისე, რომ თვალით არაფერი ეტყობოდა. ასევე აუცილებელი იყო თომას საკანში ჩასმული ჯაშუშის მოკვლა. ზედამხედველის მიერ შეტანილი სტრიქნინი ჯაშუშს ლიმონათში ჩაუყარეს. მართალია, ის არ მოკვდა, მაგრამ სამი დღე კომაში იმყოფებოდა, რაც სრულიად საკმარისი იყო გეგმის განსახორციელებლად.

გაქცევის სხვა დეტალები და კონსპირაციული ბინის მისამართი პატიმარს კოტემ პირადად მიაწოდა. ის ციხეში დაუკავშირდა ქართველ ბოლშევიკს, „პოლიტიკურების" მამასახლისს, რომელსაც ციხის ყოველ კუთხეში მისვლის საშუალება ჰქონდა. კოტემ ამ მამასახლისის ნათესავად გაასაღა თავი და მას ციხეში ესტუმრა. შეხვედრა მოეწყო დერეფანში, სადაც თომას უნდა გაევლო. მამასახლისმა კოტე დერეფანში მიმავალ თომას „წარუდგინა" და კონსპირატორებმა ამ შეხვედრისას გაქცევის დეტალები დააზუსტეს.

გაქცევის ღამეს ილიამ ციხის ალაყაფთან პოსტზე დაყენებული გოროდოვოი არყის საყიდლად გააგზავნა. ამის შემდეგ ილიას მიერ მიცემული ზედამხედველის ფორმაში გამონყობილი თომა, რომელმაც მანამდე ბორკილები მოიშორა, დაუბრკოლებლად გავიდა ციხიდან და მეორე დღეს უკვე ბაკურიანში იყო.

მეორე დილას პატიმრების გადათვლის დროს თომა კვლავ არ აღმოჩნდა საკანში. მეორე ზედამხედველმა და ციხის უფროსის თანაშემწემ ჩათვალეს, რომ ის, როგორც ყოველთვის, საპირფარეშოში იყო და ილიამ მორიგეობა გადააბარა. ციხის ადმინისტრაციისთვის ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, როგორ გაიქცა თომა ციხიდან.

1909 წელს, თომას გამოპარების შემდეგ, კოტე, ბაჭუა, იგივე თომა და ამბაკო სამანიშვილი ბაქოში ბრუნდებიან (ჯგუფის სხვა წევრები საქართველოში არიან), აქტიურად იწყებენ სხვადასხვა ტერორისტული გეგმის შემუშავებას, მათ შორის საფოსტო გემის ხელში ჩაგდებას. შაუმიანი, ბუდუ მდივანი, ალიოშა ჯაფარიძე – ბაქოს ბოლშევიკური ცენტრის სხვა ხელძღვანელობა „ძალიან გვეხმარებოდა ამ გეგმის განხორციელებაში", – წერდა ბაჭუა. აქედან არაფერი გამოვიდა და „ოთხეულმა" მალე ბაქო დატოვა.

მთელი ჯგუფმა საქართველოში გააგრძელა „პარტიული მუშაობა". დათიკო ჭიაბრიშვილის მეტეხის ციხიდან გაქცევის მონყობის პროცესში პოლიციამ ვერაზე საიდუმლო ბინა აღმოაჩინა და დაიჭირა ვანო კალანდაძე, ილიკო ჭაჭიაშვილი და ელისე ლომინაძე, რომელიც გერმანე მგალობლიშვილის პასპორტს ატარებდა. ამ გვარ-სახელით მიუსაჯეს მას კატორღა. იმავე ზაფხულში ბაქოში დააპატიმრეს ისმაილა ჭუმბურიძე, რომელიც შემდეგ კოლია ლორთქიფანიძესთან და მერკვილაძის სხვა რაზმელებთან ერთად ქუთაისის ციხეში ჩამოახრჩვეს. 1908 წლის დამლევს ჯგუფის უმრავლესობა განაგურებულ იქნა. დარჩნენ ბაჭუა კუპრაშვილი, კოტე ცინცაძე, თომა ჩუბინიძე და ამბაკო სამანიშვილი. ორ უკანასკნელს ჩამოხრჩობა ჰქონდა მისჯილი, ციხიდან იყვნენ გაქცეულები, ამიტომ მათი რაიმე საქმეში მონანილეობა ძალზე საშიში იყო. ქალებიდან ანეტა სულაქველიძე და ფაცია გალდავა ჭლექით იყვნენ დაავადებული.

გადანყდა გორის ხაზინის ქვეშ ხვრელის გაყვანა, მაგრამ ამ დროს ბაჭუა დაიჭირეს. ხვრელის გაყვანა მაინც დაამთავრეს, თუმცა საქმე გასკდა და ყველა მონაწილე დააპატიმრეს. ბაჭუა ჩელიაბინსკში გადაასახლეს. მან მოახერხა იქიდან გამოქცევა. გორში ჩავარდნის შედეგად დაჭერილ ამხანაგებს ბაჭუა, კოტე და ამბაკო სამანიშ-

ვილი ეხმარებოდნენ. ამასობაში ილიკო ჭაჭიაშვილი მეტეხის ციხეში გარადიცვალა. ელისე ლომინაძე, ვანო კალანდაძე და დათიკო ჭიაბრიშვილი კატორღაში გაგზავნეს. ვანო კალანდაძემ სარატოვის ციხეში დალია სული. ელისე ლომინაძე კატორღის და გადასახლების მოხდის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა და მალე გარდაიცვალა. თომა ჩუბინიძე და მარო ბოჭორიძე გორის ხაზინის გაძარცვის მცდელობის გამო გამოძიებაში იმყოფებოდნენ. ამავე დროს საზღვარგარეთიდან ჩამოიყვანეს კამო, რომელიც თავს გიუად ასაღებდა[354].

1911 წელს მარტოდ დარჩენილმა კოტემ ბუდუ მდივანის და კამოს დების დახმარებით მოაწყო კამოს ფსიქიტრიული საავადმყოფოდან გაქცევა. სცენარი ბაილოვის ციხიდან გაქცევის მსგავსი იყო – კოტემ მოისყიდა და „რევოლუციურ რელსებზე" გადმოიყვანა საავადმყოფოს დარაჯი, გვარად ბრაგინი. ამ დარაჯის საშუალებით კამოს ქლიბი შეუგზავნეს. დათქმულ დღეს კამომ ბორკილები და სარკმლის გისოსები გადახერხა, საავადმყოფოს დარაჯები წინასწარ შეგზავნილი მორფით გაჟღენთილი „პერამკებით" იყვნენ მონამლული. თუმცა დოზა პატარა გამოდგა და არ დაეძინათ, მაგრამ კამო მაინც „გამოეპარათ": მან საავადმყოფოს სარკმლიდან თოკით მოახერხა მიწაზე ჩამოცოცება. რამდენიმე დღის შემდეგ ის საზღვარგარეთ გაიქცა.

ჯგუფის ბოლო ტერორისტული აქტი 1912 წელს შედგა. ამ დროს საზღვარგარეთიდან კამო დაბრუნდა სპარსეთის რევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელ გიგო მათიაშვილთან ერთად. თან ჩამოიტანეს იარაღი. გადაწყდა „რაიმე პატარა „ექსის" გაკეთება" კატორღაში მყოფი ამხანაგების მისაშველებლად. თავდასხმა მოაწყვეს ფოსტის ტრანსპორტზე კოჯრის გზაზე, მაგრამ ფული ვერ ნაიღეს. ფოსტის გამცილებელმა ბადრაგმა წინააღმდეგობა გაუწიათ და თავდამსხმელები ხელცარიელები უკუიქცნენ.

სანამ მეორე საქმეს გაჩარხავდნენ, პოლიციამ თბილისში მათიაშვილი და კამო დაიჭირა, ქუთაისში კი – ბაჭუა, რომელიც ქუთაისის ციხიდან გაქცეული ამბაკო სამანიშვილის დასახმარებლად იყო ჩასული. „მაგრამ სანამ მე მასთან ჩავიდოდი, პროკურორ კვიმსაძეს გადაყროდა და მისი წყალობით ორივე დაგვიჭირეს, თან მიგვაყოლეს ვასიკო ნივნივაძე".

ბაჭუა კუპრაშვილს, კამოს, გიგო მათიაშვილს და მარტია დოლაძეს სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა, მაგრამ რომანოვების გამეფების სამასი წლის აღსანიშნავად ჩამოხრჩობა 20-წლიანი კატორღით შეუცვალეს. კატორღაში დაიღუპნენ დათიკო ჭიაბრიშვილი, გიგო ბათიაშვილი, ილიკო ჭაჭიაშვილი. ამბაკო სამანიშვილი სასამართლოდან გაქცევის დროს მოკლეს. ფაცია გალდავა 1914 წელს მოსკოვში ჭლექით გარდაიცვალა. 1917 წლის რევოლუციამ ციხეებიდან გათავისუფლა ბაჭუა კუპრაშვილი, კამო, მარო ბოჭორიძე, კოტე ცინცაძე. თომა ჩუბინიძე 1919 წელს დუშეთის მაზრაში ბოლშევიკური აჯანყების დროს მენშევიკებმა მოკლეს. არკადი ელბაქიძე 1919 წელს დენიკინის წარმომადგენელზე, გენერალ ბარათოვზე, თავდასხმისას დაიღუპა[355]. 1921 წელს აკაკი დალაქიშვილი შემთხვევითმა ტყვიამ იმსხვერპლა. ვანო შიშმანოვი 1921 წელს ჭლექისაგან გარდაიცვალა. 1922 წელს ელბაქიძის აღმართზე, დღემდე საიდუმლო ვითარებაში, ველოსიპედით მიმავალ კამოს მანქანა დაეჯახა და მოკლა. 1928 წელს კოტე ცინცაძე ჯგუფის შემქმნელმა და მეთაურმა

---

[354] საინტერესოა, რომ იმ ექიმთა საექსპერტო ჯგუფში, რომელსაც უნდა გამოეკვლია, მართლა შეურაცხადი იყო თუ არა კამო, დუშეთის ხაზინის გამტაცებლის იოსებ გედევანიშვილის ძმა იყო შესული.

[355] გენერალი ბარათოვი დენიკინის არმიისათვის მოხალისე ოფიცრებს აგროვებდა.

სტალინმა განჯაში გადაასახლა, სადაც ის ორი წლის მერე გარდაიცვალა[356]. მარო ბოჭორიძე 1930 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა, ბაჭუა კუპრაშვილი კი 1937 წელს დახვრიტეს. იმავე წელს დახვრიტეს ბუდუ მდივანი მთელი თავისი ოჯახით. 1938 წელს დახვრიტეს ბარონ ბიბინეიშვილი.

ასე დასრულდა ამ გამორჩეული და ღირსშესანიშნავი ტერორისტული ჯგუფისა და მისი ნევრების ისტორია. „...სანამ ერთი კაცი მაინც იყო გარეთ, იარაღი არ დაგვიყრია", – ამთავრებს ბაჭუა კუპრაშვილი თავის მოგონებებს...

---

356 საინტერესოა ცინცაძის ბედი. 1921-22 წლებში, საბჭოთა საქართველოს ჩეკას თავმჯდომარედ ყოფნისას, ის დაუკავშირდა ლევ ტროცკის, რომელიც ექვსი თვე თბილისში „დასასვენებლად" იმყოფებოდა. მათი მჭიდრო ურთიერთობა არ შეწყვეტილა კოტეს გადასახლების („უკლონიზმის" ბრალდებით) შემდეგაც. ტროცკის არქივებში შემონახულია მათი მიმოწერა, სადაც კოტე „ძვირფას ლევ დავიდიჩს" შესჩივის, როგორ „გაყიდეს" ზოგიერთებმა პარტიულ ბილეთებზე ბოლშევიკური იდეალები, ლენინის მოძღვრება და ა. შ. ამავე წერილებიდან ვიგებთ, რომ ტუბერკულოზით დაავადებულმა კოტემ იცის, რომ მალე მოკვდება, მაგრამ იმედს იტოვებს, რომ მომავალი თაობები დაინახავენ ნამდვილი ბოლშევიკების სიმართლეს (ასეთად თავის თავს და ტროცკის ჯგუფს მიიჩნევს) პარტიის „ოპორტუნისტული ფრთის ბიუროკრატიული მანქანის" წინააღმდეგ. თავის მხრივ, ტროცკიმ კოტეს სიკვდილს ვრცელი წერილი მიუძღვნა, სადაც მას „ძველი ბოლშევიზმის ყველაზე უფრო მიმზიდველი ფიგურა" და „ნაზი ტერორისტი" უწოდა. www.1917.com/Marxism/Trotsky/BO/BO_No.../Main.html

ეპილოგი

„წაღმა-უკუღმა“ გადახნული საქართველო, ანუ „წითელი“ ტერორი

მეფის მთავრობის მეცადინეობით 1910-იანი წლებიდან პოლიტიკური ტერაქტებისა და ექსპროპრიაციების სიხშირე საგრძნობლად შემცირდა (ერთ-ერთი უკანასკნელი, ყველაზე გახმაურებული ტერაქტი, 1911 წლის სექტემბერში ანარქისტ-კომუნისტის მიერ სტოლიპინის მკვლელობა იყო), თუმცა სისხლის სამართლის დანაშაულებები ისევ მრავლად ხდებოდა, რაზეც იმდროინდელი პრესაც მეტყველებს. 1917 წლიდან ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რუსეთში ტერორისტული აქტივობა, შეიძლება ითქვას, მთლიანად ამოიძირკვა, რადგან თვით ახალი სისტემა იყო დამყარებული ტერორსა და ძალადობაზე. „მარქსიზმმა და ლენინის მიერ განვითარებულმა ნეჩაევურმა სტრუქტურამ სიკვდილი შემოიტანა ჩვენს სამყაროში... 1917 წელს რუსეთში მოხდა კოლექტიური თვითმკვლელობა საზოგადოებისა და სახელმწიფოში (1921 წელს იგივე მოახდინეს ჩვენთანაც)“, – წერდა მერაბ მამარდაშვილი[357]. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა წესწყობილება დამყარდა. სამი წლის განმავლობაში საქართველოში ძალაუფლება მენშევიკების ხელში იყო, მაგრამ უმეცარი და წინდაუხედავი პოლიტიკის გამო მათ ყველაფერი დაკარგეს და მართვის სადავეები ბოლშევიკებს დაუთმეს. „ამ ხანაშიც (იგულისხმება 1921 წელი – ი. მ., ლ. ხ.) ქართველი ხალხის ნაწილ ფენებში ჯერ არ გამქრალიყო რუსოფილური ტენდენციები და რუსთან შეტაკებაში მისმა ხელმძღვანელმა წრეებმა ღირსეული ბრძოლა ვერ აწარმოეს.“[358] თავისი პოლიტიკით, სულისკვეთებით და მსოფლმხედველობით (დამოუკიდებლობის დასაწყისში მაინც) ჟორდანიას მთავრობა (ქვეცნობიერად) მიმართული იყო ჩრდილოეთისაკენ, მოსკოვისაკენ და არა დასავლეთისკენ, ევროპისაკენ. ალბათ, არის ჭეშმარიტების მარცვალი ცნობილი ტერორისტის, ვანო ალიხანაშვილის სიტყვებში, როცა ის ამბობდა, რომ „...ჩვენებური ხალხების და განსაკუთრებით ქართველების ბუნებაზე და ფსიქოლოგიაზე ზედგამოჭრილია ბოლშევიკური მუშაობა და ყალყზე შემდგარი იარაღით ხელში რევოლუციონური ბრძოლა“[359]. და სწორედ „ყალყზე შემდგარმა“ ქართველმა და რუსმა ბოლშევიკებმა საქართველოს დაპყრობისას (ასევე მომდევნო წლებშიც) ცარიზმთან ბრძოლისას შეთვისებული ტერორისტული უნარ-ჩვევების წყალობით იმდენი სისხლი დაღვარეს, რასაც მხოლოდ საქართველოს ყველაზე სასტიკი დამპყრობელი დაიკვეხნიდა (სტალინისა და ბოლშევიკებისათვის დითირამბების მგალობელი ალიხანაშვილი კომუნისტებმა 1937 წელს საიქიოს გზას გაუყენეს). ამ ქმედებებს ბოლშევიკები კონტრევოლუციური ძალების საწინააღმდეგო აუცილებელი ზომებით ამართლებდნენ.

---

[357] მ. მამარდაშვილი, 2007 წ., გვ. 112.

[358] ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, 1989 წ., გვ. 10.

[359] ვანო ალიხანაშვილი, შსსსს ფონდი 93, აღწერილობა 2, საქმე 1153, გვ. 2.

ბოლშევიკების ძალადობამ და ე. წ. „წითელმა“ ტერორმა სისტემური და გეგმიური ხასიათი მიიღო. ტერორი იქცა საბჭოთა ხელისუფლების მთავარ იარაღად ადამიანთა განადგურების, დამონების, დამცირებისა და ღირსების აყრის საქმეში.

„წითელი“ ტერორი რუსეთში 1918 წელს დაიწყო. საბაბად გამოყენებული იყო 30 აგვისტოს პეტროგრადის ჩეკას უფროსის ურიცკის მკვლელობა და იმავე წელს ლენინზე მომხდარი თავდასხმა. რეპრესია ყველა „კონტრევოლუციურ“ ძალას შეეხო. ჩეკას ხელ-ფეხი გაუხსნეს და ნება მისცეს, პირადი შეხედულებისამებრ ემოქმედა და იმდენი მძევალი აეყვანა, რამდენიც საქმისთვის იყო საჭირო. პირველი 500 მძევალი უკვე ოქტომბერში იყო დახვრეტილი და ამით დაიწყო საყოველთაო „წითელი“ ტერორი, რომლის ვირუსი შემდეგ მთელ ყოფილ იმპერიას მოედო.

1921 წელს ირაკლი წერეთელი სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტებს სწერდა: „...მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრეს, დაიწყო საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო ძალების ფიზიკური განადგურება. ქართველი მებრძოლების გადარჩენის ერთადერთი საშუალება ეს ევროპული პროლეტარიატის ჩარევაა. ნუთუ ევროპის პროლეტარიატი დაუშვებს, რომ ათასობით მისი ამხანაგი, თავისუფლებისთვის და სოციალიზმისთვის სიცოცხლეს მსხვერპლად რომ სწირავდა, სასტიკი დამპყრობლის ხელიდან დაიღუპოს?“ ევროპის პროლეტარიატმა ყურიც არ შეიბერტყა. როცა გლობალურ ინტერესზეა საუბარი, იქ პატარა ქვეყანა და ერი, როგორც კოზაკი აქლემებს შორის, ისე იჭყლიტება. საბჭოთა რუსეთი იმდროინდელი მსოფლიო სიტუაციიდან გამომდინარე ხედავდა, რომ „სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია“ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მძაფრი რეაგირებისა და გართულებების გარეშე ჩაივლიდა, რაც გამართლდა კიდეც. სხვადასხვა წყაროების მიხედვით ლენინი[360] საქართველოსთან მიმართებაში თითქოს უფრო მოქნილ და შემრიგებლურ პოლიტიკას უჭერდა მხარს, თუმცა, თუ გავიხსენებთ ლენინის მიერ წარმოთქმულ სიტყვას 1921 წლის 28 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების მესამე დღეს, სადაც ის ამბობდა, რომ თურმე ქართველი კაპიტალისტები შარს ეძებდნენ, რათა საომარი მოქმედება დაეწყოთ და საჭირო იყო კავკასიაში აღმოცენებული ხანძრის ჩაქრობა[361], და ასევე გავიხსენებთ სტალინის დეპეშას ორჯონიკიძისადმი: დასტურია ქალაქი აიღე, ყველაფერს ნათელი ეფინება. ვინ მისცემდა ამ დასტურს სტალინს? რა თქმა უნდა, ბოლშევიკური ცკ-ს მაღალი ეშელონები და საკუთრივ ლენინი. თვითონ სტალინი საკუთარ მომხრეებთან ერთად ძალ-ღონეს არ იშურებდა საქართველოს დასაპყრობად – „მას არ სურდა იმის დაშვებაც კი, რომ მისი სამშობლო რუსეთის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ყოფილიყო...“[362]

თუ ვინმეს ეგონა, რომ საქართველო რუსების შემოსვლის შემდეგ ისევ დამოუკიდებელ, თუმცა წითელ რესპუბლიკად დარჩებოდა, ძლიერ შეცდა. საქართველოს გასაბჭოების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ამავე დროს, საქართველოს ავტონომიის მომხრე საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში, ფილიპე მახარაძე 1921

---

360 ლენინის საინტერესო დახასიათებას იძლევა გერონტი ქიქოძე, როცა ამბობს: „...აღმოჩნდა, რომ ევროპიული კულტურის ელემენტები შედარებით ცოტაა რუსულ სოციალიზმში... პლეხანოვმა და ლენინმა ერთი და იგივე მისტიური სლავიანოფილური სული გამოაშკარავეს, მხოლოდ პირველმა ამ სულს უფრო იმპერიალისტურ-ლიბერალური გამოხატულება მისცა, მეორემ უფრო იაკობინურ-კომუნისტური. არსებითად ორივენი რუსეთის გაფართოებისათვის ოცნებობენ. მხოლოდ პლეხანოვს უცხო ტერიტორიების ანექსია სწყურია, ლენინს კი უცხო იდეების და სულიერი კულტურის განადგურება“. გ. ქიქოძე, ეროვნული ენერგია, 1919 წ., გვ. 111.

361 ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, 1991 წ., გვ. 7.

362 სტალინი ისტორიასა და ისტორიკოსთა შეფასებებში, 2002 წ., გვ. 6.

წლის 6 დეკემბერს ლენინს სწერდა: „...საქართველოში წითელი ჯარის შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ მიიღო დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობას; ...საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მომენტში საქართველოში არ აღმოჩნდა არც პარტიული უჯრედი, არც უბრალო პარტიის ცალკეული წევრები, რომელთაც შეეძლებოდათ ხელისუფლების ორგანიზაცია. ნათელია, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს უმეტეს შემთხვევაში საეჭვო ან პირდაპირ დამნაშავე ელემენტებმა..." საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთის კომპარტიის ცკ-ს კავკასიის ბიურო და მე-11 არმიის ხელმძღვანელობა (თურმე წითელმა არმიამ იხსნა ქვეყანა ევროპელი კაპიტალისტების ბატონობისაგან და ის წარმოადგენდა „პროლეტარული ხელისუფლებისა და თავისუფლების დამცველს," – წერდა გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი კლარა ცეტკინი[363], რომელმაც 1924 წლის აჯანყების შემდეგ საქართველოში იმოგზაურა და საკუთარი შთაბეჭდილებები აღწერა წიგნში „Кавказ в огне") ფაქტობრივად არაფერს ეკითხებოდა საქართველოს ცკ-ს და საქართველოს რევკომს, რომელსაც ფილიპე მახარაძე თავმჯდომარეობდა. „...ამგვარად დედა-აზრი ამ ცვლილებათა, რომელიც მოხდა აქ თებერვლის შემდეგ, – ამბობდა 1924 წლის აჯანყების სასამართლო პროცესზე „დამოუკიდებლობის კომიტეტის" წევრი იასონ ჯავახიშვილი, – ფაქტიურად მდგომარეობს არა ხელისუფლების შეცვლაში (ქართველი მენშევიკებისა ქართველ კომუნისტებზე), რასაც ჩვენთვის მეორე ხარისხოვანი ხასიათი აქვს, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობაში. ამ გარემოებამ თვით ქართველი კომუნისტების რიგებში გამოიწვია გადახრები, ე. წ. „უკლონიზმი", ქართველი ერი კი აიძულა დასდგომოდა აჯანყების გზას"[364].

მაგრამ არათუ ბოლშევიკები, ქართველი მენშევიკებიც ისე იყვნენ დაბრამავებული (ან მიძინებული) მომძე რუსული სოციალ-დემოკრატიის ნათებით, რომ ვერ ჭვრეტდნენ რუსეთთან მოსალოდნელი ომის საფრთხეს, ბევრი მათგანი კი რუსების შემოსვლაში ვერანაირ საშიშროებას ვერ ხედავდა: „რა გააჭირეთ საქმე, ერთი სოციალისტური პარტია მოდის, მეორე მიდისო," – ამბობდნენ ისინი.[365] საბჭოთა რუსეთი საქართველოს „გაშვებას" არსად რომ არ აპირებდა, ამის კარგი დასტურია გრიშა ურატაძის მოგონება (სხვა უფრო მნიშვნელოვანი არგუმენტები რომ არ მოვიშველიოთ). ის, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი, რუსეთში მოლაპარაკებებზე 1920 წლის აპრილში ჩავიდა და სტალინს

---

363 К. Цеткин. Кавказ в огне, 1926 б., გვ. 196

364 ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, 1989 ნ., გვ. 10-11. რაც შეეხება „უკლონიზმს" – კოტე ცინცაძე და ბუდუ მდივანი, რომლებიც საქართველოს დაპყრობის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდნენ, ეროვნული ინტერესების დაცვის საბაბით ართუ დაკავებული თანამდებობიდან გადააყენეს, არამედ პირველი მალევე დაიჭირეს და გადაასახლეს, მეორე კი 1937 ნელს დახვრიტეს. ორივეს „გამოაშკარავებაში" წამყვანი როლი ითამაშა სერგო ორჯონიკიძემ, რომელიც ცდილობდა საქართველოს, როგორც ერთ ავტონომიურ ოლქად, შეყვანას რუსეთის შემადგენლობაში. როგორც ირკვევა, „უკლონისტები" ქართული ინტერესების გატარებას ცდილობდნენ: სურდათ ქართული ფული მოეჭრათ, ყოფილიყვნენ დამოუკიდებელნი (ან ნახევრად დამოუკიდებელნი) საგარეო ურთიერთობებში, ქართული კულტურული ფასეულობების შენახვასა და გადარჩენაში. ანუ, ფაქტობრივად, სოციალ-ფედერალისტების იდეები განეხორციელებინათ. ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ე. წ. „უკლონისტების" დამსახურებაცაა ის, რომ საქართველო რესპუბლიკის სახით შეუერთდა რუსეთს და არა ავტონომიის სახით, რაც სტალინს და ორჯონიკიძეს სურდათ. ასევე ირკვევა, რომ ისინი ხშირად „ამლაშებდნენ" – ცდილობდნენ, შემოელოთ კანონი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობას ჩამოართმევდა ქართველს, რომელიც „არაქართველზე" დაქორწინდებოდა...

365 რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, დაბრუნება, ტ. 3, 1992 ნ., გვ. 351.

შეხვდა. ძველი ამბანაგების შეხვედრა ძალზე ცივი გამოდგა. ურატაძე სტალინის კაბინეტში იჯდა, როცა იქ კამენევი შემოვიდა. ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ, გადაკოცნეს და კამენევმა მას უთხრა: „Ах вы, грузинские белогвардейцы! Вы хотите уйти от нас и один есть шашлыки и пить кахетинское вино! Шалишь, брат, не так легко! Мы вас не так легко выпустим...“ [366] ვითომ ხუმრობით ნათქვამ ამ სიტყვებში დამოუკიდებელი საქართველოს ქართველი დიპლომატი სიმართლეს მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ აღმოაჩენს.

საქართველოს მთავრობამ თავის დროზე სრული უუნარობა გამოიჩინა, არ შექმნა ბრძოლისუნარიანი არმია, პირიქით, მთელი ყურადღება გვარდიაზე, საკუთარი პარტიის დამცველზე გადაიტანა. როცა ქართველებმა დახმარებისთვის ფრანგებს მიმართეს, ერთ მაღალჩინოსან ფრანგს უთქვამს: – რატომ უნდა ვაბრძოლო ჩვენი ფრანგი ჯარისკაცები და ვაღვრევინო ფრანგული სისხლი, როდესაც თქვენს მთავრობას, რომელსაც შეეძლო 200 000 ქართველი მეომარი გამოეყვანა, მისი ერთი მეოთხედიც არ გამოუყვანია თავისი სამშობლოს დასაცავადო[367]. რუსეთი ადრე თუ გვიან სრულ იზოლაციაში მოქცეულ საქართველოს მაინც დაიპყრობდა, ძალთა შეფარდება განსხვავებული იყო, მაგრამ, ალბათ, არა ისე სამარცხვინოდ, როგორც 1921 წელს მოხდა. ის, რაც საქართველოს დაატყდა თავს, დიდწილად მენშევიკების „დამსახურება“ იყო. „1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატია, რომელიც ს.-დ.-ის (სოციალ-დემოკრატების) დიქტატურის, ე. ი. მემარჯვენე ფრთის მარქსიზმის, ფორმა იყო, ნარმოადგენდა საქართველოში საბჭოთა დიქტატურის გამარჯვების მოსამზადებელ პერიოდს“, – აღნიშნავდა ცნობილი ისტორიკოსი და იურისტი ზურაბ ავალიშვილი[368]. მენშევიკებმა უზარმაზარი ტერორისტული მანქანის ანაბარა მიატოვეს საქართველოს დაუცველი მოსახლეობა, თვითონ კი საზღვარგარეთ გადაბარგდნენ.

საეართველო მკაცრი და დაუნდობელი დიქტატურის ქვეშ მოექცა და კულტურულ ავტონომიურ ერთეულად, რუსეთის განაპირა გუბერნიად გადაიქცა, როგორც ეს მეფის ხელისუფლების დროს იყო. ისევ და ისევ ადგილი ჰქონდა აგდებულ დამოკიდებულებას ქართველი ხალხის ეროვნულ და კულტურულ ტრადიციებთან, მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, რომელიც თბილისის თავზე წითელი დროშის ამფრიალებელს სერგო ორჯონიკიძეს კონტრრევოლუციის მთავარ ბუდედ მიაჩნდა.

ის, რასაც ნლების მანძილზე მეფის რუსეთი ცდილობდა, გაეკეთებინა ქართული ეკლესიის მიმართ, აღმატებულ ხარისხში განახორციელეს ქართველმა კომუნისტებმა რუსი მენტორების დახმარებით. ეს იყო ნამდვილი ბარბაროსული შეტევა ქართული ეკლესიის ნინააღმდეგ, რომელიც ისტორიულად ქართველი ადამიანისთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ სალოცავი ადგილი. წმინდა შენობებს ანგრევდნენ, მათ სოფლის კლუბებად, სანყობებად და თავლებად აქცევდნენ. მხოლოდ 1922-23 ნლებში საქართველოში 1500 ეკლესია დაანგრიეს. ერთ ღამეს გურიაში თავს დაესხნენ მღვდლებს და ყველანი გაკრიჭეს, ზოგიერთი სიცოცხლესაც გამოასალმეს (სამღვდელოების ნარმომადგენლებს ამგვარად მარტო რუსები და ბოლშევიკები როდი ეეცეოდნენ. 1905 ნლის რევოლუციური გამოსვლების დროს, გურიის კომიტეტის

---

[366] ოჰ, თქვე ქართველო თეთრგვარდიელებო! ჩვენგან წასვლა გინდათ, რომ მარტო მიირთვათ მწვადი და კაბური ღვინო? ცელქობ, ძმაო, ასე ადვილად არ გამოვა! ჩვენ ასე ადვილად ვერ გაგიშვებთ.... Г. Уратадзе. Воспоминания грузинского социал-демократа, 1968 ნ., გვ. 68-69.

[367] დ. ვაჩნაძე, ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი, 2004 ნ., გვ. 70.

[368] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 ნლების საერთაშორისო პოლიტიკაში, 1990 ნ., გვ. 11

ბრძანებით, „ურჩ“ და „შავრაზმელ“ მღვდლებს, რომლებიც გააფთრებით ებრძოდნენ ახალ (მარქსისტულ) მოძრაობას, ძალით კრეჭდნენ და კლავდნენ. ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სასულიერო პირი რევოლუციის აავანგარდში მოექცა: მღვდელი გიორგი ერქომაიშვილი ტერორისტებს იარაღით ამარაგებდა; დიომიდე შილაკაძე დღისით წირავდა, ღამით კი ტერორისტობდა[369]). ამ ვანდალური აქტის შემდეგ უკვე ქართველებმა, თავიანთი წინამორბედების (რუსების) მსგავსად, დაიწყეს ეკლესიების ნგრევა და მათი ქონების კონფისკაცია. გურიაში ყველა მოქმედი ეკლესია იყო დანგრეული, თავს იმით იმართლებდნენ – გურულებს ღმერთის არა სნამთო. კლარა ცეტკინი კი გურიაში ანტისაბჭოთა აჯანყების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ ანტისაეკლესიო პოლიტიკას ასახელებს. ცნობისათვის: 1917 წელს ქართულ ეკლესიას 1527 ბერი და 1700 მღვდელი ჰყავდა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში მათი რიცხვი 100-მდე დავიდა[370].

რუსები და მათი ქართველი დამქაშები არც კი ცდილან ქართველი ხალხის გულის მოგებას დიპლომატიური, ცივილიზებული გზით, ისინი პირდაპირ ძალადობასა და ტერორზე გადავიდნენ, რითაც დათრგუნეს და ლამის გაანადგურეს ქართველობა (ერთხანს საბჭოთა მთავრობამ თითქოსდა ლმობიერება გამოიჩინა და საბჭოთა წყობის მოწინააღმდეგე დაპატიმრებულ სამოცდაათამდე ინტელიგენტს ნება დართო საზღვარგარეთ გასულიყო, მაგრამ ეს გამონაკლისი შემთხვევა იყო). რეპრესიები უკლებლივ ყველა ფენამ განიცადა, თუმცა უმთავრესი დარტყმა ქართულმა ინტელიგენციამ და თავადაზნაურობამ იგემა. თბილისში მოქმედი „სამეულის“ წევრი, ბოლშევიკი ლევან ღოღობერიძე სიამაყით აცხადებდა, თავადაზნაურობის პროცენტი საქართველოში ნულამდე დავიყვანეთო[371]. ანგარიშსწორება მიმდინარეობდა ყოველგვარი ძიებისა და სასამართლოების გარეშე, ადგილობრივი ფუნქციონერების პირადი შეხედულების მიხედვით, იმავე მეთოდებით, რაც მომდევნო წლებში საბჭოთა ხელისუფლების ხელწერად იქცა, ერთ-ერთი პირველი აპრობაცია კი ამ მეთოდმა ქართველებზე გაიარა. 1922 წლის 22 დეკემბერს პარტიის ყველა სამაზრო კომიტეტსა და აღმასკომს სერგო ორჯონიკიძის ცირკულარი დაეგზავნა, რომელიც მოითხოვდა სოფლად მემამულეთა და თავად-აზნაურთა ბატონობის აღკვეთას, ან ორჯონიკიძის გამოთქმით, თავად-აზნაურთა „გამოშიგვნას“[372]. ამით ბოლშევიკებმა გლეხები წააქეზეს, რათა მათ ანგარიში გაესწორებინათ მემამულეებისათვის. გლეხობის ერთი ნაწილი დაერია თავადაზნაურობას, მემამულეების ოჯახებს, სასულიერო პირებს – მათ სახლებიდან აგდებდნენ, ქონებას იტაცებდნენ, წინააღმდეგობის გამწევთ ადგილზე კლავდნენ. გლეხობის ამ ნაწილს აქტიურად ეხმარებოდა საბჭოთა მილიცია, რომელიც ყველა ურჩ მოწინააღმდეგეს აპატიმრებდა. ამ ბაქანალიის გამო ოჯახები მთებსა და ტყეებში გაიხიზნენ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კი შეიქმნა მებრძოლი რაზმები ლაშქარაძის, კასრაძის, მათითაიშვილის, გარდაფხაძის მეთაურობით, რომლებიც ხოცავდნენ ამ დარბევების მომწყობთ. ბოლშევიკები ტყეში გახიზნული რაზმების ლიკვიდაციისათვის ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ:

---

369 „...როდესაც დაიწყო ძველი მეფის ჩამოგდებაზედ პოლიტიკური მუშაობა დიომიდემ... მღვდლის ფორმა გაიძრო და ღობეზედ მიაკიდა. იბრძოდა მხოლოთ რომე ჩაგრული ხალხის განთავისუფლებაზედ...“ – წერდა მელქისედეკ გუნთაიშვილის ძმა აპოლონი საკუთარ დღიურებში. ა. გუნთაიშვილი, რვეული 1.

370 ც. ნიკოლაიშვილი, შ. თავართქილაძე, სოფელი ბახვი, 2003 წ., გვ. 167.

371 „სახალხო განათლება“, 1989 წ., 5 ივლისი.

372 იქვე.

აპატიმრებდნენ და მძევლად აჰყავდათ მებრძოლების ოჯახის წევრებს. მათი ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით მძევლებს სასტიკად ანამებდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ[373].

ახალ საბჭოთა ხელისუფლებაში მოსულთ არავითარი გამოცდილება და ცოდნა არ გააჩნდათ. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო მათი მტრული დამოკიდებულება ინტელექტუალური ძალებისადმი. ისინი ახალ რეჟიმთან უმეტესწილად პირადი ძალაუფლების მოპოვების მიზნით ან მეტოქეებთან (უმთავრესად მენშევიკებთან) ანგარიშსწორებისთვის თანამშრომლობდნენ. რაიმე რევოლუციურ იდეალებსა და რომანტიზმზე ლაპარაკი იქ სრულებით ზედმეტი იყო.

გასაბჭოებამდე გურიაში[374]- ბოლშევიკური ორგანიზაციები გაუქმებული იყო, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ბოლშევიკები აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ – ძალით თუ დაყვავებით ცდილობდნენ ახალ-ახალი წევრებით საკუთარი ცარიელი რიგების შევსებას. ცდილობდნენ, რომ ყოველ დაწესებულებასა თუ უწყებაში ძველი კადრები ახალი გამოუცდელი „კომსომოლცებით" ჩაენაცვლებინათ, რისთვისაც სასწრაფოდ ჩამოაყალიბეს ახალი კადრების მოსამზადებელი კურსები.

ოზურგეთში „ნითლების" შემოსვლის შემდეგ გამართულ პირველ კრებაზე აპოლონ ნულაძეს უთქვამს: „ბოლშევიკები ოზურგეთში მოვიდნენ მარტის თვეში, მარტი ცვალებადი თვეა. აპრილის თვეში კი, მარტის ნასესხები რომ გათავდება, ბოლშევიკები ნავლენ და ჩვენ, მენშევიკები, მოვალთო..."[375]

თუ როგორ და როდის ნავიდნენ ბოლშევიკები, ეს ისტორიიდან ყველამ მშვენივრად ვიცით. დასაწყისში ხელისუფლება შედარებით „ზომიერ" რეპრესიებს ატარებდა, რათა გურულები არ აებუნტებინა. ციხეებში შერბილებული რეჟიმი არსებობდა და ნამდვილ ანტისაბჭოთა ბუდეს წარმოადგენდა, და „ვინც დაუჭერელი გადარჩა ცოტა შერცხვენილად სთვლიდა თავს ამხანაგების ნინაშე"[376]. მაგრამ ეს „ზომიერი" რეპრესიები ხანმოკლე და მოჩვენებითი იყო და სულ მალე იწყეს ხალხის მასობრივი დახვრეტა სხვების დასაშინებლად, რასაც გარკვეული დროის შემდეგ მიაღნიეს კიდევაც. მაგალითად, 1922 წელს 26 მაისის აღსანიშნავად გურიის სხვადასხვა რაიონებში მიტინგები გაიმართა. ერთ-ერთ თავყრილობაზე სოფელ ფიჩხის ჯვრის ეკლესიის გალავანში შეკრებილ უამრავ ხალხს კომუნისტებმა ცეცხლი გაუხსნეს და ყუმბარაც ესროლეს. ამ ამბავმა დიდი აღშფოთება გამოინვია მოსახლეობაში. თვით კომუნისტები მიხვდნენ საკუთარ სიბრიყვეს და ამ თავდასხმის ორგანიზატორები სამსახურიდან მოხსნეს და ბათუმში გაამწესეს. ისინი შიშით გარეთ ვეღარ გამოდიოდნენ და გურიაში ცხვირის შემოყოფას და საკუთარი ოჯახის ნახვასაც ვერ ბედავდნენ. ის ბოლშევიკები, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურობდნენ და სიმკაცრეს იჩენდნენ მოსახლეობის მიმართ, ძალადობრივი სიკვდილით ასრულებდნენ სიცოცხლეს. „...ერთ მშვენიერ ღამეს გურიის სხვადასხვა თემებში უგზო-უკვლოდ „დაიკარგა" რამდენიმე კომუნისტი... ეს იყო ის ზომა, რომელსაც გურიის ხალხი მიმართავდა უკიდურეს შემთხვევებში მეფის მთავრობის დროს ზოგიერთი პირების ნი-

---

373 „სახალხო განათლება", 1989 წ., 5 ივლისი.

374 გურიაში განვითარებული მოვლენები ზოგადად საქართველოში მომხდარი ამბების ანარეკლია. თვალსაჩინოებისთვის გურიის რეგიონი იმიტომ ავირჩიეთ, რომ სწორედ აქედან დაიწყო რევოლუციური ეარტეხილები, აქედან გავრცელდა მარქსიზმი მთელ საქართველოში.

375 დაახლოებით იმვე დროს, ხონში, ამ წიგნის ერთ-ერთი ავტორის ბებიის ძმა წაიღიღინებს: „გაზაფხულდა, მოვა ია, მას მოჰყვება ჟორდანია...", რისთვისაც კედელთან მიაყენებენ და დახვრეტენ.

376 ს. გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, 1991 წ., გვ. 13.

ნააღმდეგ. ეს ტერორისტული აქტი... გამოიხატებოდა აღნიშნულ პირთა მოპარვაში და სრულიად დაკარგვაში"[377].

1922 წლის დამლევს დახვრეტები და ეგზეკუციები მთელ საქართველოში მიმდინარეობდა. ხალხის დასასჯელად ქვეყნის ყოველ კუთხეში განსაკუთრებული რაზმები იგზავნებოდა. არც გურია ყოფილა გამონაკლისი. „გურიის ხალხის დასამორჩილებლად არანორმალური, ნახევრად შეშლილი ბოროტი... ობოლაძე" გაიგზავნა[378]. გურიაში ეს „მივლინება" საშა ობოლაძისთვის პირველი არ ყოფილა, 1905 წელს ის სხვა გურულ ფირალებთან და „ნითელრაზმელებთან" ერთად ნასაკირალზე კაზაკებს ებრძოდა. ობოლაძე ავტობიოგრაფიაში წერდა: „...1906 წელს სათავეში ჩავუდექი სამხედრო ორგანიზაციას (ის ხელმძღვანელობდა მთაწმინდის ტერორისტთა ჯგუფს – ი. მ., ლ. ხ.)... ჯგუფს გააჩნდა საკუთარი სტამბა და ჰყავდა თავიდან ფეხებამდე მუდმივად შეიარაღებული 60 კაცი... თითონ კობა-სტალინი გვიჭერდა მხარს... გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ იმდენი ტერორისტული აქტი, რაც მე წილად მხვდა კავკასიაში, არავის შეუსრულებია. 1906 წლის პირველ ნახევარში ყველა ტერორისტულ აქტს ვასრულებდი პარტიის დავალებით, მეორე ნახევრიდან კი დამოუკიდებლად"[379]. 1905 წლის რევოლუციის დროს ის ბაქოსა და საქართველოში მოღვაწეობდა, რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული[380].

შემოსვლისთანავე წითლებმა გურია რვა სამოქმედო რაიონად დაყვეს. მაზრას სათავეში ჩაუყენეს სამაზრო კომიტეტი, რაიონებს – რევკომის თავმჯდომარეები. ყველა რაიონში ჩამოყალიბდა მილიციონერთა რაზმები „ჩონის" (Части Особого Назначения) სახელწოდებით. ამ რაზმების დანიშნულება იყო კონტრევოლუციონერთა, მენშევიკთა განადგურება. თავდაპირველად „ჩონის" ხელმძღვანელი იყო საშა ობოლაძე, შემდეგ კი ვალიკო ტალახაძე.

როგორც ამბობენ, გურიაში ასეთ სისასტიკეს მოსახლეობისადმი თვით ალიხანოვ-ავარსკიც არ იჩენდა. ბოლშევიკებს კი თავის გასამართლებლად ის არგუმენტი მოჰყავდათ, რომ გურია ცნობილია, როგორც მენშევიკური მხარეო, გურიაში მთელი გლეხობა აღდგა ჩვენს წინააღმდეგო.

ოზურგეთის მაზრის პოლიტბიუროს უფროსი მელიქიძე 1923 წ. სერგო ორჯონიკიძისათვის გაგზავნილ მოხსენებაში წერდა: „(გურია) ცოტ-ცოტა ცელქობს, მაგრამ ალბათ მალე მოვა ჭკუაზე... ამხანაგი ობოლაძე როგორც საფრთხობელა, ჩვენს მტრებს არ აძლევს მოსვენებას. ირგვლივ გაისმის მუქარა, ადგილი ჰქონდა ტერორიზებასაც. მაგრამ ხუთეული ისმენს და ხვრეტს. 6 იანვარს დახვრეტილი იქნა 8 კაცი. ამ დღეებში, ალბათ კიდევ დავტკბები „ცოცხალი უფასო სურათებით". სიკვდილით დასჯის პროცესი მეტისმეტად გამარტივებული გახდა, ხალხს კონვეირული სისტემით ხოცავდნენ, „როგორც ხარებს ჩიკაგოს სასაკლაოზე". ერთხელ თურმე ობოლაძეს უთქვამს: „ერთი ჩავიარო ჯურუყვათში და ჩავხოცო ათი-თორმეტი კაციო". მისი სახელით ბავშვებს აშინებდნენ, ადამიანების წარმოდგენაში ის „სატანა, კაციჭამია ურჩხული იყო".

---

377 ს. გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, 1991 წ., გვ. 21.

378 ვ. მგელაძე, რუსეთის მობრუნება საქართველოში, 1991 წ., გვ. 45.

379 „სახალხო განათლება", 1990 წ.

380 ერთხელ, როცა ობოლაძე ციხეში იჯდა, თბილისის პოლიცმეისტერმა მის არაჩვეულებრივი სილამაზის ცოლთან რომანი გააბა, რამდენიმე თვის შემდეგ კი მიატოვა. როცა ობოლაძე ციხიდან გამოვიდა, პოლიცმეისტერს თავზე იარაღით დაადგა და აიძულა, რომ ყოფილი მეუღლე ცოლად შეერთო.

როცა საჭირო გახდა, ბოლშევიკებმა შემოირიგეს მენშევიკების მთავრობის მომხრეების ნანილი, ასევე ციხეებიდან გამოუშვეს სისხლის სამართლის დამნაშავეები. რომლებიც თავის სამსახურში ჩააყენეს. მთავრობამ ეს ხალხი შეაიარაღა, ხელფასი დაუნიშნა და რაიონის დამცველთა, ე. წ. „ბახმაროს", რაზმში გააერთიანა, რომელსაც ქურდებისა და მძარცველების თარეში უნდა აღეკვეთა. მაგრამ იმის მაგივრად, რომ ბოლშევიკების ბრძანებები შეესრულებინა, ეს „თავზეხელაღებული, ბევრი უპარტიო და იარაღის მოყვარული" ქეიფობდა, არავის ემორჩილებოდა, ხშირად კომუნისტებს სცემდა და შეუარცხყოფას აყენებდა. უფრო მეტიც, მათ კომუნისტების მიერ ნაბრძანები არც ერთი ტერაქტი არ შეუსრულებიათ და ხშირად იმ ადამიანებს, რომელთაც ხელისუფლების მხრიდან რეპრესიები ელოდათ, წინასწარ აფრთხილებდნენ. ეს ადამიანები გურიის სრული ბატონ-პატრონები გახდნენ.

რასაკვირველია, ახალი მთავრობა ასეთ თვითნებობას ვერ შეურიგდებოდა. ცოტა ხანში თბილისიდან ბრძანება მოვიდა, რაზმები რკინიგზის დასაცავად გამოიყენეთო[381]. სინამდვილეში კომუნისტებმა მათი ლიკვიდაცია გადაწყვიტეს, მაგრამ გურიაში ამის გაკეთება რთული იყო; საჭირო გახდა მათი ტერიტორიიდან გაყვანა. მთავრობამ რაზმის ერთ-ერთ მეთაურთან, ყოფილ სახალხო გვარდიელთან, გოგია ღლონტთან მოლაპარაკება გამართა. მან მოლაპარაკების შედეგები საკუთარ თანამებრძოლებს მოახსენა, ისინი დაეჭვდნენ. ამასთან, ერთმა ყოფილმა ფირალმა, ვითომდა ბოლშევიკებს შეკედელებულმა მანნკავამ, მათ მოსალოდნელი რეპრესიების შესახებ აცნობა. მანნკავას თქმით, ერთ-ერთ სადგურზე ვაგონს, რომელშიც რაზმელები ისხდებოდნენ, მოხსნიდნენ და ყველას ამოხოცავდნენ[382].

გოგია ღლონტს მისი თანამედროვენი ასე ახასიათებენ: „გოგია არც მიწის მუშა გამოდგა და არც დურგალი. იგი უფრო იარაღის კაცი იყო. გვარდიაში მსახურობდა. ვალოდია გოგუაძესთან იბრძოდა „ბრანენვიკზე" (ჯავშნოსან მატარებელზე – ი.მ., ლ.ხ.), ტანად პატარა იყო, დაბალი, ჩაფსკვნილი, მთლად ძარღვი, კაი მსროლელი, სწრაფი, ერთ ადგილზე ვერ გააჩერებდი. თვალები ჰქონდა ელექტრონივით, ღამე ანათებდა. ჩვენ იგი უიარაღოდ არ გვინახავს. თოფთან ეძინა, თოფთან ჭამდა, თოფთან სვამდა. ოჯახში ღორს რომ დაკლავდნენ, გოგია ცხრა მთას იქით გარბოდა – სისხლის ეშინოდა, მაგრამ თუ ვინმეს განამწარები ჰყავდა, იმის სისხლს დალევდა. ობოლაძე რომ ჩააძაღლა, ამხელა ხრონგი, ორმეტრიანი წითელი მხეცი, იმ დროიდან გაგვიმწარდა ცხოვრება. დამალვა გაუჭირდა. ძაღლებივით დასდევდნენ"[383].

ვისზეც ეჭვი ჰქონდა, რომ გოგია ღლონტს ეხმარებოდა, ობოლაძე სასტიკად უსნორდებოდა. პირველად ის სნორედ მანნკავას ოჯახს დაესხა, სახლი გადანვა და მანნკავას პატარა ბიძაშვილი ცეცხლში შეაგდო. ვალში არც ღლონტის რაზმელები რჩებოდნენ – მათ მოკლეს გურიის მაზრის ცხენოსანი მილიციის უფროსი მდინარაძე, რამაც ობოლაძე კიდევ უფრო მეტად გააცოფა. კომუნისტებისა და რაზმელების დაპირისპირება უკიდურეს ფაზაში შევიდა. გოგია ღლონტი თურმე ობოლაძეს აფრთხილებდა – „დატოვე ოზურგეთი და წადი, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებო".

ერთ დღეს რაზმელებს ინფორმაცია მოუვიდათ, რომ ობოლაძე ორი კაცის თანხლებით ლიხაურში დაბანაკებულ თავის რაზმთან მიემგზავრებოდა. რაზმელები ჩაუსაფრდნენ, მაგრამ ფრთხილმა ობოლაძემ, რომელიც არავის ენდობოდა, სხვა გზა აირჩა. იმ იმედით, რომ ის იმავე გზით დაბრუნდებოდა, რაზმმა სასწრაფოდ შეიცვალა

---

381 ცუცა მეგრელაძე-ჯანიაშვილის მოგონება, ფურცელი 6.

382 იქვე, ფურცელი 7.

383 ხალხის ქომაგი გოგია ღლონტი, 1991 წ., გვ. 14.

დისლოკაციის ადგილი, რაც ბევრ საფრთხესთან იყო დაკავშირებული (მთელი გურია ნითელარმიელებითა და მილიციონერებით იყო სავსე) და გზაზე ჩაუსაფრდა.

ამასობაში ობოლაძე რაზმთან ერთად თავს დაესხა ხავთასების ოჯახს, სადაც მენშევიკები იკრიბებოდნენ ხოლმე, გადაუნვა სახლ-კარი, შემდეგ მაგრად იქეიფა, ოჯახის უფროსი და მისი შვილი ილია დააპატიმრა, თან წამოიყვანა და ოზურგეთისკენ გაემგზავრა.

12-კაციანი ჩასაფრებული რაზმი ბევრმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ნახა – იმ დღეს, პარასკევს, ოზურგეთში ბაზრობა იმართებოდა და უამრავი ხალხი მიდი-მოდიოდა. რაზმელებმა მათი დაკავება მოინდომეს, რადგან შეეშინდათ, რომ ვინმეს მათი ადგილსამყოფელი არ გაეცა, მაგრამ ხალხის რაოდენობა დიდი იყო, თანაც ყველა მიხვდა, რა საქმისთვის იყვნენ ისინი მოსული და ამით აღრფთოვანებულები არნმუნებდნენ, ნურაფრის გეშინიათო; მართლაც, არც ერთ მათგანს კრინტი არ დაუძრავს.

ობოლაძე და მისი ხელქვეითები, სანიკიძე და ჩუბინაშვილი, ფაეტონით მიემგზავრებოდნენ, ობოლაძე შუაში იჯდა გიტარით, ფეხებში კი ჩხავერით სავსე ჭურჭელი ედგა. ფაეტონს ასი ცხენოსანი მოუძღოდა, გვერდებზე – მილიციონერები. ობოლაძის თანმხლები ჯარის რაოდენობის დანახვაზე რაზმელები შეცბნენ, მაგრამ უკან დახევა შეიძლება უფრო საშიში გამომდგარიყო და ამიტომ შეტევაზე გადასვლა არჩიეს.

ჩასაფრებულებმა ეტლი ძალიან ახლოს მიუშვეს და ცეცხლი გაუხსნეს. მოულოდნელობის ეფექტმა და დიდძალმა დალეულმა ღვინომ გაამართლა. სანიკიძე და ჩუბინაშვილი ადგილზე დაიღუპნენ, დაჭრილი ობოლაძე ეტლიდან გადახტა, გზის პირას ქვების გროვას ამოეფარა და მაუზერიდან სროლა დაიწყო. თავდამსხმელებმა ცხენებიდან ჩამოსულ რუსებს ცეცხლი დაუშინეს და მინასთან გააკრეს. ღლონტი ერთი რაზმელის თანხლებით საფრიდან გამოვარდა და ობოლაძისკენ გაექანა. ობოლაძემ ღლონტი კისერში დაჭრა, მაგრამ მან მოახერხა, ობოლაძე ხელყუმბარით აეფეთქებინა, იარაღი აართვა და გაძლიერებული ცეცხლის თანხლებით სხვებთან ერთად სამშვიდობოს გავიდა.

ყველაფერი ისე სწრაფად დამთავრდა, რომ მთვრალმა რაზმმა ვერც კი მოისაზრა, რა მოხდა. სიბნელეში რუსები ერთმანეთს ვერ ცნობდნენ და ცხენებსაც ვერ პოულობდნენ. ამბობენ, ამის შემდეგ შექმნა ხალხმა ეს ლექსი:

ატყდა სროლა კვაჭალათზე,
ჩააძაღლეს ობოლაძე.
გურიაში რა გინდოდა,
თუ სიკვდილი არ გინდოდა.

ობოლაძის მოკვლამ განარისხა ხელისუფლება და ის მეორე დღესვე შეუდგა ადამიანთა განადგურებას. ოზურგეთის ციხიდან გამოიყვანეს 13 პატიმარი, რომლებიც ობოლაძის მკვლელობამდე დიდი ხნით ადრე ისხდნენ ციხეში და წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა მოხდა, მიიყვანეს მკვლელობის ადგილზე და დახვრიტეს. „...საგანგებო კომისიამ დახვრიტა ოთხმოცამდე კაცი, უმთავრესად სოფლის მასწავლებლები, რომელთაც არც ობოლაძისა და არც ღლონტის სახელი და გვარები გაგონილი არ ჰქონდათ“[384]. დახვრიტეს ხავთასი და მისი შვილიც. იმ ღამესვე კომკავშირლებმა გოგია ღლონტის სახლი დაწვეს. მოგვიანებით ტყეში გახიზნული რაზმის ნაწილი ბოლშევიკებთან ბრძოლას შეეწირა, ზოგი საზღვარგარეთ გაიქცა. გოგია ღლონტი მეუღლესთან ერთად ჯერ თურქეთში, შემდეგ კი საფრანგეთში გადავიდა.

---

[384] გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, 2003 წ., გვ. 61-62.

ობოლაძე ვალიკო ტალახაძემ შეცვალა. მის დროს ჩამოყალიბდა ე. წ. „ტროიკები“, რომელთაც შეეძლოთ ნებისმიერი ადამიანისათვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ და მაშინვე შეესრულებინათ. „...ყველა წამიობით იხვრიტებოდა. ათი ხან თუთხმეტი და ერხელ 25 კაციც დახვრიტენ ერთ ღამეს, თორემ ორი და სამი ყოველ ღამეს ხრეტდენ... და ყრიდენ მინაში...“[365] სასჯელის სისრულეში მოსაყვანად თურმე სპეციალურად ვიღაც ოსი ჰყავდათ ჩამოყვანილი, რომელიც მაუზერიდან თავში ვაროლით კლავდა სიკვდილმისჯილებს. ერთ ღამეს 60 კაცი დაიხვრიტა[366]. ხშირად ისმოდა განწირულთა ყვირილი: „რატომ მკლავთ, რას მერჩითო!..“

ალექსანდრე ღლონტი იხსენებდა, ბავშვობაში როგორ წაიყვანეს სკოლის მოწაფეები ექაკურსიაზე ლიხაურის ციხის სანახავად. „ორიოდე კილომეტრი გავიარეთ და კვაჭალათის გადასახვევთან საზარელი სურათი ვნახეთ: ზვინად ეყარა ახალდახოცილთა გვამები. ადამიანთა სისხლი და ტვინი ერთმანეთში იყო არეული. ამ სანახაობამ ბავშვები შეგვაშინა, ყველას ენა ჩაგვივარდა...“

მსგავსი რამ ხდებოდა მთელი საქართველოს მასშტაბით. ბოლშევიკების „გამეფების“ შემდეგ სისხლიანი ტერორისა და განუკითხაობის ლოგიკური შედეგი 1924 წლის საყოველთაო აჯანყება იყო. „ნაადრევმა გასაბჭოებამ საქართველოში გარკვეული პერიოდის მანძილზე გააძლიერა მენშევიკები და გამოიწვია ფართო მასობრივი აჯანყება 1924 წელს... თვითონ სტალინის აღიარებითაც საქართველო წაღმა-უკუღმა უნდა გადახნულიყო,“ – წერდა ლევ ტროცკი[367]. სათანადოდ მოუმზადებელი აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი, ვინაიდან „შეთქმულებმა მეტი რომანტიზმი გამოიჩინეს, ვიდრე საღი პოლიტიკური გონიერება“[368]. თუ რა „ენთუზიაზმით“ უსწორდებოდნენ აჯანყებულებს, ამას სენაკის მაზრის კომუნისტური რაზმის მეთაურის დავითაიას „კაციჭამიური“ განცხადებაც ცხადყოფს: „თითოეულ კომუნისტს გვწყუროდა ღვინოსავით გვესვა აჯანყებულთა სისხლი“[369]. შეადარეთ ეს სიტყვები ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის ერთ-ერთი მონანილის ნათქვამს, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ (1906 წ., 8) დაიბეჭდა: „ჩვენ გამოგვაგზავნეს მეორედ დავიპყროთ კავკასია, ცეცხლითა და მახვილით. ჩვენი მოვალეობა ჩვენ წმინდათ უნდა შევასრულოთ. აი, როგორც ამ ჭიქას, ისე დავლევთ სისხლსაც...“ ამ სიტყვების მთქმელი „სისხლისმსმელები“, ერთი რუსი და მეორე ქართველი, ერთსა და იმავე „მტერს“ – ზოგადად ქართველ ხალხს ებრძოდა და ანადგურებდა.

სერგო ორჯონიკიძე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ აღდგა „მენშევიკების მიერ დაშინებული“ თითქმის მთელი საქართველოს მოსახლეობა, და მოიყვანა სხვადასხვა ციფრები: როცა 1904-05 წლებში ბოლშევიკების პარტია მხოლოდ რამდენიმე ასეულ კაცს მოითვლიდა, მენშევიკთა რიგებში 15 ათასი წევრი იყო;

1920 წელს მენშევიკთა პარტიის ყრილობაზე თავი 60 ათასმა წევრმა მოიყარა, მაშინ მხოლოდ თბილისსა და თბილისის მაზრაში 12 ათასი მენშევიკი და მხოლოდ 500 ბოლშევიკი იყო;

1921 წელს გურიაში მენშევიკებს 8600 წევრი ჰყავდათ, ბოლშევიკებს 600-მდე;

„გურიაში გლეხობა უკიდურესად შეგნებულია, – ამბობდა ორჯონიკიძე, – ყოველი

---

[365] ა. გუნთაიშვილი, რვეული 9.

[366] ხალხის ქომაგი გოგია ღლონტი, 1991 წ., გვ. 40.

[367] ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, 1991 წ., გვ. 118.

[368] გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, 2003 წ., გვ. 67.

[369] „სახალხო განათლება“, 12 ივლისი, 1989 წ.

ცოტად თუ ბევრად გავლენიანი და შეგნებული გლეხი რომელიმე პარტიის წევრია – ან მენშევიკია, ან ბოლშევიკია, ანდა კიდევ ესერი. უპარტიო გავლენიან გლეხს გურიაში ძნელად თუ იპოვი და აი, ამ სამნახევარი წლის მანძილზე ჩვენ ვერ მოვახერხეთ გურული გლეხობის გამოხსნა მენშევიკებისაგან, მაშინ როცა საფუძვლიანად და გადაჭრით გამოვიხსენით მენშევიკებისაგან თბილისის, ბათუმის, ფოთის და საერთოდ საქართველოს მუშები... ეს მუშები 1921 წელს მასობრივად გამოეხმაურნენ მენშევიკთა მთავრობის მოწოდებას შაშხანით ხელში გამოელაშქრათ ჩვენ წინააღმდეგ, როცა მენშევიკებს შევუტიეთ"[390].

საქართველოს ყველა კუთხეში აჯანყების სისხლში ჩახშობას უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მათ შორის ბავშვების, ქალების და მოხუცების[391]. ოფიციალური ცნობებით, აჯანყებაში სულ 980 კაცი დაიღუპა, ნოე ჟორდანიას სხვა ციფრი – 5000 მოჰყავს, რაც, ალბათ, უფრო ახლოს არის სინამდვილესთან (არსებობს კიდევ განსხვავებული მონაცემებიც – 15 000 მოკლული). ცეტკინის თბილისში ვიზიტის დროს მას შავებში ჩაცმული სამი ქალი (მათი მენშევიკი ქმრები დახვრეტილი იყვნენ) ესტუმრა, რომლებმაც გადასცეს დოკუმენტი, სადაც აღნერილი იყო, რა მოხდა სინამდვილეში 1924 ნლის აჯანყების დროს. მათი მონაცემებით, მარტო თბილისში 250 მუშა იყო დახვრეტილი, მთელი ქვეყნის მასშტაბით კი – 6 ათასზე მეტი გლეხი და მუშა[392]. ოფიციალურ წყაროებში მითითებული იყო მხოლოდ მსხვილი და ცნობილი თავად-აზნაურების, ოფიცრებისა და მემამულეების სახელები, მუშებისა და გლეხების კი საგულდაგულოდ იყო მიჩუმათებული, თითქოს მათ აჯანყებაში მონაწილეობა არც კი მიუღიათ[393].

დასჯილთა რიცხვი ბევრად ნაკლები იქნებოდა, – წერდა ცეტკინი, – რომ არა ადგილობრივი გლეხობა, რომელიც კატეგორიულად ითხოვდა ამ პუტჩის მოთავეების გასამართლებას და საკადრისად დასჯას. გლეხები საკუთარი ხელით ხოცავდნენ აჯანყებულთ, მათ, როგორც ყაჩაღებსა და ბანდიტებს, ისე ექცეოდნენ[394]. აჯანყების მცირე მასშტაბებთან შედარებით, – აგრძელებს ავტორი, – ეს ციფრი დიდია (მხედველობაში აქვს ოფიციალური მონაცემები – ი. მ., ლ. ხ.), მაგრამ არცთუ ისე დიდია ქვეყანაში, სადაც იარაღის ტარება და მოხმარება ჩვეულებრივ ამბად ითვლება და ყოველი მამაკაცის უფლებას წარმოადგენს... სადაც ყველას, განსაკუთრებით გლეხს, თავის ქოხში იარაღის პატარა საწყობი აქვს[395].

ცეტკინი ეჭვქვეშ აყენებდა იგივე შავოსანი ქალების მონაყოლს და საერთოდ მსხვილი აჯანყების ამბავს. მისი აზრით, შეთქმულება ფართოდ იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ცუდად ორგანიზებული (რაც სიმართლეს შეეფერება – ი. მ., ლ. ხ.) და

---

390 ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, 1991 ნ., გვ. 123.

391 გურიაში უფრო მეტი მსხვერპლი იქნებოდა, ოზურგეთში ფილიპე მახარაძე რომ არ ჩასულიყო. მან განუკითხავად დაპატიმრებულნი გაათავისუფლებინა. ასე შეუნარჩუნა მან სიცოცხლე ნიგნის ერთ-ერთი ავტორის ბაბუას, კირილე მახარაძეს.

392 К. Цеткин. Кавказ в огне, 1926 ნ., გვ. 8.

393 1924 ნლის ამბოხების ერთი მონაწილემ გიზო ანჯაფარიძემ, რომელსაც შეეძლო თავი გადაერჩინა და თურქეთში გადასულიყო, მაგრამ თავისი დაპატიმრებული თანამოძმეების ბედი გაიზიარა და თვითონ ჩაბარდა ბოლშევიკებს, განაცხადა: „...თუ ხალხი განადგურდა, რაღა საჭიროა მაშინ დამოუკიდებელი ან დამოკიდებული საქართველო ქართველების გარეშე? ეს ხომ მეფის რუსეთის ძველი მოხელეების ოცნებაა!"

394 К. Цеткин. Кавказ в огне, 1926 ნ., გვ. 116.

395 იქვე, გვ. 49.

ფართო მხარდამჭერა ვერ მოიპოვა. გურიაშიც კი, სადაც ამბოხებამ უფრო მნიშვნელოვანი ხასიათი მიიღო, მეოთხე დღეს იყო ლიკვიდირებული[396]. რადგან აჯანყება მუხანათურად მოხდა, ამიტომ საბჭოთა ნყობილების წარმომადგენლები იძულებული იყვნენ. დაეცვათ მუშურ-გლეხური სახელმწიფო, საქართველოს ნაციონალური დამოუკიდებლობა და საკადრისი პასუხი გაეცათ მტრისთვის[397].

კლარა ცეტკინის მიერ გამოთქმული აზრი ის მუდმივი ფორმულირებაა, რაც არაერთხელ გამოუყენებია რუსულ ხელისუფლებას სხვის საშინაო საქმეებში ჩასარევად, სხვის ტერიტორიაზე საკუთარი მოქალაქეების დასაცავად ან ჩაგრულთა მასების „ტირანიისაგან" გასათავისუფლებლად. ეს ფორმულა დღემდე რუსების საგარეო პოლიტიკის აქტუალურ ნაწილად რჩება.

ცეტკინი ისეთი თავგამოდებული ენთუზიაზმით, ისე დაბეჯითებით ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ქვეყანაში სერიოზული არაფერი მომხდარა (ლეონიდ უტიოსოვის სიმღერისა არ იყოს, Всё хорошо, прекрасная маркиза. Дела идут и жизнь легка...[398]), რომ აჯანყების ნიშნები და მისი შედეგები არსად შეიმჩნევა (გოგირდის აბანოებშიც კი (!)), რომ საქმეში ჩაუხედავ ადამიანსაც კი მაშინვე საწინააღმდეგო აზრი ებადება. ავტორი თითქოს შიშობს, რომ არ დაუჯერებენ და სქელტანიან ნიგნად გარდასახული მისი შრომა ფუჭად ჩაივლის. ცეტკინი წერდა ვირტუალური, გამოგონილი საქართველოს შესახებ, წერდა იმის შესახებ, რის ნახვა და გაგონებაც სურდათ მას და მის მასპინძლებს – ქართველ და რუს ბოლშევიკებს.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ხალხში თავისუფლებისაკენ ლტოლვა მაინც არ ჩამქრალა. ამ ამბებიდან ცოტა ხანში თბილისში გურიიდან მასწავლებელი ქალი ჩამოვიდა. ალბათ, ხალხს აჯანყების დამარცხების გამო გული გაუტყდაო, – შეეკითხნენ მას, რაზეც მასწავლებელმა უპასუხა: რას ბრძანებთ! მთელი გურია იმას გაიძახის, ერთი კვირა ხომ მაინც თავისუფლად ამოვისუნთქეთ, რა ვუყოთ რომ პირველი აჯანყება სუსტი გამოდგაო!..[399] ქართველებში დამპყრობლების წინააღმდეგ ჩარჩენილი ბოღმა და პროტესტი არ ქრებოდა[400], მაგრამ მომდევნო წლების არნახულმა რეპრესიებმა და ტერორმა ეს მუხტი ლამის მთლიანად ჩააქრო, რაშიც უზარმაზარი წვლილი ჩვენში არსებულ „მეხუთე კოლონას" – რენეგატ ქართველებსაც მიუძღვით.

შემდგომ წლებში რუსეთის ხელისუფლებამ მარტო ქართველი პატრიოტებისა და უდანაშაულო ადამიანების მოკვლით როდი იჯერა გული, მან იმ ქართველების განადგურებასაც მიჰყო ხელი, ვისი დახმარებით და უშუალო მონაწილეობით მოხდა საქართველოს გასაბჭოება და მას მოყოლილი ყველა სისატიკე და ძალადობა. „მოსკოვის ტერორის აპარატმა, – წერდა დავით ვაჩნაძე, – წლიდან წლებამდე სრისა და ბოლოს მთლიანად გაანადგურა და მოსრისა ქართული კომუნისტური პარტიის წრეები თავისი ხელმძღვანელი ხალხით: მთავრობები, მინისტრები, პარტიის ცკ-ს მდივნები, ადმინისტრატორები – თითქმის ყველა დაბრალებულნი ეროვნულ „გადახრებში"[401]. აპოკრიფული ცნობებით, ერთ-ერთმა „უკლონისტმა", ბუდუ მდივანმა, როცა 1937 წელს დასახვრეტად გაჰყავდათ, თურმე ჯალათებს უთხრა: „დასახვრეტი კი არა, ნა-

---

[396] К. Цеткин. Кавказ в огне, 1926 ნ., გვ. 45.

[397] იქვე, გვ. 49.

[398] „ყველაფერი რიგზეა, მშვენიერო მარკიზა. საქმე მიდის და ცხოვრებაც უდარდელია..."

[399] ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, 1989 ნ., გვ. 42.

[400] თურმე 1841 ნლის გურიის ჯანყის, ანუ „ჰუნტის", ჩახშობის მრავალი ნლის შემდეგაც მისი ერთ-ერთი მონაწილე გოგია ვადაჭკორია ყოველ ახალი ნლის დილას თოფს ჩრდილოეთისაკენ მიაბრუნებდა და უკიჟინებდა – სიკვდილი... რუსებს! ზ. ტულუში, მოგონებები ნინოშვილზე, გურული ლექსიკა, 2008 ნ., გვ. 8.

[401] დ. ვაჩნაძე, ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი, 1957 ნ., გვ. 107.

კუნებად ვარ ასაქნელი, ეს ლორისშვილები რომ საქართველოში შემოვუშვი".

მაგრამ ეს მოხდება შემდეგ, მანამდე კი, 1924 ნლის ზაფხულში, სადგურ ყვირილაში, თითქმის იმავე ადგილას, სადაც 32 ნლით ადრე მომავალი ქართული მარქსისტული ჯგუფი, შემდგომ „მესამე დასად" წოდებული, სამი დღის განმავლობაში ბჭობდა, რა გზა აერჩია საქართველოს განვითარებისთვის, გასრულდა კოსმიური სიმეტრია: აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით აყვანილი ხალხი, უმრავლესობა ყოფილი სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკებმა ვალიკო ტალახაძის მეთაურობით რკინიგზის ვაგონებში გამოკეტეს და ტყვიამფრქვევებით დაცხრილეს. თეითმხილველების გადმოცემით ვაგონებიდან ადამიანის სისხლი ნიაღვარად დიოდა...

პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე სოკრატე 83
აბდუშელიშვილი ზუბიკო 83
აბშილავა 143
აზატოვი 110
ალავიძე კოლა 107, 108, 110
ალექსანდრე (ალექსანდრე IV, იმერეთის მეფე) 79
ალექსანდრე II 17, 22, 26, 45, 46, 47, 48, 66, 71
ალექსანდრე III 46
ალიხანოვი 42, 43, 172, 174
ალიხანოვ-ავარსკი მაქსუდ 37, 64, 86-88, 93, 102, 113, 153, 156, 182
ალიხანაშვილი ვანო 88, 122, 147, 182
ალშიბაია გიორგი 102, 112
ალშიბაია ვასო 102
ამბროსი 63
ამილახვარი ბარძიმ 80
ამირეჯიბი შალვა 105
ანტონ II 61
არდანტი ჰანნა 12
აქსელროდი 87

ბ

ბაკუნინი მიხეილ 20, 21, 22, 47
ბალაბანსკი 135, 136
ბალმაშევი სტეპან 17
ბანძელაძე გერასიმე 40
ბარათაშვილი ზაალ 80
ბარათოვი 145
ბეგინი მენახიმ 10, 16
ბენიარი ელეიზად 14
ბერბერა სტანისლავ 18
ბერდიაევი ნიკოლაი 59
ბერია ლავრენტი 138
ბერიძე სიო 80
ბიბინეიშვილი ბარონ 92, 113, 122, 127, 133, 134, 135, 139, 146, 195
ბიგაევი ნ. 6, 112
ბოლქვაძე იოთამ 62
ბონჩ-ბრუევიჩი 33
ბორიანცი სტეპკო 52
ბოჭორიძე მარო 139, 145, 146, 194
ბოჭორიძე მიხო 134, 135, 194
ბოჭორიძე ბაბე 124, 133, 194
ბრეგვაძე კოლია 143

გ

გაბაშვილი რევაზ 24, 35, 51, 56, 83, 84, 95, 102, 106, 110, 149, 172
გაბრიელ ჭყონდიდელი 79
გაბუნია ალექსანდრე 55
გალდავა ფაცია 124, 130, 144, 145, 193
გამყრელიძე სამსონ 41
გარფილდი ჯონ 16
გეგეჭკორი ევგენი 83, 103
გეგეჭკორი საშა 103
გევარა ჩე 36
გედევანიშვილი იოსებ 106, 108, 109, 110, 111, 112, 145, 187
გეიფმანი ანა 17, 50
გერცენი ალექსანდრე 20, 21, 22, 24, 31, 58
გვარჯალაძე კოწია 83
გოგელია კომანდო 105
გოგუაძე ალფეს 103
გოგუაძე ვალოდია 56, 58, 93, 94, 100, 101, 154, 186
გოლიცინი 61, 66
გორკი მაქსიმ 125
გრიაზნოვი ფიოდორ 11, 54, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 189
გრინევიცკი 45
გუნთაიშვილი მელქისედეკ 102, 151
გურიელი ლევან 91
გურული ზაქარია 139, 140, 142
გურული ქაიხოსრო 62

დ

დავრიშევი (დავრიშვილი) იოსებ 105, 108, 109, 111, 112, 122
დალაქიშვილი აკაკი 54, 124, 131, 143, 145, 193
დარახველიძე საშა 122, 124, 127, 129
დარეჯანი 62
დებილი 39, 76
დევიძე ტატო 81
დიასამიძე ნიკოლოზ 81, 82, 83
დოდაშვილი სოლომონ 60, 68
დოლაძე მარტია 125, 145
დონატა 14
დოსითეოს ქუთათელი 62
დუმბაძე ვლადიმერ 57, 141

ე

ებრალიძე ილიკო 131, 133
ევთიმე 62
ელბაქიძე არკადი 124, 131, 145, 192
ენგელსი ფრიდრიხ 9, 25
ერეკლე II 57, 61

ერისთავი ვარლამ 61
ერმოლოვი (მთავარმართებელი) 62
ერმოლოვი (კაპიტანი) 94-96

ვ
ვადაჭკორია დომენტი 113, 158
ვაჩნაძე დავით 86, 103, 150, 158
ვაჩნაძე გიორგი 80
ვახვახიშვილი ტასო 107
ველიამინოვი 62, 125, 131, 133
ვიტე სერგეი 50
ვლადიმირი 59
ვორონცოვ-დაშკოვი 7, 37, 38, 50, 52, 53, 88, 93, 99, 102, 129, 177

ზ
ზაიჩნევსკი პეტრე 46
ზასულიჩი ვერა 11, 48
ზაქრაძე სტეფანე 41, 42, 43
ზდანევიჩ-მაიაშვილი გ. 25

თ
თაზიშვილი ტარიელ 61
თათუზოვი გიორგი 42
თამამშევი 30, 132, 182
თაქთაქიშვილი ივანე 108, 110, 111
თაქთაქიშვილი ილია 107, 110, 111
თეოდორე მღვდელი 59
თევზაძე ნოე 43
თვარელიძე არჩილ 121
თიკანაძე ვარდენ 95, 96, 183

ი
იმედაშვილი იოსებ 32, 120
იმერლიშვილი გაბო 81, 82
იმერლიშვილი ილიკო 65, 178
ინნკირველი სტეპკო (ივანე) 122, 124, 127, 129, 130, 141, 142, 191, 196
ირემაშვილი იოსებ 31, 68
იუნგერი ერნსტ 50

კ
კაკაბაძე იოსებ 31
კაკრიაშვილი თეოფილე 124, 131, 143
კალანდარიშვილი დიმიტრი 31
კალანდარიშვილი ნესტორ 91, 175
კალანდაძე ვანო 123, 126, 145, 192

კალაძე რაჟდენ 31
კალიაევი ივან 11
კამენევი 150
კამო (ტერ-პეტროსიანი სიმონ) 53, 56, 64, 91, 92, 104, 109, 114, 122, 124, 125, 126, 127, 128, 129, 131, 133, 134, 135, 136, 137, 138, 141, 145, 192
კასრაძე გიგო 128, 129, 131, 133, 135, 137
კასრაძე გიორგი 128, 129, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137
კასრაძე ლეო 128, 129, 131, 132, 133, 134, 137, 138, 151
კაჩაროვი ტიგრან 53
კაჭარავა გედენია 140
კენკიშვილი გოგია 101
კერესელიძე გიორგი (გოგი) 107, 108, 110, 187
კერესელიძე ლეო 107, 110, 111, 187
კეღამოვი 54
კვიცარიძე ისიდორე 31
კირიონი 59, 63, 64, 175
კრასინი 125, 128
კრილენკო 33
კუპრაშვილი ბაჭუა 54, 83, 95, 101, 110, 121, 122, 123, 124, 126, 127, 128, 129, 130, 133, 134, 139, 141, 144, 145, 193
კურნატოვსკი 62
კუჩუკი ეფიმ 65, 66

ლ

ლავროვი პეტრე 11
ლასხიშვილი გიორგი 22, 31, 58, 63, 105, 106, 109, 110, 111, 188
ლაღიაშვილი იოსებ 71-77, 179
ლენინი (ულიანოვი ვლადიმერ) 37, 55, 58, 60, 89, 120, 122, 126, 127, 128, 135, 146, 147, 148
ლეონიდი 63, 64
ლეჟავა პროკოპი 54
ლესელიძე (გენერალი) 91
ლინკოლნი აბრაჰამ 16, 77
ლიონიძე სოლომონ 57, 58
ლომაძე მიხეილ 80
ლომინაძე ელისე 122, 124, 125, 126, 131, 133, 144, 145, 192
ლომინაძე სერაპიონ 50
ლორთქიფანიძე გრიგოლ 36, 70, 139
ლორთქიფანიძე ვლადიმერ 58
ლორის-მელიქოვი მიხეილ 45, 130, 131, 132

მ

მაზიტაშვილი (მაზიტოვი) 107, 108
მაზმანოვი სტეფანე 127
მაზმანოვი ელენე 126

მაზნიაშვილი გიორგი 106
მათიაშვილი გიგო 145
მათითაიშვილი სერგო 100, 103, 151
მაისურაძე ვანო 42, 65, 101, 120, 134
მაკკინლი უილიამ 16
მამარდაშვილი მერაბ 18, 20, 30, 48, 51, 147
მამაცაშვილი გარსო 42, 174
მამაცაშვილი გრიშა 42, 174
მანჯგალაძე ვლადიმერ 123
მარატი ჟან პოლ 48
მარტინოვი პეტრე 108, 111, 112
მარქსი კარლ 8, 9, 20, 22, 29, 99, 114
მასხარაშვილი სერიოჟა 112
მატა ჰარი 109
მაჭავარიანი 80
მახარაძე კირილე 157
მახარაძე ფილიპე 27, 34, 50, 68, 84, 85, 86, 88, 94, 98, 105, 149, 157
მგელაძე ვლასა 33, 34, 51, 56, 115, 118, 121, 153, 172
მდივანი ბუდუ 12, 83, 88, 103, 124, 143, 144, 145, 146, 149, 159, 195
მდივანი სვიმონ 83, 103
მეგრაბიანცი არშაკ 114, 115, 117, 189
მეზენცევი 11, 23
მეზურნოვი ბაღდო 121, 128, 129, 130, 13, 134, 136
მელიქიძე სერგო 153
მერეჟკოვსკი დიმიტრი 47, 59
მერკვილაძე აფრასიონ 97-99, 184
მესხიშვილი მარიამ 132
მირიანი 59
მიქაბერიძე პლატონ 54, 112
მურავიოვი მიხეილ 22
მურავიოვი სერგეი 22

ნ

ნაკაშიძე ტიფო 91
ნაკაშიძე მიხეილ 141, 178
ნებიერიძე ილია 38, 40, 41, 42, 43, 44
ნეჩაევი სერგეი 46, 47, 48, 147
ნიკოლაძე ნიკო 24, 30, 31, 171
ნიკოლოზ I 21
ნიკოლოზ II 21, 33, 49, 53, 67, 97
ნიკონი 63-66, 177
ნილუსი სერგეი 21
ნინოშვილი (ინგოროყვა) ეგნატე 31, 32, 85, 171
ნისი ერნესტ 111
ნობელი ალფრედ 55

ო

ობოლაძე საშა 103, 153
ოკუჯავა ვალოდია 54
ორბელიანი გრიგოლ 79
ორბელიანი ალექსანდრე 60
ორჯონიკიძე სერგო 38, 148-151, 153, 156, 157, 198
ოძელაშვილი არსენა 80

პ

პაიჭაძე პორფილე 98, 99
პესტელი პავლე 59, 60
პეტრე I 59
პლეხანოვი გიორგი 22, 26, 29 87, 89, 99, 137, 148
პოპელი 58
პუზირევსკი 62
პუშკინი ალექსანდრე 48, 60

ჟ

ჟორდანია ნოე 12, 31, 32, 33, 35, 53, 55, 68, 79, 83, 85, 115, 120, 137, 147, 157, 170

რ

რამიშვილი ნოე 12, 53, 60, 120, 170
რამიშვილი ისიდორე 31, 53
რიჟინაშვილი აბრამ (იცკა) 54, 176
რისაკოვი 45
რიჩარდსი მარტა 109
რობაქიძე გრიგოლ 93
რომანოვი ანდრეი 112
რუნიჩი 102
რუსანოვი თეოფილაქტე 61, 62

ს

სამანაშვილი ამბაკო 124, 139, 144
სახოკია თედო 32, 55, 71, 72, 75, 76, 77, 179
სვანიძე ტიხონა 42, 43
სვანიძე-მონასელიძე ა. 131
სტალინი იოსებ (ჯუღაშვილი, კობა) 7, 12, 14, 18, 29, 30, 31, 37, 40, 49, 58, 60, 61, 68, 84, 101, 109, 113, 116, 117, 120, 121, 122, 123, 124, 126, 128, 131, 135, 141, 143, 144, 147, 148, 191
სტაროსელსკი ვლადიმერ 92, 93, 182
სტეპნიაკ-კრავჩინსკი სერგეი 11, 23
სტიუარტი უილიამ 50
სტოლიპინი პეტრე 22, 24, 38, 50, 55, 99, 125, 129, 147
სტურუა გიორგი 41
სულაქველიძე ანეტა 122, 124, 130, 144

სულხანიშვილი გაბო 107
სუსანინი ივან 59

ტ
ტალახაძე ვალიკო 153, 156, 159
ტორმასოვი 61
ტრეპოვი 11, 48, 113
ტროცკი ლევ 9, 28, 116, 137, 146, 156
ტურიკიანცი ზაქრო 65, 66

უ
ულამი ადამ 22, 23, 31, 46
ურატაძე გრიშა 31, 51, 86, 89, 102, 116, 150, 181
უტიოსოვი ლეონიდ 158

ფ
ფალავანდიშვილი იასონ 81
ფრუიძე მათე 112, 188

ქ
ქადეიშვილი დათა 95, 183
ქართველიშვილი ალექსი 65, 66, 81, 82
ქართველიშვილი გრიგოლ 40
ქართველიშვილი სანდრო 81, 82
ქარსიძე არსენ 64
ქარცივაძე ბარნაბა 94
ქიაჩელი ლეო 140
ქიქოძე გერონტი 33, 68, 148, 155, 156

ღ
ღლონტი გოგია 154-156
ღლონტი ლუკა 91
ღოღობერიძე ლევან 151

ყ
ყიფიანი დიმიტრი 77, 78, 178
ყიფიანი 62
ყიფშიძე ალექსანდრე (ფრონელი) 93, 182

შ
შავიშვილი ხარიტონ 123, 124, 134, 136, 195
შალაყმაძე პავლე 54
შარაშენიძე რაფიელ 90
შარდენი ჟან 79
შევარდნაძე დათიკო 92, 93, 97

ჩ

ჩაადაევი პეტრე 19, 20
ჩარკვიანი კოტე 40, 42
ჩერნიშევსკი ნიკოლაი 20, 21, 23, 24, 31
ჩერქეზიშვილი ვარლამ 47, 105
ჩიგოგიძე დიმიტრი 92
ჩიტაძე შიო 112, 188
ჩოდრიშვილი მიხა 51, 74, 136, 195
ჩოდრიშვილი მელანია 128
ჩოდრიშვილი ზაქრო (ზაქარია) 41
ჩუბინიძე ლექსო 81, 82
ჩუბინიძე თომა 124, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 192
ჩხარტიშვილი გრიგორი 48
ჩხეიძე კარლო 12, 31, 83, 94
ჩხენკელი აკაკი 12
ჩხიკვიშვილი ბენია 87-89, 180, 181

ც

ცაგარელი ლადო 108, 109, 111, 112
ცეტკინი კლარა 149, 151, 157, 158
ცინცაძე კოტე 51, 55, 97, 101, 116, 120, 121, 124, 125, 128, 138, 139, 140, 142, 143, 144, 145, 146, 149, 191, 193
ციციშვილი გიორგი 80
ციციშვილი ესტატე 30
ცხაკაია მიხა 28, 31, 68

წ

წერეთელი აკაკი 45
წერეთელი გიორგი 85
წერეთელი კაკი (ირაკლი) 12, 83, 148, 172
წერეთელი მიხაკო 35, 36, 45, 49, 105, 110
წივწივაძე ვასიკო 145
წითლაძე არსენ 31

ჭ

ჭავჭავაძე ილია 12, 23, 25, 28, 31-33, 45, 69, 81, 83, 84, 87, 88, 92, 171

ხ

ხავთასი ილიკო 41, 155
ხარაბაძე იოსებ 54
ხერხეულიძე ლევან 105, 106
ხერხეულიძე ნიკოლოზ 61
ხომერიკი ნოე 1, 54, 89
ხრამელოვი 63

ჯ

ჯავახიშვილი სანდრო 44
ჯავახიშვილი იასონ 149
ჯალალედინი 36
ჯაფარიძე ალიოშა 54, 144
ჯიბლაძე სილიბისტრო (სილვა) 8, 34, 52, 72, 101, 114, 115, 118, 123, 170
ჯიბუტი ხარება 101
ჯორბენაძე ერასტი 65, 90, 178
ჯორჯაძე იოსებ 80
ჯორჯაძე არჩილ 73, 77, 78, 105
ჯორჯიაშვილი არსენა 115-118, 189

ჰ

ჰასანიდი 15
ჰაქსტჰაუზენი 121
ჰეროდე 13

დემონსტრაცია თბილისში. 1905 წ. 22 ოქტომბერი

1905 ს. 22 ოქტომბერი. კაზაკები სათავადაზნაურო გიმნაზიაში

რიგში: რამიშვილი(მარცხნიდან მეორე), ნოე ჟორდანია, ალექსანდრო ჯიბლაძე

ილია ჭავჭავაძე

ნიკო ნიკოლაძე

ეგნატე ნინოშვილი – მარქსიზმის ერთ-ერთი პირველი მქადაგებელი საქართველოში

რევაზ გაბაშვილი

ბომბების დამზადების
სპეციალისტი ვლასა მგელაძე

კაკი ნერეთელი: „რას შვებით, თქვენა ღუპავთ რუსეთის დემოკრატიას!"

გოროდოვოი

ჟანდარმერიის ოფიცერი

დარაჯი (კარიკატურა)

მეეზოვე (კარიკატურა)

გრიშა მამაცაშვილი

„ძალიან ჩუმი" ტერორისტი გარსო მამაცაშვილი

ვორონცოვის მოედანი. მარჯვნივ ალიხანოვის საკონდიტრო, რომლის მეპატრონე ტერორისტებმა მოკლეს.

მეტეხის ციხე

„ციმბირელი პაპა“
ნესტორ კალანდარიშვილი

სპარსეთის რევოლუციაში
მონაწილე „გურჯები“



ტერორიატების საყვარელი „ფორთოხალი" – ხელნაკეთი ბომბები

აბრამ (იეკა) რიჟინაშვილის პანაშვიდი

მეფისნაცვალი
ვორონცოვ-დაშკოვი
და ქართული ეკლესიის
მტერი ეგზარქოსი
ნიკონი

ეპისკოპოსი კირიონი

დაშნაკების შეიარაღებული ჯგუფი

დაშნაკების მიერ მოკლული
ბაქოს გუბერნატორი
მიხეილ ნაკაშიძე

ტერორისტები ერასტი ჯორბენაძე
და ილიკო იმერლიშვილი



სასულიერო სემინარია –
რევოლუციონერთა „სამჭედლო“

„პირველი
ტერორისტი“
იოსებ ლაღიაშვილი

თედო სახოკია

შიო დედაბრიშვილი
(არაგვისპირელი)

რუსული ტერორის მსხვერპლი
დიმიტრი ყიფიანი

ალექსი გოგობია (ჯორჯიანი) –
რევოლუციონერი-მოჯირითე
(მარცხნივ)

„ბურიის რესპუბლიკის" მთავრობა. პირველ რიგში მარჯვნიდან მეორე –
„პრეზიდენტი" ბენია ჩხიკვიშვილი

მეორე რიგში მარცხნივ მენშევიკი ბენია ჩხიკვიშვილი, მარჯვნივ – ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე

„სატანა" გრიშა ურატაძე

დაავლეთ საქართველოს
ამაოირებელი გენერალი
ალიხანოვ-ავარსკი

ვანო ალიხანაშვილი (გურული) –
ალიხანოვ-ავარსკის
მკვლელობის ორგანიზატორი და
ერთ-ერთი თანამონაწილე

ვიცე-გუბერნატორი ალექსანდრე
ყიფშიძე (ფრონელი)

„წითელი" გუბერნატორი
ვლადიმერ სტაროსელსკი

ხასაკირალის ბრძოლის მეორე დღე

ლომისკარელის ხატის ქურდი და
რეკეტირი დათა ქადეიშვილი

„სივაჟკაცით და პატიოსნებით" განთქმუ-
ლი მენშევიკი ვარდენ თიკანაძე

მებრძოლი აფრასიონ მერკვილაძე
ჯიბიდან პირველი) დედასთან და დებთან
ერთ

მოკლული „წითელრაზმელი“

ჯ ...ილი „წითელრაზმელები“, ცენტრში – აფრასიონ მერკვილაძე

ქახელი „ტყის ძმები"

ქართველი „შავრაზმელები"

ტერორისტი და დამოუკიდებელი
საქართველოს გმირი ვალოდია
გოგუაძე, პარიზი



ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანი მატარებელი

დუშეთის ხაზინის „ექსის გმირები“:

„ლენერალი“ იოსებ გედევანიშვილი

გიორგი კერესელიძე

ლეო კერესელიძე (ცენტრში) და „ქართული ლეგიონის“ წევრები

გიორგი ლაახიშვილი

მოკლული ბომბისტი მათე ფრუიძე

ფედერალისტი შიო ჩიტაძე – „ულტიმატარი და ლეთისმოსავი“ კაზაკის ბალავერპლი

შიო ჩიტაძის გვამი „მიხეილის“ საავადმყოფოში

გენერალი გრიაზნოვი – კავკასიელი „კრამოლნიკების“ მტერი

არსენა ჯორჯიაშვილი – გრიაზნოვის მკვლელი

„დამსახურებული“ ტერორისტების ჯგუფი, 1924 წ. მეორე რიგში, მარჯვნიდან პირველი – არშაკ მეგრაბიანცი, გრიაზნოვის მკვლელობის მონაწილე

ლმიდაი „ალიენა ჯორჯიაშვილი"

ერივანსკაია მოედანი. ბარჯვნივ თამამშევის ქარვასლა

„ბოევაია დრუჟინას“ „ლოკომოტივი“ და მთავარი ტერორისტი
იოსებ ჯუღაშვილი – კობა, სტალინი

„ბოევაია დრუჟინას“
პიონერები: მარცხნიდან –
ვანო კალანდაძე, სტეპკო
ინწკირველი, კოტე ცინცაძე

ალექსანდრე ელბაქიძე

ელისე ლომინაძე

ფარმა ჩუბინიძე ციხეში

„მუდამ მოძრავი რევოლუციონერი“ კამო

აკაკი დალაქიშვილი

ფაცია გალდავა

მეორე რიგში მარჯვნიდან მეორე ბაჭუა კუპრაშვილი, მარცხნიდან მეორე კოტე ცინცაძე

ბოჭორიძე

ბაბე ბოჭორიძე

ალბომის ფოტო – პირველ რიგში მარცხნიდან პირველი
ალბერ ბოჭორიძე

ბუდუ მდივანი

ბარონ ბიბინეიშვილი –
კამოს მემატიანე

მუშა მიხა ჩოდრიშვილი –
ტერორისტების მარჯვენა ხელი

ხარიტონ შავიშვილი

მოკლული
სტეპკო ინნკირველი

რევოლუციონერები ციხეში



ქუთაისის ციხე



ციხის საკანი, საიდანაც 1907 წლის 26 სექტემბერს 36 პატიმარი გაიქცა.

ავიერმატარებელ „საბჭოთა კავკასიის“ თანამშრომლებთან
საქართველოს დაპყრობის სამზადისში. 1920 წ.



ერიის ელლეური თბილისში. 1921 წლის თებერვალი

„წითელ არმიასთან" ბრძოლაში დახოცილი ქართველი მეომრები. 1921 წ.

საქართველოს დელეგაცია საბჭოების IX ყრილობაზე. მოსკოვი 1921 წ. დეკემბერი. N 10 საშა ობოლაძე, N 17 ლევან ღოღობერიძე

ალექსიოს ობილავიოს მკვლელები „იარაღის კაცი" გოგია ღლონტი (მარჯვნიდან მეორე)

ღლონტი (პირველ რიგში მარჯვნიდან მეორე) რაზმთან ერთად